«საქართველოს სოციალურ-
ეკონომიკური და სამართლებრივი
განვითარების პერსპექტივები
გლობალური გამოწვევების ფონზე»

თბილისი 2010

UDC(უაკ): 338(479.22)(063)
მ-504

2010 წლის 20 მაისს ჩატარდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის XVIII სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.

კრებულში წარმოდგენილია აღნიშნულ კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტთა სამეცნიერო შრომები.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: პროფესორი ავთანდილ ჩუთლაშვილი

სარედაქციო კოლეგიის წევრები, პროფესორები: ანზორ თოთაძე (რედაქტორი), გია ღაღანიძე, ბესიკ ალადაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დავით იაკობიძე, ნოდარ ბაგრატიონი, გურამ ყუფუნია, ვალერი ვაშაკიძე, ვენედი ბენიძე, ოთარ გამყრელიძე, გია მეფარიშვილი, იაკობ ფუტკარაძე, რომან შენგელია.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დაკაბადონება ნატო არაბიძე

© თეუსუ, 2010

დაბეჭდილია თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში
ქეთევან წამებულის ქ. №55, ტ. 45-48-51
www.teusu.edu.ge

ISBN 978-9941-0-2887-8

თამთა ვარშანიძე

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მანანა ჭიპაშვილი

მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომლისკენაც ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის, განვითარებისა და მდიდარი საზოგადოების შესაქმნელად ერთ-ერთ და ძირითად გზას თავისუფალი მეწარმეობა და ბიზნესი წარმოადგენს. ამიტომაც ქვეყნაში ყველა პირობა უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, ვინაიდან, მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ეკონომიკის ის სექტორია, რომელიც კარგ გარემოში რეალურ შედეგს მოუტანს როგორც მის რეგიონებს, ისე მთლიანად ქვეყანას. ასეთ პირობებში აუცილებელია სწორი დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რას ველით მცირე და საშუალო ბიზნესიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, სოციალურ პრობლემათა მოგვარებას, რეგიონალური და მაღალმთიანი რაიონების პოლიტიკის განხორციელებას და მრავალ სხვა ამოცანათა განხორციელებას. მთლიანობაში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებიდან ჩვენ ველით ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

დღეს საქართველოში ბიზნესის თითქმის ყველა სახე არის განვითარებული, რაც ახასიათებს განვითარებულ ქვეყნებს. ამიტომ შესაძლებელია ყველა იმ ბიზნესის წამოწყება, რომლებიც არსებობს დასავლეთის ან აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ყველაზე მყარ, ნაკლებად საფრთხიან და ურისკო ბიზნესად შეიძლება მაინც ჩაითვალოს ბიზნესი უძრავ ქონებაში, საბანკო ბიზნესი, ფასიანი ქაღალდების ბიზნესი. მერე მოდის ვაჭრობა, ტურიზმი, წარმოება, მომსახურება და ასე შემდეგ. სახელმწიფოს როლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური როლის გამო, მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში მათ ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც სპეციალურად მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არიან დაფუძნებულნი. მცირე ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობა არ ნიშნავს ცუდად მომუშავე საწარმოს დახმარებას. სახელმწიფო მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისკენ, რომლებიც საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოიშვება და, შეიძლება ითქვას, არათანაბარკონკურენტულ პირობებში აყენებს მსხვილ საწარმოსთან მიმართებაში.

ჩვენ გამოვიკვლიეთ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ მცირე ბიზნესს, რა როლს თამაშობს სახელმწიფო მის განვითარებაში და შევეცადეთ პარალელი გაგვევლო ქართულ რეალობასთან. მსოფლიო პრაქტიკაში მცირე ბიზნესის ერთ ერთ მთავარ პრობლემას მწირი ფინანსები და მათი მოპოვების სირთულე წარმოადგენს. საწარმოს ზომისა და მეწარმის გამოუცდელობს გამო არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ მეწარმე შეძლებს კრედიტის დროულ დაფარვას. ამგვარი პრობლემები დიდ ზიანს აყენებენ მცირე ბიზნესის განვითარებას და ქვეყნის

ეკონომიკურ მდგომარეობას. ამ და სხვა პრობლემების აღმოსაფხვრელად მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მცირე ბიზნესი იდეალურად ლიბერალურ პირობებში ვერ განვითარდებოდა.

პირველად მსოფლიოში მცირე ბიზნესის დახმარების გადაწყვეტილება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო. სახელმწიფო კერძო საფინანსო სამსახურს აძლევს სესხის ნაწილის დაფარვის გარანტიას. კერძოდ, თუ მცირე მეწარმის აღებული სესხი არ აღემატება 750 ათას ამერიკულ დოლარს, მეწარმის გადახდისუუნაროდ შექმნის შემთხვევაში სახელმწიფო ფარავს კრედიტის 75%-ს. ხოლო თუ კრედიტი 100 ათას დოლარს არ აღემატება, გარანტია 80 %-ზე გაიცემა. ანალოგიური პროგრამა მოქმედებს დიდ ბრიტანეთშიც. გერმანიაში მცირე საწარმოების ინვესტირებისთვის სახელმწიფო გასცემს უსასყიდლო სუბსიდიებს, რომელიც მთლიანი კაპიტალის ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენს. საფრანგეთში მცირე ბიზნესის დაკრედიტებაზე მოქმედებს 50-მდე ორგანიზაცია, მათ შორისაა „მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ბანკი».

მაშინ, როდესაც მცირე ბიზნესის დასაცავად ამერიკის შეერთებული შტატები ჯამში დაახლოებით 12 მილიარდ დოლარს ხარჯავს ყოველწლიურად, დიდი ბრიტანეთი კი მხოლოდ იაფი კრედიტებისთვის 50 000 ფუნტ სტერლინგს გამოყოფს, ჩვენი აზრით კარგი იქნებოდა საქართველოშიც დათმობოდა შეძლებისდაგვარად ცოტა მეტი ყურადღება მცირე ბიზნესს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მთლიან დასაქმებულთა 25%, მაშინ როდესაც ინგლისში ეს მაჩვენებელი 49%-ს შეადგენს, ხოლო გერმანიაში 80%-ს. მცირე მეწარმე, რომელიც საქმეს სრულიად მარტო უძღვება, გათავისუფლებულია სალარო აპარატისგან, მაგრამ ასეთი მეწარმეების წილი ძალიან მცირეა. ასევე ფირმები, რომელთა ბრუნვაც 100 000 ლარზე ნაკლებია, გათავისუფლებულნი არიან დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. უახლოეს მომავალში დაგეგმილია იაფი კრედიტების გაცემა 3 000 000 ლარის ოდენობით, რაც, ჩვენი აზრით, დიდ დახმარებას გაუწევს მცირე ბიზნესს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერის ძირითად მიმართულებას ხელსაყრელი სამართლებრივი და ეკონომიკური პირობების შექმნა უნდა წარმოადგენდეს. ვინაიდან მცირე ბიზნესის განვითარება საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას მოახდენს.

მცირე ბიზნესის განვითარებაზე ზრუნავენ ზესახელმწიფოებიც. ბარაკ ობამას თქმით, 2010 წელს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის გამოყოფილი იქნება 30 მილიარდი დოლარი. რაც შეეხება მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში, შეიძლება დარწმუნებით ითქვას რომ ის ქართული ეკონომიკის ხერხემალია. მცირე ბიზნესს სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. ასე ხდება ყველა წარმატებულ და განვითარებულ ქვეყანაში. არსებობს სპეციალური გაიდლაინები, რომელიც დამწყებ ბიზნესმენებს ბიზნესის წარმართვას გაუადვილებს. საჭიროა შემუშავდეს სპეციალური რეჟიმი, რომელიც საშუალებას მისცემს მცირე ბიზნესს განვითარების ახალი ნიშები იპოვოსდა კონკურენტულ ბრძოლაში ახალ ტექნოლოგიების დანერგვაზე გაამახვილოს ყურადღება.

მცირე ბიზნესის განვითარება სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განხორციელების ოპტიმალური და უმოკლესი გზაა. ამდენად, მისი არსებობა-

არარსებობის საჭიროებაზე საუბარი ზედმეტია. საუბარი მხოლოდ იმაზე შეიძლება იყოს, როგორ უნდა მოხდეს ბაზარზე კანონების შესრულება და როგორ უნდა მოხდეს, რომ ბიზნესი (მათ შორის, მცირე ბიზნესი) ღირსეულად არსებობდეს. ამისთვის კი მისი თავისებურებებისა და პრობლემების უფრო ღრმად დანახვა არის საჭირო.

მცირე საწარმოს განმასხვავებელი თავისებურება არის ის, რომ მისი ქონება და ბრუნვა შედარებით მცირე მოცულობისაა, საინვესტიციო რესურსები კი საკმაოდ შეზღუდული. პროდუქტის ერთეულზე მისი გაწეული ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე ამავე პროდუქტის მწარმოებელი მსხვილი საწარმოსი, რადგან ტექნიკურ-ტექნოლოგიური აღჭურვა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ნედლეულის მცირე პარტიებით შესყიდვით, უფრო ძვირი ჯდება მარაგის შექმნა. ამას ემატება ტრანსპორტირებისა და სხვა ზედნადები ხარჯები და საბოლოო ჯამში, მცირე საწარმოს რენტაბელურობა მკვეთრად მცირდება. თუმცა, მომგებიანობის დაბალი დონე მცირე ბიზნესის მაღალი მოქნილობით და ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფი რეაგირების მეტი უნარით კომპენსირდება. ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით გადაიარაღება და სხვა სახის პროდუქციის გამოშვება პატარა საამქროსთვის ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მსხვილი საწარმოსთვის. აქედან გამომდინარე, მცირე საწარმოს ნაკლებად მოეთხოვება ბიზნესის ხანგრძლივი პერიოდისთვის დაგეგმვა, სერიოზული მარკეტინგული გამოკვლევები, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია მსხვილი ბიზნესისითვის.

მსოფლიო პრაქტიკაში მცირე ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას მწირი ფინანსები და მათი მოპოვების სირთულე წარმოადგენს. სახელმწიფოს ხელში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბერკეტს გადასახადები წარმოადგენს. საქართველოში დღეს მოქმედი საგადასახადო სისტემა მცირე მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია.

არავინ აპროტესტებს გადასახადების აუცილებლობას, პროტესტს მხოლოდ ამ გადასახადების ზომა იწვევს. ვერცერთი მეწარმე ვერ გადაიხდის იმდენ გადასახადს, რამდენიც ხელისუფლებას სურს. მას მხოლოდ იმდენის გადახდა შეუძლია, რამდენის საშუალებაც აქვს, ეს საშუალება კი მით უფრო მცირეა, რაც უფრო სუსტია ქვეყნის ეკონომიკა. დღესდღეობით ქვეყანაში არ არის არც ერთი ნორმატიული აქტი მცირე მეწარმეობის შესახებ. ამჟამად საქართველოში მცირე მეწარმეთა რიცხვი დაახლოებით 85 000-ია. თბილისში თითოეული ასეთი ბიზნესმენის დაქვემდებარებაში საშუალოდ 7-მდე, ხოლო რაიონებში 4-მდე თანამშრომელი საქმიანობს. ყურადსაღებია, რომ ზემოთ ნახსენები 85 000 მეწარმიდან 35 000 იხდის გადასახადებს. რიცხვებს შორის ასეთი განსხვავების ერთ-ერთი მიზეზი ე.წ. «ჩრდილოვანი» და «რუხი» ეკონომიკის არსებობაა. ექსპერტთა აზრით, ამ პრობლემის მოგვარება გონივრული საგადასახადო პოლიტიკის წარმოებით შეიძლება. სხვადასხვა მონაცემებით ლეგალური მცირე ბიზნესის წილი საქართველოს მშპ-ში 8-14 პროცენტია.

ქართულ მეწარმეობას სჭირდება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მცირე მეწარმეს სახელმწიფომ მხოლოდ ფიქსირებული გადასახადი გადაახდევინოს, რომლის შემთხვევაში მთავრობა ვერ ჩაერევა და ვერც აკონტროლებს საწარმოს საბუღალტრო საქმიანობას. ეს განაპირობებს მის სტაბილურ განვითარებას და ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველოში არ არსებობს მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო ორგანო. თუმცა, ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ მცირე მეწარმეობის ხელშეწყობით არიან დაკავებულები. მაგალითად, მცირე საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი, საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საქართველოს საწარმოთა ხელშეწყობის პროექტი, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების ფონდი, «ღია საზოგადოება-საქართველო»-ს ფონდი და სხვ. მაგრამ მცირე საწარმოები ნაკლებად არიან ამის შესახებ ინფორმირებულნი.

საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მეწარმეობაში კვალიფიკაციისნაკლებობა. ამ ყველაფერს კი დღითი-დღე მზარდი ინფლაცია და არაპროგნოზირებადი ლარის კურსი ემატება. უსაფუძვლოდ გამყარებული ეროვნული ვალუტა, ზოგადად, ადგილობრივ წარმოებასა და ექსპორტს მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის. ძვირი ეროვნული ვალუტა ნორმალურ პირობებში აუცილებლად აძვირებს ეროვნულ პროდუქციას. გამყარებული ლარის პირობებში ქართველ მეწარმეს ინფლაციის გარეშეც უძვირდება პროდუქცია, ეს ქართულ ნაწარმს არაკონკურენტუნარიანს ხდის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ბაზარზე.

ჩვენი აზრით, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს და გაიაზროს მცირე და საშუალო მეწარმეების პრობლემები. მის აღორძინება-განვითარებას სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსური და კარგად გააზრებული ღონისძიებების გატარება სჭირდება, ეკონომიკის ეს ძალიან მნიშვნელოვანი სფერო ერთჯერადი ღონისძიებებით ვერ განვითარდება. მართალია, ამ ყველაფრისთვის დროა საჭირო, მაგრამ დაწყება ახლავეა აუცილებელი, რადგან მოგვიანებით ვარდნის პროცესი შეიძლება შეუქცევადი გახდეს.

ევროკავშირი ყოველმხრივ ცდილობს ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას. მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის გაფართოვების მიზნით ევროკავშირი 100 მლნ ევროს გამოყოფს. საქართველოც ცდილობს ჩაერთოს ამ პროგრამებში. არსებობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უამრავი პროექტი. ამ პროექტებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- განხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის ამჟამინდელი მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი. ანალიზის დროს გამოკვეთილი პრობლემატური საკითხები შევა ჩატარებულ კვლევაში.

- საქართველოში ჩატარდება თავისი მასშტაბით უპრეცედენტო საბაზისო კვლევა 910 მცირე და საშუალო საწარმოში იმისთვის, რომ განისაზღვროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობა და გამოიკვეთოს ის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, მარეგულირებელი, ბიზნეს და ფინანსური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობას.

- კვლევის საბოლოო ანგარიში, თავისი წინადადებებითა და რეკომენდაციებით, წარედგინება საქართველოს მთავრობას. კვლევის შედეგად განისაზღვრება ის მარეგულირებელი, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა განხორციელება აუცილებელი იქნება მცირე და საშუალო ბიზნესის საოპერაციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

ამ პროექტის შედეგი იქნება ის რომ:

- საქართველოს მთავრობა მიიღებს რჩევებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, რომელიც დაეფუძნება დამოუკიდებელ ექსპერტულ შეფასებებსა და საკანონმდებლო წინადადებებს.

- მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ მოპოვებული ფაქტიური ციფრობრივი მაჩვენებლები ხელს შეუწყობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს გამოიყენონ კვლევის რეკომენდაციები საკუთარი სამომავლო საქმიანობისა და ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას (მაგალითად, ახალი სესხების გაცემის დაკავშირება წინასწარი პირობების დაკმაყოფილებასთან).

- მასმედია მიიღებს კვლევის შედეგებს, რომელიც წარედგინება საზოგადოებას და ხელს შეუწყობს ქვეყანაში დიალოგის გაღრმავებას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარშემო.

ამ პრინციპების გათვალისწინებით საქართველოში უამრავი კომპანია მოღვაწეობს და საკმაოდ წარმატებულადაც. 2010 წლის აპრილში საქართველოში ჩატარდა დაჯილდოება, რომელმაც გამოავლინა საქართველოში მოღვაწე საუკეთესო ბრენდები.

1. ხორცის პროდუქტებში საუკეთესო ბრენდია **ნიკორა;**
2. პარფიუმერიულ კომპანიებს შორის - **ისი პარი;**
3. ღვინის პროდუქტებში - **თბილღვინო;**
4. ფარმაცევტიულ კომპანიებში - **პე ეს პე;**
5. სუპერმარკეტებს შორის - **გუდვილი;**
6. რძის პროდუქტებში - **ეკო-ფუდი;**
7. საწვავის კომპანიებში - **რომპეტროლი;**
8. რესტორნებს შორის - **წისქვილი;**
9. კლინიკებს შორის - **კუზანოვის კლინიკა;**
10. მარკეტინგის რეკლამირების კონსულტაციისა და კვლევების საკითხში - ACT კვლევითი ორგანიზაცია;
11. ტურისტულ კომპანიებს შორის - **ინტერკონტინენ ტალი;**
12. სამართლებრივ კომპანიებს შორის **კორძაძის სამარ თლის ოფისი;**
13. სანაოსნო და გადაზიდვის საკითხებში - **DHL;**
14. მინერალურ წყლებს შორის - **ნაბეღლავი;**
15. საკონდიტრო პროდუქტებს შორის გამარჯვებულია - **ტკბილი ქვეყანა;**
16. მაიონეზებს შორის - **ეკო-ფუდი;**
17. საავიაციო კომპანიებს შორის - **აირზენა;**
18. ქალთა და მამაკაცთა აქსესუარებს შორის **Bბრუნო ბანანა;**
19. სასტუმროებს შორის - **GEORGIA PALAS HOTEL;**
20. ბანკებს შორის - **ბანკი რესპუბლიკა;**
21. საკვებ ზეთებს შორის **მზიური;**
22. წარმატებულ დებიუტანტად **ქობულეთური პროდუქცია**

დასახელდა;

23. სარდაზღვევო კომპანიებს შორის - **ირაო;**
24. გამაგრილებელ სასმელებს შორის - **ნატახტარი;**
25. საუკეთესო ლუდად დასახელებულ იქნა - **ნატახტარი;**
26. საუკეთესო ინტერნეტ მომმარაგებლად - **კავკაზუს ონლაინი;**
27. ენერგეტიკულ დასალევებს შორის - **რედ ბული;**
28. მობილურ კომუნიკაციებს შორის **877 ჯეოსელისგან;**
29. კონსერვირებულ პროდუქციაში დასახელდა **მარნეული;**
30. წლის ინოვატორად დასახელდა **თბილისი სითი ჰოლი.**

ასეთი სახის დაჯილდოვებები სტიმულს აძლევს მცირე და საშუალო ბიზნესს და ზოგადად ბიზნესს. ასევე ხაზი უნდა გაესვას ბიზნესს სოფლის მეურნეობაში, რომელიც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საყრდენია.

რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ყოველთვის პრიორიტეტული იქნება აგრალურ სექტორში, რადგანაც სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა და მომავალშიც შეასრულებს. დღესდღეობით სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია. მიღებული პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი ფუჭდება და ადგილზე იკარგება. ამის მიზეზი შეიძლება ითქვას მრავალია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალბათ ის არის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია დაბალკონკურენტულია ადგილობრივ ბაზარზე შემოსულ იმპორტულ პროდუქციასთან მიმართებაში. სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს თუ შევუქმნით ისეთ პირობებს, რომ წარმოება მინიმალურად მაინც იყოს რენტაბელური, იგი გამოვა კრიზისიდან და თანდათანობით გახდება კონკურენტუნარიანიც და მაღალეფექტურიც. ასეთი მდგომარეობის მისაღწევად საჭიროა გატარდეს აგრობიზნესის მხარდაჭერის სხვადასხვა ღონისძიებები. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ფასების შემცირებას ენერგორესურსებზე, მინერალურ სასუქებზე, მცენარეთა დაცვის საშუალებებზე და ა.შ. აგრალურ სექტორში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის ისიც უნდა აღინიშნოს რომ ბოლო წლებში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაზეც მოწმობს შემდეგი მონაცემები:

საქართველოში ციტრუსისა და ვაშლის საკმაოდ დიდი რაოდენობა მოდის და მათი ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვანია. გასულ წელს ვაშლი, ციტრუსი და ხურმა საკმარისზე მეტი მოვიდა. ვაშლის რეალიზებასთან დაკავშირებით პრობლემა არ ყოფილა. ის რაც ექსპორტზე ვერ გავიდა, «ჰიპის» ქარხანამ შეიძინა. არც ხურმის გაყიდვასთან დაკავშირებით შექმნილა პრობლემები, რამდენადაც ხილის ეს სახეობა ქვეყანაში ცოტა მოდის და გასაღებაც, ფაქტია რომ არ გაჭირდა. რაც შეეხება ციტრუსს, სარეალიზაციო ბაზრები ამ შემთხვევაშიც უკვე მოძიებულია. 2009 წელს, დაახლოებით, 120 ათას ტონამდე ციტრუსის მოსავალი მოვიდა. მარტო აჭარაში 80.5 ათასი ტონა მოიწიეს, სამეგრელოში ციტრუსის მოსავალმა - 5.3 ათასი ტონა, ხოლო გურიაში - 13.1 ათასი ტონა შეადგინა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 2009 წლის მარტის მდგომარეობით, ქართული ციტრუსის ექსპორტმა უკრაინაში 42 910 ტონას მიაღწია, აზერბაიჯანში - 19 019 ტონას, სომხეთში - 8 256 ტონას, უზბეკეთში - 175 ტონას,

მოლდოვაში - 74 ტონას, ბელორუსში - 120 ტონას. საკონსერვო მრეწველობამ 11 130 ტონა მანდარინის არასტანდარტული ნაყოფი გადაამუშავა, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე 10 820 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაცია მოხდა.

ციტრუსამდე იყო ვაშლი, რომელიც გასულ წელს საკმაოდ ბევრი მოვიდა, მაგრამ უხარისხო. გლეხმა, რომელსაც საშუალება არ ჰქონდა, რომ ვაშლი თბილისში ჩამოეტანა და გაეყიდა, თანაც მისი მოსავალი უხარისხო იყო, ხილის გადამამუშავებელ საწარმოს 1 კგ სულ რაღაც 3-5 თეთრად მიჰყიდა. მეტ ფულს საწარმო არ იხდიდა და ამაში ვერც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერეოდა.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა აუცილებელია, რადგან ამ სახის პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფოს როლი უალტერნატივოა. მომავალში მცირე და საშუალო ბიზნესი (განსაკუთრებით აგრარულ სფეროში) ქვეყანაში მთავარ პრიორიტეტად იქცევა და თავის სიტყვას იტყვის ქვეყნისა და მისი რეგიონების განვითარებაში.

ამრიგად, ბიზნესის განვითარება საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ფინანსურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის ფაქტორებს. მათ არსში გარკვევა და პრაქტიკაში გამოყენება ბიზნესმენთა მიერ საქმიანობის ეფექ-ტიანად წარმართვის აუცილებელი პირობაა. დღესდღეობით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, თუმცა, ჯერ კიდევ საჭიროა სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, რათა რეალურად მივიღოთ ის შედეგები, რასაც ითვალისწინებს თეორიული გადაწყვეტილება. იმედია, ახლო მომავალში სახელმწიფო შესძლებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების უზრუნველყოფას, მცირე და საშუალო ბიზნესი კი თავისთავად ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Камаева В. Д. Экономика й бизнес. М., 1993;
2. ჟურნალი «მაკრო-მიკროეკონომიკა», 2008, 2009, 2010;
3. ჟურნალი «ეკონომიკა», 2007, 2008, 2009;
4. ინტერნეტის მასალები.

დალი ცინცქილაძე

ხელმძღვანელი: პროფ. ნელი სესაძე

სამშენებლო კრიზისი საქართველოში

მშენებლობის განვითარების როლი ნებისმიერი ქვეყნისთვის ძალიან დიდია და იგი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან ინდიკატორს. საქართველოს სამშენებლო ბიზნესი ამჟამად კრიზისში იმყოფება, თუმცა ნიშანდობ-ლივია, რომ ამ კრიზისის პირობებშიც კი მთლიან შიდა პროდუქტში მშენებლობის წილი საკმაოდ დიდია (დიაგრამა 1)

დიაგრამა 1
მშენებლობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში



(წყარო: www.geostat.ge)

2005 წლიდან სამშენებლო ბიზნესში დაიწყო ერთგვარი ბუმი, 2007 წლისათვის მშენებლობის ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 1604,6 მლნ ლარი (დიაგრამა2), ხოლო მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობამ 52572 ათას კაცს მიაღწია (დიაგრამა3).

დიაგრამა 2
მშენებლობის ბრუნვის მოცულობა



დიაგრამა 3
მშენებლობაში დასაქმებულთა რაოდენობა



(წყარო: www.geostat.ge)

როგორც დიაგრამებიდან ჩანს, 2008 წლიდან იწყება კრიზისი. ამ კრიზისის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს:

- მსოფლიო ფინანსური კრიზისი;
- ფინანსური პირამიდების მშენებლობა;
- რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი;
- სამშენებლო მასალების გაძვირება;
- ვადაგადაცილებული პროექტების დიდი რაოდენობა;
- საზედამხედველო და მარეგულირებელი ორგანოებისა და სტანდარტების არარსებობა ან მათი უმოქმედობა.

კრიზისის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის ხარჯების 70% მოდიოდა წინასწარ გაყიდვებზე.

ბაზარზე გაძლიერებულმა კონკურენციამ და ფიუჩერსულმა კონტრაქტებმა მენაშენეები აიძულა წინასწარი გაყიდვები განვადებებით მოეხდინათ. თავიდან განვადებები შემოიფარგლებოდა პროექტის ხანგრძლივობით (2-3 წელი), შემდეგში კი მათი ხანგრძლივობა 10-15 წელზე ავიდა. კონკურენტული თვალსაზრისით, ეს გამართლებული იყო, თუმცა მშენებლობის ტემპებს ასე შემოსული თანხები ვერ უზრუნველყოფდნენ. ამის გამო კომპანიებმა დაიწყეს ფინანსური პირამიდების მშენებლობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დეველოპერები ახალ მშენებლობებს იწყებდნენ და წინასწარი შენატანი თანხებით ძველ პროექტებს ასრულებდნენ. ფინანსური პირამიდების მშენებლობის მიზეზი ხარჯების ზრდაც იყო, რაც ძირითადად სამშენებლო მასალებზე ფასების ზრდით იყო განპირობებული. თუ პროექტის მსვლელობისას აღმოჩნდება, რომ ბიუჯეტის პროგნოზირებული ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება 10%-ით, დარჩენილ გასაყიდ ფართებზე ფასები 50%-ით მაინც უნდა გაიზარდოს, რომ პროექტი დაგეგმილ მოგებაზე გავიდეს. ხარჯვით ნაწილში 1%-იანი ინფლაცია ავტომატურად იწვევდა ფასების 2-5-ჯერ ზრდას. თუმცა, ფასების ზრდა შეუძლებელი იყო მუდმივად და იმ ტემპებით, რაც მოგების შენარჩუნებისთვის იყო აუცილებელი. ასე გავიდა ბევრი სამშენებლ;ო პროექტი წაგებაზე. ამ ყველაფერს დაემატა 2008 წლის აგვისტოს ომიც. საერთოდ, ნებისმიერი ფინანსური პირამიდა ადრე თუ გვიან იშლება, მაგრამ ომმა ეს პროცესი დააჩქარა, რადგან მან გამოიწვია ფინანსური კრიზისი. კრიზისი, თავის მხრივ, ბანკების საქმიანობას შეეხო და ბანკებმა უარი თქვეს იპოთეკური კრედიტების გაცემაზე. გარდა ამისა უნდა ითქვას, რომ იპოთეკური სესხების გამოტანა ძირითადად ხდებოდა მშენებარე ობიექტის დაგირავებით, ბანკისადმი ვალდებულების შეუსრულებლობამ კი ის გამოიწვია, რომ ბევრი შენობა აღმოჩნდა ყადაღის ქვეშ, რაც უფლებას არ აძლევდათ მშენებლებს დაესრულებინათ მშენებლობა, ხოლო მომხმარებლებს _ შესულიყვნენ უკვე დასრულებულ ბინებში. ხოლო იმ შენობების დასასრულებლად, რომლებიც არ იყო გირაოში ჩადებული, მშენებლები ვეღარ იზიდავდნენ საჭირო სახსრებს, რადგან არც ბანკები აძლევდნენ სესხებს და აღარც მოსახლეობა ენდობოდა მათ.

რა არის სამომავლო ტენდენციები და რა პერსპექტივები არსებობს?

მერიის მიერ შემოთავაზებული პროექტის თანახმად, მერიის თავდებობით მშენებლები მიიღებდნენ 52 მილიონი ლარის სესხს ბანკებისგან გაჩერებული მშენებლობების დასასრულებლად, 20-25 ათასი კაცი სამუშაოს დაუბრუნდებოდა და

დაახლოებით 9 ათასი კვადრატული მეტრი ახალი ფართი აშენდებოდა, რის შემდეგაც დასრულებულ ბინებში ძველი თბილისის ავარიაული სახლების მცხოვრებლები გადავიდოდნენ, ხოლო გამოთავისუფლებული ტერიტორიები მერიის საკუთრებაში გადავიდოდა. პროექტით მოგებული რჩებოდა მშენებელიც, ბანკიც და ავარიული სახლის მცხოვრებლებიც. ამ პროექტის განსახორციელებლად გამოცხადდა მშენებლებისთვის ტენდერი. მერიამ კვადრატულ მეტრში 1100 დოლარზე მაღალი ფასის გადახდაზე უარი თქვა. პროექტმა გაამართლა, თუმცა მან გამოკვეთა ტენდენცია, რომ მოთხოვნა იზრდება უკვე დასრულებულ ბინებზე. დეველოპერები პრობლემას ხედავენ იმაში, რომ სულ უფრო მცირდება მშენებარე პროდუქტში ინვესტიციების განხორციელება, რადგან ეს ფაქტიურად ახალი მშენებლობების გაჩერებას გამოიწვევს, ბევრი მცირე და საშუალო ბიზნესი შეწყვეტს არსებობას. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემებით ბაზრის 70% აკონტროლებს შემდეგი 20 ფირმა: «ცენტრ-პოინტი», «არსი», «აქსისი», «ვალენსია», «თბილისი», «ოლიმპი», «მაგისტრალი», «კიდ-არქიტექტურა», «მოდული», «იბერია», «თიბისტარსი», «მერანი», «ორიონი», «ბესკო», «მერიდიანი», “7-sky”, «ევორდი», «ტექსი», «კალასი», რომლებიც განსაზღვრავენ ბაზრის ტენდენციებს და საფასო პოლიტიკას, რაც კონკურენციის თვალსაზრისით უარყოფითი ფაქტორია, მით უმეტეს როცა დანარჩენი 30% წილის მფლობელი კომპანიების არსებობაც სათუოა.

მშენებარე პროდუქტზე ნდობის ხარისხი დაბალია, ამას გამოკითხვაც ადასტურებს, სადაც კითხვაზე «ფული რომ გქონდეთ სად შეიძენდით ბინას?», 53%-მა უპასუხა – მეორადში, 34%-მა – ახლად აშენებულში, ხოლო 13%-მა – მშენებარეში.

მომხმარებლების უნდობლობის ძირითად მიზეზებად დადგინდა შემდეგი ფაქტორები: მომხმარებელთა 60% იმიტომ არ ენდობა კომპანიებს, რადგან მშენებლობები არ სრულდება ვადებში, ან საერთოდ შეჩერებულია, 25% არ ენდობა იმიტომ, რომ ეშინია თანხების დაკარგვის, რადგან ფინანსური პირამიდების მშენებ-ლობის გამო ბევრმა მომხმარებელმა დაკარგა ფული, და ნაკლებად სავარაუდოა რომ ვინმე მათ ფულს უკან დაუბრუნებს. 11% არ ენდობა ხარისხს, და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან საქართველოში არ არსებობს საჭირო ბაზა. აუცილებელია როგორც მშენებლობის ხარისხზე ზედამხედველობა, ასევე ცალკეული კომპანიების ფინანსური ოპერაციების კონტროლი. განვითარებულ ქვეყნებში მშენებლობის ხარისხის კონტროლის პროცესი მოიცავს სამსაფეხურიან სისტემას: სახელმწიფო ზედამხედველობა, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ზედამხედველობა და კონტროლი სადაზღვევო კომპანიების მხრიდან. სასურველია ეს სისტემა საქართველოშიც დაინერგოს. გარდა ამისა სასურველია:

უზრუნველყოფილი იქნეს სამოქალაქო სასამართლოს ეფექტიანი ფუნქციონირება;

მოხდეს სამშენებლო მასალების ადგილობრივი წარმოება და მისი კონტროლი;

გამოქვეყნებულ იქნეს ფირმების მიერ სამუშაოს მსვლელობის შესახებ ინფორმაცია; იწარმოოს კალენდარული და ქსელური გრაფიკები, რომლის შესრულების ხარისხის მონიტორინგიც განხორციელდება ყოველთვიურად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ღანიაშვილი – უძრავი ქონება ისევ ძვირდება - ჟურნალი «საქართველოს ეკონომიკა» 2009,№10;
2. მ. მანია – არასტანდარტული სტანდარები ქართულ მშენებლობაში - ჟურნალი «საქართველოს ეკონომიკა» 2009,№11;
3. ხ. ჩიგოგიძე – «პირამიდების პრინციპით» მომუშავე სამშენებლო კომპანიები შეიძლება აფეთქდნენ – გაზ. «ყველა სიახლე» 2008, №3;

www.geostat.ge;
www.urbany.ge;
www.forum.ge;
www.conference.ge.

თათია კალატოზიშვილი
თათია ჯინჭარაძე

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. დავით კბილაძე

საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პორტრეტი მიმდინარე საუკუნის დასაწყისისთვის

მოსახლეობის შესახებ სრულ ინფორმაციას გვაწვდის მოსახლეობის აღწერა. რას წარმოადგენს აღწერა? ეს არის პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობაზე მონაცემთა შეგროვებას, განზოგადებასა და ანალიზს. საქართველოში მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა 2002 წლის 17-24 იანვარს ჩატარდა. აღწერის დროს ქვეყნის თითოეულ მოსახლეზე ხდება სააღწერო დოკუმენტაციის შედგენა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. აღწერა უნდა ჩატარდეს ცენტრალიზებულად, ერთიანი პროგრამით. არ შეიძლება, რომ ქვეყნის რომელიმე რეგიონში აღწერის პროგრამას სხვა საკითხები დაემატოს.

მოსახლეობის აღწერა სხვადასხვა სახის ინფორმაციას გვაწვდის. მათ შორისაა მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი დემოგრაფიული მახასიათებლები. კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე დემოგრაფიული საკითხები ყველა ქვეყნის ყურადღების ცენტრში იდგა. ისევე, როგორც ყველა მოვლენას, დემოგრაფიულ მოვლენასაც განვითარების თავისი კანონზომიერებები აქვს. მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოს იურისდიქციაში მყოფი ტერიტორიების მიხედვით.

მოსახლეობის რიცხოვნობა 2000-2009 წლებში

წელი	მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)
2000	4 435.2
2001	4 401.4
2002	4 371.5
2003	4 342.6
2004	4 315.2
2005	4 321.5
2006	4 401.3
2007	4 394.7
2008	4 382.1
2009	4 385.4

წყარო: http://geostat.ge/

გასული საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოში ორი «დემოგრაფიული პოლუსი» წარმოიქმნა: ერთი - განვითარებადი ქვეყნები - მოსახლეობის ახალგაზრდული სტრუქტურითა და მაღალი ბუნებრივი მატებით და, მეორე, - განვითარებული - მოსახლეობის დაბერებული სტრუქტურის პირობებში (როდესაც მოსახლეობის საერთო რაოდენობაში იზრდება წილი 65 წლისა და მეტი ხნის ადამიანებისა) დაბალი ბუნებრივი მატებითა და დეპოპულაციით. ამ ფონზე საქართველოში უნიკალური ვითარება შეიქმნა. საქმე ისაა, რომ საქართველო სპეციფიკურობით ხასიათდება. იგი ეკონომიკურად განვითარებადია, დემოგრაფიული თვალსაზრისით კი განვითარებული ქვეყანაა.

საქართველოს მოსახლეობა კლებულობს და ბერდება. ერის ერთ-ერთი დემოგრაფიული პრობლემაა დემოგრაფიული დაბერება, რამაც ძალიან მაღალ დონეს მიაღწია. საქართველოში ეს პროცესი 1990 წლიდან დაიწყო. ერი დაბერებულად ითვლება, თუკი მოსახლეობის 7% არის 65 წელზე უფროსი. საქართველოში ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ 20 წლის წინ იყო. დღეს 65 წელს გადაცილებულები საქართველოს მოსახლეობის 15%-ს შეადგენენ.

ჩვენს მდგომარეობაშია ბევრი ევროპული სახელმწიფო. ერის დაბერებას ბევრი მიზეზი და ასპექტი გააჩნია, თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია:

შობადობის დაბალი დონე. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი (ერთი ქალის მიერ სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა) 1,4-1,7-ის ფარგლებშია, ანუ საქართველოში შვილების თაობა მათი მშობლების თაობის დაახლოებით მხოლოდ 70-80%-ს განაახლებს. ამჟამად მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შვილის გაჩენის პრობლემაც.

მოსახლეობის რიცხოვნობა და შობადობის მაჩვენებელი
2000-2008 წლებში

წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	48 800	47 589	46 605	46 194	49 572	46 512	47 795	49 287	56 565
შობადობის კოეფიციენტი (1000 კაცზე)	11.0	10.9	10.7	10.7	11.5	10.7	10.9	11.2	12.9

წყარო: http://geostat.ge/

სიკვდილიანობის ზრდა. გაიზარდა სიკვდილიანობის დონე. გარდაცვლილთა რაოდენობა 10-12 პრომილეს ფარგლებშია. გაიზარდა ჩვილთა მოკვდაობაც. შეფასებითი მონაცემებით, 2006 წლისათვის ის 1000 ცოცხლად დაბადებულზე 25-ის ფარგლებში იმყოფებოდა. ეს მაჩვენებელი განვითარებულ ქვეყნებში 3-4 პრომილეს არ აღემატება.

მოსახლეობის სიკვდილიანობის მაჩვენებელი
2000-2008 წლებში

წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	47 410	46 218	46 446	46 055	48 793	40 721	42 255	41 178	43 011
გარდაცვალების კოეფიციენტი (1000 კაცზე)	10.7	10.5	10.7	10.6	11.3	9.3	9.6	9.4	9.8

წყარო: http://geostat.ge/

სიცოცხლის ხანგრძლივობა. დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 2006 წლისათვის ორივე სქესისათვის შეფასებითი მონაცემებით იყო 71,3 წელი (მამაკაცებისათვის – 67,1, ქალებისათვის – 75,5), რაც 1990 წლის დონეს შეესაბამება.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
1990-2008 წლები

წლები	ქალი	კაცი
1990	75.05	67.51
1995	74.23	66.28
2000	74.98	67.51
2001	74.84	68.03
2002	74.81	67.95
2003	74.69	69.08
2004	74.86	67.75
2005	77.57	70.00
2006	78.45	69.83
2007	79.41	70.46
2008	78.99	69.28

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული

მოსახლეობის ბუნებრივი მატება. შობადობის შემცირებასა და მოკვდაობის ზრდას მოჰყვა ბუნებრივი მატების მნიშვნელოვანი კლება. შობადობა და მოკვდაობა თითქმის გაუტოლდა ერთმანეთს. უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია მოკვდაობის მეტობა შობადობაზე, ანუ დეპოპულაცია. ამჟამად საქართველოს ყველა რეგიონი (გარდა აჭარის, ქვემო ქართლისა და სამცხე- ჯავახეთისა) განიცდის დეპოპულაციას. ამ საკითხის

ეროვნულ ჭრილში განხილვა კიდევ უფრო მეტ საფიქრალს აჩენს, რამდენადაც ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ქართულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.

გარე მიგრაცია. შობადობის შემცირებისა და მოკვდაობის მატების პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე მიგრაციის ინტენსივობა. 1990-2006 წლებში განსხვავება ჩამოსულებსა და ქვეყნიდან გასულებს შორის უარყოფითი იყო და დაახლოებით 1 მილიონს შეადგენდა.

მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო
2000-2008 წლებში

წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
მიგრაციული სალდო (1000 კაცი)	-35.2	-32.6	-27.8	-27.5	5.5	76.3	-12.1	-20.7	-10.2

წყარო: http://geostat.ge/

შობადობის შემცირებას, მოკვდაობის მატებასა და უარყოფით გარე მიგრაციას მოჰყვა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება. 1989 წელს საქართველოს მოსახლეობა 5,4 მილიონი კაცი იყო, ხოლო 2007 წლისათვის ოფიციალური მონაცემებით – მხოლოდ 4,4 მილიონი (შეფასებითი მონაცემებით - კიდევ უფრო ნაკლები - 3,8 მილიონის ფარგლებში).

ასევე ამ საკითხში დიდ როლს თამაშობს ქორწინება და განქორწინება. ქორწინების რაოდენობის ზრდა პოტენციურად ზრდის შობადობის კოეფიციენტს.

ქორწინებისა და განქორწინების მაჩვენებლები
2000-2009 წლებში

წელი	განქორწინებათა რიცხვი	განქორწინების კოეფიციენტი	ქორწინების რიცხვი	ქორწინების კოეფიციენტი
2000	1 854	0.4	12 870	2.9
2001	1 987	0.5	13 336	3
2002	1 836	0.4	12 535	2.9
2003	1 825	0.4	12 696	2.9
2004	1 793	0.4	14 866	3.4
2005	1 928	0.4	18 012	4.1
2006	2 060	0.5	21 845	5.0
2007	2 325	0.5	24 891	5.7
2008	3 189	0.7	31 414	7.2
2009	4 030	—	31 752	—

წყარო: http://geostat.ge/

დემოგრაფიული პერსპექტივები. ალბათ, ყველას გვაინტერესებს, თუ როგორია დემოგრაფიული პერსპექტივები. ამის გასარკვევად, ჩვენ დავეყრდენით დემოგრაფიული პრობლემების შემსწავლელი კომისიის პროგნოზს. პროგნოზის ნებისმიერი ვარიანტიდან გამომდინარეობს, რომ 2050 წლამდე საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას კლების ტენდენცია ექნება. არსებული დემოგრაფიული ვითარების შენარჩუნების შემთხვევაშიც კი, პროგნოზული გაანგარიშებებით, საქართველოს მოსახლეობა 2007 წლის 4,4 მლნ-დან 2025 წლისათვის - 3,6 მილიონამდე, ხოლო 2050 წლისათვის 3-3,3 მილიონამდე შემცირდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ მომავალში მოსახლეობის რაოდენობა შემცირდება უკვე ორივე წყაროდან - გარე მიგრაციასთან ერთად ბუნებრივი კლებით, ანუ მოკვდაობა გადააჭარბებს შობადობას და სხვაობა მათ შორის დროთა განმავლობაში გაიზრდება. მთლიანობაში მოცემულ პროცესებს მოჰყვება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, დღევანდელთან შედარებით, დაახლოებით 1 მილიონით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემული გვაქვს პროგნოზული რაოდენობის ყველა ვარიანტი.

საქართველოს მოსახლეობის პროგნოზული რაოდენობის ყველა ვარიანტი 2010-2050 წლებში

წელი	საშუალო ვარიანტი	მაღალი ვარიანტი	დაბალი ვარიანტი	მუდმივ-ნაყოფიერი ვარიანტი
2010	4 301	4 341	4 260	4 313
2015	4 188	4 291	4 085	4 211
2020	4 063	4 236	3 889	4 086
2025	3 945	4 177	3 710	3 959
2030	3 807	4 099	3 516	3 814
2035	3 653	4 018	3 305	3 653
2040	3 487	3 943	3 074	3 476
2045	3 313	3 872	2 828	3 283
2050	3 134	3 797	2 575	3 079

წყარო: დემოგრაფიული პრობლემების შემსწავლელი კომისიის პროგნოზი

მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკასთან. იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში მიმდინარეობს დემოგრაფიული

დაბერება, ეკონომიკიდან საჭიროა გამოიყოს თანახა პენსიების სახით, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას და დამატებით ხარჯებს წარმოადგენს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა მეტია, ეს შესაბამისად იწვევს ეკონომიკის განვითარებას. თუმცა სასურველი მომავლის შექმნა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ამისათვის საჭიროა ერი გაერთიანდეს საფრთხის თავიდან ასაშორებლად. სახელმწიფომ პოლიტიკის რანგში უნდა აიყვანოს ერის ფიზიკური გადარჩენის ამოცანა. სახელმწიფოს ყველა გვერდში უნდა დაუდგეს ამ საქმეში. ეკლესია ადამიანთა სულიერების გაძლიერებით განსაკუთრებულ მისიას შეასრულებს ერის ფიზიკური გადარჩენის მისაღწევად.

როგორ შეიძლება ავიცილოთ თავიდან ეროვნული დემოგრაფიული კატასტროფა? არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ რამენაირად შეიცვალოს მოსალოდნელი ტენდენციები? _ დემოგრაფიული პოლიტიკის ფარგლებში უნდა განხორციელდეს ისეთ ღონისძიებათა კომპლექსი დემოგრაფიული პროცესების რეგულირებისათვის, რომელიც პერსპექტივაში უზრუნველყოფს თაობათა შენაცვლების ოპტიმალური რეჟიმის მიღწევას.

ამდენად, დემოგრაფიული პოლიტიკის ძირითადი არსი ისაა, რომ შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ წინა თაობის მომდევნო თაობის მიერ იმავე ოდენობით შენაცვლებას მაინც.

საქართველომ უნდა შეიმუშაოს საკუთარი რეალობიდან გამომდინარე დემოგრაფიული პოლიტიკა. მისი ძირითადი მიმართულებებია:

1. შობადობის ზრდა.

შობადობის ზრდის მიზანია მოკლევადიან პერსპექტივაში დეპოპულაციის შემცირების შეჩერება. ამ მიზნით უნდა გადაიჭრას რიგი პრობლემები:

მოსახლეობასა და ოჯახში საზოგადოებრივად «საჭირო» ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების განწყობის ჩამოყალიბება. იგი გულისხმობს აღმზრდელობით-ფსიქოლოლგიური მეთოდის გამოყენებას;

შობადობის ზრდის ღონისძიებათა მეორე კომპლექსია ფაქტობრივად არსებული «ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების» რეალიზაციისათვის საჭირო სოციალურ-ეკონომიკური პირობების სრულყოფა. მის მისაღწევად უმთავრესად;

საჭიროა სამედიცინო, მატერიალური, სოციალური, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებების გატარება;

უშვილობის ერთიანი ეროვნული სამსახურის შექმნა, შობადობის რეგულირების აუცილებლობის პროპაგანდა და ა.შ;

2. მოსახლეობის ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის მიმართულების მიზანია:

მოკვდაობის დონის შემცირება, განსაკუთრებით - ჩვილთა და ბავშვთა შორის, აგრეთვე, შრომისუნარიან ასაკში;

მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება თვითმოვლით ქცევაში ცხოვრების ჯანსაღი წესის ფართოდ დანერგვით;

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს დედათა და ბავშვთა, მოზარდების, ორსული ქალების ჯანმრთელობის დაცვა,;

3. მიგრაციის შემცირება, უცხოეთში წასულ საქართველოს მოქალაქეთა იმიგრაციის უზრუნველყოფა და განსახლების ოპტიმიზაცია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მთიანი რეგიონებიდან მიგრაციული პროცესების შეჩერებას და ახალგაზრდობის ადგილზე დასაქმებას.

გარე მიგრაციის შეჩერებისა და საქართველოს მოქალაქეთა იმიგრაციის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ქვეყანაში სამუშაო ადგილების ფართო ქსელის შექმნა. სახელმწიფო მიგრაციის პოლიტიკის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის დემოგრაფიული უსაფრთხოების დაცვით ქვეყნის უშიშროების დაცვას. გასამკაცრებელია სასაზღვრო და სავიზო რეჟიმი. სახელმწიფომ უფრო აქტიურად უნდა იზრუნოს უცხოეთში წასული თავისი მოქალაქეების პოლიტიკური და სოციალური უფლებების დაცვაზე.

თემაზე მუშაობისას ჩვენ ვთანამშრომლობდით სტატისტიკის დეპარტამენტთან. როგორც ვიცით დაკვირვების შედეგად შემუშავებულია დიდ რიცხვთა კანონი, ამ კანონის თანახმად სტატისტიკური კანონზომიერება ვლინდება დაკვირვების დიდი რიცხვის პირობებში. ასეთი კანონზომიერებით საქართველოში მრავალი ათეული წლების მანძილზე დადგინდა კანონზომიერება, რომ ყოველ დაბადებულ 100 გოგონაზე მოდიოდა 106-107 ბიჭი. მოცემული მონაცემები დაირღვა მიმდინარე წლის დასაწყისიდან, კერძოდ, 2010 წლის პირველივე თვეებიდან, 100 დაბადებულ გოგონაზე მოდის საშუალოდ 127 ბიჭი. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, იგივე სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ზრდასრულ ასაკში გოგონათა რაოდენობა აჭარბებს ვაჟებისას. რატომ ხდება ასე? ეს გამოწვეულია დაახლოებით 18-დან 22 წლამდე ვაჟებში სიკვდილიანობის ზრდით, რასაც იწვევს მოჭარბებული ავტოავარიების რაოდენობა და სხვადასხვა არასასიამოვნო ფაქტები... (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, თვითმკვლელობები და სხვ.).

თავისთავადი მომავალი. თუ არ შეიცვლება დღევანდელი ფაქტორები და მიდგომა არსებული დემოგრაფიული ტენდენციებისადმი, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უახლოეს მომავალში კიდევ უფრო შემცირდება, განსაკუთრებით კი - ავტოქტონური (ქართველი და აფხაზი) ეთნოსი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.geostat.ge ;
2. საქართველოს სტატისტიკის წელიწდეული: 2009 /საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სტატისტიკის დეპარტამენტი/ – თბილისი, 2009;
3. დ.კბილაძე, ნ.აბესაძე, შ.მეტრეველი «სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში», გამომცემლობა «უნივერსალი», თბილისი 2008.

ნატო ჩადუნელი
ნინო მჭედლიძე

ხელმძღვანელი: პროფ. დავით იაკობიძე

კაპიტალის საკმარისობის ზეგავლენა სამეურნეო აქტივობაზე ქართულ ბანკებში

საბანკო კაპიტალის ცნება

თავისი საქმიანობისათვის ბანკებს, ისევე როგორც სხვა კომერციულ დაწესებულებებს, თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული რესურსები, რომლებიც შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: საკუთარი კაპიტალი და მოზიდული სახსრები. ბანკის საქმიანობის ღერძს საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს, ვინაიდან საქმიანობის საწყის ეტაპზე ბანკის რესურსები მხოლოდ ამ სახით ყალიბდება, მოზიდული სახსრები კი დროებით ხასიათს ატარებს.

ტერმინი «კაპიტალი» (ლათ. capitalis – მთავარი) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მთავარ ქონებას. ბანკის საკუთარი კაპიტალი, ზოგადი განსაზღვრებით, ეს არის ვალდებულებებისგან თავისუფალი ბანკის ქონება, ბანკის საკუთარი ქონება. ის წარმოადგენს საბანკო რესურსების განსაკუთრებულ ფორმას, სხვა რესურსებისგან განსხვავებით, ატარებს მუდმივ, დაუბრუნებად ხასიათს.

საბანკო კაპიტალი რამდენიმე აუცილებელ ფუნქციას ასრულებს, რაც მის სასიცოცხლო მნიშვნელობას განაპირობებს. ესენია:

დაცვითი ფუნქცია _ გულისხმობს მეანაბრეთა და კრედიტორთა ინტერესების დაცვას ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში.

ოპერატიული ფუნქცია _ საწყის ეტაპზე საბანკო კაპიტალი გამოიყენება ხარჯების დასაფარად, ხოლო ზრდის პერიოდში საბანკო მომსახურების სფეროს გაფართოებისათვის.

მარეგულირებელი ფუნქცია _ იცავს ბანკს ფინანსური არამდგრადობისგან, მერყეობისგან და გადაჭარბებული რისკებისგან, გამოდის რა მისი საქმიანობის რეგულატორის როლში.

ბანკების საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში გამოყოფენ: საწესდებო, სარეზერვო და სპეციალურ ფონდებს, ასევე წლის განმავლობაში გაუნაწილებელ მოგებას.

თავდაპირველად კომერციული ბანკის შექმნის ეტაპზე მისი საკუთარი კაპიტალის ერთადერთი წყაროა საწესდებო კაპიტალი, დანარჩენი წყაროები უშუალოდ ბანკის საქმიანობის პროცესში იქმნება. სწორედ ის განსაზღვრავს ქონების მინიმალურ მოცულობას, რომელიც ბანკის მეანაბრეებისა და კრედიტორების გარანტია და მისი ვალდებულებების უზრუნველყოფას წარმოადგენს. ბანკები თავისი საქმიანობის

პერიოდში მოგების დაგროვებისას მის ხარჯზე ქმნიან საკუთარი კაპიტალის შევსების სხვა წყაროებს, რომლებიც ყალიბდებიან სარეზერვო, სპეციალური დანიშნულებისა და დაგროვების ფონდების სახით.

კომერციულმა ბანკმა საკუთარი კაპიტალის განსაზღვრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს მოგების სიდიდეს, ვინაიდან როცა ძალზე დიდია დივიდენდების წილი, გაუნაწილებელი მოგების მოცულობა კლებულობს, რასაც თან სდევს კაპიტალის შიდა წყაროების ნელი ზრდა, ამასთან იზრდება გაკოტრების რისკიც, რაც თავისებურად ამუხრუჭებს ბანკის შემოსავლების მომტანი აქტივების მოცულობის ზრდას. ამიტომ კაპიტალის ზრდის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ უნდა გადაიქცეს გაუნაწილებელი მოგება, ე.ი. არა აქციონერებზე გაცემული, არამედ ბანკში დარჩენილი კაპიტალი.

კომერციული ბანკის საქმიანობაში, საკუთარი კაპიტალის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა მასზე ზედამხედველობის დაწესება. როგორც ვიცით, ეკონომიკაში ფინანსური ბაზრისა და ინსტიტუტების მართვა-რეგულირებას ორი ტიპის დაწესებულება ახორციელებს: სახელმწიფო ცენტრალური ბანკი და ფედერალური სარეზერვო სისტემა. ეს უკანასკნელი მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კი, მათ შორის საქართველოშიც, სახელმწიფო ცენტრალური ბანკი ფუნქციონირებს. ჩვენს ქვეყანაში იგი საქართველოს ეროვნული ბანკის სახელით არისცნობილი. სწორედ ის განსაზღვრავს საქართველოში საბანკო კაპიტალის განვითარების მაკროეკონომიკურ პრინციპებს.

შენიშვნები «საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანულ» კანონზე

იმისათვის, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებზე ზედამხედველობისა და მათი კონტროლის ფუნქცია რაციონალურად შეასრულოს, თვით მისი არსი, უფლება-მოვალეობები და საქმიანობის წესი უნდა იყოს სწორად განსაზღვრული. ამის გასარკვევად გავეცანით «საქართველოს ორგანულ კანონს საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ». გასულ წლამდე გამოიყენებოდა 1995 წლის 23 ივნისს მიღებული კანონი, რომელმაც 2009 წლის 1 დეკემბერს დაკარგა ძალა, ვინაიდან ამავე წლის 24 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცდა კორექტირებული კანონი, რომელიც, ჩვენი აზრით, გარკვეულ შესწორებებს კვლავ საჭიროებს. იგი სულ 12 თავს მოიცავს, თუმცა ჩვენ, ამ ეტაპზე შევეხებით მხოლოდ მის პირველ თავს _ ზოგადი დებულებებს, რომელიც 5 მუხლისგან შედგება. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მაგალითად, მუხლი 1. საქართველოს ეროვნული ბანკი. იგი შემდეგნაირად არის განმარტებული: «საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში _ ეროვნული ბანკი) არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი». ამ მუხლიდან გასაგებია, რომ ეროვნული ბანკი კომერციული ბანკებისთვის ასრულებს იმ ფუნქციებს, რასაც ჩვენთვის, მოქალაქეებისთვის ასრულებს კომერციული ბანკი. ფისკალური აგენტი ამავე კანონის მიხედვით არის «საგადასახადო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ორგანიზებით სახელმწიფოს

ფისკალური პოლიტიკის განხორციელების მხარდამჭერი პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში». აქედან გამომდინარე, გასაგებია, რას ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი არის საქართველოს მთავრობის ფისკალური აგენტი, მაგრამ სამწუხაროდ, გაუგებარია, როგორ არის იგი მთავრობის ბანკირი, ვინაიდან სიტყვა «ბანკირი» უცხო სიტყვათა ლექსიკონის განმარტებით არის «ბანკის მსხვილი აქციონერი ან პატრონი», ჩვენ კი ამ თვალსაზრისით ვერ ვხედავთ კავშირს ეროვნულ ბანკსა და მთავრობის ბანკირს შორის.

აგრეთვე მუხლი 2. ტერმინთა განმარტებისადმი გვაქვს შემდეგი შენიშვნები:

ზუსტია კომერციული ბანკის განმარტება, ვინაიდან მასში ჩანს, რომ ის არის სადეპოზიტო დაწესებულება, თუმცა ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა ბუნდოვნად, გაუგებრად არის ახსნილი, ზოგი კი _ არასრულფასოვნად. მაგალითად, სიტყვა «დეპოზიტი». იგი შემდეგნაირად არის განმარტებული: «კომერციულ ბანკში ან არასაბანკო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება». მართალია, ბანკი შემოსულ ფულად სახსრებს იყენებს საკუთარი საქმიანობის განხორციელებისათვის, მაგრამ დეპოზიტის მესაკუთრე არის დეპოზიტორი და არა ბანკი.

სპოტური და ფორვარდული ოპერაციები არ არის ახსნილი, მითითებულია მხოლოდ ანგარიშსწორების ვადა. «სპოტური ოპერაცია _ გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღის განმავლობაში; ფორვარდული ოპერაცია _ გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში», _ ვკითხულობთ კანონში. თავისი არსით კი ფორვარდი არის ხელშეკრულება რომელიმე ქვეყნის ფულადი ერთეულის შეძენაზე, რომლის მიხედვითაც გარიგება ხდება შეძენის ან გაყიდვის მოცულობაზე და საცვლელი კურსი დგინდება წინასწარ, ამ კონტრაქტის შესრულების ვადაში. არასწორადაა ახსნილი სვოპის არსიც. კერძოდ წერია, რომ «სვოპი არის გარიგება უცხოური ვალუტის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ, მისი შემდგომი გაყიდვის ან გამოსყიდვის წინასწარ დათქმული პირობით». რეალურად კი სვოპი არის მხარეთაშორის შეთანხმება, როდესაც ერთი მხარე ახორციელებს გადახდებს ერთ ფულად ერთეულში, მეორე მხარე _ მეორე ფულად ერთეულში შეთანხმების ვადის ამოწურვამდე.

ჩვენთვის კიდევ ერთ გაურკვევლობას ბადებს სიტყვა «პირის» განმარტება. კანონის მიხედვით, «პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის იურიდიული პირი». როგორც ვხედავთ, ცალკეა გამოყოფილი რაღაც ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არაა იურიდიული პირი. თუ იურიდიული პირი არაა, მაშინ ლოგიკურად ფიზიკური პირი გამოდის, მაგრამ თუ ფიზიკური პირია, მაშინ რატომ არის ის განმატრებაში პირველად ნახსენები «ფიზიკური» პირისგან განცალკევებით აღნიშნული? მაშასადამე, ჩნდება კითხვა _ რა არის ეს ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ არის არც იურიდიული და არც ფიზიკური პირი? როგორც ვხედავთ, ეს განმარტებაც გაურკვევლობას იწვევს.

და ბოლოს, დაკონკრეტებას მოითხოვს კიდევ ერთი ტერმინის განსაზღვრება, კერძოდ, «თავისუფალი ინდუსტრიული ზონა» ახსნილია, როგორც «თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ზონა», მაგრამ მკითხველმა არ იცის ის კანონი. როგორ უნდა მოიქცეს იგი ამ შემთხვევაში? იძულებულია, მოძებნოს «თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ» კანონი. ფაქტობრივად, ეს არის არა განმარტება, სადაც ახსნილი იქნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ზოგადი არსი, არამედ მითითება, თუ სად შეუძლია მიიღოს ინფორმაცია დაინტერესებულმა პირმა.

ჩვენს მიერ განსახილველი კანონის მესამე მუხლი ეროვნული ბანკის ფუნქციებსა და ამოცანებს ეხება. უცხო სიტყვათა ლექსიკონის განმარტებით, «ფუნქცია» ლათინური სიტყვაა და ნიშნავს: 1. შესასრულებელ საქმეს, მოვალეობას; 2. როლს, მნიშვნელობას, დანიშნულებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა ეროვნული ბანკისთვის არის არა ამოცანა, არამედ ფუნქცია.

მივესალმებით იმ ფაქტს, რომ «ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში», როგორც ამას კანონის მე-4 მუხლი განმარტავს. «საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არ აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში», მაგრამ არ ვეთანხმებით იმას, რომ მათ არც მონიტორინგის განხორციელების უფლება არ აქვთ. ენციკლოპედიური ლექსიკონის განმარტებით, მონიტორინგი არის «რაიმე საკითხის ან მდგომარეობის შესახებ მოხსენების შედგენისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიება ან მიღება». ვფიქრობთ, რომ არცერთ სახელმწიფო ორგანოს არ უნდა შეეძლოს ეროვნულ ბანკზე ზეწოლა, მის საქმიანობაში ჩარევა, მაგრამ მონიტორინგის განხორციელება არა ნებადართულად, არამედ სავალდებულოდ მიგვაჩნია, ვინაიდან ეროვნული ბანკი არის საქართველოს მთავრობის ფისკალური აგენტი და მუდმივად უნდა ფლობდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ასეთია, კანონის ზოგადი დებულებების შესახებ ჩვენი მოსაზრებები. საბოლოო ჯამში, ვფიქრობთ, რომ «საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ» შესწორებებს მოითხოვს. ეს არის საკანონმდებლო აქტი, ამიტომ მიგვაჩნია, რომ მასში ყველაფერი მაქსიმალურად ნათლად, გასაგებად, სწორად და ზუსტად უნდა იყოს გადმოცემული, რათა მკითხველს შეეძლოს მისი ადეკვატურად გაგება და გამოყენება და არ გაჩნდეს კითხვა: რამდენად სწორად განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკების საქმიანობის ნორმატიულ პრინციპებს? ვფიქრობთ, ეს საკითხი ცალკე განხილვის საგანია, თუმცა მნიშვნელოვნად მიგვაჩნდა ამ პრობლემის დასმა, ვინაიდან, მან კომერციული ბანკების ზედამხედველობისათვის შემოიღო ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის საიმედოობას, მათ შორის ერთ-ერთია კაპიტალის საკმარისობა (ადეკვატურობა).

ბანკებში კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრის ნორმატიული პრინციპები

ბანკის ფინანსური სიძლიერის, გადახდისუნარიანობის, საიმედოობისა და მდგრადობის შეფასების ძირითადი კომპონენტია კაპიტალის საკმარისობა (ადეკვატურობა), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბანკის კაპიტალის არსსა და მიზნებს.

ტერმინი «კაპიტალის საკმარისობა» განსაზღვრავს ბანკის საიმედოობას იმ დაცვის წყალობით, რომელსაც საკუთარი კაპიტალი დაუპირისპირებს საგანგებო ხარჯებს. ის აერთიანებს ბანკის ისეთ თვისებებს, როგორიცაა მდგრადობა, არაკეთილსასურველი ფაქტორებისადმი გამძლეობა, შესაძლებლობა, დააღწიოს თავი ზარალისგან მიყენებულ ზიანს. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ საკუთარი კაპიტალის საკმარისობის თემა მიეკუთვნება საბანკო პრაქტიკის ყველაზე მწვავე საკითხების რიცხვს.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახეობის კაპიტალის კოეფიციენტები _ პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი და მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი.

პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი არის პირველადი კაპიტალის თანაფარდობა რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი _ საზედამხედველო კაპიტალის შეფარდება რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან. «ბანკებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ დებულების» თანახმად, პირველადი კაპიტალი და საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს შესაბამისად რისკით შეწონილი აქტივების არანაკლებ 8%-ის და 12%-ის ტოლი. რაც შეეხება მინიმალურ საზედამხედველო კაპიტალის ოდენობას, ის დგინდება ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით.

საზედამხედველო კაპიტალი არის კაპიტალის სახეობა, რომელიც იქმნება საბანკო საქმიანობის განხორციელებისათვის მოსალოდნელი და მოულოდნელი ფინანსური დანაკარგების (ზარალის) განეიტრალებისა და სხვადასხვა რისკის თავიდან აცილების მიზნით. იგი შედგება პირველადი და მეორადი კაპიტალისაგან და უდრის პირველადი და მეორადი კაპიტალის ჯამს გამოკლებული საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა.

პირველადი კაპიტალი _ საზედამხედველო კაპიტალის ძირითადი წყაროა და უდრის პირველადი კაპიტალის შემადგენელი კომპონენტების თანხობრივ ჯამს გამოკლებული პირველადი კაპიტალის დაქვითვის კომპონენტების თანხობრივი ჯამი. პირველადი კაპიტალის შემადგენლობაში შედის:

1. ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
2. არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
3. აქციების ემისიით მიღებული დამატებითი სახსრები;
4. სარეზერვო ფონდი, რომელიც შექმნილი უნდა იყოს წინა წლების გაუნაწილებელი მოგებიდან, ბანკის განკარგულებაშია და შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარმოშობილი ზარალის დასაფარავად;

5. წინა წლების გაუნაწილებელი მოგება (ზარალი).

პირველადი კაპიტალის დაქვითვა მოიცავს:

1. ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილ თანხას;

2. არამატერიალურ აქტივებს.

მეორადი კაპიტალი _ ბანკის საზედამხედველო კაპიტალის დამატებითი წყარო. მისი კომპონენტებია:

1. მიმდინარე წლის წმინდა მოგება (ზარალი);

2. მიზნობრივი ფონდები;

3. საერთო რეზერვები, არაუმეტეს საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1,25%-ის ოდენობისა;

4. პრივილეგირებული აქციები გამოსყიდულის გამოკლებით, გარდა პირველად კაპიტალში ასახული არაკუმულაციური უვადო პრივილეგირებული აქციებისა;

5. ბანკის აქციებში კონვერტირებადი ვალი, იმ პირობით, თუ იგი სრულიად აკმაყოფილებს სუბორდინირებული ვალის შინაარსს და თუ ასეთი ვალის ბანკის აქციებში კონვერსიის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებით;

6. სუბორდინირებული ვალი, მიღებული მინიმუმ 5 წლით სარგებლობის ვადით და ბოლო 5 წლის განმავლობაშიყოველწლიურად ვალის 20%-ით შემცირებული ოდენობით, იმ პირობით, თუ სუბორდინირებული ვალი მიღებულია ყოველგვარი უზრუნველყოფისა და გამოყენების შეზღუდვების გარეშე და რომელიმე მხარის მიერ ასეთი სუბორდინირებული ვალის პირობების შეცვლა და/ან გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ეროვნული ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში და თუ ეს პირობები გათვალისწინებულია ვალის ხელშეკრულებაში.

საზედამხედველო კაპიტალის დაქვითვა შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. ინვესტიციები საქართველოს რეზიდენტი ბანკების საწესდებო კაპიტალში;

2. არაკონსოლიდირებული ინვესტიციები ბანკის შვილობილი საწარმოების საწესდებო კაპიტალში.

პირველადი კაპიტალი უნდა შეადგენდეს საზედამხედველო კაპიტალის არანაკლებ 50%-ს.

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისათვის გამოიყენება რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, რომლებიც მოიცავს საკრედიტო და საბაზრო რისკებით შეწონილ აქტივებს. საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტი პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი, ხოლო საბაზრო რისკი არის ბაზარზე ფასების მერყეობის შედეგად ბანკის აქტივების ღირებულების ცვლილებით გამოწვეული რისკი.

ასეთია კაპიტალის საკმარისობის განსაზღვრის ზოგადი პრინციპები, თუმცა მისი შეფასების თავისებურებები შეესაბამება თითოეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს. საინტერესოა, რამდენად მწვავედ დგას კაპიტალტევადობის პრობლემა საქართველოს კომერციულ ბანკებში და საერთოდ, რა მაჩვენებლებით ხასიათდებიან ისინი კაპიტალტევადობის თვალსაზრისით.

ქართული ბანკების კაპიტალტევადობის მაჩვენებელი
და მისი პრაქტიკაში გამოყენება

2010 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოში 19 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. ესენია: **ბანკი «რესპუბლიკა», «ტაოპრივატბანკი», «TBC ბანკი», «საქართველოს ბანკი», «ლიბერთი ბანკი»** (**საქართველოს სახალხო ბანკი**), **«ბაზისბანკი», «VTB ბანკი ჯორჯია», «ბანკი ქართუ», «პროკრედიტ ბანკი», «BTA ბანკი», «ინვესტბანკი», «აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი _ საქართველო», «ზირაათ ბანკის» თბილისის ფილიალი, ღია სააქციო საზოგადოების «კავკასიის განვითარების ბანკის» თბილისის ფილიალი, «HSBC ბანკი საქართველო», «პროგრეს ბანკი», «კორ სტანდარტ ბანკი», «ხალიკ ბანკი საქართველო»** და **«ბანკი კონსტანტა»**. ჩამოთვლილთაგან თხუთმეტის საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში უცხოური კაპიტალი მონაწილეობს, 2 მათგანი კი უცხოური ბანკის ფილიალს წამოადგენს.

სანამ კონკრეტულ ბანკებზე გადავიდოდეთ, საინტერესოა, როგორი იყო კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის კრებსითი მონაცემები 2009 წლის დეკემბრის მდგომარეობით. როგორც აღვნიშნეთ, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისა და შეფასებისათვის გამოიყენება პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი, რომლებიც მოცემული პერიოდისათვის, შესაბამისად, 16.6%-სა და 19.1%-ს შეადგენს (იხილეთ ცხრილი №1). ორივე მათგანი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წაყენებულ მინიმალურ ზღვარს სცილდება, თუმცა კიდევ უფრო მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ეს მაჩვენებლები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაუმჯობესებულია. კერძოდ, 2008 წლის დეკემბრის მონაცემებით პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 14.4%, ხოლო საზედამ-ხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 13.9% იყო. საინტერესოა, რის ხარჯზე მოხდა ეს?

ცხრილი №1

კაპიტალსაკმარისობის კოეფიციენტების კრებსითი მონაცემები 2008-2009 წლებში

კოეფიციენტი	2008	2009
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.4%	16.6%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	13.9%	19.1%

ცხრილი №2

კომერციული ბანკების ფინანსური სტაბილურობის კრებსითი მონაცემები 2008 _ 2009 წლებში და მათი დინამიკა

	2008 (ათასი ლარი)	2009 (ათასი ლარი)	მატების (კლების) ტემპი
პირველადი კაპიტალი	1 494 475	1 358 229	-9.1%
საზედამხედველო კაპიტალი	1 442 554	1 566 088	8.6%
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	10 378 086	8 199 414	-21%

როგორც ცხრილი №2-დან ჩანს, 2009 წელს წინა წელთან შედარებით საზედამხედველო კაპიტალი 8.6%-ით გაიზარდა. პირველადი კაპიტალი კი 9.1%-ით შემცირდა, მაგრამ, ამავდროულად, რისკის მიხედვით შეწონილმა აქტივებმა, გაცილებით მეტი _ 21%-იანი კლება განიცადა და სწორედ ამით აიხსნება როგორც პირველადი, ასევე საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტების ზრდა.

ვფიქრობთ, რომ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ამგვარი ტენდენცია გასაკვირი არ არის. 2008 წლის ცნობილი მოვლენების გამო ეს მაჩვენებელი 2007 წელთან შედარებით 8 812 813 ათასი ლარიდან 10 378 086 ათას ლარამდე, ანუ 17.8%-ით გაიზარდა. ხოლო 2009 წლიდან, როდესაც ქვეყანაში შედარებით გაუმჯობესდა ეკონომიკური და არამარტო ეკონომიკური მდგომარეობა, დასტაბილურდა საბანკო საქმიანობის აქტივობაც და, შესაბამისად, დაიწყო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კლება.

კრებსითი მონაცემების განხილვის შემდეგ საინტერესოა, როგორი მდგომარეობაა კაპიტალის საკმარისობის მხრივ ცალკეულ კომერციულ ბანკებში. ამის გასარკვევად თითოეული მათგანისათვის გამოვთვალეთ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, მათი პროცენტული ცვლილება 2008-2009 წლებში და შევადარეთ პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტებს. მიღებული შედეგები წარმოვადგინეთ მესამე ცხრილის სახით:

ცხრილი №3

პირველადი და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები და რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების პროცენტული ცვლილება 2008-2009 წლებში ცალკეული ბანკების მიხედვით

ბანკი	2008		2009		
	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (%)	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (%)	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (%)	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (%)	რისკის მიხედვით შწ. აქტივების (%) ცვლილება
აზერბაიჯანის ხალხთაშორისო ბანკი-საქართველო	39.16	47.20	27.73	40.65	-0.5
ბაზის ბანკი	22.25	25.22	18.40	17.09	12.7
BTA ბანკი	18.24	21.08	23.31	22.74	-19.4
ბანკი „ქართუ"	18.39	29.48	17.36	28.30	3.3
HSBC ბანკი	37.31	30.88	18.66	16.16	107.6
კავკასიის უნივერსალ ბანკის ობოლიხის ფილ.	103.17	100.40	109.79	109.10	-6.2
ინვესტბანკი	47.70	51.11	125.54	68.79	-60.6
კონსტანტა	14.73	13.05	12.30	14.22	-15.5
კონსტანდარტბანკი	18.19	16.95	11.07	12.96	5.9

ბანკი	2008		2009		
	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (%)	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (%)	პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (%)	საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (%)	რისკის მიხედვით შწ, აქტივების (%) ცვლილება
პროკრედიტ ბანკი	213.23	231.34	82.91	90.15	143.5
პროკრედიტ ბანკი	10.76	15.42	10.38	17.48	-0.5
ბანკი რუსუბლიკა	10.90	15.67	9.70	15.17	2.2
საქართველოს ბანკი	18.24	15.48	30.35	21.22	-13.2
ლიბერთი ბანკი	8.91	8.43	–	–	–
ტაიმრივატ ბანკი	17.91	15.50	27.85	12.38	-48.4
TBC ბანკი	11.35	13.63	15.83	22.52	-26.5
VTB ბანკი	16.90	14.01	14.09	17.89	-24.9
სალიკ ბანკი	378.41	376.83	316.08	292.84	10.9
ზორაათ ბანკი	112.30	129.27	373.11	392.62	-54.8

ცხრილი №3-დან ჩანს, რომ 2009 წლის მდგომარეობით, კაპიტალსაკმარისობის მაჩვენებლები _ პირველადი კაპიტალისა და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკისათვის აღემატება ეროვნული ბანკის მიერ წაყენებულ მინიმალურ მოთხოვნებს, თუმცა ზოგიერთი მათგანისათვის ეს მაჩვენებლები წარმოუდგენლად მაღალია, ზოგიერთებისათვის კი მინიმუმთან მიახლოებული. ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ საქართველოში საბანკო სისტემა იდეალურ მდგომარეობაშია. ამ კოეფიციენტების მიხედვით, ბანკების უმრავლესობას აქვს საკმარისი კაპიტალი სრულფასოვანი საქმიანობისათვის, მაგრამ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფაქტს: რა იყო ამ კოეფიციენტების მაღალი მნიშვნელობისა და 2008 წელთან შედარებით მათი ზრდის საფუძველი? ერთის მხრივ, ეს შესაძლოა გამოეწვია მოგების ზრდას, რასაც თავისთავად მოჰყვებოდა როგორც პირველადი, ისე საზედამხედველო კაპიტალის ზრდა, ხოლო, მეორეს მხრივ, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების შემცირებას. ცხრილიდან ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში კაპიტალტევადობის მაჩვენებლების ზრდა სწორედაც ამ უკანასკნელის გამო მოხდა. ეს კი ცუდია, ვინაიდან ბანკების საბალანსო უწყისების გაცნობისას აღმოვაჩინეთ, რომ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების სიმცირე გამოწვეულია არა ზოგადად რისკის, არამედ სასესხო აქტივობის სიმცირით.

საინტერესოა, რამდენად შეესაბამება ბანკების რეალურ პოზიციას ბაზარზე მათი კაპიტალტევადობის მაჩვენებლები. ამ თვალსაზრისით, კაპიტალის საკმარისობის პოზიციებიდან, თუ განვიხილავთ საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს,

დავინახავთ, რომ კაპიტალის საკმარისობა სრულიადაც არ ნიშნავს ბანკის მიერ ბაზარზე საკუთარი ფუნქციების შესრულებას. პირიქით, ცალკეული ბანკის მაგალითი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის სიჭარბის შემთხვევაშიც შეზღუდულია მისი მოქმედების დიაპაზონი და შეიმჩნევა მათი პასიურობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. ამიტომ არსებითად მიგვაჩნია, სპეციალურად განვიხილოთ ეს საკითხი.

კაპიტალის საკმარისობა და საბაზრო აქტივობები

2009 წლის მიხედვით კაპიტალის საკმარისობის კოეფიციენტების შედარების შედეგად საქართველოს კომერციული ბანკები რეიტინგულად ასე დალაგდა:

1. «ზირაათ ბანკი» 392.62%
2. «ხალიკ ბანკი» 292.84%
3. «კავკასიის განვითარების ბანკის თბილისის ფილიალი» 109.10%
4. «პროგრესბანკი» 90.15%
5. «ინვესტბანკი» 68.79%
6. «აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო» 40.65%
7. ბანკი «ქართუ» 28.30%
8. «BTA ბანკი» 22.74%
9. «TBC ბანკი» 22.52%
10. «საქართველოს ბანკი» 21.22%
11. «VTB ბანკი» 17.89%
12. «პროკრედიტ ბანკი» 17.48%
13. «ბაზისბანკი» 17.09%
14. «HSBC ბანკი» 16.16%
15. ბანკი «რესპუბლიკა» 15.17%
16. ბანკი «კონსტანტა» 14.22%
17. «კორსტანდარტბანკი» 12.96%
18. «ტაოპრივატბანკი» 12.38%
19. «ლიბერთი ბანკი» უცნობია

ამ ჩამონათვლის მიხედვით, ქართულ საბანკო სივრცეში კაპიტალსაკამრისობით ლიდერ ბანკებად «ზირაათ ბანკი» «ხალიკ ბანკი» და «კავკასიის განვითარების ბანკის თბილისის ფილიალი» უნდა მივიჩნიოთ. საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები აქვთ «პროგრესბანკს», «ინვესტბანკსა» და «აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკ-საქართველოს». ერთი შეხედვით ამ «ლიდერ» ბანკებს მართლაც საკმარისი კაპიტალი აქვთ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ კაპიტალის უდიდესი ნაწილი ფორმირებულია არა საბანკო საქმიანობის შედეგად, არამედ საწყისი, დამფუძნებლების მიერ ინვესტირებული სახსრების საფუძველზე. ამაზე მიუთითებს მათ ბალანსში აღნიშნული სესხებისა და დეპოზიტების ღირებულების სიმცირე. ამავდროულად, ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ შორის

თანაფარდობასაც. როგორც სადეპოზიტო ორგანიზაციისათვის, წესით ბანკების ნორმალური ფუნქციონირებისათვის უმჯობესია ანაბრების უფრო მეტი რაოდენობა, მაგრამ ვინაიდან კრედიტიდან მიღებული პროცენტი წარმოადგენს ბანკის შემოსავლის ძირითად წყაროს, ამიტომ სესხების ღირებულება უნდა აღემატებოდეს დეპოზიტების ღირებულებას. ჩვენს მიერ «ლიდერად» შერაცხულ ბანკებში კი პირიქითაა.

რაც შეეხება აუტსაიდერებს, ასეთებად «კორსტანდარტბანკი» და «ტაოპრივატბანკი» გვევლინებიან, ვინაიდან მათი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი მცირედით აღემატება მინიმალურ ზღვარს _ 12%-ს.

ასეთია კაპიტალსაკმარისობით საქართველოს კომერციულ ბანკებში ლიდერებისა და აუტსაიდერების პოზიციები, რომელიც განსხვავდება პრაქტიკული საქმიანობის მიხედვით მათი რეიტინგისგან. რეალურად ბაზარზე ლიდერობენ «საქართველოს ბანკი» და «TBC ბანკი», რომელთა საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები შესაბამისად, 21..22% და 22.52%-ია. ეს არ არის ისეთი მაღალი მაჩვენებლები, როგორიც ჩვენს რეიტინგში წამყვან პოზიციებზე განთავსებულ ბანკებს აქვთ, მაგრამ ფაქტია, ისინი წარმატებულ საქმიანობას ეწევიან. ამის საპირისპიროდ, «ზირაათ ბანკი» «ხალიკ ბანკი» და სხვა ლიდერები ფაქტობრივად ძალიან დაბალ საბანკო აქტივობას ავლენენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ საკმარისი კაპიტალი.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ასეთ დასკვნამდე მივედით: საქართველოს კომერციულ ბანკებში დგას არა კაპიტალის საკმარისობის, არამედ მისი რაციონალურად გამოყენების პრობლემა. ამიტომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ წარმატებული ბანკები საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის მიხედვით საშუალო პოზიციებს იკავებენ, ხოლო პასიური ბანკები ლიდერობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ საჭირო რესურსები თავიანთი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის და უნდა გამოიყენონ ისინი მომხმარებელთა მოსაზიდად. თავის დროზე სწორედ კაპიტალის მიზანმიმართულად გამოყენების წყალობით მიაღწიეს «საქართველოს ბანკმა» და «TBC ბანკმა» რეალურ წარმატებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **«საბანკო საქმე»** _ მ. გოგოხია, ლექციების კურსი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2008;

2. **«კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი»** _ მ. ხუბუა, გამომცემლობა «უნივერსალი», თბ., 2006;

3. **«საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე»** _ ი. კოვზანაძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2001;

4. **«საბანკო საქმე»** _ გ. ცაავა, გამომცემლობა ,,აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია", თბ., 2005;

5. **«Банковское дело"** – О. И. Лаврушина, ,,Кнорус", Москва, 2008;

6. **«Денги, Кредит, Банки"** – Е. Ф. Жуков, Москва, 2001;

7. **კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება** _ დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2002 წლის 17 სექტემრბის №237 ბრძანებით, შეტანილია ცვლილება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 23 დეკემბრის №298 ბრძანებით;

8. **კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის CAEL-ის სისტემით ანალიზისა და შეფასების მეთოდური სახელმძღვანელო** _ დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის №251 ბრძანებით;

9. **საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ** _ დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2009 წლის 24 სექტემბერს;

10. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდი _

_ **www.nbg.gov.ge.**

ილია გუგენიშვილი

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. დავით ვეკუა

საგადასახადო ტვირთის განაწილების ოპტიმიზაცია საქართველოში

საქართველოში სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების მსგავსად, ეკონომიკის ლიბელარიზაციის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად მცირდებოდა გადასახადების მოცულობა. ამის მიზეზი იყო ისეთი სუბიექტური ფაქტორები, როგორიცაა: კანონმდებლობის არასრულყოფილება, საგადასახადო ადმინისტრაციის დაბალი დონე, გადასახადების ნებაყოფლობითი გადახდის ტრადიციის არარსებობა. ამასთან, საგადასახადო სისტემის ფუნქციონირებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენდა ობიექტური ფაქტორებიც: ინფლაციის მაღალი დონე, საგადასახადო და ურთიერთჩათვლის სისტემების კრიზისი; ეკონომიკისა და მომსახურების სფეროს ცვლილებების შედეგად, კერძო სექტორის სასარგებლოდ, საგადასახადო დისციპლინის მოშლა; იმ ეკონომიკური ოპერაციების მასშტაბების ზრდა, რომლებიც არ აისახებოდა საბუღალტრო ანგარიშებში და სხვა.

საქართველოში, რეფორმის პირველ ეტაპზე, საგადასახადო შემოსულობათა დინამიკა ნათლად უჩვენებს სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციის დონესა და გატარებულ საგადასხადო პოლიტიკას შორის უშუალო დამოკიდებულების არარსებობაზე. კერძოდ:

- სოციალიზმიდან მემკვიდრეობით მიღებული საგადასახადო სისტემა ხასიათდებოდა მოგების გადასახადისკენ გადახრით, მოქალაქეთა საშემოსავლო დაბეგვრის საზიანოდ;
- წარმოების მკვეთრი დაცემა, რომელმაც შეამცირა საწარმოთა დასაბეგრი ბაზა, ადასტურებს საგადასახადო შემოსულობებისა და მშპ-ს დინამიკას შორის მჭიდრო და მყარ დამოკიდებულებას;
- საგადასახადო ბაზის შემცირება ურთიერთგადაუხდელობის კრიზისის გამო, როცა ჩათვლა ხორციელდება საკასო მეთოდით და არა ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის;
- გარდამავალი ეკონომიკის პირობებში პირდაპირი კავშირის არარსებობა საგადასახადო პოლიტიკასა და ეკონომიკურ აქტივობას შორის;
- ეკონომიკის ბარტერიზაციის პროცესი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც იყენებდა საგადასახადო შეღავათებს (გათავისუფლებას), სასაქონლო კრედიტს და სხვა.

საქართველოში საგადასახადო დაბეგვრა არ შეესაბამებოდა საზოგადოდ მიღებულ პრინციპებს, ისეთებს, როგორიცაა: განსაზღვრულობა, გადასახადების ეკონომიურობა,

მათი ამოღების ტექნიკის მოხერხებულობა და სიმარტივე, თანაფარდობა გადასახადებსა და გადამხთელთა გადახდისუნარიანობას შორის. ამასთან სახელმწიფო ცდილობდა გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების მატების გზით შეემცირებინა საბიუჯეტო დეფიციტის დონე.

1992-1997 წლებში საგადასახადო ტვირთის უზომო ზრდა კიდევ უფრო აღრმავებდა საქონელმწარმოებელთა მძიმე ფინანსურ მდგომარეობას. ამ დროს წარმოიშვა და შემდეგ უფრო გამწვავდა წინააღმდეგობა ცალკეულ საწარმოთა მაღალ დაბეგვრასა და გადასახადების ამოღების დაბალ დონეს შორის. ამ წინააღმდეგობის საფუძველს საგადასახადო ტვირთის არათანაბარი განაწილება წარმოადგენდა. კეთილსინდისიერი გადამდელებისათვის ჩვენს ქვეყანაში არსებული საგადასახადო ტვირთი შეესაბამაბოდა განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს. ამას გარდა დიდი იყო შეღავათებიც, რომლებსაც აწესებდა სხვადასხვა დონის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება. საწარმოები ცდილობდნენ კანონსაწინააღმდეგო ფორმით აერიდებინათ თავი გადასახადებისათვის და ამას ახერხებდნენ კიდეც, ხოლო საგადასახადო ტვირთი ძირითადად აწვებოდა ფიზიკურ პირებს და იმ მსხვილ საწარმოებს, რომელთათვისაც თავიანთი მასშტაბების გამო უბრალოდ არ შეეძლოთ გადასახადებისათვის აერიდებინათ თავი.

1998 წლის ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა საგადასახადო დაბეგვრაში არსებული სერიოზული დარღვევები. საგადასახადო დაბეგვრის პრაქტიკის ანალიზმა 1990-იან წლებში ნათელი მოჰფინა სტრატეგიის შეცდომებს, რომელიც მიმართული იყო უდეფიციტო ბიუჯეტის უზრუნველსაყოფად საგადასახადო ტვირთის გადიდებისაკენ, რაც ეწინააღმდეგებოდა სამეწარმეო სამიანობას და მიმართული იყო მეწარმეთა საზიანოდ.

2004 წლიდან საქართველოში შეიცვალა საგადასახადო რეფორმის კონცეფცია.

გადასახადები საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს და ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამიტომ საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გატარებისა და ეკონომიკური სისტემის მართვის გარდაქმნის პროცესში დიდი ყურადღება ეთმობა საგადასახადო რეფორმის განხორციელების პროცესს და ქვეყანაში საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში დღეს მომქმედმა საგადასახადო კოდექსმა, მასში შეტანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა ვერ აღმოფხვრა საგადასახადო სისტემის არასრულფასოვნება, ვერ უზრუნველყო საგადასახადო მიზნების სრულყოფილი რეალიზაცია.

ვინაიდან გადასახადი თავისთავად წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტის შემოსავლის ნაწილის გადანაწილების პროცესს ბიუჯეტის სასარგებლოდ, საგადასახადო ტვირთის (გადასახადების რიცხვისა და განაკვეთების ზრდა).

გაძლიერებას მივყავართ ერთობლივი მოთხოვნის ისეთი კომპონენტების კლებამდე, როგორიცაა პირადი მოხმარება და ინვესტიციები. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება წარმოქმნის წარმოებული მთლიან ეროვნული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემას. მასზე საპასუხო რეაქციას კი წარმოადგენს ერთობლივი მიწოდების კლება. საგადასახადო ტვირთის შემცირებას კი მივყავართ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლების ზრდასთან. ამასთან დაკავშირებით

მართლზომიერია გაიზარდოს პირადი მოხმარების, დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობა. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა კი, თავსი მხრივ, განაპირობებს ერთობლივი მიწოდებისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდას. ამრიგად, გადასახადები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების, ისე დეპრესიული ეკონომიკის გამოცოცხლების ინსტრუმენტად.

საგადასახადო ტვირთის ზრდა იწვევს:

1. შრომითი და სამეწარმეო აქტივობის დაქვეითებას;
2. დანაზოგების გადინებას საზღვარგარეთ;
3. «ჩრდილოვანი» ეკონომიკის სეგმენტის გაფართოვებას.

საბოლოოდ, ზემოთ აღნიშნული პროცესების განვითარებას მივყავართ ერთ შედეგამდე, კერძოდ, ბიუჯეტი უწინარესად კარგავს უფრო მეტ შემოსავლებს გრძელვადიან პერიოდში.

საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, ასევე საგადასახადო შეღავათების სისტემის გაფართოებას პირველ ხანებში მივყავართ ბიუჯეტში შემოსავლების შემცირებასთან. თუმცა მეწარმეთა და დაქირავებულ პირთა დაინტერესების ამაღლებითა და ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებით მომავალში შესაძლებელია ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდა. ამდენად, დღეს შემოსავლების გარკვეული ნაწილის მიუღებლობით, ბიუჯეტს მომავალში შეუძლია მისი ანაზღაურება (შევსება). ამის მიღწევა კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლებელია იმის ხარჯზე, რომ ქვეყანაში გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა, შეიქმნება უკეთესი საინვესტიციო გარემო და გაიზრდება მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობა. თუმცა დღევანდელი «კეთილდღეობის შეწირვა» მომავლისათვის ყოველთვის რთულად აღიქმება. განსაკუთრებით ძნელია იგი სახემწიფოსათვის. რადგან მას, თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მუდმივად სჭირდება დამატებითი ფინანსური რესურსები.

საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაცია, არამარტო საქართველოსათვის, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის, გართულებულია ეროვნული, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე. მაგალითად, ამერიკელები მიიჩნევენ რომ გადასახადების ჯამური განაკვეთის 75%-ის დონეზე არსებობის პირობებში არავინ იმუშავებდა ეკონომიკის ლეგალურ სექტორში. თუმცა შვედები ამგვარი საგადასახადო განაკვეთის მოქმედებისას მუშაობენ. ამერიკელმა ექსპერტებმა პროფესორ ა.ლაფერის ხელმძღვანელობით გაანალიზეს საგადასახადო განაკვეთის სიდიდესა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს შორის დამოკიდებულება. მათ თეორიულად დაასაბუთეს, რომ გადასახადის ჯამური ოპტიმალური განაკვეთი 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საგადასახადო განაკვეთის 50%-მდე ზრდას თან ახლავს საგადასახადო შემოსავლების ზრდა ბიუჯეტში. მაგრამ საგადასახადო განაკვეთის 50%-ზე ზევით აწევისას შეინიშნება ბიუჯეტის შემოსავლების მკვეთრი შემცირება, ვინაიდან შესამჩნევად ეცემა მეწარმეთა და მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა. ამდენად «ლაფერის ეფექტი» ვლინდება იმაში, რომ საგადასახადო განაკვეთის შემცირებას, ოპტიმალურ დონემდე, მოკლევადიან პერიოდში მივყავართ ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების დროებით შემცირებამდე, ხოლო გრძელვადიან პერიოდში მის ზრდამდე,

ვინაიდან შრომითი და სამეწარმეო აქტივობის სტიმულები მატულობს და ეკონომიკურ სუბიექტთა გადასვლა წარმოებს «ჩრდილოვანი» ეკონომიკიდან ლეგალურ სფეროში.

თეორიულად საგადასახადო დაბეგვრის დონე უნდა შეესაბამებოდეს იმ ფაზას, რომელშიც ქვეყნის ეკონომიკა იმყოფება, კერძოდ, წარმოების აღმავლობის პირობებში საჭიროა გადასახადების განაკვეთების ზრდა, რაც არ გამორიცხავს პრიორიტეტული დარგებისათვის მათი კლების ალბათობასაც, ხოლო კრიზისის შემთხვევაში კი- გადასახადების განაკვეთის შემცირებასა და მწარმოებლებისათვის საგადასახადო შეღავათების შემოღებას, რიგ შემთხვევებში კი რეგრესიული განაკვეთების დაწესებას გადასახადებზე.

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის წარმოებისათვის საგადასახადო რეჟიმი ლოიალური უნდა იყოს იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებსაც განვითარებული საბაზრო ეკონომიკა გააჩნიათ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს ეკონომიკა მოუფიქრებელი საგადასახადო გადაწყვეტილებების მძევლის როლში აღმოჩნდება და საგადასახადო შემოსულობათა როლის ზრდა ვერ უზრუნველყოფს წარმოების დაცემისა და საბიუჯეტო შემოსავლების კლების კომპენსირებას.

მეცნიერ-მკვლევართა და პრაქტიკოსთა დიდი ნაწილის აზრით, აუცილებებლია ცალკეული გადასახადების განაკვეთების შემცირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას წარმოების გასაფართოველბად სათანადო სტიმულების შექმნა. საგადასახადო ტვირთის შემცირების მომხრეები საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირება გამოიწვევს ყველა დონის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობათა კლებას, თუმცა ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის გამოცოცხლებას და დასაბეგრი შემოსავლების ლეგალიზაციის დონის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში, ქვეყანას მიიყვანს საგადასახადო დაბეგვრის ბაზის გაფართოებამდე.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური განაწილების საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად.

ეჭვგარეშეა, რომ საგადასახადო ტვირთის შემცირების პრობლემისადმი კომპლექსური მიდგომაა საჭირო და აუცილებელია მასში სახელმწიფოს, მწარმოებლისა და მომხმარებლის ინტერსების გათვლისწინება. სწორედ ამიტომ, დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი საგადასახადო კოდექსის ფორმირების პროცესი, რომელიც ბევრად უფრო ლიბელარული იქნება დღეს მოქმედ სგადასახადო კოდექსთან შედარებით.

როგორც ვიცით, საგადასახადო ტვირთი განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ ამოღებული სავალდებულო გადასახადების (ასევე მოსაკრებლების და გადასახადების) საერთო მოცულობის სიდიდის შეფარდებით მთლიან შიდა პროდუქტთან.

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ საქართველოში საგადასახადო ტვირთის სიმძიმე შესაძლებელია ვნახოთ ბოლო 5 წლის მონაცემები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებიდან მიღებული შემოსავლები

	2004	2005	2006	2007	2008	2009
სულ	*1928.7*	*2411.5*	*3149.4*	*4391.1*	*4752.7*	*4388.9*
საგადასახადო	1299.8	1441.8	1846.4	2734.5	2965.4	2788.4
საბაჟო	628.8	969.6	1302.9	1656.6	1787.3	1600.5
საშემოსავლო გადასახადი	268.7	290.7	385.9	526.7	1296.3	1118.9
მოგების გადასახადი	161.6	210.3	341.1	554.8	592.3	518.4
დამატებითი ღირებულების გადასახადი	629.4	987.4	1332.7	1973.7	2069.0	2051.7
აქციზი	204.8	286.4	335.6	428.6	518.5	443.2
საბაჟო გადასახადი	100.1	123.4	132.4	52.0	51.9	35.9
ქონების გადასახადი	46.6	60.4	85.8	107.9	131.9	160.4

მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა

	2004	2005	2006	2007	2008	2009
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი	9824.3	11620.9	13789.9	16993.8	19074.9	17948.6

საგადასახადო ტვირთის ოდენობა

	2004	2005	2006	2007	2008	2009
ტვირთის ოდენობა პროცენტებში	5.09	4.8	4.37	3.87	4.01	4.08

საგადასახადო ტვირთის განაწილების გრაფიკი



დიაგრამიდან შეგვიძლია აშკარად დავინახოთ, რომ მიუხედავად რაღაც პერიოდში კლებისა, ამ არასასურველ ტენდენციას მაინც მზარდი ხასიათი აქვს. ტვირთი, რომელიც ყოველწლიურად იზრდება, ამცირებს რა ბიზნესში თავისუფალი ფულის არსებობას, უარყოფითად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე. გადასახადებიდან ამოღებული თანხის უდიდესი ნაწილი საჯარო სექტორში მიდის და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი რჩება კერძო სექტორში. ეს კი სერიოზულად ამცირებს საინვესტიციო შესაძლებლობებს.

ამრიგად საქართველოს საგადასახადო სისტემა და საგადასახადო პოლიტიკა საგადასახადო განაკვეთების ოპტიმიზაციის გარეშე ხელს ვერ შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის მაღალი ტემპებით განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და საგადასახადო ბაზის გაფართოებას.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საგადასახადო შემოსავლების შემცირებამ მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ყველა დონის ბიუჯეტს, ამიტომ საჭიროა საგადასახადო განაკვეთის ოპტიმიზაციის ისეთი გზის მოფიქრება, რომელმაც შესაძლებელია საგადასახადო ტვირთი დატოვოს თავის დონეზე, მაგრამ გამოიღოს ის შედეგი რასაც მისი შემცირება გამოიღებდა. ჩვენი აზრით, ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა არის ის, რომ გადასახადებს, კერძოდ საშემოსავლო გადასახადს სოციალური ფუნქცია შევძინოთ.

საქართველოში 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმებულია სოციალური გადასახადი და შემოღებულია ერთიანი საშემოსავლო გადასახადი 20%-იანი განაკვეთით. ცხადია, ეს გადაწყვეტილება საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციისა და საინვესტი-ციო გარემოს მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით უდაოდ პოზიტიური მოვლენაა და სრულად შეესაბამება ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპების შენარჩუნების აუცილებლობას, მაგრამ ამავე დროს სოციალური გადასახადების გაუქმება ამცირებს

მნიშვნელოვანი სოციალური პროექტების დაფინანსების შესაძლებლობას, რაც ახალი სოციალური ინსტიტუციების ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს. პროცესების დაჩქარების მიზნით საშემოსავლო გადასახადის ნაწილი (სათანადო აქტუალური გათვლების შედეგად) უნდა მიმართულ იქნას უმუშევრობის სახელმწიფო დაზღვევაზე, რაც იქცევა მიზნობრივი დაფინანსების წყაროდ და რომელიც დასაქმებულთა პირადი ანგარიშების მეშვეობით განსაზღვრავს უმუშევრობის დახმარების ოდენობას. ასევე შესაძლებელია საშემოსავლო გადასახადების ნაწილის მიმართვა საპენსიო უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევისაკენ.

ამ სისტემის ამუშავება, სხვა საგადასახადო ადმინისტრირების ღონისძიებებთან ერთად, ხელს შეუწყობს განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში, შრომის ანაზღაურების სისტემის ლეგალიზაციას, რადგანაც დასაქმებულები გააცნობიერებენ, რომ არ უნდა გაურიგდნენ დასაქმებულებს საკუთარი სოციალური გარანტიების სანაცვლოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე «საგადასახადო საქმე», თბ. 2007;
2. ვეკუა დ. მოსახლეობის სოციალური დაცვის მაკროეკონომიკური რეწგულირება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. თბ. 2003.

თეონა გოლეთიანი

ხელმძღვანელი: უფ. მასწ. მედეა ზურაბიშვილი

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების როლი ეკონომიკის განვითარებაში

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარება, გლობალიზაციის პროცესში ჩართვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების წარმატებით განხორციელება შეუძლებელია მსოფლიოში აპრობირებული მყარი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნის გარეშე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ავკარგიანობაზე, იმაზე, თუ რამდენად არის მისადაგებული იგი ეკონომიკის საერთო პირობებს და აქედან გამომდინარე, როგორ ასრულებს თავის მიზნებს და ამოცანებს, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამყარება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია მიმოქცევაში ფულის მასის, კრედიტის მოცულობის, საპროცენტო განაკვეთების დონის ოპტიმალური ცვლილებების უზრუნველსაყოფად. ქვეყანაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური ბანკი.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არის სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომლის მთავარი მიზანია სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიწევა, უმუშევრობისა და ინფლაციის შემცირება, საგადამხდელო ბალანსის გამოთანაბრება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკის უმთავრეს ამოცანად ფასების სტაბილურობისა და ინფლაციის დაბალი ტემპის შენარჩუნება იქცა, ხოლო ეკონომიკურმა ზრდამ, დასაქმებამ და რეალური სექტორის განვითარების სხვა მახასიათებლებმა, როგორც ცენტრალური ბანკის მიზნებმა, უკანა პლანზე გადაიწია.

როგორც ცნობილია, დღესდღეობით, საქართველოში სამომხმარებლო და ბიზნეს სესხებზე არსებული საპროცენტო განაკვეთი 20-24%-ის ფარგლებში მერყეობს. ბუნებრივია, კრედიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების არაარდეკვატურად მაღალი დონე აფერხებს საქართველოში ეკონომიკის განვითარებას.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე თვლის, რომ სწორი პოლიტიკის გატარებით შესაძლებელია წელიწადნახევარში საპროცენტო განაკვეთმა 13-12%-მდე დაიწიოს.

ასეთი ცვლილება, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას, თუმცა ამავდროულად ეს გამოიწვევს ფულის მასის ზრდას ეკონომიკაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით დავინტერესდით, თუ საქართველოს ეროვნულ ბანკს ჭარბი ფულის ნეიტრალიზაციის რა მექანიზმები გააჩნია და როგორ იყენებს

საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ აპრობირებულ მონეტარულ პოლიტიკის ინსტრუმენტებს.

ზოგადად ცენტრალური ბანკები ფულადი მასის მოცულობის რეგულირებისათვის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს იყენებენ შემდეგნაირად:

როგორ არეგულირებს ფულადი მასის მოცულობას ცენტრალური ბანკი

იმისთვის, რომ გაზარდოს ფულადი მასა:	ინსტრუმენტები:	იმისათვის, რომ შეამციროს ფულადი მასა:
ამცირებს >	სარეზერვო მოთხოვნას	< ზრდის
ყიდულობს >	ოპერაციები ღია ბაზარზე	< ყიდის
ამცირებს >	სააღრიცხვო (დისკონტურ) განაკვეთს	< ზრდის
ასუსტებს >	შერჩევითი დაკრედიტების კონტროლს	< აძლიერებს

სებ-ი მონეტრული პოლიტიკის განსახორციელებლად თანამედროვე ეტაპზე იყენებს პირდაპირი და არაპირდაპირი კონტროლის ინსტრუმენტებს.

პირდაპირი კონტროლის ინსტრუმენტების მეშვეობით ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებში განთავსებულ ფულად მასას და მის ფასს აკონტროლებს. ამგვარი ინსტრუმენტების ნათელი მაგალითია: შერჩევითი დაკრედიტების კონტროლი. კრედიტების ზრდის ან დეპოზიტების მოზიდვის ლიმიტები, კრედიტების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთზე მაქსიმალური ზღვარის დაწესება. მიუხედავად პირდაპირი კონტროლის ინსტრუმენტების მოუქნეოლობისა, ისინი გარკვეული დადებითი ნიშნებით ხასიათდება. კერძოდ:

- საკმაოდ მარტივი და ადვილად გასაგებია საზოგადოებისათვის;
- მათი საშუალებით ცენტრალური ბანკი აკონტროლებს მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის დონეს კრედიტებსა და დეპოზიტებზე, რითაც სახელმწიფოს საშუალება ეძლევა განახორციელოს ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული დარგების დაკრედიტება;
- მათი გამოყენება არაპირდაპირი კონტროლის ინსტრუმენტების ჩამოყალიბების წინაპირობაა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირი კონტროლის ინსტრუმენტებს განეკუთვნება: მინიმალური რეზერვების მოთხოვნა, ღია ბაზრის ოპერაციები, რეფინანსირების მექანიზმები.

მინიმალური რეზერვები არის ბანკის მიერ ეროვნული და უცხოური ვალუტის საშუალო მოზიდული სახსრებიდან (დეპოზიტებიდან) დადგენილი ნორმის შესაბამისი თანხა, რომელიც გაიანგარიშება საშუალო მოზიდული სახსრების გამრავლებით მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე. მინიმალური სარეზერვო მოთხვნილებების რეგულირებას ორმხრივი მნიშვნელობა გააჩნია: ერთის მხრივ, იგი გარანტირებულს ხდის კომერციული ბანკების ლიკვიდობის მინიმალურ დონეს, მეორე მხრივ კი გამოიყენება ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტად.

დღესდღეობით სებ-ის მიერ დადგენილი მინიმალური სარეზერვო ნორმა განისაზღვრა 5%-ით. სებ-ის მიერ კომერციული ბანკებისათვის დამტკიცებული სავლდებულო რეზერვების ნორმტივის დინამიკა მოზიდულ სახსრებთან მიმართებაში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:



ოპერაციები ღია ბაზარზე წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის პროცესს. სებ-ი ამ ოპერაციის საწარმოებლად იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

1. ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ დისკონტური ტიპის ფასიან ქაღალდებს - სახაზინო ვალდებულებებს;
2. ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს - სახელმწიფო ობლიგაციებს;
3. სებ-ს მიერ გამოშვებულ დისკონტური ტიპის ფასიან ქაღალდებს - დეპოზიტურ სერთიფიკატებს.

სახაზინო ვალდებულება არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური ფასიანი ქაღალდი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით. ერთი სახელ-მწიფო ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულებაა 1000 ლარი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და იფარება ნომინალური ღირებულებით. სახაზინო ვალდებულებები იყიდება აუქციონის მეშვეობით. აუქციონი ტარდება საქართველოს ეროვნულ ბანკში. ფასიანი ქაღალდების მფლობელი შეიძლება გახდეს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები, რეზიდენტები და არარეზიდენტები. სახაზინო ვალდებულებების შეძენა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ საქართველოში მოქმედი ნებისმიერი კომერციული ბანკის მეშვეობით.

საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წლის 20 მარტს გააფორმეს შეთანხმება «საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ», რომლის საფუძველზე, 2006 წლის 17 მაისს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ არსებული საქართველოს მთავრობის 832.9 მლნ ლარის დავალიანებიდან 48.0 მლნ ლარი ყოველწლიურად გადაფორმდება «ობლიგაციებად», რომელთა ვადიანობა არის 16-60 თვე. დავალიანება სრულად დიფარება 2030 წელს. აღნიშნული ობლიგაციები ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს ღია ბაზრის ოპერაციებისათვის.

სახელმწიფო ობლიგაციების საჯარო შეთავაზება ხორციელდება სახელმწიფო ობლიგაციების აუქციონის მეშვეობით. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ ოკომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება ხდება ეროვნულ ვალუტაში. აუქციონის ჩატარება ეფუძნება მრავალი ფასის მეთოდს.

2006 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა და გამოუშვა ახალი მონეტარული ინსტრუმენტი – საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ წლამდე ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატი, რომელიც უფრო მოსახერხებელი და მისაღებია ბანკებისათვის და, ამავე დროს, ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

რაც შეეხება რეფინანსირების (სააღრიცხვო -დისკონტური) განაკვეთის პოლიტიკას სებ-ი კომერციულ ბანკებზე გასცემს შემდეგი სახის კრედიტებს: ერთდღიანი სესხები, რეპო ოპერაციები, სვოპ ოპერაციები.

რეპო, ეს არის შემდგომი გამოსყიდვის პირობით ფასიანი ქაღალდების დათქმულ ფასად გაყიდვის შესახებ შეთანხმება, როდესაც ჭარბი ფულადი სახსრების მქონე მხარე დროებით აძლევს მას მეორე მხარეს. რეპო შეთანხმებები წარმოადგენენ ფულადი ბაზრების საფინანსო ინსტრუმენტებს. სებ-ის რეპო ტრანზაქციებში ნებადართულია სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატების, სახელმწიფო ობლიგაციების და სახაზინო ვალდებულებების გამოყენება. სვოპ ოპერაცია წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი წინასწარ განსაზღვრული ვადით, აუქციონის წესით ყიდულობს უცხოურ ვალუტას სპოტ კურსით, მისი ფორვარდული კურსით უკან გაყიდვის პირობით.

ეროვნული ბანკი სვოპ ოპერაციებს გამოიყენებს საბანკო სისტემისთვის ეროვნული ვალუტით ფულადი რესურსების მისაწოდებლად, ქვეყანაში ფულადი მასის რეგულირებისა და ეროვნული ვალუტით საბანკო შუამავლობის ხელშეწყობის მიზნით. სვოპ ოპერაციის ვადიანობა განისაზღვრება 6 თვიდან ერთ წლამდე. ეროვნული ბანკი სვოპ ოპერაციების აუქციონს ატარებს მრავალი ფასის მიხედვით.

ეროვნული ბანკი გასცემს ერთდღიან სესხებს ფიქსირებული საპროცენტო განკვეთით. უზრუნველყოფად მიიღება ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახელმწიფო ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები და უცხოური ვალუტით სკორესპონდენტო ანგარშზე არსებული ნაშთი. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტი იფარება უზრუნველყოფის ხარჯზე, მისი უკმარისობის შემთხვევაში - მსესხებლის სხვა აქტივებიდან.

საქართველოს ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის რეჟიმად არჩეული აქვს ინფლაციის თარგეთირება, რომლის დროსაც ქვეყნის ცენტრალური ბანკი ანგარიშობს და აქვეყნებს ინფლაციის არსებულ და მომავალ დონეს. ინფლაციის თარგეთირებით ცენტრალური ბანკი ცდილობს არსებული ინფლაცია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით მიუახლოვოს სასურველ დონეს.

საპროცენტო განაკვეთები უშუალო ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაზე და მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მასზეა დამოკიდებული ადამიანთა გადაწყვეტილებები დაზოგონ თუ გამოიყენონ დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები, იყიდონ ბინა, შეიძინონ ობლიგაცია თუ განათავსონ თანხები შემნახველ ანგარიშებზე. საპროცენტო განაკვეთები ზეგავლენას ახდენს ასევე საოჯახო მეურნეობის და საქმიანი წრეების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე მოახდინონ სახსრების ინვესტირება წარმოებაში ახალი ინვენტარის ან მოწყობილობების შესაძენად, თუ განათავსონ ფული საბანკო ანგარიშებზე.

საპროცენტო განაკვეთები ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მრავალი ქვეყნის ცენტრალური ბანკები მათ იყენებენ როგორც ეროვნული ეკონომიკის, ინფლაციის, გაცვლითი კურსების ძირითად რეგულატორს. ქვეყნის ეკონომიკაზე საპროცენტო განაკვეთების გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია. მთლიანობაში, საპროცენტო განაკვეთის შემცირება 1%-ით იწვევს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მატებას 1/3%-ით, ხოლო თვითონ საპროცენტო განაკვეთების სიდიდეზე გავლენას ახდენს სამი ფაქტორი: ფულზე მოთხოვნა და მიწოდება, ინფლაციის დონე და მთავრობის მოქმედება. დღეისათვის საქართველოს ფინანსურ ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები კი ეკონომიკის განვითარებას აფერხებს.

საინტერესოა საპროცენტო განაკვეთების სტატისტიკა. იგი მოიცავს მონაცემებს საპროცენტო განაკვეთების შესახებ ისეთი ინსტრუმენტების მიხედვით, როგორიცაა: რეფინანსირების სესხი, თბილისის ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზარი, სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახელმწიფო ობლიგაციები და სხვა.

რეფინანსირების სესხი _ რეფინანსირების განაკვეთის, როგორც საპროცენტო განაკვეთის სახის მიზანია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განხორციელება. რეფინანსირების განაკვეთს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი, რომელიც იკრიბება თვეში ერთხელ, წინსწარ ცნობილი

კალენდრის შესაბამისად. მაგალითად, 2010 წლის 20 მაისს ეროვნული ბანკის 7-დღიან [1]20 რეფინანსირების სესხის აუქციონზე 150 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების სესხი გაიცა. სესხის განაცხადი დაკმაყოფილდა ორი კომერციული ბანკის მინიმანლური საპროცენტო განაკვეთის 5%-ით, მაქსიმალური — 5.01% ით, ხოლო საშუალო შეწონილი 5%-ით განისაზღვრა.

თბილისის ბანკთაშორისი ბაზარი – მისი მიზანია ბანკთაშორის საკრედიტო ბაზარზე მდგომარეობის მონიტორინგი. ყოველდღიურად, 12 საათამდე, კომერციული ბანკებიდან მიღებული მონაცემების საფძველზე ქვეყნდება წინა დღის საპროცენტო განაკვეთები. კერძოდ, TIBR-1 საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ერთდღიან სესხებზე, TIBR-7 _ საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ერთ კვირამდე ვადიანობის სესხებზე. თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთების 27 მაისის მონაცემების თანახმად, საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი ერთდღიან სესხებზე _ TIBR-1 – 3.97% იყო, ხოლო ერთ კვირამდე ვადიანობის სესხებზე _ TIBR-7 _ საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 6.90%-ს შეადგენს.

სადეპოზიტო სერთიფიკატების საპროცენტო გააკვეთები – მისი მიზანია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნების განხორციელება. იგი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს ერთ წლამდე ვადიანობის სადეპოზიტო სერთიფიკატებზე, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი აუქციონის მეშვეობით ყიდის მხოლოდ რეზიდენტ სათაო კომერციულ ბანკებზე და არარეზიდენტი კომერციული ბანკების ფილიალებზე. 2010 წლის 20 მაისს, ეროვნული ბანკის 9-დღიან №20 სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონზე 20 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. ფასიანი ქაღალდები შეიძინა 5 კომერციულმა ბანკმა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 6.00%-ით, მაქსიმალური _ 7% ით, ხოლო საშუალო შეწონილი _ 6.88 %-ით განისაზღვრა.

2010 წლის 19 მაისს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე გაიყიდა 15 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები. აუქციონში მონაწილეობა მიიღო 1 კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ 40 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 10.5%-ით, მაქსიმალური _ 10.55%-ით, ხოლო საშუალო წლიური შეწონილი _ 10.345%-ით განისაზღვრა.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე მიმოიქცევა «საქართველოს ბანკის» ობლიგაციები. გამოშვების საერთო მუცულობაა 2 000 000 ლარი, გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობა _ 20 000, ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება _ 100 ლარი, საპროცენტო განაკვეთი კი წლიური 11%-ია. გადახდა ხორციელდება ექვს თვეში ერთხელ.

გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მთავრობებს უბიძგა გაეძლიერებინათ საფინანსო სფეროს რეგულირება. ბანკებისა და სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციების გადასარჩენად საჭირო გახდა მთავრობების ფინანსური დახმარება. შედეგად, აშშ-იც და ევროპაშიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მომავალში მსგავსი ფინანსური კრიზისისა და სავალალო შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საფინანსო სფეროს რეგულირების გაზრდა. საქართველოშიც ამ მიმართულებით განხორციელდა ეროვნული ბანკის ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური გაძლიერება. 2009 წლის დეკემბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი ზედამხედველობას ახორციელებს

როგორც საბანკო ბაზარსა და სავალუტო ბაზარზე, ისე სადაზღვევო ბაზარსა და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედია. ამიტომაც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები კრიზისის პერიოდში ადგენდნენ გეგმებს მძიმე მდგომარეობაში მყოფი კომერციული ბანკების დასახმარებლად. საქართველოში კი პარადოქსული სიტუაციაა. მაშინ, როდესაც მსოფლიოს გიგანტი სახელმწიფოები ბანკების მხარდასაჭერად სახსრებს არ ზოგავენ, საქართველოს მთავრობა პირიქით – ფულს ართმევს ბანკებს (ფაქტობრივად ასეთად შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა კომერციულ ბანკებზე).

ბუნებრივია, კერძო საქტორში ფულის დაბანდება დიდ რისკს უკავშირდება, ამიტომაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას ბანკებს შესაძლებლობა ეძლევათ შედარებით დაბალი რისკებით დააბანდონ სახსრები. ეს, უდაოდ დადებითი ფაქტია, მაგრამ სახელმწიფო ფაქტობრივად კერძო ინვესტორების კონკურენტი გამოდის, რაც ისედაც შემცირებულ ბიზნეს–კრადიტებს კიდევ უფრო ამცირებს.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია სხვადასხვა ინსტრუმენტი ეფექტური მონეტარული პოლიტიკის განსახორციელებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის შეძლებს, როგორც ინფლაციური პროცესების მოთოკვას, ისე ბიზნესის განვითარებისათვის სასურველი გარემოს შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ვაჩნაძე, გ. თურქია, პ. ლომსაძე «ბიზნესი” ტ.II თბ., 2007;
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბ., 2009;
3. ვებ-გვერდები:

www.nbg.gov.ge;
www.geoeconomics.ge;
www.comersant.ge;
www.mof.ge

ქეთევან ამირანაშვილი
დავით ფაღავა

ხელმძღვანელი: პროფ. ნანა ოქრუაშვილი

ბარამბო _ ახალი მოთამაშე შოკოლადის ქართულ ბაზარზე

მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც მეფეთა სასმელს. მისი დაგემოვნება ყველას სურს და დაგემოვნების შემდეგ კიდევ და კიდევ ამ არომატის შეგრძნება. საერთაშორისო კაკაოს ორგანიზაცია მიახლოებითი ანგარიშით ადგენს, რომ შოკოლადის გაყიდვები მსოფლიოში 2009 წელს იყო 74.45 მლრდ. დოლარი. შოკოლადის მოხმარება ერთ სულზე ქვყნების მიხ 2009წ (კგ/წელიწადში): გერმანია - 11.12კგ, ბელგია - 11.03კგ, შვეიცარია - 10.74 კგ, გაერთიანებული სამეფო - 10.22 კგ, ავსტრია - 9.43 კგ. ევროპის მასშტაბით შოკოლადის ყველაზე დიდი ბაზრებია: გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საფრანგეთი. 2009 წლის მონაცემებით ერთი ადამიანის მიერ გაწეულმა ხარჯმა შოკოლადზე საშუალოდ შეადგინა: შვეიცარიაში – $206, ინგლისში – $106, ბელგიაში – $90, აშშ-ში – $55, არგენტინაში – $35.

2006 - 2008 წლის განმავლობაში საქართველოს შინამეურნეობებში მოხმარებული შოკოლადის რაოდენობა			
	2006	2007	2008
ქვეყანაში, სულ (ტონა)	1142,3	1189,9	1532,1
ერთ შინამეურნეობაზე (კგ)	1.1	1.2	1.5
ერთ სულზე (კგ)	0,3	0,3	0,4

ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდამდე ქართული შოკოლადის ბაზარი მხოლოდ იმპორტული პროდუქციით იყო წარმოდგენილი. სულ რაღაც 4 თვეა, რაც ქართულ ბაზარზე საკონდიტრო ქარხანა «ბარამბო» გამოჩნდა. თუმცა ქართული შოკოლადის ისტორია მხოლოდ «ბარამბოთი» არ შემოიფარგლება. ჩვენს ქვეყანაში ფაბრიკული ტიპის საწარმოები XX საუკუნის 30 წლებში დაარსდა. 1928 წ.ს თბილისში ამუშავდა №1 და №2 საკონდიტრო ფაბრიკები. 1965 წელს საკონდიტრო კონბინატი გადაკეტდა საკონდიტრო ფაბრიკად «მზიურის» სახელწოდებით. 1994-1995 წლებში სანედლეულო რესურსების დეფიციტის, ფინანსების უქონლობის და სამომხმარებლო ბაზარზე

დაბალი ხარისხის იმპორტული, იაფი პროდუქციის მოზღვავების გამო მან კონკურენციას ვეღარ გაუძლო და პრივატიზაციის შედეგად გაიძარცვა, ხოლო ძვირადღირებული მანქანა-დანდადგარები გაიყიდა. 2009 წელს «ბარამბოს» ქარხნის მშენებლობა 100%-ით ქართული ინვესტიციით განხორციელდა, რამაც 30 მლნ. დოლარი შეადგინა, ხოლო მანქანა-დანადგარები ძირითადად გერმანიიდან ჩამოიტანეს. შოკოლადის ხაზი ბელგიურია, ხოლო შესაფუთი მასალები იტალიური. «ბარამბო» თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიების მქონე პირველი საკონდიტრო კომპანიაა ამიერკავკასიაში, რომელიც მრავალფეროვანი ასორტიმენტით გამოირჩევა. იგი 2009 წლის 11 მარტს დაარსდა, ხოლო ბაზარზე 2010 წლის 8 თებერვალს გამოჩნდა. ქარხანა 9 ჰექტარ მიწის ნაკვეთზეა განთავსებული და სოფელ ნატახტარში მდებარეობს. «ბარამბოს» პროდუქცია პრემიუმ სეგმენტზე გათვლილი არ არის, ის ნებისმიერი ასაკისა თუ შემოსავლების მომხმარებელზეა ორიენტირებული. ადგილობრივი ტკბილეულის ბაზარი 100მლნ. დოლარის ღირებულებისაა, რომელიც თითქმის მთლიანად იმპორტირებულ პროდუქციას ეკავა «ბარამბოს” გამოჩენამდე.

თემაზე მუშაობისას მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ჩაგვეტარებინა კვლევა ქართული შოკილადის ბაზრის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მიერ გამოკითხულ იქნა ორასამდე ადამიანი მათ შორის როგორც უშუალოდ კითხვარებით აგრეთვე ონლაინ გამოკითხვით საიტზე conference.ge. კვლევა ჩატარდა 3 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით, ***შედეგები ასეთია:***

1) შოკოლადის ნაწარმის ყიდვის ინტენსივობა

ყოველდღე – 10%; კვირაში 3-ჯერ – 36%; კვირაში ერთხელ – 20%; იშვიათად – 30%; საერთოდ არ ვყიდულობ – 4%.

2) საშუალოთვიური დანახარჯი შოკოლადის ნაწარმზე



3) გამოკითხულთა ლოიალურობა ბრენდების მიმართ

«ალპენ გოლდი» – 21%; «ნესტლე» – 16%; «ბარამბო» - 7%; «კორონა» - 3%; «როშენი» – 2%; სხვა ბრენდები – 1%.

4) გამოკითხულთა დამოკიდებულება «ბარამბოს» ნაწარმის მიმართ



5) ბარამბოს ყიდვის ინტენსივობა ყოველდღე – 10%; კვირაში 3-ჯერ – 6%; კვირაში ერთხელ – 14%; იშვიათად – 48%; საერთოდ არ ვყიდულობ – 22%.

„ 4P“

საქონელი	ფასი
შოკოლადის ფილა	შოკოლადის ფილა - 1.90ლ
შოკოლადის ასორტი	შოკოლადის ასორტი - 1.50ლ
შოკოლადის ბატონი	შოკოლადის ბატონი - 7.50ლ (255გრ)
შოკოლადის კანფეტი	შოკოლადის კანფეტი – 6.50ლ (1კგ)
კარამელის კანფეტი	კარამელის კანფეტი (შიგთავსიანი და მის გარეშე) - 5ლ (1კგ)
გავრცელების საშუალებები	**სტიმულირების მეთოდები**
ჰიპერმარკეტები	რეკლამა
სუპერმარკეტები	პროპაგანდა
მარკეტები	
საგაჭრო ჯიხურები	

SWOT ანალიზი

სიძლიერეები	**სისუსტეები**
ქართული პროდუქტი; ხარისხი; ასორტიმენტის მრავალფეროვნება; ქარხნის სტრატეგიულად სწორი განლაგება; სოციალური პასუხისმგებლობა; ევროპული სტანდარტის აღჭურვილობა; ეფექტიანი სარეკლამო კამპანია; ბაზრის წილის ზრდა, რამაც შეასუსტა კონკურენტების პოზიციები.	მაღალი ფასები; ნაკლებად მიმზიდველი შეფუთვა კონკურენტებთან შედარებით; პოზიციონირების უქონლობა; სუსტი სადისტრიბუციო ქსელი.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
დარგის მომგებიანობის ზრდა; შოკოლადზე დამოკიდებულ მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა; მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ზრდა.	იმპორტული პროდუქცია (დაბალ ფასად); შოკოლადის ბაზრის მზარდი მიმზიდველობა, ახალი სუბიექტების გამოჩენა; კონკურენტების მიერ გატარებული გაყიდვების მასტიმულირებელი ღონისძიებები; საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა.

მომხმარებელი უფრო მეტად ლოიალურია ადგილობრივი წარმოების მიმართ, რაც გარკვეულ წილად ბარამბოს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს, თუმცა მომხმარებელს მხოლოდ პატრიოტული გრძნობების გამო ვერ შეინარჩუნებ. «ბარამბო» ამ მიმართულებით ბევრს მუშაობს და ცდილობს სრულად დააკმაყოფილოს მრავალფეროვანი მომხმარებლის მრავალფეროვანი მოთხოვნილებები.

ეფექტიანი სარეკლამო კამპანია «ბარამბოს» წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. პირველმა რეკლამამ «რა არის ბარამბო», რომელიც ინტენსიურად გადიოდა სატელევიზიო ეთერით, მომხმარებელში დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი ინფორმაციით (რომელიც რეკლამაზე მომუშავე ჯგუფის ერთ-ერთი წევრისგან მოვიპოვეთ) მისი მიზანი იყო 8 დღეში მოსახლეობის 60%-ს ცოდნოდა რა არის «ბარამბო». მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ქარხანა საზეიმოდ გახსნა და ეს ყველა წამყვანი ტელეკომპანიის ეთერით გაშუქდა საზოგადოებაში ამ სარეკლამო კამპანიის დაწყებამდე ბრენდის ცნობადობა მხოლოდ 5% იყო. «რა არის ბარამბო» იმ 8 დღის განმავლობაში პასუხების 12 გვერდი გაჩნდა გუგლში. ფორუმები სავსე იყო «ბარამბოზე» საუბრით. პირველმა საიმიჯო რეკლმამ გამოიწვია არნახული შედეგი, ჯამში 20 დღეში ცნობადობამ მიაღწია 80%-ს თბილისში. შემდგომი რეკლამა «ბარამბოსი» იყო პერსონაჟები, რომლებიც განასახიერებდნენ ამა თუ იმ ასორტიმენტს. ეს რეკლამა საზოგადოების მხრიდან, ძირითადად მშობლების მიერ ნეგატიურად იქნა აღქმული, კერძოდ ფრაზა «ნუ დაუჯერებთ მშობლებს». მოსალოდნელი შედეგი კომპანიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, თუმცა ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ თუკი მომხმარებლები გასინჯავდნენ, იმდენად მოეწონებოდათ «ბარამბოს»

პროდუქტი, რომ უფროსებს ნეგატივი დაავიწყდებოდათ, პატარებს კი საერთოდ არც გასჩენიათ, პირიქით პერსონაჟების სახით შეიძინეს მეგობრები.

სარეკლამო ფსიქოლოოგიის ერთ-ერთი პრინციპი გულისხმობს, რომ **«არ შეიძლება რეკლამა შეიცავდეს არაფერს ისეთს, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ეთიკურ-ფსიქო ნორმებს»** აღნიშნული პრინციპის დარღვევა არის სწორედ «ბარამბოს» სარეკლამო კამპანიის მოწოდება «ნუ დაუჯერებთ მშობლებს». ეს ფირმის იმიჯზეძალიან ცუდად აისახება. კომპანიას, როდესაც გრძევადიან ფუნქციონირებაზე აქვს პრეტენზია, მნიშვნელოვანია შექმნასა და შეინარჩუნოს დადებითი იმიჯი, რაც შემდგომში მის საქმიანობაზე პოზიტიურად აისახება.

ჩვენი აზრით რეკლამის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რაც გამორჩა «ბარამბოს» არის ის, რომ რეკლამა კონკრეტული მესიჯის მატარებელი უნდა იყოს. მასში უნდა იყოს გამოკვეთილი ის უპირატესობა, რითაც ჯობია კონკრეტული პროდუქტი კონკურენტისას. მათ რეკლამის საშუალებით **უნდა გამოკვეთონ და დაამტკიცონ მათი გამორჩეულობა, რატომ უნდა შევიძინოთ «ბარამბო» იმ ფასად რა ფასადაც გვთავაზობენ.**

მომხმარებელში ყველაზე დიდ უკმაყოფილებას იწვევს ფასები. **გამოკითხულთა მიხედვით «ბარამბოს» ფასისა და ხარისხის შესაბამისობა** შემდეგნაირად გამოიხატება.



«ბარამბოს» მარკეტინგის მენეჯერის განცხადებით *«იქედან გამომდინარე, რომ ჩვენთვის თავიდანვე პრიორიტეტს მაღალი ხარისხი წარმოადგენდა, ფასებიც სწორედ პროდუქციის ხარისხის შესაბამისია, ჩვენ გადავხედეთ ბაზარზე არსებულ ფასებს და ვეცადეთ მათ ფარგლებში ჩავმჯდარიყავით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პროდუქციის ხარისხი უფრო მაღალია ვიდრე ბაზარზე არსებული საქონლისა».* საბოლოო ჯამში მიუხედავად ბელგიური ნედლეულისა მომხმარებელი არომატში ვერ ხედავს უპირატესობას და შესაბამისად უფრო დაბალ ფასად ყიდულობს სხვა ბრენდს.

«ბარამბო» მასობრივ მარკეტინგს ახორციელებს, **ყველაფერი – ყველას ყოველგვარი სეგმენტირებისა და უპირატესობის წარმოჩენის გარეშე, ანუ პოზიციონირების გარაშე ცდილობს დაიკავოს თავისი ადგილი მაღალი კონკურენციის პირობებში.** *«თავიდან როდესაც დავიწყეთ სარეკლამო კამპანიაზე ფიქრი, ჩვენ ვგეგმავდით პოზიციონირებისათვის რეკლამის გაშვებას ტელევიზიით სადაც ნაჩვენები იქნებოდა*

ჩვენი ქარხანა და წარმოების პროცესი, თუმცა შემდეგ გადავიფიქრეთ და პირდაპირ საიმიჯო რეკლამებით დავიწყეთ. სამომავლოდაც ჯერ-ჯერობით არ გვაქვს დაგეგმილი მსგავსი რეკლამის გაკეთება, თუმცა ჩვენი პროდუქციის ხარისხის გასაცნობად, ტექნოლოგიური პროცესის სანახავად, ქარხნის დასათვალიერებლად ჩამოდიან სხვადასხვა რეგიონიდან ჯგუფები და ექსკურსიას ვუტარებთ ქარხანაში», აცხადებს ბარამბოს მარკეტინგის მენეჯერი ალეკო სტროგანოვი.

«ბარამბო» წლის ბოლოსათვის ბაზრის 20% ის დაკავებას გეგმავდა, თუმცა მისი მარკეტინგის მენეჯერის განცხადებით, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და ისინი უკვე შოკოლადის ბაზრის 25%ს იკავებენ. მათ გახსნისთანავე განაცხადეს, რომ მხოლოდ საქართველოს ბაზრით არ შემოიფარგლებოდნენ. პირველი ქვეყანა, რომელშიც გასვალს აპირებენ აზერბაიჯანია, რადგან იქ, შოკოლადის მოხმარების მხრივ უფრო დიდი ბაზარია ვიდრე საქართველოში და კარამელის მოხმარებითაც რამდენჯერმე აღემატება. ისინი აპირებენ ასორტიმენტის კიდევ გაფართოებას სექტემბრისთვის, რადგან ახლა უკვე შოკოლადის სეზონი ნელ-ნელა ილევა. თუმცა ჩვენი ინფორმაციით «ბარამბო» აპირებს ნაყინის ხაზის გაკეთებას.

«ბარამბო» სულ რამდენიმე თვეა, რაც ქართულ ბაზარზეა, თუმცა უკვე დიდ წარმატებას მიაღწია. მომხმარებლის მოზიდვა რთულია მაგრამ მათი შენარჩუნება კიდევ უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანია, რომ «ბარამბომ» მოახდინოს მიზნობრივი პოზიციონირება.მასობრივი მარკეტინგი, მკაცრი კონკურენციის პირობებში, კომპანიის წარმატებულ საქმიანობას ვერ უზრუნველყოფს. გრძელვადიანი ფუნქციონირებისათვის მან ბაზარი უნდა დაყოს სეგმენტებად, ფოკუსირება მოახდინოს მომხმარებელთა კონკრეტულ ჯგუფებზე და რაც მთავარია გაიჩინოს ერთგული მომხმარებელი. ჩვენი აზრით აუცილენლად გასატარებელი ღონისძიებებია საფასო პოლიტიკის და სარეკლამო კამპანიის შეცვლა, იმ უპირატესობებისა და მახასიათებლების წინწაწევა და გაცნობა მომხმარებლისათვის, რომელიც მას კონკურენტზე უფრო მაღალ პოზიციაზე დააყენებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1 . რ.ჯავახიშვილი, ნ.ოქრუაშვილი, მარკეტინგი, თბ., 2009;
2 . www.geostat.ge ;
3 . www.barambo.ge .

ლევან გობეჯიშვილი
გიორგი თადუმაძე

ხელმძღვანელი: პროფ. ნანა ოქრუაშვილი

ექსტრემალური ტურიზმის მარკეტინგი

საქართველო ტურისტული რესურსებით მდიდარი ქვეყანაა. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, ჩვენს ქვეყანაში ერთად არის მთა, ბარი, ზღვა და ამ ყველაფერს ემატება საქართველოს მდიდარი ისტორიული და კულტურული ძეგლების სიუხვე, რაც ასევე ძალიან მიმზიდველია ტურისტებისთვის. საქართველოში მრავლად არის ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილები და ჩვენს ქვეყანას აქვს იმის პოტენციალი, რომ მოიზიდოს მრავალი ტურისტი.

ბოლო პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ტურიზმის განვითარების საქმეში, თუმცა ამ მხრივ ჯერჯერობით საგრძნობლად ჩამოვრჩებით სხვა ქვეყნებს. მიუხედავად ამისა შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ტურიზმის განვითარების საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს.

საქართველოს ტურისტული ინდუსტრია მსოფლიო ბაზარზე ახალბედა მონაწილეა და ამიტომ ჯერ კიდევ ნაკლებადაა ადაპტირებული მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებთან.

აქტიური დასვენება და გართობა დღეს ტურიზმის ერთ-ერთი მაღალმოთხოვნადი დარგია. ამასთან ჩნდება მოთხოვნილება ექსტრემალური ტურიზმისადმი. ეს დარგი ძალიან სწრაფად მზარდია მსოფლიო ბაზარზე. საქართველოშიც მრავლადაა ისეთი ადგილი, სადაც ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულები შეძლებენ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ჩვენი ქვეყნის პოტენციალი ექსტრემალური ტურიზმის მხრივ ჯერ კიდევ აუთვისებელია როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტების მიერ, ამიტომ საჭიროა მარკეტინგული საქმიანობის წარმოება.

იმისათვის, რომ მარკეტინგულმა საქმიანობამ წარმატებას მიაღწიოს, აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. **ბაზრის შესწავლა;**
2. **საკუთარი შესაძლებლობების ანალიზი;**
3. **ტურიზმის განვითარების ხანგრძლივვადიანი სტრატეგიის აგება;**
4. **ქართული ექსტრემალური ტურიზმის მსოფლიო ბაქრის მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზება.**

ექსტრემალური ტურიზმის ბაზარი ძალიან სწრაფად მზარდი და პერსპექტიულია მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ექსტრემალურ ტურიზმზე, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ბაზრის ისეთ მსხვილ მოთამაშეებზე, როგორიცაა შვეიცარია, შვედეთი, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, ნორვეგია, ჩრდილოეთ ამერიკა და ასევე იაპონია. რა თქმა უნდა, ძნელია ყველა კონკურენტის შესწავლა, ამიტომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ზემოთ ჩამოთვლილ

ქვეყნებზე, რომლებიც ამ ბაზარზე დიდი ხანია არსებობენ და ექსტრემალური ტურიზმი მაღალ დონეზე ყავთ აყვანილი.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მასშტაბებისა და მათთან ამ დარგის მაღალ დონეზე განვითარებისა, ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს გააჩნია პოტენციალი იმისა რომ კონკურენცია გაუწიოს ამ ქვეყნებს და დაიკავოს ბაზარზე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი. იმისათვის რომ მოხდეს ჩვენი შესაძლებლობებისა და კონკურენტებს უთიერთშედარება, აუცილებელია საკუთარი რესურსებისა და პოტენციალის ანალიზი.

ამჟამად საქართველოში ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულები შესაძლებელია დაკავდნენ სხვადასხვა სახის აქტივობით, ესენია: სამთო-სათხილამურო სპორტი, დაივინგი, რაფტინგი, პარაპლანინგი, სპალეოტურიზმი, ალპინიზმი, მთის ველოსიპედით სეირნობა, მეკლდეურობა და ყინულზე ცოცვა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სახეობებიდან საქართველოში ყველაზე მეტად განვითარებულია სამთო-სათხილამურო სპორტი, გადავწყვიტეთ უფრო დაწვრილებით განგვეხილა სპორტის ეს სახეობა.

სამთო-სათხილამურო სპორტი

საქართველოში ორი საერთაშორისო სტანდერტების სამთო-სათხილამურო კურორტი არის: გუდაური და ბაკურიანი, რომლებიც დამსვენებლებს ყველა სირთულის ბილიკებს სთავაზობენ. ამასთან კავკასიონის მთები ნამდვილი სამოთხეა ჰელი-სქის მოყვარულებისთვის.

ბაკურიანისა და გუდაურის სათხილამურო ბილიკები გათვლილია როგორც დამწყები ასევე პროფესიონალი მოთხილამურეებისთვის. გუდაური ჰელი-სქის მოყვარულებს სთავაზობს ამოუწურავ შესაძლებლობებს. მათ საშუალება აქვთ დაეშვნენ 1500-დან 4200-მდე მეტრი სიმაღლის ფერდობებიდან.

ამ ორი კურორტის გარდა სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარება შეიძლება ზემო აჭარაში კერძოდ ხულოში, გურიაში კერძოდ, კი ბახმაროსა და სვანეთში. მესტიის მიდამოებსა და ეწერაში შესალებელია სპორტული ტურიზმის (სამთო-სათხილამურო) განვითარება ნოემბრის დასაწყისიდან მაისის ჩათვლით. მესტიასთან ახლოს, უშბის პლატოზე შესაძლებელია სპორტული შეჯიბრების მოწყობა, ხოლო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის შემთხვევაში, სამთო-სათხილამურო ტურიზმის ფუნქცი-ონირება შესაძლებელი გახდება მთელი წლის განმავლობაში. მესტიასტან არის ადგილი ლაგუმეერი, რომელიც ევროპაში უნიკალურია იმით, რომ აქ მთელი ზაფხულის განმავლობაშიც შეიძლება სათხილამურო ტურიზმის განვითარება. ზაფხულში ამ სათხილამურო მონაკვეთის სიგრძე 1 კმ-ია, რაც აღემატება ევროპის ზაფხულის სათხილამურო ადგილების სიგრძეს.

ამ დარგის მასშტაბებზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები:

2010 წლის მონაცემებით მოთხილამურეთა საერთო რაოდენობმ 100 მილიონს გადააჭარბა, ხოლო სამთო სათხილამურო ცენტრების რაოდენობა კი 4000-ზე მეტია.

ჩვენ მოვიძიეთ ინფორმაცია ყაზბეგის რაიონში კერძოდ გუდაურში მოქმედ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ჩამოსულ სტუმართა რაოდენობის შესახებ 2009წლის 1 იანვრის მონაცემებით. სულ მათმა რაოდენობამ შეადგინა 18503 დამსვენებელი. მათ შორის შედიოდნენ ევროპისა და მსოფლიოს

წამყვანი ქვეყნებიდან და ასევე ჩვენი მეზობელი სახელმწიფოებიდან ჩამოსული ტურისტები. შესაბამისად ჩვენ დავინტერესდით ამ ქვეყნების ტურისტული შესაძლებლობებით და მოვიძიეთ ინფორმაცია ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტების რაოდენობის შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ ყველა საერთაშორისო მოთხოვნებს: ავსტრია-264; საფრანგეთი-216; შვეიცარია-120; ფინეთი-36; ბულგარეთი-5; Gგერმანია-74; ნორვეგია-52; პოლონეთი-15; სლოვაკეთი-53; ესპანეთი-25; შვედეთი-28; უკრაინა-2; აშშ-431; კანადა-174; ახალი ზელანდია-27; აფრიკა-3; არგენტინა-3; ავსტრალია-13; ჩილე-12.

ეს სტატისტიკის დეპარტამენტმა ასევე მოგვაწოდა ინფორმაცია შტეფან წმინდის რაიონში, კერძოდ კი, გუდაურში მოქმედი სასტუმროების ნომრებით სარგებლობიდან შემოსავლები 2009 წლის 1 იანვრის მონაცემებით რომელიც უდრის 2871.7 ათას ლარს უდრიდა.

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი რესპოდენტები. მათ, დასმულ კითხვაზე, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რომელი იმოქმედებდა მათ გადაწყვეტილებაზე დაესვენათ საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე, მივიღეთ შემდეგი პასუხები. 117 გამოკითხულიდან 24% უპირატესობას ანიჭებდა ფასებს, 22% - სათხილამურო მონაკვეთებისა და საბაგირო გზების ხარისხს, 18% - სასტუმროების მომსახურების დონეს, 15% - ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას, 12% -ინფრასტრუქტურას, 8% - საჭირო ინვენტარის ხელმისაწვდომობას.

რაც შეეხება უცხოელებს, მათმა უმრავლესობამ საერთოდ არაფერი იცოდა საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე და, რა თქმა უნდა, მათ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას.

მსოფლიო ბაზარზე საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტების ინტეგრირებისათვის, აუცილებელია ჩვენ ქვეყანაში არსებობდნენ ისეთი ასოციაციის წევრი ტურისტული სააგენტოები, როგორიცაა WATA (World Association of Travel Agencies). WATA არის ტურისტული სააგენტოების მსოფლიო ასოციაცია, რომელშიც გაწევრიანებულია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წამყვანი ტურისტული სააგენტოები და ტუროპერატორები, ისეთები როგორიც არიან: BBS - BERLINER BAREN SERVICE – GERMANY; BASSANI – ITALY; HOLT PARIS WELCOME SERVICE – FRANCE; I.C.I. INTERNATIONAL – ITALY; SKY TRAVEL – UKRAINA; WATA - Great Britain - GREAT BRITAIN; WATA Denmark - DENMARK; MANHATTAN PASSPORT – USA; ESCAPE TRAVEL LTD – RUSSIA; SAGA VIAGENS LDA – PORTUGAL; BITS – BELGIUM; NUEVA VISTA ARMENIA TOURS – ARMENIA; MORIS TOURISM – TURKEY; SM TRAVEL – SWITZERLAND; THE TRAVEL EXPERIENCE – FINLAND; TRITON HOLIDAYS – GREECE; WATA Netherlands – NETHERLANDS; WATA Norway – NORWAY; WATA Poland – POLAND; WATA Canada – CANADA.

S W O T–ანალიზი

Strengths - სიძლიერე	Weaknesses - სისუსტეები
- დაბალი ფასები - ბუნებრივ-კლიმატური პირობები	- მომსახურების დაბალი ხარისხი - არასრულყოფილი ინფრასტრუქტურა - სტიმულირების მეთოდების სიმცირე საქართველოში და მისი არ არსებობა უცხოურ ბაზარზე
Opportunities - შესაძლებლობები	Threats - საფრთხეები
- აქტიური სარეკლამო კამპანიის მეშვეობით საბაზო წილის ზრდა. - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - ახალი კურორტების შექმნის პოტენციალი. - საზაფხულო სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარება.	- არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა - ეკონომიკური არასტაბილურობა - ბუნებრივ-კლიმატური გარემო და მასთან დაკავშირებული საფრთხეები - ძლიერი კონკურენტები

ამ თემაზე მუშაობისა და SWOT ანალიზის განხილვის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე რომ საქართველოში სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებისთვის სასარგებლო იქნება შემდეგირეკომენდაციების გათვალისწინება. პირველ რიგში აუცილებელია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომლის დაფინანსების წყაროც შიეძლება იყოს როგორც ადგილობრივი ბიუჯეტი, ასევე მოზიდული უცხოური ინვესტიციები. მაგალითად, გუდაურს გააჩნია უნიკალური თოვლის საფარი მაგრამ არ არის შესაბამისი საბაგირო და სათხილამურო გზები, აუთვისებალია მრავალი ადგილი. საჭიროა გზებისა და სასტუმროების მშენებლობა და კეთილმოწყობა, საჭიროა ასევე შეიქმნას ჯანსაღი კონკურენტული გარემო რომელიც საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ფასების მინიმიზება და ამავდროულად ხარისხის გაზრდა. ყურადრება უნდა მიექცეს პოლიტიკურ სიტუაციას, კერძოდ, თავიდან უნდა ავიცილოთ როგორც შიდა ასევე გარე პოლიტიკური კონფლიქტები. ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სტიმულირებას. ინფორმაციის გავრცელების წყაროები უნდა იყოს როგორც ინტერნეტ, ასევე წამყვანი ტელეარხები, სადაც დაწვრილებით იქნება საუბარი საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე და ხაზი გაესმება მათ უპირატესობებს. ინფორმაციის განთავსება უნდა მოხდეს ასევე სხვადასხვა უცხოური სააგენტოების კატალოგებში, რომლებიც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხოურ მომხმარებლებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. კოჭლამაზაშვილი, ს. თევდორაძე, მარკეტინგი ტურიზმში, თბილისი, 2009 წ.ლ;
2. გ. ხომერიკი, ტურიზმი, თბილისი, 2008 წ.;
3. ჯუმბერ კახიანი, საქართველო ტურიზმისა და ალპინიზმის ქვეყანა, თბილისი, 2002 წ.;
4. www.georgia.travel;
5. www.j2ski.com.

გელაშვილი ქეთევანი
ლორია ნინო

ხელმძღვანელი: პროფ. ნანა ოქრუაშვილი

GLC – ლატარიის ბიზნესის მონოპოლისტი

თანამედროვე საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს აზარტული თამაშები, რომლებიც მოსახლეობის თითქმის ყველა ფენისა და ასაკის ადამიანებისათვისაა მიმზიდველი. აზარტული თამაშების განსაკუთრებულად პოპულარული სახესხვაობაა ლატარია. სტატისტიკური მონაცემებით, მსოფლიოში ლატარიის ბიზნესი ყოველწლიურად 10%-ით იზრდება. ლატარიის ბიზნესში საშუალო წლიური ბრუნვა 180 მლრდ ამერიკულ დოლარს შეადგენს (აშშ - 30 მლრდ დოლარი; გერმანია - 6 მლრდ დოლარი; იაპონია - 8მლრდ დოლარი და ა.შ). მარტივი გაანგარიშებით გამოდის, რომ ერთი კაცი საშუალოდ 20 დოლარს ხარჯავს ლატარიის სათამაშოდ ყოველწლიურად.

თითქმის ყველა ქვეყანაში ლატრიის ბიზნესს სახელმწიფო აკონტროლებს მკაცრად განსაზღვრული კანონებითა და ნორმატიული აქტებით. მათ შორის საქართველოშიც, ლატარიის ბიზნესი კონტროლდება ფინანსთა სამინსტროს მიერ. **საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე უფლებამოსილ იურიდიულ პირს** შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია» **წარმოადგენს. ტენდერი ჩატარდა 2009 წლის 12 ივლისს ფინანსთა სამინისტროში, რის შედეგადაც 10 წლიანი უფლება ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებაზე მხოლოდ ამ კომპანიას მიენიჭა. შპს «საქართველოს ლატარიის კომპანია» ტენდერის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე შეიქმნა. კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ლექსორ კაპიტალ კორპია». ეს კომპანია ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული. ქართული კომაპნიის გენერალური დირექტორია ალექსანდრეგოგოხია. მართვას ქართველებთან ერთად ჰონკონგის ჯგუფი და ებრაული მხარე ახორციელებენ. კომპანიაში 250 მუდმივი თანამშრომელი მუშაობს და 4000-მდე სავაჭრო აგენტია ჩართული მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს ლატარიის კომპანია აერთიანებს კომპანიებს ჰონკონგიდან, ისრაელიდან ბრიტანეთიდან, კანადიდან და საქართველოდან. დირექტორთა საბჭოც აღნიშნული ქვეყნების წარმომადგენლების მიერ არის დაკომპლექტებული.**

საქართველოს ლატარიის კომპანია იყენებს უაღრესად დახვეწილ ტექნოლოგიას, რომელიც მოიცავს მულტინაციონალური მასშტაბის ტრანზაქციების კომპლექსურ სისტემას; აგრეთვე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების, მონიტორინგისა და ღრმა ანალიზის სისტემას, დაცულობის უმაღლესი ხარისხის მქონე და მოქნილ მობილურ ტერმინალებს, რომალებიც საქართველოს ლატარიის კომპანიას გადასცა ჰონკონგურმა კომპანიამ **Game Solutions Inc.**

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას» შემუშავებული აქვს უნიკალური მარკეტინგული კომპლექსი, რომელშიც ნათლად ჩანს თუ რა პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს, რა ფასად, სად შეიძლება მათი შეძენა და რა გასაღების სტიმულირების

საშუალებებს მიმართავს, რათა მოახდინოს პროდუქტის სასურველი რაოდენობის რეალიზაცია.

შპს «საქართველოს ლატარიის კომპანიამ» ბილეთების გაყიდვით მიღებული თანხის მინიმუმ 45% საპრიზო ფონდში უნდა მოათავსოს, თუმცა, როგორც ლატარიის კომპანიაში აცხადებენ, ეს თანხა 46.5%-ს შეადგენს. გადასახადის სახით, ბიუჯეტში ლატარიიდან 21.5% შედის. დარჩენილი 32% კი ხარჯებსა და კომპანიის სუფთა მოგებაზე ნაწილდება. მოგების ზუსტი რაოდენობა კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს. ლატარიის კომპანია კანონით იღებს ვალდებულებას, რომ კულტურისა და სპორტის განვითარებაში თავის წვლილს შეიტანს. ეს შენატანი ბიუჯეტში გადახდილი თანხის (მთლიანი შემოსავლის 21.5%-ის) 75% უნდა იყოს. საქართველოს ლატარიის კომპანიას, როგორც საზოგადოების ნაწილს, მზრუნველობის ქვეშ ჰყავს

„4P“

საქონელი „მე-9 ცა“ „კამათელი“ „შვიდიანი“ „ლოტო 6/49“ „რულეტკა“	გასაღების მეთოდები - საქართველოს ლატარიის კომპანიის სერვის ცენტრი - ლიბერთი ბანკის ფილიალები - თბილისი მეტროსადგურები - ჰიპერმარკეტი გუდვილი, პოპული - საქართველოს ლატარიის მობილური სერვისცენტრები - პრესის ჯიხურები და სხვა საგაჭრო ობიექტები - ყველგან სადაც „მომგებიანი ბილეთისა“ და ლოტო 6/49-ის ლოგო არის გამოსახული
ფასი „მე-9 ცა“ - 1 ლარი „კამათელი“ – 1 ლარი „შვიდიანი“ - 1 ლარი „ლოტო 6/49“ – 2 ლარი „რულეტკა“-1 ლარი	სტიმულირების მეთოდები - რეკლამა - პროპაგანდა - გასაღების სტიმულირება

აყვანილი სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება.

2009 წლის დასაწყისში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ლიცენზიას ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობის შესახებ «ეროვნული ლატარიის ფონდის» ნაცვლად უკვე ფინანსთა სამინისტრო გასცემს. ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც ფინანსთა სამინისტრომ გამარჯვებული კომპანია გამოავლინა, იყო ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული ბილეთების ჯამური ღირებულების მაქსიმალური ოდენობის თანხის შეთავაზება სახელმწიფოსათვის. შპს «საქართველოს ლატარიის კომპანიამ», რომელიც ქვეყანაში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების 10 წლიანი ექსკლუზიური ლიცენზიის მფლობელი გახდა, წარადგინა სატენდერო წინადადება, რომ გაყიდული ბილეთებიდან მთლიანი დაგეგმილი

შემოსავალი 10 წლის განმავლობაში 4 248 129 000 ლარი იქნება, საიდანაც, სახელმწიფო ბიუჯეტში 913 351 000 ლარს გადაიხდის.

რომლებიც თან სდევს კომპანიას (ან შესაძლებელია წარმოეშვას) ბაზარზე არსებობის პერიოდში.

SWOT ანალიზი

სიძლიერეები • მონოპოლისტური პოზიცია • სახელმწიფოს თანადგომა • კარგად დამუშავებული ფუნქციონალური სტრატეგია • ეფექტური სარეკლამო კამპანია • გამოცდილი მენეჯმენტი • მოქნილი სადისტრიბუციო ქსელი • ფასებზე სრული კონტროლი • წარმატებული მარკეტინგი	**სისუსტეები** • მაღალი დამოკიდებულება ქვეყნის მმართველ სტრუქტურაზე. • მაღალი ფასი ბილეთებზე
შესაძლებლობები • საკანონმდებლო ცვლილებები	**საფრთხეები** • საკანონმდებლო მოთხოვნების შეუსრულებლობა • გაყიდვების სტაბილურობის შენარჩუნების სირთულე • მაღალი დამოკიდებულება მოთხოვნის ცვლილებებზე • მომხმარებლის გემოვნების ცვლილება • ნდობის დაკარგვა საზოგადოების მხრიდან • ეკონომიკური პირობები • პოლიტიკური ცვლილებები

რა გათვლები აქვს კომპანიას და რა მოხდება, თუ კი კომპანიის შემოსავლები დაგეგმილზე ბევრად ნაკლები იქნება? - პასუხი ამ კითხვაზე არ გვაქვს იმიტომ, რომ სახელმწიფომ ამ საკითხზე ინფორმაციის გაცემა აკრძალა. სატენდერო პირობების თანახმად საქართველოს ლატარიის კომპანიამ 4,2 მლრდ ლარის თანაბრად მიღებისათვის 10 წლის განმავლობაში ყოველდღე საშუალოდ 1,1 მლნ ლარის ღირებულების ბილეთი უნდა გაყიდოს. ბაზრის ძველი მოთამაშეები კი იხსენებენ, რომ მათ მიერ გაყიდული ბილეთებიდან შემოსავალი კვირაში 50 000-დან 100 000 ლარამდე მერყეობდა, უხეში გათვლებით 10 წლის განმავლობაში ორივე ერთად 100 000 000 ლარის შემოსავალს მიიღებდა, რაც საქართველოს ლატარიის კომპანიის დანაპირებზე 42-ჯერ ნაკლებია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ «ფენიქსის» და «ჯეოლატის» და «საქართველოს ლატარიის კომპანიის» ფინანსურ შესაძლებლობებს შორის განსხვავება დიდია და ამ უკანასკნელს უპირატესობას არაკონკურენტული გარემოც ანიჭებს.

ჩვენ დავინტერესდით გაგვერკვია ზოგადად მომხმარებელთა დამოკიდებულება კომპანიასა და მის პროდუქტებისადმი. ჩავატარეთ მინი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 600-ზე მეტმა ადრესატმა. კველვის მიზანს წარმოადგენდა გაგვერკვია GLC-ის პროდუქტის რეიტინგი, გაყიდვების ტენდენცია, მომხმარებლის

ასაკობრივი კატეგორია, პროდუქტის შეძენაზე გაწეული თვიური დანახარჯი და თუ რამდენად მისაღები ფასია დაწესებული პროდუქტზე.

ინფორმაციის შეჯერების შედეგად მივიღეთ შემდეგი შედეგები:

ყველაზე მაღალი რეიტინგით ლოტო 6/49 სარგებლობს, რომელიც ქართულ ბაზარზე 2009 წლის 29 დეკემბერს გამოჩნდა. კომპანიის კლიენტებს ძირითადად 35-დან 60-მდე ასაკობრივი კატეგორიის ადამიანები წარმოადგენენ. საშუალოდ თვეში მომხმარებლების 44% ლატარიის ბილეთებზე 30-60 ლარს ხარჯავს. რაგინდ გასაკვირი იყოს მომხმარებელთა 2% თვეში ბილეთების შესაძენად 100 ლარზე მეტსაც ხარჯავს. რაც შეეხება ფასებს: გამოკითხულთა 78%-მა დაასახელა, რომ ფასი ძალზედ მაღალია, მხოლოდ 15% თვლის მას მისაღებად, დანარჩენები კი თვლიან რომ ფასი დაბალია (7%).

ლატარიის თამაშს მსუბუქი აზარტი აქვს. გინდა რომ ჯეკპოტი მოიგო. ხანდახან 1 ან 2 ლარი არაფერი არ არის და უცებ შეიძლება ეს თანხა მილიონად გექცეს. თამაშის წესი აქ ერთია – უნდა გაგიმართლოს. ამ იმედით საზრდოობენ ქართველი







მოთამაშეები, რომლებიც ბოლო თეთრებს თავს უყრიან და ყიდულობენ ლატარიის ბილეთებს.

გამომდინარე იქედან, რომ კანონი შეუქცევადია, საქართველოს ლატარიის კომპანია იქნება ფირმა-მონოპოლისტი ქართულ ბაზარზე მომდევნო 10 წლის განმავლობაში. ამასთან მისი "პროდუქტი" არ წარმოადგენს მომხმარებლისათვის ყოველდღიური მოხმარების საგანს. ამიტომ კომპანიამ უნდა შეიმუშავოს ისეთი სტრატეგია, რომელიც დაეხმარება გრძელვადიან პერიოდში სტაბილური გაყიდვებისა და მოგების შენარჩუნებაში.

ჩვენი რეკომენდაცია იქნება შპს «საქართველოს ლატარიის კომპანიამ» მიმართოს სხვადასხვა საქველმოქმედო პროექტებს, გააძლიეროს თავისი სოციალური პასუხისმგებლობა, მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებისათვის საკეთილდღეო საქმეებში. ეთიკური მარკეტინგის სტრატეგიის განხორციელებასა და საქველმოქმედო აქციების პატრონაჟს დადებითი გავლენა ექნება მომხმარებლებზე, რაც მისი მომავალი წარმტებული საქმიანობის საწინდარი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ.ჯავახიშვილი, ნ.ოქრუაშვილი- მარკეტინგი, თბ., 2009 წ.;
2. ლ.დოლიკაშვილი - საქმიანი ურთიერთობები, თბ., 2007;
3. www.georgianlottary.ge;
4. www.geostat.ge.

მადონა მანჯგალაძე
ალექსანდრე სტეფნაძე

ხელმძღვანელი: პროფ. ნიკო კვარაცხელია

ტურისტული ფირმების WEB გვერდების ანალიზი

თანამედროვე ტურიზმში შეუძლებელია ტურისტულმა ფირმამ წარმატებულად იმუშაოს საკუთარი ვებ-გვერდის გარეშე ინტერნეტში განთავსებული ვებ-გვერდი მოითხოვს იგივე ინფორმაციას, როგორც ტურისტული კატალოგი. ამდენად, ტურისტულმა ფირმამ მასალების შეგროვებისას უნდა ერთდროულად იზრუნოს კატალოგზეც და ვებ-გვერდზეც. ვებ-გვერდის შინაარსი დადიზაინი განვითარდა საქართველოში ინტერნეტის ქსელის განვითარებასთან ერთად.

უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა პერსონალური კომპიუტერისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და საიმედოობა, რაც საერთაშორისო ბიზნესის ისტორიაში წარმოადგენს კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებას და მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ზრდას მომსახურების სფეროში. ამჟამად ტურისტული მომსახურების რეკლამის განთავსება ინტერნეტის ქსელში გაცილებით ეფექტურია, ვიდრე რადიოსადგურების ან სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენება, ვინაიდან მსოფლიო პრაქტიკაში უკვე არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც ტურისტული ფირმა იზიდავს კლიენტებს მხოლოდ ინტერნეტ რეკლამის საშუალებით და გააჩნია გაყიდვების მნიშვნელოვანი მოცულობა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში ტურისტულ მომსახურებას, გაყიდვების მოცულობის სიდიდით ინტერნეტში უკავია პირველი ადგილი. სამსახურმა Nielsen entreating და კომპანია Harris interactive განაცხადეს, რომ ონლაინური ტურიზმის ბაზრის მოცულობამ 2001 წლის იანვარში მიაღწია 1,2 მილიარდ დოლარს და მოიცვა მთელი ონლაინური ოპერაციების ერთი მესამედი, რომელთა საერთო მოცულობამ შეადგინა 3,8 მილიარდი დოლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ 2001 წელს დარგის ბრუნვა გაიზარდა 29%-ით, 946 მილიარდი დოლარიდან, რომელიც დახარჯული იქნა ონლაინურ ტურიზმზე 2000 წლის აგვისტოში. ხოლო 2000 წლის იანვრიდან, 2001 წლის იანვრამდე პერიოდის განმავლობაში ხუთი უმსხვილესი ტურისტული ვებ-ვერდის მოხმარების მაჩვენებელი გაიზარდა 42%-ით და მიაღწია 22 მილიონ ვიზიტს. ამრიგად დღეს ონლაინური ტურიზმი გვევლინება ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ, ვერტიკალურ ბაზრად, სადაც ოპერაციების 64% ხორციელდება ინტერნეტის საშუალებით, როდესაც იმავდროულად დანარჩენ დარგებში ეს მაჩვენებელი შეადგენს 30%-40%-ს.

ონლაინური ტურისტული რესურსები შეიძლება დავყოთ როგორც:
სპეციალიზირებული ტურისტული პორტალები და ვებ-გვერდები;

ზოგადი დანიშნულების ვებ-ვერდები, სადაც განთავსებულია ტურისტული ინფორმაციის განყოფილებები;

ტურფირმა ტუროპერატორის ვებ-გვერდები;

ტურფირმა ტურაგენტების ვებ-გვერდები;

მოგზაურთა პირადი ვებ-გვერდები.

ტურისტული პორტალები არის ონლაინური რეკლამის სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ რეკლამის განმთავსებლებს ანუ ტუროპერატორებს და ტურაგენტებს საკუთარი მომსახურების გაყიდვაში. ისინი მომხმარებელს სთავაზობენ ტურისტული თემატიკის საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაციას როგორიცაა: ინფორმაცია ქვეყნების შესახებ, ამინდის პროგნოზი, ავიარეისებისა და მატარებლების განრიგი, ინფორმაცია ვიზებზე, პასპორტებზე, მითითება სხვა ტურრესურსებზე, სასარგებლო რჩევები და ა. შ. და როგორც მომავალი შუამავლები, პორტალები ტურფირმებს აძლევენ შესაძლებლობას განაცხადონ საკუთარი თავისა და ტურპროდუქტის შესახებ, ხოლო საბოლოო მომხმარებელს შეიტყონ ტურისტულ ფირმებსა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, ისე, რომ ინტერნეტში საჭირო ტურისა და ინფორმაციის ძიებაზე არ დახარჯონ დიდი დრო და ძალები.

ტურფირმა ტუროპერატორის ვებ-გვერდები დანიშნულების მიხედვით, შეიძლება დავყოთ, როგორც:

_ სავიზიტო ბარათი;

_ ვებ-ვიტრინა;

_ სისტემა ტუროპერატორი-ტურაგენტი.

_ **სავიზიტო ბარათი** ფირმის წარდგენის ყველაზე მარტივი ფორმაა, რომელიც მხოლოდ რამოდენიმე გვერდისგან შედგება და ხასიათდება დაბალი ფასებით.

_ **ვებ-ვიტრინა** ფირმის წარდგენის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა, რომელიც წარმოადგენს ვებ-გვერდების კრებულს, სადაც აღწერილია ის ქვეყნები, კურორტები და

სასტუმროები, რომლებსაც მოცემული ტუროპერატორი სთავაზობს თავის ვიზიტორებს.

_ **სისტემა ტუროპერატორი-ტურაგენტი** არის ტურების ბრონირების შიდაკორპორაციული სისტემა, რასაც ძლიერი ტუროპერატორები ანხორციელებენ ინტერნეტის საშუალებით.

ტუროპერატორის მსგავსად ტურაგენტსაც შეიძლება ჰქონდეს ვებ-ვიტრინა და სავიზიტო ბარათი, თუმცა მას ასევე გააჩნია ვებ-გვერდის კიდევ ერთი განსხვავებული ფორმა «ტურისტული ელექტრონული მაღაზია», რომელიც გვთავაზობს თითოეული ტურის დეტალურ აღწერას და თითოეულ სასტუმროს, განთავსების შესატყვისი ფასებით. ელექტრონული მაღაზიის უპირატესობა ის არის, რომ იგი ხელს უწყობს ისეთი ელემენტების გაქრობას, როგორიცაა უნდობლობა უცნობი ფირმის მიმართ და კომპანიის საიმედო იმიჯის შექმნას.

ქართულ ტურისტულ ბიზნესში ინტერნეტის გამოყენების მდგომარეობის გამოვლენის მიზნით, ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა, რისთვისაც წამყვანი ტურისტული ფირმების: Caucasus travel, visit Georgia და Georgika travel ადმინისტრაციისათვის შედგენილი იქნა კითხვარი, რომელმაც ნათლად გამოავლინა საქართველოს ტურისტულ ბიზნესში ონლაინური ტურიზმის განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები.

აღნიშნულმა ტურფირმებმა, ინტერნეტის გამოყენება საკუთარი თავის წარდგენისა და ტურპროდუქტის რეკლამის მიზნით დაიწყეს 1997-1998 წლებში, როდესაც ინტერნეტის საძიებო სისტემებში გაჩნდა მათი პირველი ვებ-გვერდები, სადაც ფირმის რეგისტრაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1) პირველი ეტაპი არის ფირმის სახელწოდების რეგისტრაცია, რომელსაც ეწოდება "domain", რაზედაც ქართული ტურფირმები წელიწადში ხარჯავენ 10-დან 40-დოლარამდე;

2) მეორე ეტაპს წარმოადგენს ''hosting'', რომელიც გულისხმობს ინფორმაციის კონკრეტულ, ფიზიკურ ადგილმდებარეობას, რაზედაც ქართული ტურფირმების მიერ წელიწადში იხარჯება 80-დან 500- დოლარამდე;

3) მესამე ეტაპი მოიცავს სამუშაოებს უშუალოდ ვებ-გვერდის დიზაინის შექმნაზე და გულისხმობს წელიწადში ერთჯერადი თანხის დახარჯვას 700-დან 3000 დოლარამდე;

4) მეოთხე ეტაპზე ხდება ვებ-გვერდის ადმინისტრირება ანუ ინფორმაციის დადება, რასაც სჭირდება მუდმივი მეთვალყურეობა ონლაინ ოპერაციების ადმინისტრატორის მიერ, რომლის მოვალეობაა ინფორმაციაში ცვლილებების შეტანა და მისი განახლება.

ვებ-გვერდის წარდგენა და რეკლამირება ხდება სხვადასხვა სისტემების საშუალებით, კერძოდ ტურფირმები იყენებენ ლინკების გაცვლის სისტემას, რაც გულისხმობს ანალოგიური თემატიკის ვებ-გვერდების მისამართების ერთმანეთზე დადებას პარტნიორულ ფირმებთან. ასევე ფირმები სარგებლობენ ბანერების გაცვლის სისტემით და GOOGLE-ის საძიებო სისტემით, სადაც ვებ-გვერდის განთავსების ღირებულება იცვლება ტურფირმის რეიტინგის მიხედვით ანუ ტურფირმა მაღალი რეიტინგის შესანარჩუნებლად იხდის მეტს, ვიდრე ქვედა რიგებში არსებული ტურფიემები.

აღნიშნული ფირმებიდან ყველაზე მაღალი ინტერნეტ შეკვეთების მაჩვენებელი გააჩნია კავკასუს ტრეველს. რაც შეეხება ქართულ ინტერნეტს აქ რეკლამის განთავსება არ ხდება. ქართული ტურისტული ფირმები უპირატესობას ანიჭებენ უცხოურ ტურისტულ პორტალებსP და საძიებო სისტემებს.

კერძო ტურისტული რეკლამა:

- ნაბეჭდი პროდუქცია მხოლოდ 4 ტურისტულ ფირმას: 1. კავკასუს ტრეველს, 2. საქტურს, 3. ვიზიტ-ჯორჯიას, 4. გეორგიკა ტრეველს გააჩნიათ კატალოგის სახით გამოშვებული პროდუქცია, ხოლო დანარჩენი ტურისტული ფირმების რეკლამა ამოიწურება მცირე ზომის ბროშურებით;
- ვიზუალური რეკლამა: მხოლოდ ზემოთნახსენები ფირმები უშვებენ საკუთარი ფირმის წარწერებით სარეკლამო პლაკატებს. მათგან კავკასუს ტრეველს გააჩნია 11 დასახელების პლაკატი.
- ვირტუალური რეკლამა: შემდეგ ტურსისტულ ფირმებს გააჩნიათ ვებ-საიტი ინტერნეტში:

1. კავკასუს ტრეველს - http//caucasus-travel.com.ge;
2. საქტურს - http//erkareisen.de;
3. ვიზიტ-ჯორჯიას - http//visitgeorgia.ge;
4. გეორგიკა ტრეველს - http//georgica.caucasus.net.

● რეკლამა მასმედიაში: აღნიშნული ფირმები ფინანსების სიმწირის გამო ვერ აკეთებენ უცხოეთის მასმედიაში სარეკლამო ინფორმაციებს.

მსოფლიოში მილიარდზე მეტი მომხმარებელი იყენებს ინტერნეტ მომსახურებას. ინტერნეტის საშუალებით ელექტრონული მარკეტინგი აძლევს ტურისტულ ცენტრებს ახლა შესაძლებლობას გაყიდონ ტურისტული პროდუქტი. ვირტუალურ ბაზრობაზე მთავარი მისწრაფებაა უმავთულო ტექნოლოგიის განვითარება, როგორიცაა 3 თაობის (3G) მობილური ტელეფონი, ციფრული ასისტენტი (PDA) და უკაბელო ლეპტოპი.

ინტერნეტი ამცირებს სირთულეებს, გამოყავს გეოგრაფიული იზოლაციიდან, ამარცხებს ძნელად მიღწევადობას და ლახავს ენობრივ ბარიერს. ეს არის შესაძლებლობა გამოიტანო მსოფლიო ბაზარზე დაფარული ტურისტული რესურსი.

ტურინდუსტრიისათვის ინტერნეტი არისმარკეტინგისა და გაყიდვების მძლავრი ინსტრუმენტი. ინტერნეტით ხშირად იძენენ სასტუმროთა ნომრებს, ავიაბილეთებს. დღეს ძალიან იოლი შესაკვეთია ნომერი სასტუმროში როგორც სპეციალიზირებულ ტურისტულ საიტზე, ასევე სასტუმროთა ასოციაციების ვებ- გვერდებზე.

მნიშვენელოვანი ამოცანაა ტურიზმის ინდუსტრიაში ინტერნეტი დაეხმაროს სხვადასხვა მსოფლიო რეგიონებს ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევაში. ამისათვის აუცილებელია ხელისშეწყობა განვითარებადი ქვეყნებისთვის და რეგიონებისთვის, რათა ხელმისაწვდომი იყოს მათზე ინფორმაცია.

სპეციალიზირებული კომპანიების დახმარებით შედგენილია კატალოგი, სადაც ჩამოთვლილი სია მოიცავს აღწერას თანამედროვე მომსახურების აუდიტის, შეფასებას, საიტების კორექტირებას. მტო უწყობს ხელს ასეთ მომსახურებას და ცდილობს გააუმჯობესოს ტურისტული ობიექტების ეფექტურობა. ვებ გვერდებმა კლიენტი უნდა დააკმაყოფილოს სრულად, უნდა იყოს უბრალო, ადვილად გასაგები, მარტივი გამოყენებაში, რათა მისი ძებნა იოლი იყოს საძიებო სისტემაში.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციასთან აქტიურად თანამშრომლობს სპეციალიზირებული ფირმა - **Destination Web Watch,** რომელიც ეწევა შემდეგ საქმიანობას:

Destination Web Watch – აუდიტი

ნებისმიერი ორგანიზაციისთვის აუდიტი საიმედო საშუალებაა საიტის შემოწმების (კონტროლის ხარისხი, ხელმისაწვდომობა, აღიარება, ნდობა, მარტივი ძიება როგორც ქვეყნის შიგნით,ასევე დახმარებით საძიებო სისტემაში).

ფასი: 1050 ევრო საიტზე (დღგ-ს გარეშე).

პროვაიდერი: IZT – Institute for Futures Studies and Technology Assessment

● 2020 Strategies Ltd

● Interimair Internet Consultancy

სამივე კომპანია თანამშრომლობს პროექტ – PleXa– (პარტნიორობა სწავლების, ექსპერტისა და ანალიზის ბიზნესში)

Destination Web Watch – შეფასება.

ეს სერვისი მოიცავს საიტის სიღრმისეულ შეფასებას. შეფასება უზრუნველყოფს რეალისტურ სურათს ხარისხის და საშუალებას იძლევა უკეთ ვნახოთ ხარისხი

ეფექტურობის. ის ასევე განსაზღვრავს იმ ადგილს სადაც თქვენ შეგიძლიათ გააუმჯობესოთ რამე. ამ შეფასებას მოიცავს ზემოთ აღწერილი აუდიტის მიმართულება *Destination Web Watch.*

ფასი: 3950ევრო საიტზე (დღგ-ს გარეშე)

პროვაიდერი: IZT – Institute for Futures Studies and Technology Assessment

● 2020 Strategies Ltd

● Interimair Internet Consultancy

სამივე კომპანია თანამშრომლობს პროექტ – PleXa– (პარტნიორობა სწავლების, ექსპერტისა და ანალიზის ბიზნესში).

Destination Web Watch – აუდიტი საინფორმაციო გზავნილების.

საიტის ეფექტური მუშაობა განისაზღვრება კლიენტის მიზიდვაში. გზავნიელები საშუალებას იძლევა შენარჩუნდეს კონტაქტი იმათთან ვინც იცნობს ან უნდა ნაცნობობა ტურისტულ ცენტრთან და შეიძლება გახდნენ პოტენციური კლიენტები. აუდიტის სამსახური საინფორმაციო გზავნილებს უნდა დაეხმაროს სწორად მართოს ტურისტული ცენტრები და ეფექტურად გამოიყენოს რესურსები და არ ჩაიდინოს ყველაზე გავრცელებული შეცდომები.

ფასი: 550 ევრო საიტზე (დღგ-ს გარეშე).

პროვაიდერი: IZT – Institute for Futures Studies and Technology Assessment.

● 2020 Strategies Ltd.

● Interimair Internet Consultancy.

სამივე კომპანია თანამშრომლობს პროექტ – PleXa– (პარტნიორობა სწავლების, ექსპერტისა და ანალიზის ბიზნესში).

Destination Web Watch – online გამოკითხვა.

დღესდღეობით online გამოკითხვა კვლევის სტრატეგიული მეთოდია, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვარები, რომელსაც პასუხობს კონკრეტული აუდიტორია. მისი საშუალებით შეიძლება მოსაზრებების, კმაყოფილების გაგება. ასეთი კვლევა უპირატესობას აძლევს ორგანიზაციებს კონკურენტულ ახალ ელექტრონულ ბაზარზე.

პროვაიდერი: TEAM – Tourism Enterprise and Management.

სასარგებლო იქნებოდა საქართველოს ტურისტული ფირმების მიერ ზემოაღნიშნული ფირმის მომსახურებით სარგებლობა.

ამჟამად ინტერნეტ სამყაროში ძალიან ბევრი ტურისტული web გვერდი არსებობს, სადაც ტურების, სასტუმროების, ავიაბილეთებისა თუ კურორტების შესახებ გარკვეული ინფორმაციის გაგება შეგიძლიათ:

- www.concordtravel.ge
- www.intour.ge
- www.elittravel.ge
- www.intourist.ge
- www.georgiantours.ge
- www.tours.ge
- www.exotours.ge
- www.cultur.ge
- www.profkurort.ge

- www.traveling.ge
- www.keratravel.ge
- www.vip-travel.ge
- www.detours.ge
- www.georgikatravel.ge
- www.dot.gov.ge
- www.apa.gov.ge

ეს არის ის არასრული სია იმ web გვერდებისა რომლებიც მსგავს ინფორმაციას გვაწვდიან. ზოგიერთი მათგანი შიდა ტურიზმით არის დაკავებული, ზოგი გამყვანი, ზოგიც კი ორივე ერთად. აღსაღნიშნია ის ფაქტი, რომ აღნიშნული საიტები ფლობენ კარგ ვიზუალურ სტილს.

მომხმარებელი web გვერდებზე ეძებს დამატებით ინფორმაციას, რაც მას საშუალებას მისცემს გააკეთოს უფრო ეფექტური არჩევანი იმის თაობაზე თუ რა სურს რომ შეიძინოს. თუ კი web გვერდები მომხმარებელს სწორად მიაწვდიან ინფორმაციას, ხაზს გაუსვამენ თავიანთი პროდუქტის რეალურ სამომხმარებლო თვისებებს, ისინი ნამდვილად ძლიერ კონკურენტულ უპირატესობას მიაღწევენ.

იმისათვის რომ საიტი იყოს წარმატებული და მაღალკონკურენტული აუცილებელია იგი იყო უბრალო, გასაგები და რაც მთავარია ორიგინალური. წარმატებულ საიტს განაპირობებს არა მარტო დაინტერესება კლიენტის თქვენი ინფორმაციით, არამედ მუდმივი შემოსავლით უზრუნველყოფა. Web გვერდი ხომ რეკლამის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რითაც კლიენტი მოგიტანთ ფულს.

web გვერდის დაპროექტებისას თავი რომ ავარიდოთ შეცდომებს და შევქმნათ წარმატებული საიტი, საჭიროა თავიდანვე მივიღოთ მონაწილეობა პროექტირებაში.

მომხმარებლის ფსიქოლოგია ინტერნეტში ასეთია: თუ კი ის ვერ შეძლებს სწრაფად გაერკვიოს იმაში, თუ როგორ გამოიყენოს თქვენი სერვისი, ის წავა თქვენს კონკურენტთან, რომელსაც ყველაფერი მოწყობილი აქვს გასაგებად და ბევრად საინტერესოდ. თუ თავდაპირველადვე წებ გვერდი შეიქმნება მაქსიმალურად ინფორმირებული და უბრალო, მაშინ ვერანაირი კონკურენტი ვერ შეძლებს თქვენს ჯობნას.

ტურისტებს ყოველთვის მოსწონთ იმ წებ გვერდების სტუმრობა, სადაც სრულყოფილად გებულობენ ტურის, მგზავრობის, ფასების შესახებ დაწვრილებით ინფრორმაციას, რისი გაგების საშუალებასაც სამწუხაროდ ქართული საიტები ნაკლებად იძლევიან.

ქართულ საიტებზე შეიმჩნევა:

- ინფორმაციის ნაკლებობა;
- ფასებზე ინფორმაციის არ არსებობა;
- ტურის დაწვრილებითი აღწერის ნაკლებობა;
- კილომეტრაჟზე ინფორმაციის არ არსებობა;
- საათობრივი აღწერის ნაკლებობა.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქართულ ფირმას ეროვნულ ენაზე არ აქვს წებ გვერდი გაკეთებული.

მაგალითისთვის გავაკეთეთ სამი ცნობილი ტურისტული წებ გვერდის ანალიზი:

www.concordtravel.ge ინფორმაციის გაცნობა შეგიძლიათ 4 ენაზე.

ასევე სრულყოფილ ინფორმაციას გვაწვდის საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, კულტურის, ფლორის, ფაუნის, კურორტების, unesco-ს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. აქვს მრავალფეროვანი **ტურები**: სათავგადასავლო, არქეო, საშობაო-საახალწლო, ეკო, ექსტრემ, საოჯახო, კაზინო და ღვინის ტურები.

გვთავაზობს ტურებს **საზღვარგარეთ**: ბრაზილია, ინდოეთი, თურქეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, ეგვიპტე, იაპონია. გვაწვდის ინფორმაციას **სასტუმროებ**ის შესახებ: სასტუმროები თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ბორჯომში, ბაკურიანში, გუდაურში, სვანეთში, რაჭაში, ყაზბეგში და სხვა. მის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ არ არის ტურში მითითებული საათობრივი გათვლა, კილომეტრაჟი და ტურის ღირებულება.

www.elittravel.ge ინფორმაციას გვაწვდის 3 ენაზე.

concordtravel-ისგან განსხვავებით ეს საიტი არ გვაძლევს ისეთივე კარგ ინფორმაციას საქართველოს შესახებ. გვთავაზობს შემდეგი სახის **ტურებს**: ერთ დღიანი, ზამთრის, ალპინისტური, კულტურული, საცხენოსნო, ზღვისპირა, ღვინის და ლაშქრობებს. აქვს ასევე ინფორმაცია სასტუმროების შესახებ.

აქვს ძალიან კარგი **ტურის აღწერა** .გვაძლევს გასათვალისწინებელ წინაპირობას (მაგ: იქონიეთ მზის სათვალე, საწვიმარი ქურთუკი, შარვალი). აქვს მრავალფეროვანი ფოტო გალერეა. არ გვთავაზობს გამყვან ტურებს.

www.intourist.ge ინფორმაციას გვაწვდის 3 ენაზე. შედარებით სხვა საიტებისგან ამ წებ გვერდმა არ გაგავხარა არანაირი ორიგინალურობით. უდიდესი ნაწილი დაკავშირებულია გაუგებარ ფასებთან. შეიძლება ითქვას, რომ ამ საიტზე ბევრად უფრო ნაკლები ყურადღება გამახვილდა ეფექტურ დაპროექტებაზე. ფასებთან ერთად არ არის ტურებში მითითებული კილომეტრაჟი. არავითარი ინფორმაცია არ არის საქართველოს შესახებ.

ტურები არის ძალიან მწირე. **საქართველოში** გვთავაზობს სამ ტურს:

- ტური აღმოსავლეთ საქართველოში (8 დღიანი);
- კულტურულ-ისტორიული ტური საქართველოში;
- ტური სვანეთში. **გამყვანი** ტურები აქვს: ეგვიპტე, თურქეთი, კიევი, ესპანეთი, ჩეხეთი, დუბაი, პორტუგალია.

ამრიგად, მოთხოვნები ტურისტული ფირმის ვებ გვერდისადმი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. ვებ-გვერდი უნდა იყოს ვიზუალურად მიმზიდველი, სარგებლობისათვის იოლი, ანუ პოტენციურ ტურისტს არ უნდა გაუჭირდეს იქ სასურველი მასალის პოვნა;

2. ვებ-გვერდი უნდა იყოს მაქსიმალურად ინფორმაციული, რათა ტურისტმა მოგაზურობის ყველა დეტალზე იქვე მოიპოვოს ინფორმაცია სხვა მისამართზე გადასვლის გარეშე;

3. ვებ-გვერდი უნდა იყოს ინტერაქტიული, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურისტს, ან ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლოს ამ გვერდიდან გაუსვლელად დაუკავშირდეს ფირმას და მაქსიმალურად მოკლე დროში მიიღოს მისგან პასუხი;

4. ვებ-გვერდს უნდა ქონდეს ონ-ლაინ რეჟიმში ტურის გაყიდვის საშუალება, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ტურისტულ ფირმას შეუძლია საკრედიტო ბარათების მქონე მომხმარებლების მომსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიკო კვარაცხელია, ტუროპერეიტინგი, სალექციო კონსპექტი, 2007;
2. Бирицкая Н.М. Туроперейтинг. Минск. 2007;
3. Ильина Е.Н. Туроперейтинг: Организация деятельности. М. 2004;
4. UNWTO, Destination Web Watch. Madrid 2005.

ნიკა მითაიშვილი
ალექსანდრე ქათამაძე

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. იზოლდა ხოხაშვილი

ტურისტთა განთავსების საშუალებანი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი ინფრასტრუქტურის, მათ შორის სტუმართა განთავსების საშუალებების განვითარებას. უკანასკნელ წლებში მრავალი უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორი დაინტერესებულია ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განხორციელებით. უცხოელი ინვესტორების ზრდასთან ერთად შესაბამისად სწრაფი ტემპით იზრდება საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტებისა და სამთავრობო დელეგაციების რაოდენობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე იზრდება მოთხოვნები სტუმართა განთავსების საშუალებებზე, როგორც რაოდენობის, ასევე მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით.

დღეისათვის კომფორტაბელური სასტუმროების უმრავლესობა თავმოყრილია საქართველოს დედაქალაქში. ამჟამად თბილიში არსებობს 4 მაღალი კლასის სასტუმრო. ქორთიარდ მარიოტი, თბილისი მარიოტი, შერატონ მეტეხი პალასი და რედისონ ბლუ ივერია. აღნიშნული სასტუმროების გარდა თბილისის ცენტრალურ უბნებში არის 3 ვარსკვლავიანი საკმაოდ მაღალი ხარისხის სასტუმროები. მათი უმრავლესობა მიეკუთვნება ბიზნეს-ოტელებს. საერთო ჯამში დღეისათვის თბილიში არსებობს დაახლოებით 140 მდე სასტუმრო 4000 – მდე ნომრით. რომელთაგან დაახლოებით 350 ნომერი არის ე.წ. 5 ვარსკვლავიანი სასტუმროებში, ხოლო 200 ნომერი 4 ვარსკვლავიან

სასტუმროებშია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის თბილიში არის გაცილებით ნაკლები 4-5 ვარსკვლავიანი სასტუმრო და შესაბამისად სასტუმროს ნომრები, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის დედაქალაქში. ასევე მნიშვნელოვნად დაბალია ნომრების რაოდენობა ყოველ 1000 სულ მოსახლეზე. შესაბამისად დატვირთვის კოეფიციენტი და ფასები საკმაოდ მაღალია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ კიევის გარდა თბილიში სასტუმროს ნომრებზე ფასების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონეა. ახალი პროდუქტების დასრულების შემდეგ მაღალი კლასის სასტუმროს ნომრების რაოდენობა 1494-ს მიაღწევს და ნორების რაოდენობით მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე თბილისის მაჩვენებელი გაუსწრებს დღევანდელი კიევის მაჩვენებელს, თუმცა კვლავ მნიშვნელოვნად დაბლი იქნება აღმოსავლეთ ევროპის დანარჩენ ქალაქებ-თან შედარებით.

სასტუმროების რაოდენობა 2008 წლის მონაცემებით

სასტუმროს ნომრების რაოდენობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში

2007-2010 წლების განმავლობაში თბილისში უნდა გახსნილიყო 5 უმაღლესი დონის სასტუმრო: “Park Hyatt Tbilisi Hotel “; “InterContinental Hotels & Resorts”; «კემპინსკი»; «აჭარა»



აქედან ჯერ-ჯერობით გაიხსნა მხოლოდ ერთი - 2009 წელს «რედისსონ – ოტელ ივერია»



№ 1 ცხრილში წარმოდგენილია თბილისში არსებული მსხვილი სასტუმროები

ცხრილი №1

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ზემოაღნიშნული სასტუმროებისა, თბილისში არსებობს რამდენიმე შედარებით მცირე ზომის სასტუმრო და დიდი რაოდენობა კერძო სასტუმროებისა, რომლთა უმრავლესობა ძირითადად წარმოადგენს კეთილმოწყობილ,

ცხრილი №1

№	თბილისში არსებული სასტუმროები	მისამართი	კატეგორია	ნომრების რაოდენობა	ფასი/ ა.შ.შ დოლ.
1	შერატონ მეტეხი პალასი	თელავის ქ. 20	5 *	182	230-480
2	თბილისი მერიოტი	რუსთაველის გამზირი 13	5*	127	275-485
3	ქორთიარდ მარიოტი	თავისუფლების მოედანი	5*	118	184
4	რედისონი	გარდების მოედანი	5*	248	220-430
5	ამბასადორი	შავთელის ქ 13	4*	46	115-270
6	სასტუმრო ბეტსი	მაყაშვილის ქ 32/34	4*	28	140-175
7	სასტუმრო ბუტიკი	მეტეხი 9	3*	15	140-180
8	ბეკლი მეტეხი	მეტეხი 3	3*	15	80-110
9	ბიმონდ გარდენ ელეგანტ	მ. გელოვანის ქ 4ა	3*	11	100-150
10	გარაზი	კოსტავას 45		44	70-140

კომფორტაბელურ საცხოვებელს და არ შეესაბამება საოჯახო სასტუმროს საერთაშორისო სტანდარტებს. სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემების თანახმად (უფრო ახალი მონაცემები მათ არ გააჩნიათ) მნიშვნელოვნად გაიზარდა პატარა, ადგილობრივი სასტუმროების რაოდენობა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისსა და მის შემოგარენში თითქმის არ არსებობს ტურისტების განთავსების საშუალება ე.წ. Hostel.

Hostel- ეს არის საჯარო ტიპის სასტუმრო, რომელიც წარმოადგენს მოკლე ვადით საცხოვრებელს მოგზაურთათვის. როგორც წესი, ეს არის საძინებელი დამატებითი კომფორტის გარეშე.

ჰოსტელის ტიპის სასტუმრო უფრო ახალგაზრდებზეა გათვლილი.

ასეთი ტიპის სასტუმრო აპრობირებულია ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში და საკმაოდ პოპულარულია ფასისადა შესაბამისი მომსახურების გამო. ახალი ტურისტული პროდუქტის შექმნა ვფიქრობთ მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში ტურისტთა განთავსების საშუალებების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ვინაიდან არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურასასტუმრო მომსახურეობა თუ საოჯახო სასტუმროები) ხშირად არცთუ ისეთი სახარბიელო შეთავაზებაა ტურისტისათვის განსა-კუთრებით ახალგაზრდებისათვის.

რაც შეეხება რეგიონებს, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაეყრდნობით, სტუმართა განთავსების საშუალებებს ძირითადად შეადგენს საოჯახო სასტუმროები. ქალაქებში, როგორიცაა ქუთაისი, თელავი, ბორჯომი და სხვ არსებობს რამდენიმე სასტუმრო, თუმცა, უცხოელი ტურისტების უმრავლესობა ამჯობინებს დაბინავდეს საოჯახო სასტუმროში.

წარმოგიდგენთ საქართველოში მაცხოვრებ უცხოელი მოქალაქეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, რომლებმაც იმოგზაურეს საქართველოს ექვს ყველაზე საუკეთესო ტურისტულ ადგილას და ჩაატარეს კვლევები, რომლის მიზანი იყო გამოევლინათ არსებული შესაძლებლობები მცირე და საშუალო ტურისტული საწარმოების განვითარებისათვის.

უცხოელი მოგზაურების მიერ საქართველოს ტურისტულ ადგილებში ვიზიტების დროს გამოთქმული მოსაზრებებით ახალი და ძალიან ძვირი სასტუმროების გარკვეულ

სტილში აშენება (რომელიც აღწერეს როგორც «ცემენტის საშინელებები») დამაფიქრებელი მიმდინარეობაა.

ციტატა ერთ-ერთი უცხოელი ტურისტის შეფასებიდან: «მე უფრო სიამოვნებით დავრჩები ქართულ, ხის ოჯახურ სასტუმროში, მაგრამ ის, რაც ჩვენ შემოგვთავაზეს იმ მოსაზრებით, რომ ეს მოეწონდებოდათ ტურისტებს, იყო აბსოლუტურად არამიმზიდველი. მე ვფიქრობ, საქართველო ცდილობს უცხოელებს დაანახოს ფუფუნება, მაგრამ ამით იგი კარგავს თავის შარმს – ამ უსახური და მახინჯი სასტუმროებით». ზოგადად, მონაწილეების უმრავლესობა შედარებით კმაყოფილი იყო სასტუმროს ხარჯებით, ხოლო უკმაყოფილების შემთხვევაში მათ ასევე სასტუმროს შეცვლის საშუალება ჰქონდათ. საკვები ზოგადად გემრიელი და ახალი იყო, მაგრამ არც ერთ რესტორანს არ ჰქონდა მენიუ ინგლისურ ენაზე. ერთ ადგილას 4 ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფს 180 ლარი გადაახდევინეს მსუბუქ სადილში და ვერ შეძლეს დეტალური ანგარიშის წარმოდგენა, რის გამოც, ბუნებრივია, ვიზიტორები უკმაყოფილოები დარჩნენ. ზოგიერთ სასტუმროში არასაკმარისი პირობები იყო. იმერეთში ოთახები განიავებული არ იყო და საჭირო გახდა ფანჯრების გაღება მიუხედავად იმისა, რომ ამ ფანჯრებზე გისოსები არ იყო, რაც ქურდებს შემოსვლას გაუადვილებდა. ბაკურიანის სასტუმრო იყო ერთადერთი, რომელშიც იყო ინფორმაცია ტურისტებისათვის, ხოლო სასტუროების უმეტესობას არ ჰქონდა ტელეფონები, რომლის გამოყენებასაც ვიზიტორები შეძლებდნენ. ზოგიერთ აბაზანაში ერთად იყო განთავსებული ტუალეტი და შხაპი. ზოგადად, ნათელი იყო რომ ზოგიერთ ადგილას რემონტი საკმაოდ სწრაფად იყო გაკეთებული, მაგრამ დეტალებზე მეტი ყურადღების დათმობა სასტუმროს უფრო სასიამოვნოს გახდიდა. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შენდება უამრავი სასტუმრო (და ფასიც ძალიან ძვირია), მათი სტილი არც თუ ისე კარგია და აკლიათ ორიგინალობა და მომხიბვლელობა. ახალი შენობები ხშირად უხარისხოა. აღინიშნა, რომ ბევრი სასტუმრო არ აქცევდა ყურადღებას იმას, თუ რამდენად სასიამოვნო ხედი იშლებოდა მათი ფანჯრებიდან. რა თქმა უნდა, მოგზაურებს სასტუმროს ნომრიდან მხოლოდ ნაგავსაყრელების, ჟანგიანი და მიტოვებული ნარჩენების დანახვა არ სურთ.

ხედი ბორჯომის სასტუმროს ფანჯრიდან

უცხოელი ტურისტების აზრით, საჭიროა ერთგვარი საგანმანათლებლო კამპანიის ჩატარება სასტუმროების მეპატრონე ებისათვის იმ საკითხებზე, თუ რა უნდათ ტურისტებს. სოფლებში განთავსებული სასტუმროების მეპატრონეებს შეიძლება არ

ესმოდეთ თუ რას მოითხოვენ დასავლელი სტუმრები მათი სასტუმროებიდან და შემოგარენიდან. უფრო მეტიც, კარგი იქნება თუ სასტუმროების პერსონალი იფიქრებს დამატებითი მომსახურების შეთავაზებაზე (მთის ველოსიპედები, ექსკურსია ცხენებით, რუკები, სუვენირები, წიგნები), რათა უფრო დიდხანს შეინარჩუნონ

საბჭოთა სტილის სასტუმრო, ბორჯომი

სტუმრები და ამით გაზარდონ საკუთარი შემოსავალი. ასევე უნდა არსებობდეს სასტუმროებს შორის ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი იმის შესახებ, თუ რა მუშაობს კარგად.

კიდევ ერთი შემოთავაზება აღნიშნული ჯგუფის მიერ იყო სასტუმროების სარეიტინგო სისტემის შემოღება, რომლის ფარგლებშიც ტურიზმის დეპარტამენტი და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ყველა სასტუმროს შეამოწმებს და მათ გარკვეულ ხარისხს მიანიჭებს.

დღეისათვის ამ მიმართულებით მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. ასოციაცია «ელკანამ» პოლონეთის აგროტურისტული ფედერაციის მოთხოვნებზე დაყრდნობით შეიმუშავა სოფლად და პატარა ქალაქებში საოჯახო სასტუმროების სტანდარტი,. თუმცა ეს სტანდარტი ეხება სოფლისა და პატარა ქალაქების მხოლოდ იმ სასტუმრო სახლებს, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება სოფლის ტურიზმია.

სულ ახლახან ასოციაცია ,,Global Star”-ი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, უზრუნველყოფს საქართველოს სასტუმ-როების ევროპის ერთიან სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, საქართველოს სასტუმროების კლასიფიკაციის(ვარსკვლავების მინიჭების) ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებასა და საქართველოს სასტუმროების წარმომადგენლობისათვის სემინარების საშუალებით ევროპის ერთიანი სტანდარტის მოთხოვნების გაცნობას.

2009 წელს, აგვისტოს ომის მოვლენების შემდეგ, ეკონომიკური კრიზისის დროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ბაკურიანში ჩატარდა მარკეტინგული კვლევა. კვლევა ჩატარდა ბაკურიანში ჩამოსული ტურისტების რაოდენობისა და ასევე განთავსების საშუალებების შეფასების მიზნით, როგორც მოსალოდნელი იყო ტურისტების რაოდენობა ამ სეზონზე გაცილებით ნაკლები იყო წინა წლებთან შედარებით, ტურისტები მოკლე პერიოდით შაბათ-კვირით, 4-5 დღით სტუმრობდნენ ბაკურიანს. ჩერდებოდნენ სასტუმროებში და სასტუმრო სახლებში, ე.წ. GuestHouse-ebSi და კერძო სახლებშიც.

ბაკურიანში დაახლოებით 200 ტურისტი იქნა გამოკითხული. გამოკითხულთაგან დაახლოებით 90 ტურისტი კერძო სახლებში იყო გაჩერებული. სასტუმრო სახლებში დაბინავდა დაახლოებით 70 ტურისტი, ხოლო 40 ტურისტი სასტუმროში იყო განთავსებული. მეორე კითხვაზე გამოკითხულთაგან უკმაყოფილო განთავსების საშუალებით არავინ აღმოჩნდა. 80 ტურისტმა პასუხი «ძალიან კმაყოფილი» შემოხაზა, 70 ტურისტი კმაყოფილი იყო განთავსების საშუალებით, ხოლო დანარჩენმა 50-მა ტურისტმა შემოხაზა პასუხი «საშუალოდ».

სასტუმროსა და სასტუმრო სახლებში გაჩერებული ტურისტები კმაყოფილნი იყვნენ შერჩეული განთავსების საშუალებით, რასაც ვერ ვიტყვით კერძო სახლებში განთავსებულ ტურისტებზე. მათი აზრით, მათი განთავსების საშუალებების ძირითადი პრობლემები იყო: სანიტარული მოწესრიგება, ოთახის უკეთ აღჭურვა, საცხოვრებელი ფართის გადიდება, კვების ხარისხის გაუმჯობესება და ა.შ. ჩამოსულთაგან ინტერნეტის არარსებობის პრობლემა თითქმის ყველა დამსვენებელს აწუხებდა.

ბაკურიანში დაახლოებით 49 მსხვილი სასტუმროა, ხოლო სასტუმრო სახლების რაოდენობის დათვლა, პრობლემას წარმოადგენს, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა მასიურად არემონტებს საკუთარ სახლებს, აკეთებენ მიშენებებს და მათ სახლებს

სასტუმრო სახლები ერქმევათ. კვება ასეთ სახლებში ძირითადად კარგია. მასპინძლები ძალიან კეთილგანწყობილნი არიან ტურისტების მიმართ და სიამოვნებით უმასპინძლდებიან მათ ოჯახში დამზადებული კერძებით. ასეთი ტიპის სასტუმრო სახლები სუფთად და კომფორტულად არის მოწყობილი. სველი წერტილები მწყობრშია, ცხელი წყალიც თითქმის მთელი დღის მანძილზე მოდის და სანიტარულადაც ყველაფერი მოწესრიგებულია. წინა წლებთან შედარებით ნელ-ნელა ლაგდება სასტუმრო სახლების ეზოებიც. ასეთი ტიპის სასტუმრო სახლებში განთავსების ღირებულება, კვების ჩათვლით 60-დან 70 ლარამდე მერყეობს, კვების გარეშე კი 40-50 ლარამდე. სასტუმროებში განთავსების ღირებულება შეადგენს 120-200 ლარს კვებით ან კვების გარეშე. კერძო სახლებში კი ყველაგან სხვადასხვა მდგომარეობაა, ზოგან უკეთესი, ზოგან კი სამწუხაროდ, უარესი. კერძო სახლებში განთავსება სასტუმრო და სასტუმრო სახლებში ცხოვრებაზე ბევრად იაფი ღირს. ფასი 10 ლარიდან 30 ლარამდე მერყეობს, შესაბამისად კვებით ან კვების გარეშე. რასაკვირველია მომსახურების დონე, ოთახის აღჭურვილობა, ზოგჯერ სანიტარული მოწესრიგებაც ასეთ სახლებში, ფასის შესაბამისად დაბალ დონეზეა. ზოგადად ბაკურიანში დაბალ დონეზეა განვითარებული ინფრასტრუქტურა, საშუალო დონეზეა მომსახურეობა, ძალიან დაბალ დონეზე დგას სანიტარული მოწესრიგება, ხოლო შიდა გზები გაუმართავია. თითქმის არ არსებობს ტურისტული ნიშნები და ა.შ.

თუ შევაჯამებთ ზემოთმოყვანილი კვლევების შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ სტუმართა განთავსების საშუალებანი, ძირითადად აკმაყოფილებენ ტურისტთა მოთხოვნებს, თუმცა ყველა მათგანისათვის არსებობს ერთი საერთო პრობლემა, ეს არის სასტუმროების სერთიფიკაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Maslov E.S. Possibility of sustainable devolopmeant of vine tourism end hotel complex// Uchenye zapiski TNU. Series:Economy, 2007. Vol.20 (59). #1. 102-107:
2. ქართული ტურიზმის პოტენციალი «24 საათი» 2008-02-22 12:54;
3. www. tourism.gov.ge;
4. http://www.geostat.ge/action = page&p_id=313&lang=geo.

სოფო ჯავახაძე

ხელმძღვანელი: პროფ. ლილი კოჭლამაზაშვილი

ტურისტული ფორმალობები

ბოლო პერიოდში ტურიზმმა მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ქვეყნებმა ორიენტირი სწორად ბიზნესის ამ დარგზე აიღეს, ვინაიდან დაინახეს, თუ რა შედეგი მოაქვს მას როგორც განვითარებული, ისე განვითრებადი ქვეყნებისთვის. ტურიზმი ერთადერთი დარგია, რომელსაც სწრაფი მოგება მოაქვს; იგი ის სფეროა, რომლის წყალობითაც ერთდროულად ვითარდება ინდუსტრიის სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული დარგები. ტურიზმის საშუალებით მსოფლიოში 2000 წლისათვის 2000 მილიონი სამუშაო ადგილი შეიქმნა. გარდა ამისა, ბიზნესის ეს პოპულარული სფერო ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული ბუნებრივი თუ ისტორიულ-კულტურული რესურსების გამოყენებას, დაცვას, განვითრებას, ქვეყნის ცნობადობის უზრუნველყოფას და, რაც მთავარია, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას. სწორედ ამიტომ, იმ ქვეყნებმა, ვისაც კი რაიმე პოტენციალი გააჩნია, ტურიზმის განვითარება დაიწყეს.

საბედნიეროდ გამონაკლისი არც საქართველო აღმოჩნდა და აქტიურად დაიწყო საქართველოს, როგორც უნიკალური რესურსების მქონე ქვეყნის, წარმოჩენა მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი ეკონომიკის ამ დარგის გასავითარებლად. 2003 წლის შემდეგ ქვეყანაში გარკვეული ძვრები დაიწყო, გატარდა რეფორმები, ნელნელა აუმჯობესებენ ინფრასტრუქტურას, სახელმწიფომ ტურიზმის პრიორიტეტულობა გამოაცხადა და აქტიური თნამშრომლობა დაიწყო მტო-სთან. ტურიზმის ხელშესაწყობად მოლაპარაკებებს აწარმოებს მოგზაურობის გასამარტივებლად და ა.შ.

ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს ტურიზმის ბიზნესზე არის ტურისტული ფორმალობების გამარტივება. სახელმწიფოს კოორდინირებული პოლიტიკის წყალობით ტურიზმზე, ფორმალობების გამარტივება უკვე მიმდინარეობს.

სწორედ ფორმალობებზე გავამახვილებ ყურადღებას და წარმოგიდგენთ რაში მდგომარეობს ტურისტული ფორმალობების არსი, როგორია ეს ფორმალობები საქართველოში და ბოლოს დასკვნის სახით პირად რეკომენდაციებს გაგაცნობთ.

ტურისტული ფორმალობების ცნება და შინაარსი.

ლათინურად „ფორმა“ ნიშნავს დადგენილ წესს. «ფორმალობა“ კი, კანონმდებლობით დადგენილი პირობები და საქმიანობაა, რომელიც მოითხოვს შესრულებისას რაიმე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო საქმეს.

ტურისტულ ფორმალობად ითვლება ტურისტებისა და სახელმწიფო საზღვრების გადამკვეთი პირების მიერ განსაზღვრული პირობების, წესებისა და მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებული პროცედურები, რომელიც დადგენილია იმ სახელმწიფო

ორგანოების მიერ, სადაც ტურისტებს უხდებათ შესვლა და ცხოვრება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

თითოეული სახელმწიფო თვითონ ადგენს საკუთარ ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეების ყოფნის რეჟიმს, ქმნის სამართლებრივ ჩარჩოებს და განსაზღვრავს ამ პირების სამართლებრივ სტატუსს. შესაბამისად, ეს საკითხი ძირითადად შიდა კანონმდებლობით რეგულირდება. მაგრამ რამდენადაც ყოველი უცხოელი მოქალაქის უკან მისი ქვეყანა დგას, სახელმწიფოები ცდილობენ უცხოელთა სტატუსი ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულებების მეშვეობით განსაზღვრონ.

საყურადღებოა საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის შესაბამისობა მსოფლიო პრაქტიკასთან, რომელსაც მიეკუთვნება: საერთაშორისო ტურისტული საქმიანობის ლიცენზირება, ტურპროდუქტის სერტიფიცირება მასში შემავალი საქმიანობის უსაფრთხოებაზე, ეკოლოგიურად დაუცველი ცალკეული ტერიტორიების მონახულების ქვოტირება, უცხოელი მოქალაქეების ქვეყანაში შესვლის და ყოფნის რეჟიმი.

ტურისტული ფორმალობა იყოფა რამოდენიმე დიდ დანაყოფად და მოიცავს:

საზღვარგარეთულ პასპორტებს, ვიზებს, საბაჟო წესებს;

- სავალუტო კონტროლსა და სავალუტო გადაცვლის წესებს;
- სანიტარულ წესებს;
- შესვლა-გამოსვლის რეჟიმს;
- ქვეყანაში უცხოელი ტურისტების ყოფნის და გადაადგილების თავისებურებებს, საიმიგრაციო წესებს და სხვა პროცედურებს.

საერთაშორისო ტურიზმში მიღებულია აგრეთვე, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ქვეყნის პოლიციურ და სანიტარულ ფორმალობასთან დაკავშირებული პროცედურები.

პოლიციურ ფორმალობის ქვეშ იგულისხმება პროცედურები, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს საზღვრების გადამკვეთი პირების მიერ, დადგენილი საპასპორტო-სავიზო რეჟიმის შემოწმებასთან. ასეთი სახის კონტროლის განხორციელება დაკისრებული აქვს აეროპორტების, რკინიგზების, საავტომობილო გზების, საზღვაო და სამდინარო სადგურების შესაბამის სამსახურებს.

საბაჟო ფორმალობა არის პროცედურა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთი პირების მიერ საგნების, საქონლისა და სავალუტო სახსრების შეტანის და გატანის წესების და პირობების დაცვის შემოწმებასთან. საბაჟო ფორმალობის განხორციელება ეკისრება საბაჟო სამსახურს სასაზღვრო პუნქტებში, რომელიც გამოიყენება ქვეყანაში შესასვლელად და ქვეყნიდან გასასვლელად (აეროპორ-ტები, რკინიგზა, საზღვაო და სამდინარო სადგურები, ავტოგზებზე საზღვრის გადაკვეთის პუნქტები).

საბაჟო ფორმალობა ტურისტებისა და მოგზაურობისთვის ჩვეულებრივ შედგება წერილობით ან ზეპირად დეკლარირებული ჩამონათვალისგან და გასატანი საგნების, საქონლის და ფულის რაოდენობისგან. ამასთან ივსება საბაჟო დეკლარაცია, რომელიც სპეციალური მონაცემებისგან შედგება და მისი შევსება აუცილებელია ყველასთვის, ვისაც 16 წელი შეუსრულდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრის გადაკვეთისას თითოეული ტურისტი ვალდებულია გაიაროს საბაჟო კონტროლი, ზოგიერთ ქვეყანაში ეს პროცედურა

თითქმის შეუმჩნევლად ტარდება, ზოგიერთში კი საბაჟო შემოწმება ძალიან დიდხანს მიმდინარეობს. ტურისტების მიერ საზღვარზე პირადი საკუთრების ნივთების გადატანა საკმაოდ რთული და ხშირად ცვლადია, რადგან ის პირდაპირაა დამოკიდებული ქვეყანაში სოციალურ–ეკონომიკურ სიტუაციაზე.

აღსანიშნავია, რომ საზღვარზე სხვადასხვა ფასეულობათა გადატანის საკითხი, მათ შორის კულტურულის და ისტორიულისას აქვს პირდაპირი დამოკიდებულება ტურიზმთან. ტურისტები მოგზაურობისას ძალიან ხშირად იძენენ ამა თუ იმ ფასიან საგნებს: სურათებს, ნახატებს, სკულპტურებს, საოჯახო საეკლესიო ნივთებს, იარაღს, ავეჯს, ქსოვილებს, ტანსაცმელს, წიგნებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, და სხვადასხვა არქეოლოგიურ და ისტორიული მნიშვნელობის საგნებს. მაგრამ ყოველთვის არ ხდება ასეთი ყიდვა მაღაზიებში, სადაც ჩეკთან ერთად აკრავენ შესაბამის ნებართვას ფასიანი ნაყიდის საზღვარგარეთ გასატანად.

ამრიგად საბაჟო ფორმალობები დაკავშირებულია დადგენილი სახელმწიფო საბაჟო წესებისა და ტურისტების მიერ გადასახადების მოსაკრებლებისა და სხვათა გადახდის შესრულებასთან. მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ რაც კანონის საფუძველზე დაშვებულია ქვეყნიდან გასვლისას, შეიძლება ზოგი რამ მიმღები ქვეყნის საბაჟოს მიერ აკრძალული იყოს.

საპასპორტო ფორმალობები

პასპორტი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოქალაქის პიროვნებას. იგი მოიცავს ცნობებს სქესის, ასაკის, დაბადების ადგილის და საცხოვრებლის შესახებ, მოქალაქეობაზე. საზღვარგარეთული პასპორტი გაიცემა სახელმწიფოების მიერ.

მე-19 საუკუნემდე საზღვარგარეთული პასპორტი გაიცემოდა მხოლოდ საპატიო პერსონაზე და იგი წარმოადგენდა ე.წ. სარეკომენდაციო წერილს ერთი ქვეყნისა მეორისადმი. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ საზღვარგარეთული პასპორტების მასიური გაცემა ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა.

ბოლო წლებში საზღვარგარეთ, კერძოდ აშშ-სა და ევროპაში გადაწყვიტეს შემოეღოთ პირადობის დამადასტურებელი ახალი ფორმა - „ელექტრონული პასპორტი. გარეგნულად იგი საკრედიტო ბარათის მსგავსი იქნება. მასზე აღნიშნული იქნება მფლობელის მონაცემები: მოქალაქეობა, ფოტოგრაფია პოლოგრამის სახით, საცხოვრებელი ადგილი და სხვა, აგრეთვე თითების ანაბეჭდებიც. გამსვლელი ტურისტი თავის ელექტრონულ პასპორტს ათავსებს სპეციალურ სკანერში, რომელიც ელექტრონული კავშირით შეერთებულია ერთიან კომპიუტერთან, რომელიც მომენტალურად ამოწმებს მის პიროვნებას და ვიზის კანონიერებას (თუ ის საჭირო იქნება ამ ქვეყანაში შესასვლელად). აბსოლიტურად ზუსტი იდენტიფიკეცია მიიღწევა აგრეთვე იმითაც, რომ სკანერის ეკრანზე ტურისტმა უნდა მიადოს ხელის გული და დამთვლელი მოწყობილობა ამოწმებს მის თითების ანაბეჭდს. მსგავსი კონტროლის სისტემა უკვე გამოცდილია აშშ-ს საიდუმლო ორგანიზაციებში და მოწონებული იქნა ევროპის კავშირის მიერ.

სავიზო ფორმალობები

როგორც წესი, მიმღებ ქვეყანაში შესვლა მოითხოვს ვიზის მიღებას. ვიზა (ლათ. ვიზა, მრ. რიცხვ. «ვიზუმ“-განხილვა)-ეს არის უცხო ქვეყნის მთავრობის ნებართვა შესვლა-გამოსვლაზე. ნებართვა შეიძლება აღინიშნოს პასპორტში ან გაიცეს ცალკე დოკუმენტი (მაგ.ჯგუფური ტურისტული ვიზა).

ვიზა არის მრავალფეროვანი: ერთჯერადი და მრავალჯერადი, ინდივიდუალური და ჯგუფური, სტუდენტური, შესასვლელი, სატრანზიტო, გამოსასვლელი, შენგენის და სხვა. მინიმალური ვადა ვიზისათვის დამოკიდებულია სახელმწიფოთა შეთანხმებაზე, ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზე, პასპორტის სახეობაზე, მოგზაურობის მიზნებზე და მის ხანგრძლივობაზე. მთელ რიგ ტურისტულ ფირმებს აქვთ ნებართვა (რეფერენსი) ტურისტთა საკონსულო მომსახურებაზე. მაგრამ ვიზის არსებობა არ იძლევა მგზავრობის განხორციელების გარანტიას. რიგი ქვეყნები (აშშ, შვედეთი და სხვა) უცხოელი ტურისტებისაგან მოითხოვენ თან იქონიონ უკან დასაბრუნებელი ბილეთი და ფინანსური სახსრები, რომელიცსაკმარისია მითითებული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში ყოფნისათვის. ტურფირმები თავის კლიენტთათვის ვიზების გაფორმებისას აწყდებიან პრობლემების ფართო წრეს, რომელიც პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

პირველი ჯგუფი დაკავშირებულია უცხოელი საკონსულოებისა და მათი თანამშრომლების მუშაობის ორგანიზაციასთან.

მეორე ჯგუფი დაკავშირებულია ვიზების გაფორმების პროცედურასთან, რომელიც დადგენილია შესაბამისი ქვეყნების საშინაო და საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ და წარმოადგენს საკონსულოებისათვის ნორმატივებს. მას პირველ რიგში მიეკუთვნება აუცილებელი დოკუმენტების სია, მათი მიღების წესები, განხილვის წესები, ვიზების გაფორმების ვადები, ტურფირმების აკრედიტაციის წესი, გასაცემი ვიზების სახეობები და სხვა.

მესამე ჯგუფის პრობლემები ეხება სახელმწიფო რეგულირების საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია გასასვლელ ვიზებთან.

პირს ვიზის მიღებაზე შეიძლება უარი უთხრან ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებათა გამო, რომელიც საერთოა თითქმის ყველა ქვეყნისათვის:

- თავისი პიროვნების და მგზავრობის მიზნების შესახებ არასწორი ინფორმაციის მიცემა, ან საბუთების არასწორად შევსება;
- თუ საელჩოს ეჭვი უჩნდება განმცხადებლის პიროვნებაზე; უმეტეს შემთხვევაში საელჩო უარს ეუბნება ვიზაზე იმ ტურისტებს, რომელნიც მიემგზავრებიან ძვირად ღირებული ტურით და ვერ ხსნიან საიდან აქვთ ამის სახსრები;
- ყალბი ან უვარგისი საბუთების ქონა;
- გაძევების ვადის დარღვევა და სხვა.

შენგენის შეთნხმება

შენგენის შეთნხმებას წინ უსწრებდა ევროკავშირის 1984 წლის 25-26 ივნისის ფონტენბლოს დეკლარაცია შიდა საზღვრებზე პირების და საქონლის გადაადგილებისას

პოლიციური და საბაჟო ფორმალობების გაუქმების შესახებ.შენგენის შეთნხმება ფაქტიურად ევროკავშირის ქვეყნებს შორის საპასპორტო და საბაჟო კონტროლის გაუქმებას გულისხმობს. მას 1985 წლის 14 ივნისს ხელი მოაწერა ევროპის შვიდმა ქვეყანამ: ბელგია, ჰოლანდია. ლუქსემბურგი, საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია და ესპანეთი. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ლუქსემბურგის ქალაქ შენგელში. მას შემდეგ შენგენის შეთანხმებას სხვა ქვეყნებიც შეუერთდა და ამჟამად მათი რიცხვი ოცდახუთია.

შემოღებულია ორი ტიპის შენგენის ვიზა:

ერთიანი შენგენის ვიზა გაიცემა სამი თვის ვადამდე და უფლებას იძლევა წინააღმდეგობის გარეშე გადაადგილდეს იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებმაც დადეს შენგენის შეთანხმება.

ეროვნული შესასვლელი ვიზა სამ თვეზე მეტი ხნით, რომლის გაცემა რჩება შენგენის შეთანხმებაში შემავალი სახელმწიფოს პრეროგატივა. ჯგუფური შენგენის ვიზები არ არსებობს. იმ ქვეყნის ტურისტები, რომლებიც არ შედიან ევროპულ საბჭოში, შენარჩუნებულია შესვლის სავიზო წესი. შესვლის შეღავათიანი წესი გავრცელებულია უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მოქალაქეებისთვის.

ვიზისათვის მიმართვა აუცილებელია იმ ქვეყნის საელჩოში, საიდანაც მიღებულია მოწვევა ან სადაც ხდება ტურმოგზაურობა.

აღსანიშნავია ის, რომ დამუშავებულია უნიფიცირებული სავიზო ანკეტა საკითხების ერთიანი ჩამონათვალით სამ ენაზე: აუცილებლად ინგლისურზე, იმ ქვეყნისენაზე, რომელიც იძლევა ვიზას და მესამე, მეტნაკლებად გავრცელებყული მოცემული ქვეყნის ენაზე.

საქართველოს ვიზა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი მოქალაქის პასპორტი, ვიზის ვადის ამოწურვის შემდეგ კიდევ 6 თვის განმავლობაში მოქმედებს.

მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ „ვარდების რევოლუციის» შემდეგ საქართველოში სავიზო, სასაზღვრო და საბაჟო ფორმალობასთნ დაკავშირებული შემდეგი ცვლილებები მოხდა:

1. შემცირდა ვიზის საფასური 80 აშშ დოლარიდან 10 აშშ დოლარამდე; 2. ვიზის მიღება შესაძლებელი გახდა საქართველოს ყველა საერთაშორისო სტატუსის მქონე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, ყოველგვარი წინასწარი მოწვევის გარეშე;

3. საკრუიზო მგზავრებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა უვიზოდ დაშვებულია 72 საათის განმავლობაში.

ცალმხრივად გაუქმდა სავიზო რეჟიმი ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-სთნ, კანადასთნ, იაპონიასთნ, სამხრეთ კორეასთნ და ისრაელთნ. თუმცა არსებობს გარკვეული ქვეყნები, რომლებთანაც გადასაწყვეტია სავიზო ფორმალობების გამარტივების საკითხი.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ 2010 წლის ივნისს ხელი მოეწერება ხელშეკრულებას, რომლის თნახმადაც საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზას გამარტივებული წესით მიიღებენ, ამასთნ ერთად თითქმის განახევრდება მოსაკ-რებელები, ხოლო სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და სპორტსმენები უფასოდ აიღებენ მას.შესაძლებელი იქნება აგრეთვე გრძელვადიანი, 5 წლიანი ვიზის აღება.

ყოველივე ეს ცვლილება, რა თქმა უნდ, მისასალმებელია, ვინაიდან ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას ფორმალობების გამარტივება წარმოადგენს, თუმცა სამწუხაროდ მხოლოდ ვიზის აღების გამარტივება არ არის საკმარისი.

სავალუტო ფორმალობები

საერთაშორისო ტურიზმის მოცულობის ზრდასთან ერთად ფართოვდება მისი გეოგრაფია და, ბუნებრივია, ტურისტებს შეხება აქვთ უცხოურ ვალუტასთან.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედებს სხვადასხვა წესი ვალუტის შეტანა-გატანაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ფირმებმა ტურისტებს გააცნონ ეს წესები ყოველი გამგზავრების წინ. აღსანიშნავია ის, რომ მხოლოდ სამი ვალუტაა «აბსოლუტურად თავისუფალი ყიდვა-გაყიდვისთვის“: აშშ დოლარი, დიდი ბრიტანეთის ფუნტი სტერლინგი და საფრანგეთის ფრანკი. არის ქვეყნები, სადაც წამყვანი ადგილი უკავია ამერიკულ დოლარს, ინგლისურ ფუნტს ან ფრანკს.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციით სავალუტო ოპერაციების განხორციელებისას გათვალისწინებულია:

● ნება დაერთოს ტურისტს ვალუტის შესატანად იმ შემთხვევაში თუ თანხა შეტანილი იქნება დეკლარაციაში;

● პოტენციურ სტუმრებსა და ტურისტებს მიეცეთ სრული ინფორმაცია, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ფინანსური სიძნელეები საზღვრის გადაკვეთისას;

● მიეცეთ შესაძლებლობა ტურისტებს, რომ ქვეყნიდან გამოსვლისას მოახდინონ დარჩენილი ვალუტის ისევ გაცვლა;

● შესატანი ვალუტის გადაცვლა ეროვნულ ვალუტაზე წარმოებს ტურისტების სურვილით;

● თავის ქვეყნიდან ტურისტის გასვლისას მიეცეს უფლება იქონიოს საკმაო რაოდენობის ფულადი თანხა ქვეყანაში უკან დასაბრუნებლად.

რიგ ქვეყნებში არსებობს მკაცრი სავალუტო წესრიგი და მოქმედებენ კანონები, რომელთა მიხედვით ეროვნული ფული წარმოადგენს ერთადერთ ყიდვა-გაყიდვის საშუალებას.

1998 წლიდან 11 ევროპული ქვეყანა გადავიდა ერთიან ეროვნულ ვალუტაზე. ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, გერმანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პორტუგალია, ფინეთი და საფრანგეთი. 2002 წლის ივლისიდან კი ევრო გახდა ერთიანი ფულადი ერთეული ევროპაში, რომელმაც დდებითი გავლენა მოახდინა ევროპულ ტურიზმზე.

ამავე პერიოდში მტო-მ ჩაატარა სემინარი „ევრო და ტურიზმი“, სადაც აღინიშნა ევროს შემოღების უპირაეტსობა:

● საჭირო აღარაა დროისა და სახსრების დახარჯვა გაცვლით ოპერაციებზე;

● შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ქვეყნებში შედარდეს ფასები მომსახურებაზე. ფასები ტურმომსახურებაზე უფრო გამჭვირვალე ხდება;

● ადვილდება პოლიციის ფუნქციები და მცირდება თაღლითობის რაოდენობა ფულის გაცვლისას. *სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და სამედიცინო ფორმალობები*

ტურისტული მოგზაურობისას სამედიცინო წესების დაცვის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს. მსოფლიო ჯანდაცვის მონაცემებიტ (ჯმო), მსოფლიოში

ყოველწლიურად რეგისტრირებულია 1000-ზე მეტი შავი ჭირის შემთხვევა, 100-ათასი ქოლერის და ტროპიკული მალარიისა.

საერთაშორისო პრაქტიკის თნახმად, საზღვარგარეთ მოგზაურობა სულ უფრო რისკიანი ხდება. ქ.ლონდონის სტატისტიკის მონაცემების, ყოველი მეხუთე ტურისტი, რომელიც ევროპის ქვეყნებში მიემგზავრება, ავად ხდება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაამუშავა საზღვარგარეთ მოგზაურობისას აცრების მოთხოვნები, რომელიც პრაქტიკული სახელმძღვანელოა ტურისტული ორგანიზაციებისთვის და ტურისტებისთვის. ჯმო უშვებს აგრეთვე «ეპიდემიოოგიურ ყოველწლიურს“ და რეკომენდაციებს, რომელიც მოწოდებულია შეამციროს სახიფათო ინფექციების გავრცელების შესაძლებლობა, მათ შორის ტურიზმის გზით. ჯმო-ს აქვს შეთანხმება მტო-სთან, რომლის შესაბამისად მიმდინარე ინფორმაცია ფორმალობაზე, რომელიც დაკავშირებულია სანიტარული კონტროლის გატარებასთან, ქვეყნდება მჯო-ს ყოველწლიურ გამოცემაში „საზღვარგარეთული ტურიზმი-სასაზღვრო ფორმალობები“. ჯმო-ს საერთაშორისო სამედიცინო-სანიტარული წესები მოქმედებს 1951 წლიდან.

საკარანტინო საერთაშორისო დაავადებებს მიეკუთვნება: ჭირი,ქოლერა, ყვითელი ციება, ტიფი. ქვეყნდება ქვეყნების სიები, სადაც სამოგზაუროდ საჭიროა აცრები საერთაშორისო ნიმუშის დადგენილი სერტიფიკატით.

არსებობს განსაზღვრული სამედიცინო წესები, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული მოგზაურობისას საშიში ინფექციური დაავადებები. ეს წესები ტურფირმების მიერ დაყვანილ უნდა იქნას ტურისტებამდე მოგზაურობის დაწყებისას ინფორმაციული ფურცლის სახით.

სანიტარიასთან დაკავშირებით საქართველოში, ჩემი აზრით, პრობლემა გვაქვს. განსაკუთრებით დედაქალაქზე გავამახვილებ ყურადღებას. თბილისის გარეუბნებში არის ნაგავსაყრელები, სადაც სანიტარული ნორმები ირღვევა. ამ ადგილებში ხდება ნაგვის, ნარჩენების დაწვა, გამოყოფილი აირები კი ჰაერში ვრცელდება. ამასთან ერთად მიმდინარეობს ბიოქიმიური მოვლენები, შედეგად კი დაბინძურებული მასები წყალსა და ნიადაგში იჟონება. ბუნკერებში თავს იყრის მღრღნელები, რომლებიც მრავალი მწვავე ინფექციური დაავადების გადამტანნი არიან.

დაზღვევის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკურ ურთირთობათ სისტემა ფიზიკური ან იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესების დასაცავად განსაზღვრული შემთხვევების დროს და რომელიც გადაიხდება სადაზღვეო შენატანებიდან სადაზღვევო გადასახადების ამოღების გზით.

დაზღვევა არის სავალდებულო და ნებაყოფლობითი, ჯგუფური ან ინდივიდუალური და ხორციელდება შესაბამისი წესების საფუძველზე. დაზღვევის წესებში ასახულია სადაზღვევო ხელშეკრულების დადების, ცვლილებების, შეწყვეტის დამოქმედების ვადების წესები, განხილულია სადაზღვევო შენატანი და სადაზღვევო უზრუნველყოფა, მხარეების უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულების დადებისას მზღვეველი იღებს შესაბამის სადაზღვევო პოლისს.

ტურიზმის სფეროში დაზღვევის სახეები მოიცავენ ტურისტისა და მისი ქონების დაზღვევას, მათ შორის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევას, ტურფირმების რისკის დაზღვევას და სხვა.

დაზღვევის სპეციფიკური სახეებია: დაზღვევა ტრანსპორტის შეფერხების შემთხვევაში, ცუდი ამინდისას, როცა ტურისტს არ უწევენ საგზურში მითითებულ მომსახურებას, ან არასრულყოფილად ემსახურებიან.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის აუცილებელ დაზღვევას ავტოტრანსპორტის (ავტოტურისტების) მძღოლებისა და მფლობელებისათვის, ამიტომ ავტოტურისტი ვალდებულია გააფორმოს სადაზღვევო პოლისი საზღვრის გადაკვეთისას.

ევროპულ კავშირში ავტოტურისტებისთვის აუცილებელია ასეთი დაზღვევის მიღება ***მწვანე ბარათის*** სახით, ამასთანსადაზღვევო გადასახადის ზომა დამოკიდებულია ავტომობილის კლასზე და მოგზაურობის ხანგრძლივობაზე.

არსებობს საერთაშორისო სადაზღვევო პოლისის მრავალსახეობა, რომელიც საშუალებას იძლევა სადაზღვევო მომსახურება მიიღოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მაგალითად, საერთაშორისო სადაზღვევო პოლისის საფრანგეთის სადაზღვევო კომპანიის «Cesa Assistance»-ის მფლობელებს საზღვარგარეთ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში დამატებითი გადასახადის გარეშე გაეწევათ:

- აუცილებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარება;
- სასწრაფო სტომატოლოგიური დახმარება;
- ყველა სახის ტრანსპორტით სამედიცინო ტრანსპორტირების დახმარება;
- ნათესავების მიყვანა შემთხვევის ადგილას და უკან წაყვანა;
- კვალიფიცირებული იურიდიული დახმარება და დაცვა.

სამწუხაროდ სადაზღვევო საქმიანობა საქართველოში ამ დონეზე არ არის ჯერ განვითარებული, თუმცა გარკვეული ძვრები უკვე შეინიშნება.

მოგზაურობის უსაფრთხოებად ითვლება ტურისტთა პირადი უსაფრთხოება, მათი ქონების შენახვა და მოგზაურობისას გარემო ბუნების დაცვა. ამრიგად, ტურისტის დაზღვევა არის მისი უსაფრთხოების ღონისძიებების ნაწილი. ტურისტის უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს პოლიტიკასთან, ტუროპერატორთა და ტურაგენტთა მიერ მიღებულ ღონისძიებებთან და თვით ტურისტის ქმედებებთნ.

ტურიზმის უსაფრთხოება და რისკების შემცირება მოგზაურობისას პრობლემების ფართო წრეს ეხება, მათ შორისაა: სპეციალური საპოლიციო სამსახურის შექმნა სტუმართა და ადგილობრივ მცხოვრებთა დასაცავად, ტურდაწესებულებათა უსაფრთხოების შემოწმება და მათი ლიცენზიებისა და სერთიფიკატების არსებობა, სასწრაფო დახმარების სამუშაოთა ორგანიზაცია, ტურისტთა საჩივრების მიღება, ძეგლების და გარემოს დაცვა, ნარკოტიკებისა და პროსტიტუციის წინაღმდეგ ბრძოლა. ყველაზე დიდი პრობლემა,რაც დღესდღეობით საქართველოშია და უმთავრესი ფაქტორია ტურიზმის გასავითარებლად არის უსაფრთხოების პრობლემა. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ცუდი გავლენა იქონია ტურისტების რაოდენობაზე და ფაქტია სანამ სტაბილურობას არ მივაღწევთ ტურიზმზე ფიქრი ზედმეტი იქნება.

საბოლოოდ, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ტურისტთა მოსაზიდად სახელმწიფომ უნდა გაატაროს რიგი რეფორმები, რომლებიც გაამარტივებს და უსაფრთხოს გახდის საქართველოში ვიზიტს ტურისტებისთვის.

1. ვფიქრობთ, პირველ რიგში საქართველომ უნდა მოაგვაროს საშიანო და საგარეო პრობლემები, ქვეყანა უნდა გახდეს სტაბილური;

2. ქვეყანამ უნდა მიხედოს დაზღვევის საკითხებს;

3. სახელმწიფომ სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებს უნდა მიაქციოს ყურადღება;

4. კარგი იქნებოდა საქართველოში რომ შექმნილიყო სპეციალური ტურისტული საპოლიციო სამსახური, რომელიც ტურისტებს დაეხმარება გადაწყვიტოს პრობლემები. ტურისტულ პოლიციას ტურისტულ ფირმებთან და პოლიციასთან ექნებათ კავშირი. ტურისტულ პოლიციას დაეკისრება აგრეთვე კულტურის ძეგლების, გარემო ბუნების დაცვა, ტურისტებზე ინფორმაციის გაცემა.

5. სასურველი იქნება თუ სახელმწიფო განსაზღვრავს ქცევის წესებს და ნორმებს, რომელიც უნდა დაიცვას ტურისტმა საქართველოში ვიზიტისას. მართალია, ტურიზმის განვითარება გვინდა, მაგრამ ეს იმას არ გულისხმობს, რომ ტურისტებს მივცეთ სრული თვისუფლება. მათ უნდა გაითვალისწინონ გარკვეული ფაქტები, მაგალითად, ის, რომ არატრადიციული ორიენტაციის მქონე უცხოელმა ქართველი «აზიატი“ შეიძლება გააღიზიანოს. ამასთან ერთად არ უნდა დაირღვეს ქვეყნის ტრადიციული სახე ტურისტების ზედმეტად თვისუფალი ქცევით. ჩვენი აზრით, რაც უფრო შევინარჩუნებთ ჩვენს მენტალიტეტს, კულტურას, ტრადიციულ შეხედულებებს, მით საინტერესო და მიმზიდველი დანიშნულების ადგილი იქნება საქართველო და ამასთან ერთად, რაც ყველაზე მთავარია, დღევანდელი გლობალიზაციის პროცესში შევინარჩუნებთ ჩვენს მეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ.კოჭლამაზაშვილი, ტურიზმის ბიზნესის საფუძვლები, თბ, 2004;
2. მ.ბირჟაკოვი-ტურიზმის თეორია; მინსკ, 2008;
3. Маринин М.М. Туристские формальности и безопасность в туризме.
4. www.tourism.gov.ge.

თამარ ტატანაშვილი

ხელმძღვანელი: პროფ. რომან შენგელია

ჩასახულის სამართლებრივი მდგომარეობა

ემბრიონის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის პრობლემა დღითიდღე უფრო მეტ აქტუალობას იძენს. არის თუ არა იგი უფლებების მატარებელი ან ეკუთვნის თუ არა მას სპეციალური დაცვა? – ბოლო წლებში ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. აბორტის საკითხის გადაწყვეტა და ემბრიონის დაცვა მრავალ ქვეყანაში დღემდე სადავოა. რეპროდუქციული ტექნოლოგიების განვითარებამ და ახალი, ადრე წარმოუდგენელი შესაძლებლობების აღმოჩენამ, კერძოდ სუროგაციამ, სიკვდილის შემდგომმა რეპროდუქციულმა პროგრამებმა, პრობლემური გახადა კითხვა ემბრიონის სიცოცხლის უფლებაზე, აქედან გამომდინარე კი ბავშვის უფლება დაბადებაზე იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც მორალურ-ეთიკური ისე, სამართლებრივი თვალსაზრისით. ჩასახულის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია ემბრიონის (ფეტუსის) სიცოცხლის უფლებასთან, სამართლებრივი დაცვისთვის პრობლემატურია ადამიანის დაბადების საწყისი მომენტის განსაზღვრა და დედის ორგანიზმში მყოფი ნაყოფის სტატუსის შეფასება.

სამართლებრივად ადამიანი უფლებაუნარიანი დაბადების მომენტიდან ხდება, დაბადებამდე იგი არ არის სამართლის სუბიექტი. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში არშობილ ადამიანს სხვადასხვა სტატუსი გააჩნია. სამოქალაქო სამართალში დაცულია ჩასახული ემბრიონის ქონებრივი უფლებები, რომელიც რეალიზდება დაბადების შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის II ნაწილით «მემკვიდრედ ყოფნის უფლება» წარმოიშობა დაბადებისთანავე. არშობილი ბავშვის ინტერესების დაცვა შემოიფარგლება მისი სამემკვიდრეო წილის დაცვით. სისხლის სამართლის კანონმდებლობით უშუალოდ ნაყოფისთვის რაიმე ზიანის მიყენება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასარ იწვევს. უკანონო აბორტის (სსკ 133-ე მუხლი) განხორციელებისას, დანაშაულის ობიექტად მხოლოდ ქალის ჯანმრთელობაა მიჩნეული, ხოლო დამნაშავის მიერ წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა, კვალიფიცირდება როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა. პირველ რიგში დაცულია ქალის სიცოცხლე, ხოლო მისი ორსულობა დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. როგორც ვხედავთ განსხვავებულად არის დაცული ზოგადად ქალის და ორსული ქალის მდგომარეობა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა სამართლებრივი ნონსენსი. სამართლის ორივე დარგი განსხვავებულად იცავს ჩანასახის უფლებას და აქედანვე იკვეთება პრობლემის გადაჭრის აქტუალობა და საჭიროება.

ძველ რომაულ სამართალში ვხვდებით ნორმებს, რომლებიც ადასტურებენ ადამიანის უფლებაუნარიანობის საწყის მომენტს დაბადებამდე. XII ტაბულის კანონის თანახმად, ბავშვი, რომელიც დაიბადა მამა-მამკვდირებლის სიკვდილის შემდეგ, ითვლებოდა მემკვიდრედ და ამასთანავე შეიძლებოდა მისი ანდერძში მოხსენიება.

ლათინურმა სამართლებრივმა წყაროებმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა სამოქალაქო სამართალის მეცნიერებაში ჩანასახის «პირობითი უფლებაუნარიანობის» თეორიის ჩამოყალიბებაზე. იურიდიული ფიქციით აღიარებენ, რომ დაბადებამდე ნაყოფიც უფლებაუნარიანია, მაგრამ ის შეზღუდულია, ვინაიდან ეხება მხოლოდ უფლებებს ისე, რომ ჩასახულს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე მოვალეობა.

ჩანასახის უფლებაუნარიანობასა და სტატუსთან მიმართებაში განსხვავებული მდგომარეობაა სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში. გერმანიის კანონმდებლობით ის, ვინც მემკვიდრეობის გახსნამდე არ დაბადებულა, მაგრამ მანამადე იყო ჩასახული, ითვლება მემკვიდრედ. ფრანგული სამართალი მას მიიჩნევს სამართლის სუბიექტად. ესპანეთის სამოქალაქო კოდექსი არშობილ ბავშვს მიიჩნევს დაბადებულად ყველა მისთვის სასარგებლო შემთხვევებში. ზემოთაღნიშნულიდან ჩანს, რომ სამოქალაქო სამართალში არშობილი ბავშვის ინტერესები გარკვეულწილად გათვალისწინებულია.

საზღვარგარეთის სისხლის სამართალში ნაყოფის უფლებასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს. ეს კარგად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკიდან. კალიფორნიის, მისურის, მინესოტის შტატებში ნაყოფის სიცოცხლის მოსპობა მკვლელობად ითვლება. «მკვდრადშობილი ნაყოფი უთანაბრდება ცოცხალ ადამიანს», ხოლო ფეხმძიმე ქალისთვის სხეულის დაზიანება, თუკი მან ნაყოფის სიკვდილი გამოიწვია, განიხილება როგორც ნაყოფის მკვლელობა. ჩრდილოეთ კაროლინის შტატის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ სიცოცხლისუნარიანი ნაყოფისთვის სიცოცხლის მოსპობა არ ჩაითვლება მკვლელობად.

ემბრიონის მორალური და სამართლებრივი სტატუსის საკითხი უკავშირდება ბიოლოგიურ, სამედიცინო, ეთიკურ, რელიგიურ და ფილოსოფიურ საკითხებს. მისი სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება აბორტის სრულ აკრძალვას მოითხოვს. ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებებია მთელ მსოფლიოში და არ არის კონსენსუსი. ადამიანის უფლებათა სფეროში უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით ემბრიონის უფლება უზრუნველყოფილი არ არის. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948 წ.) მე-3 მუხლის თანახმად «ყველას აქვს სიცოცხლის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება». ტერმინში «ყველა» იგულისხმება თუ არა სიცოცხლის უფლება ჩანასახისთვის, სადაოა. პროექტის მომზადების დროს უარყოფილ იქნა მე-3 მუხლის ის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ემბრიონის სიცოცხლის უფლების დაცვას. ასევე არის «სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში». ადამიანის ემბრიონის დაცვას ითვალისწინებს: ბავშვთა უფლებების (გაეროს) კონვენცია, ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (ოვიედოს) კონვენცია, ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (IV მუხლი), ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია (IV მუხლი).

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე არ არის საერთო აზრი ჩამოყალიბებული ჩანასახის სიცოცხლის უფლების დაცვაზე. სასამართლო არ იძლევა პასუხს კონკრეტულპრეცენდენტებში ემბრიონის სიკვდილი კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების ფარგლებშია თუ არა და აკეთებს დასკვნას, რომ «რამდენადაც არ იყო ამ საკითხზე კონსენსუსი ამიტომ არც სასურველი იყო და არც შესაძლებელი სასამართლოს გაეცა ზოგადი პასუხი იმაზე, იყო თუ არა დაუბადებელი ბავშვი ადამიანი»-კონვენციის

მე-2 მუხლის განმარტებით. ამ საკითხის გადაწყვეტა წევრ სახელმწიფოებს მიანდეს, თუმცა ისეთი უნივერსალური აქტი, როგორიც ევროპული კონვენციაა, ასეთი საკითხის ეროვნულ დონეზე გადაწყვეტას არ უნდა გულისხმობდეს. ეროვნული კანონმდებლობით შეიძლება განისაზღვროს კონვენციით ნაკისრი ამა თუ იმ უფლების დაცვის მექანიზმები და არა უფლების ჩამოყალიბება და ინტერპრეტაცია.

ჩანასახის სიცოცხლის უფლება განმტკიცებულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაშიც. ჩეხეთის კონსტიტუციაში ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების თავში მე-6 მუხლის მიხედვით: «ყველას აქვს უფლება სიცოცხლეზე. ადამიანური სიცოცხლე დაცვადია დაბადებამდე». ირლანდიის კონსტიტუციაში 1983 წლის რეფერენდუმის გზით შეტანილი შესწორების თანახმად მე-40 მუხლში იცნო დაუბადებელი ბავშვის უფლება სიცოცხლეზე დედის სიცოცხლის უფლების თანასწორად, დაცულია და მხარს უჭერს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით. სიცოცხლის საწყისის საკანონმდებლო განსაზღვრების პრაქტიკული მნიშვნელობა მოგვცემს პასუხს კითხვაზე: განვითარების რომელ სტადიაზეა ემბრიონი სიცოცხლისუნარიანი და სამართლის სუბიექტი. ამ საკითხს განიხილავს მ. მალეინა და მიიჩნევს, რომ არარეალურია დაბადებამდე ნაყოფის განხილვა უფლებაუნარიანად და სამართლის სუბიექტად. იგი საუბრობს სიცოც-ხლისუნარიანობის ხარისხზე, რომელიც მუდმივად ცვალებადია და შესაბამისად საჭიროებს კანონმდებლობაში ასახვას. რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1089-ე მუხლის III პუნქტი, სადაც გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც წარმოიშობა, დაზარალებული დედის სიკვდილის შემდეგ, ბავშვის დაბადების შემთხვევაში. ცნობილია ასეთი შემთხვევებიც, როდესაც სუნთქვის და სისხლის მიმოქცევის შენარჩუნება ხდებოდა ხელოვნურად. მ. მალეინა თვლის, რომ კანონმდებლობით უნდა განმტკიცდეს მედპერსონალის ვალდებულება, გადაარჩინონ გარდაცვლილი ქალის სხეულში მყოფი ნაყოფი, სამედიცინო ჩვენებების შესაბამისად და მეუღლის თანხობით. ამ უკანასკნელ პირობას ვერ დავეთანხმები, ვინაიდან თუკი არსებობს სიცოცხლისუნარიანობის ეტაპზე მყოფი ნაყოფის – მომავალი ბავშვის გადარჩენის შანსი და მამა ამაზე უარს იტყვის, ამით ნაყოფის სიცოცხლის უფლება ხელყოფილი იქნება და უკვე ამ უკანასკნელზე იქნება დამოკიდებული ბავშვის მოვლინება, როცა ამის რეალური შანსი არსებობს.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ნაყოფის გამოყენება სამედიცინო დაკვირვებებისა და მკურნალობისას. რიგ ქვეყნებში არის მისი გამოყენების შემთხვევები. არაერთი ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ ემბრიონის უჯრედებზე ზემოქმედებით წყდება კიბოს უჯრედების წარმოქმნა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯანდაცვის ნაციონალურმა ინსტიტუტმა აკრძალა ყველა სამედიცინო საქმიანობა აბორტირებული ნაყოფის უჯრედების საშუალებით, სანამ არ იქნება გადაწყვეტილი მასთან დაკავშირებული მორალურ-ეთიკური პრობლემები. ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციამ მიიღოO შესაბამისი დოკუმენტი სადაც ნათქვამია, რომ ჩასახვა და აბორტი ტრანსპლანტაციისათვის საჭირო რესურსების მიღების მიზნით აკრძალულია. ტრანსპლანტაციამ არ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ვადებსა და მეთოდებზე. ემბრიონის უჯრედების გამოყენება სამედიცინო გამოკვლევებისთვის და მკურნალობისთვის შესაძლებელია

უსასყიდლოდ დედის თანხმობის შემთხევვაში, უჯრედების აღება ხდება მხოლოდ ემბრიონის სიკვდილის შემდეგ.

მ. მალეინას მიაჩნია, რომ ამ საკითხთან მიმართებაშიც რუსეთის კანონმდებლობამ უნდა გადაწყვიტოს ეს პრობლემა. ძირითადი ნორმებისა და წესების მიხედვით ჩასახვა და აბორტი შემდგომი ტრანსპლანტაციისათვის არ შეიძლება დაშვებული იყოს, თუმცა მიაჩნია რომ რიგ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლებაემბრიონის უჯრედების გამოყენება, როცა ეს აუცილებელია ახლო ნათესავებისთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, თუკი ეს ერთადერთი საშუალებაა. მიუხედავად იმისა, რომ ემბრიონის გამოყენება ხდება ახლო ნათესავის გადასარჩენად, აბორტის გაკეთება ამ მიზნით, ვფიქრობ, დაუშვებელია, იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება მისი სიცოცხლის უფლებას, როცა ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ხდება სხვის გადასარჩენად, რის სანაცვლოდაც იღუპება ჯანმრთელი მომავალი ბავშვი. ასეთი საკანონმდებლო დაშვება გამოიწვევს ემბრიონთა უჯრედების უამრავ შემთხვევას და აქაც ვერ იქნება კანონის მოთხოვნები დაცული.

ემბრიონის სტატუსის განსაზღვრის პრობლემას განიხილავს ე. მიტრიაკოვა და აკეთებს დასკვნას: იქიდან გამომდინარე, რომ ემბრიონს არ აქვს სამართალსუბიექტობა, ის უნდა განვიხილოთ როგორც სამართლებრივი ურთიერთობების საგანი. იგი სთავა-ზობს კანონმდებელს განამტკიცოს რუსეთის სამოქალაქო კოდექსში ნორმა, რომლის მიხედვითაც ემბრიონი მიჩნეულ იქნეს, როგორც ხელშეკრულბების საგანი და იცნოს ნივთად. რუსეთში ადამიანის ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის შესახებ კანონში ემბრიონი გაგებულია, როგორც ადამიანის ორგანოთა სახესხვაობა, რომელსაც კავშირი აქვს ადამიანის განვითარების პროცესთან. ამავდროულად, კანონში ნათქვამია, რომ მისი მოქმედება არ ვრცელდება ასეთი ტიპის ორგანოებზე. ამ კანონით ემბრიონი გამოყოფილია ადამიანის ორგანოთა ძირითადი სიიდან, გამომდინარე მისი სპეციფიკიდან და სამართლებრივი სტატუსიდან.

მუცლადმყოფი ნაყოფი მიუხედავად მისი განითარების ვადებისა, რუსეთის კანონმდებლობით განიხილება, როგორც დედის ორგანიზმის ფიზილოგიური ნაწილი. ე. მიტრიაკოვას აზრით კი, ეს ნიშნავს, რომ კანონდებელი ემბრიონს განიხილავს, როგორც უჯრედების, ქსოვილებისა და ორგანოების სისტემას, ქალის ორგანიზმის შემადგენელ ნაწილს ანუ როგორც საგანს (აქედან გამოდინარეობს, რომ შეიძლება მისი გაყიდვა, განადგურება და ა.შ), თუკი კანონმდებელი ემბრიონს განიხილავდა როგორც სამართალსუბიექტს, ცნობდა მას ადამიანის განსაკუთრებულ ნაწილად, რომელსაც დაცვა სჭირდება, მაშინ აკრძალული იქნებოდა ყველა სახის მანიპულაცია ემბრიონით, დაწყებული აბორტით და რედუქციით და დამთავრებული სუროგატი დედის ორგანიზმში გადანერგვით. აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, პირდაპირ უნდა იყოს გამყარებული სამოქალქო კოდექსში, რომ ადამიანური ემბრიონი შეიძლება იყოს ხელშეკრულების საგანი, თუკი მას ვცნობთ ნივთად, მაგრამ, რა თქმა უნდა, ემბრიონს უნდა ვაკუთვნებდეთ ობიექტების განსაკუთრებულ სახეს ან ობიექტს შემოფარგლულს განსაზღვრული პირთა წრით ანუ ემბრიონი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ იმ კონკრეტულ მონაწილეებს (გენეტიკური მშობლები), რომელთა ყოფნა დაშვებული იქნება სპეციალური ნებართვით. თუკი ემბრიონს არ ექნება ნივთის სტატუსი, მაშინ

მასზე გავრცელდება პასუხისმგებლობა ზიანის მიყენებისთვის. ხოლო ემბრიონისათვის ნივთის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება გამოასწორებდა ასეთ მდგომარეობას.

ამ პრობლემასვე ეხება ნ. აპოლინსკაია. იგი უდავოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ადამიანური ნაყოფი უფრო ადრე კი ემბრიონი – ადამიანური არსებაა და სანამ ადამიანი არ დაიბადება მას არ აქვს სიცოცხლე, დედის სიცოცხლისგან გამოყოფილად ნაყოფი არ არის დამოუკიდებელი. მათი კავშირი არ იძლევა გამყოფი ხაზის გავლების საშუალებას დედის ორგანიზმსა და მის მომავალ ბავშვს შორის. მისი აზრით, ნაყოფის სამართალსუბიექტად ცნობა გამოიწვევს: ორსული ქალის უფლებების გაუქმებას, აუცილებელი გახდება ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შეცვლა (უფლება-უნარიანობის ახალი კატეგორიის შემოღება); აღნიშვნა იმ სუბიექტის, რომელიც აღმოაჩენს და დაიცავს ნაყოფის უფლებების დარღვევის ფაქტებს, რადგან თვითონ ნაყოფს ამის შესაძლებლობა არ ექნება. ავტორის აზრით, სანამ ნაყოფი დედის ორგანიზმში იმყოფება, მისი ფიზილოგიურად დამოუკიდებლის განხილვა, როგორც დაბადებულის (სამართლის სუბიექტის ან ობიექტის) შეუძლებელია. ასეთი შემთხვევა მხოლოდ გაართულებს სიტუაციას და გამოიწვევს საკუთრივ უკვე არსებულ პირთა უფლებებისადა თავისუფლებების დარღვევას. აღნიშნული სიტუაციისას ბავშვის უფლებამ შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ ნორმატიული ბაზის გაფართოებასთან.

რეპროდუქციული ტექნოლოგიების სფეროში სამართლებრივი რეგულირების აუცილებელი მექანიზმების არარსებობა, უარყოფითად მოქმედებს წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტების უფლებების დაცვაზე. ს. შევჩუკი გვთავაზობს, რომ სიცოცხლის საწყისად განისაზღვროს არა დაბადების მომენტი, არამედ მუცლადმყოფი ნაყოფის განვითარების განსაზღვრული ეტაპი და ემბრიონს მივანიჭოთ განსაკუთრებული ჯგუფის ნივთის სტატუსი, აქედან გამომდინარე კი, ემბრიონზე უფლება ექნება ქალს, რომლის ორგანიზმშიც ემბრიონი გადაინერგება. ასევე, სუროგატი დედის ორგანიზმის გამოყენების დროს, ბიოლოგიურ მშობლებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ დაბადებული ბავშვის გადაცემის უფლება. ასეთი შემთხვევის საფუძველია სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

რუსეთის კანონმდებლობა უფლებას აძლევს ყველა სრულწლოვან შვილოსნობის ასაკს მიღწეულ ქალს ხელოვნურ განაყოფიერებაზე და ემბრიონის გადანერგავზე, მიუხედავად სამედიცინო ჩვენებების არარსებობისა. ასეთ ნორმას არ ეთანხმება მეცნიერთა ნაწილი, მათ შორის მ. მალეინა. იგი მიუთითებს, რომ ხელოვნური განაყოფიერება დაშვებული უნდა იყოს სპეციალური სამედიცინო ჩვენებების არსებობის შემთხვევაში, თუკი ქალს (წყვილს) შეუძლია ბუნებრივი გზით იყოლიოს(ონ) შვილი, ასეთი პროცედურა არ უნდა ჩაუტარდეთ. ასეთი მოსაზრება მართებულად მიაჩნია ს. შევჩუკს, რომელთან მიმართებაშიც სავალდებულოდ მიიჩნევს კანონმდებლობაში განტკიცდეს აღნიშნულ პრცედურათა დაშვება, მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში. იმპლანტაციაში იგულისხმება სამედიცნო ჩარევის თავისებური წესი შესაბამისი დახმარების გაწევის მიზნით.

მეორე სერიოზულ პრობლემას, შევჩუკის აზრით, წარმოადგენს აუცილებლობა განისაზღვროს და განმტკიცდეს რუსეთის კანონმდებლობაში რეპროდუქციული ტექნოლოგიების დროს ტრანსპლანტანტების განსაკუთრებული სამართლებრივი

რეჟიმი. ს. შევჩუკი თვლის, რომ ტრანსპლანტანტები უნდა ვცნოთ ნივთად, ხელშეკრულების საგნად, რომელზეც დონორს წარმოეშვება საკუთრების უფლება. უფლებამოსილებათაგან ერთ-ერთს, რომელის რეალიზებასაც მესაკუთრე მოახდენს, არის სადონორო რესურსის გადაცემა მხარეთათვის ხელშეკურლების მიზნის შესაბამისად. ბევრად რთულია განისაზღვროს ემბრიონის სამართლებრივი სტატუსი, რომელიც მიღებულია ექსტრაკორპორაციული ხელოვნური განაყოფიერების შედეგად, ლაბორატორიის პირობებში, ქალის ორგანიზმში გადანერგვამდე, ტრანსპლანტაციამდე ასეთი ემბრიონის სიცოცხლის უფლება ყველგან უარყოფილია. იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი სახის დედობისა და მამობის საფუძველია «ხელშეკრულება, დადებული მეუღლეებს ანუ მომავალი მშობლობის პრეტენდენტებსა და დედის შემცვლელს შორის, რომელიც, მეუღლეთა თხოვნით, მუცლით ატარებს და შემდგომ დაბადებს ბავშვს, ჩასახულს ხელოვნური განაყოფიერების გზით. ხელშეკრულება წარმოშობს სამართლებრივ ურთერთობას მხარეთა შორის, მაგრამ არ იძლევა მისი შესრულების გარანტიას». ს. შევჩუკის აზრით, აღნიშნული არ არის მართებული, რამდენადაც ამით არ მიიღწევა დედა-დონორის მომსახურების გამოყენების მიზანი. ავტორები ამახვილებენ ყურადღებას შემდეგი სახის პრობლემაზე: სამართლიანია თუ არა პირის ქმედება, რომელმაც დადო ხელშეკრულება ქალ-დონორთან, ბავშვის გადაცემაზე უარის შემთხვევაში, მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სამედიცინო, კვების, დასვენების და ა.შ.). ს. შევჩუკის აზრით, ხელშეკრულების დადებისას, სუროგატი დედისთვის ბავშვის გადაცემის ვალდებულების საკანონდებლო განმტკიცებით, ხელი შეეწყობა, უფრო მეტად სერიოზულ და საპასუხისმგებლო ურთიერთობების ფორმირებას, რომლის დროსაც მას დაეკისრება შესაბამისი ვალდებულება. ცალმხრივი უარი ხელშეკრულების შესრულებაზე სუროგატი დედის მხრიდან, კონტრაგენტების უნაკლო ქცევისას არ შეიძლება ვცნოთ დასაბუთებულად დასამართლიანად. ს. შევჩუკი ამასთან მიმართებაში გამოთქვამს აზრს, რომ ასეთი ტიპის შეთანხმებები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, რამდენადაც მხოლოდ ასე შეიძლება აღიკვეთოს ისეთი დანაშაულებრივი მიზნები, როგორიცაა ბავშვებით ვაჭრობა, მათ შორის, მათივე ორგანოების გამოყენება ტრანსპლანტაციისათვის და შემდგომში სამედიცინო ექსპერიმენტებისათვის.

გაუგებარია ის, რომ თუკი შვილად აყვანის ინსტიტუტის ნორმები გულისხმობს მშვილებლების პიროვნებების მიმართ მოთხოვნებს, ხოლო სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ბავშვის გადაცემისას, ეს ასპექტი არ კონტროლდება. ამასთანავე თუკი ჩვენი კანონდებლობით შვილად აყვანის საიდუმლოების გათქმა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რატომ არ არის გათვალისწინებული ასეთივე ნორმა რეპროდუქციული ტექნლოგიების შედეგად ჩასახული ბავშვისათვის ამ ინფორმაციის გამხელისას, რასაც ასევე მძიმე შედეგების გამოწვევა შეუძლია.

დაბადებულ ბავშვს შეიძლება აღმოაჩნდეს რამდენიმე მშობელი: 1) სამი ბიოლოგიური – მამაკაცი- სქესობრივი უჯრედის დონორი, ქალი- სქესობრივი უჯრედის დონორი, ქალი- მუცლის, ორგანიზმის დონორი); 2) ორი სოციალური – შემკვეთი მშობლების სახით. «სუროგატული დედობის» მოწინააღმდეგეები, მას თვლიან როგორც საკუთარი სახელით ვაჭრობის ახალ ფორმას, როდესაც ქალი გარდაიქცევა «ცოცხალ ინკუბატორად», «ბიოპრეპარატად» და ა.შ. სუროგაციის დამცველთა არგუმენტებით ეს

უნაყოფობის დაძლევის ერთადერთი საშუალება. მათი შეხედულებით ასეთ ქალს-სუროგატ დედას უნდა ამოძრავებდეს ჰუმანური მიზნები და არა მხოლოდ მატერიალური, რაც რეალობაში ნაკლებად ხდება.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კანონმდებლობა ბუნდოვნად და არასრულად ასახავს ამ ურთიერთობათა რეგულირების ზოგად ნორმებს, რომელსაც ითვალისწინებს ევროსაბჭოს ექსპერტთა დროებით კომიტეტში ასახული პრინციპები. ჩვენთან არ არის მითითებები: წყვილის ჰეტეროსექსუალობის აუცილებლობაზე; ამასთანავე არაფერია ნათქვამი მეათე პრინციპზე, რომელიც გულისხმობს ერთი დონორისაგან დაბადებული ბავშვების რაოდენობის შეზღუდვას. ეს უმნიშვნელოვანესი დებულებაა იმიტომ, რომ ამით მომავალში თავიდან უნდა იქნეს აცილებული გენეტიკურად ახლო პირების შეუღლება – ინცესტი და მასთან დაკავშირებული როგორც ზნეობრივი ისე სამედიცინო პრობლემები.

სუროგაციის შესახებ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი კონტრაქტის ან შეთანხმების თაობაზე. უფრო მეტიც, «ჯანმრთელობის დაცვის შესახებ» 141-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის მეთხუთმეტე პრინციპის მე-4 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტში ასახულ დებულებასთან: «სუროგატ დედას აქვს არჩევანის უფლება დაბადების შემდეგ ბავშვი თავისთან დაიტოვოს». კერძოდ, ხსენებული კანონის 143-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად «... «სუროგატულ დედას» არ აქვს ბავშვის მშობლად ცნობის უფლება». ცხადია, ეს დებულება გამორიცხავს სუროგატულ დედის არჩევანს ბავშვის თავისთან დატოვების თაობაზე.

განხილულიდან ჩანს, რომ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა აშკარად არ უარყოფს ემბრიონის სიცოცხლის უფლებას. სასამართლოს პრეცენდენტში ის ფაქტი, რომ სასამართლომ უარყო ევროპული კონვენციის მე-2 უხლის დარღვევა ემბრიონის სიცოცხლის მოსპობასთან მიმართებაში, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ამით მან სცნო ფეტუსის სიცოცხლის უფლება კონვენციის მე-2 მუხლით, რომელიც სახელმწიფოს არ დაურღვევია. ჩანასახის სიცოცხლის დაცვის გარეშე ვერასოდეს იქნება სრული ადამიანის სიცოცხლის უფლება, თუკი ის არის ადამიანური არსება, ადამიანის სიცოცხლის საწყისი და თუ სიცოცხლე დაბადებით იწყება, მაშინ გამოდის რომ ჩანასახის სიცოცხლის უფლების დაცვა ადამიანის სიცოცხლის გაჩენის აუცილებელი პირობა ყოფილა. ჩანასახის სიცოცხლის უფლებაზე უარის თქმით, უარს ვეუბნებით ადამიანს დაბადებაზე. რაც შეეხება ჩანასახის სიცოცხლის უფლების და მისი სამართლებრივი მდგომარეობის საკანონმდებლო ასახვას, მიმაჩნია, რომ მას უნდა მივანიჭოთ შეზღუდული უფლებაუნარიანობა. აქ ვგულისხმობ ისეთ შემთხვევას, მკაცრად დადგენილი სამედიცინო ჩვენებებისას, როდესაც მშობიარობას ან ორსულობას შეიძლება მოყვეს დედის ან ნაყოფის სიკვდილი. აქ არჩევანს მხოლოდ დედა აკეთებს. თუკი დედა, მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა ან მომავალი გართულებებისა, მაინც გადაწყვეტს გააჩინოს შვილი, ასეთი თავგანწირვა მის სურვილზე იქნება დამოკიდებული წმინდა დედა-შვილური მიზნით. კანონმდემბლობაში ჩანასახის აბსოლიტური უფლების აღიარება არ იქნება სამართლიანი, ვინაიდან არ შეიძლება კანონმა ადამიანს მოთხოვოს გმირობა და თავგანწირვა. ეს უკვე მორალური და ზნეობრივი ნორმების ჩარჩოში ექცევა. კანონით

ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ ახალი სიცოცხლე დედა-შვილური კონფლიქტის გარდა ყველა სხვა შემთხვევაში.

ნაყოფის სიკვდილი არ შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ დედისთვის მიყენებულ ზიანად, ჩანასახისათვის სიცოცხლის უფლების აღიარებით მის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი მკვლელობა. სიცოცხლე იწყება ჩასახვის მომენტიდან. აქედან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, არაა სამართლიანი დედისთვის ნაყოფის სიკვდილით გამოწვეული დანაკლისის ანაზღაურების ტოლფასად ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო და დისციპლინური საშუალებების შეთავაზება, მაგალითად, ექიმის დაუდევრობის შემთხვევაში.

იქიდან გამომდინარე, რომ «სიცოცხლის უფლებას», როგორც თანდაყოლილ და ფუნდამენტურ უფლებას, გააჩნია უმაღლესი სამართლებრივი ძალა და ვინაიდან მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ არსება აღიარებულია ადამიანად, იმიტომ, რომ მას გააჩნია ადამიანის პოტენციალი, ძალიან მარტივი და ყოვლისმომცველია: «შენ თუ ჩასახული ხარ ადამიანი მშობლების მიერ, შენ ადამიანი ხარ».

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ჭანტურია-შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში; თბ., 2000;

2. ლ. ჭელიძე-სიცოცხლის უფლება ფეტუსისათვის საქართველოში, თბ., 2002;

3. კ. კორკელია-ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები. თბ., 2007;

4. Малейна М.Н.-Личные неимущественные права граждан (понятие, осуществление,защита), Москва, 2001;

5. Шевчук С.С.-Некоторые проблемы правового регулирования применения искусственных методов репродукции ,”Медицинское право”, №1, 2003;

6. Аполинская Н.В.- Проблемы определения правового режима человеческого плода. Материалы научно-практической конференции: 31 марта и 3 ноябрь, 2005.

სოფიო ბერიანიძე

ხელმძღვანელი: პროფ: გია მეფარიშვილი

ევთანაზია: უფლება სიცოცხლეზე თუ უფლება სიკვდილზე?
(სამართლებრივი და დეონტოლოგიური ასპექტები)

«ევთანაზია» ბერძნული სიტყვაა და ტკბილ, უშფოთველ სიკვდილს ნიშნავს. თვით ტერმინი «ევთანაზია» ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფრენსის ბეკონმა შემოგვთავაზა. «ევთანაზია» განიმარტება როგორც უკურნებელი სენით დაავადებული და ტკივილებით გაწამებული ადამიანისათვის სიბრალულის მოტივით ისეთი საშუალების მიცემა, რომელიც დააჩქარებს მის სიკვდილს. ერთმანეთისაგან განარჩევენ პასიურ, აქტიურ, ნებაყოფლობით და არანებაყოფლობით ევთანაზიას. პასიური ევთანაზია («გადადებული შპრიცის მეთოდი») გულისხმობს ავადმყოფის ნებაყოფლობით უარის თქმას სიცოცხლის გამახანგრძლივებელ თერაპიაზე ან უკვე დაწყებული თერაპიის შეწყვეტას. აქტიური ევთანაზიის («სავსე შპრიცის მეთოდის») დროს ექიმის მიერ წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება სპეციალური ქმედება, რომელიც სიკვდილს აჩქარებს. ნებაყოფლობითი ეწოდება ევთანაზიას, რომელიც ხორციელდება ავდმყოფის არაორაზროვანი, აშკარა თხოვნის ან წინასწარ მისი თანხმობის საფუძელზე. არანებაყოფლობითი ევთანაზია ხორციელდება ავადმყოფის უშუალო თანხმობის გარეშე.

ევთანაზია არ წარმოადგენს სიახლეს, ანტიკურ პერიოდში იგი არ ყოფილა ზნეობრივი პრობლემა. პლატონი ევთანაზიას სავსებით დასაშვებად თვლიდა. იდეალური სახელმწიფოს განხილვისას იგი წერდა: «სასამართლო და ექიმები უნდა ზრუნავდნენ მოქალაქეებზე, რომლებიც არიან სულით და ხორცით სრულყოფილნი, ხოლო ვინც ასეთი არ არის... სულითაც მახინჯია და ხორცითაც უკურნებელი _ ის უნდა მოკვდეს». სპარტის ქალაქ-სახელმწიფოში, სპარტელების აღზრდის წესები ითვალისწინებდა ახალშობილის გამოცდას, რასაც თანდაყოლილი ფიზიკური ნაკლით დაბადებულები ვერ უძლებდნენ და იღუპებოდნენ. XVIII საუკუნეში ჩამოყალიბდა აზრი, რომ ე.წ. «სურვილით მკვლელობის » ფაქტები გაემიჯნოს განზრახ მკვლელობათა დანაშაულის სფეროს და ამ დროს გამოყენებული იყოს შედარებით მსუბუქი სასჯელი, მაგრამ ეს არ გაიზიარა როგორც ევროპის ისე ანგლოსაქსურმა სამართალმა. XX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა იურისტმა ბინდიგმა და ფსიქიატრმა გოშემ წამოაყენეს წინადადება: ევთანაზიად ჩათვლილიყო ე.წ. «არასრულფასოვანი» სიცოცხლის მოსპობა, რაც დასაბუთებული იყო საზოგადოებითვის ზედმეტი ტვირთვის «არასრულფასოვანი ადამიანების» მოკვდინების აუცილებლობით. ევთანაზიის ცნების ასეთმა არაადამიანურმა ინტერპრეტაციამ შემდგომში ფართო გამოყენება ჰპოვა. 1939 წელს კი ჰიტლერმა ხელი მოაწერა საიდუმლო ბრძანებას, რომლის თანახმად ევთანაზიას უნდა დაქვემდებარებოდა «ყველა, ვინც სიცოცხლის ღირსი არ არის». გერმანიაში მოქმედ «ევთანაზიურ ცენტრებს» საერთო არაფერი ჰქონია მედიცინასთან და იურისპრუდენციასთან, ეს იყო უბრალოდ ადამიანების სასაკლაოები, სადაც ასეულ

ათასობით ადამიანი იქნა განადგურებული. პროგრამა ფორმალურად შეწყდა 1941 წლის 3 აგვისტოს შემდეგ, როცა ეპისკოპოსმა კლემენს ფონ გარენმა ნაცისტების ევთანაზიას «წმინდა წყლის მკვლელობა» უწოდა.

ევთანაზიაზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით საკითხის განხილვას რელიგიური კუთხით. მართლმადიდებლური ეკლესია ევთანაზიას ჩვეულებრივ მკვლელობად აფასებს და მას განიხილავს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ცოდვად. სიტყვა «ევთანაზია» ბერძნულიდან რომ ვთარგმნოთ ნიშნავს «კარგ სიკვდილს», ხოლო ჩვენი ქრისტიანული ღრმა რწმენით ასეთ კარგ სიკვდილს «ცუდი უკვდავება» მოსდევს ჯოჯოხეთში. მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრება თავისი არსით არის ცხოვრება შვილისა, რომელიც იღებს ყველაფერს, რასაც ღმერთი უგზავნის. მართალია, ძნელია ტკივილების ატანა, მითუმეტეს ძნელია, როდესაც ახლობელი ადამიანის ტანჯვას უყურებ, მაგრამ ეს ღვთის მიერ მოვლენილი განსაცდელია, რომლის ღირსეულად გადატანა უნდა შეეძლოთადამიანებს. უფალი ადამიანს იმაზე მეტ განსაცდელს არ მოუვლენს, ვიდრე მას იმის გადატანა შეუძლია. ავადმყოფობასა და განსაცდელებს წმინდა მამები ღმერთისგან მონახულებას უწოდებენ. ყველა ისინი ჩვენი შეცოდებების პიდაპირი შედეგია, უფალი ამ გზით ცდილობს ადამიანთა გამოფხიზლებას და ცოდვებისაგან გამოხსნას, ევთანაზია კი უსპობს ავადმყოფს სინანულისა და ცხონების შესაძლებლობას. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული გამოკითხვები მედიკოსთა შორის (საერთაშორისო დონეზე) ადასტურებენ, რომ მათი უმეტესობა მომხრეა ევთანაზიის, ამიტომ მნიშვნელოვანია ევთანაზია განვიხილოთ სამედიცინო ეთიკის _ დეონტოლოგიის კუთხით. ყოველი მომავალი ექიმი დებს ჰიპოკრატეს ფიცს და წარმოთქვამენ სიტყვებს, რომ ისინი არ მისცემენ არცერთ მთხოვნელს მომაკვდინებელ საშუალებას და არ უჩვენებს მათი განზრახვის განსახორციელებელ გზას! შესაბამისად, ექიმები დებენ რა ფიცს, მოვალენი არიან პირნათლად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. თუმცა არის შემთხვევები, როცა ეს ასე არ ხდება. ცნობილია ექიმ ჯონ კრაის შემთხვევა, რომელმაც განუკურნებელი სენით შეპყრობილი პაციენტისა და ამავე დროს მისი უახლოესი მეგობრის ევთანაზირება მოახდინა. ექიმი კრაი დააპატიმრეს მკვლელობისათვის, ერთი კვირის შემდეგ იგი თავდებობის საფუძველზე გაათავისუფ-ლეს. ორი კვირის შემდეგ კი მან თავი მოიკლა. ეს მაგალითი იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ევთანაზიას კარგი შედეგები არ მოაქვს. ხშირად ისმის კითხვა, საერთოდ ექიმმა უნდა უთხრას თუ არა ავადმყოფს მომაკვდინებელი დაავადების შესახებ? ცნობილია საფრანგეთის პრეზიდენტის მიტერანის მაგალითი, რომელიც კიბოთი იყო დაავადებული. იგი ცხოვრებასა და მოღვაწეობას სწორად შერჩეული წამლების კურსით განაგრძობდა. ერთ დღეს მან ექიმს ჰკითხა: რამდენ ხანს იცოცხლებდა თუ წამლებს აღარ მიიღებდა? ექიმმა კატეგორიულად უპასუხა: 3-4 დღესო. მან შეწყვიტა წამლების მიღება. მეოთხე დღეს თავი ცუდად იგრძნო, პირი გაუპარსავს, ანდრეძიც დაწერა და სამუდამო ძილიც დაეუფლა. დღემდე მსჯელობენ, რამდენად სწორად მოიქცა მიტერანი. ჯერ ერთი, ყურადღება გასამახვილებელია იმაზე, რომ მძიმე დაავადების მიუხედავად სწორი და ეფექტური მკურნალობის წყალობით იგი ცხოვრებასა და მოღვაწეობას განაგრძობდა, მას არ ჰქონია აუტანელი ტკივილები _ მაშინ რა საჭირო იყო მისი ევთანაზირება? მეორეც, რამდენად გამართლებულია ექიმის ასეთი დამოკიდებულება, რომელმაც პირდაპირ უთხრა, რომ 3-4 დღეს იცოცხლებდა? მისმა

სიტყვებმა ხომ მიტერანი ფსიქოლოგიურადაც განაწყო სიკვდილისთვის. მიტერანს შეეძლო თავად გადაეწყვიტა მიიღებდა თუ არა წამლებს, მაგრამ როგორ უნდა შეფასდეს აქ ექიმის მოქმედება? შეიძლება იგი სულაც არ მომკვდარიყო 3-4 დღეში წამლების მიუღებლობის შემთხვევაში და უბრალოდ ექიმის კატეგორიულმა სიტყვებმა მასზე ისე იმოქმედეს, რომ საბოლოოდ ასეთი შედეგიც დადგა. ის, რომ ექიმმა უნდა უთხრას ავადმყოფს მისი დაავადების და სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ, ხშირად ეფუძნება იმ აზრს, რომ მან უნდა მოაგვაროს სამოქლაქო სამათლებრივი საკითხები, რათა, უხეშად რომ ვთქვათ, «არ დატოვოს პრობლემები ახლობლებისათვის». თუმცა ყველა ადამიანი არ არის იმდენად ძლიერი თუ სულიერად მომზადებული, რომ ღირსეულად შეხვდეს ასეთ ცნობას. მიტერანი იშვიათი გამონაკლისია, უმეტეს შემთხვევებში კი მომაკვდინებელი ავადმყოფობის ცნობა ადამიანზე იმდენად ცუდად მოქმედებს, რომ არათუ აგვარებენ რამე საქმეს, თავსაც არ უვლიან, ახლობლებსაც არ აქცევენ ყურადღებას, მათ მიმართ გამოხატავენ აგრესიას და არაადამიანურ სახეს ღებულობენ. ამიტომ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, თუკი ექიმი თავს შეიკავებს მსგავსი დიაგნოზის შემთხვევაში უშუალოდ ავადმყოფის ინფორმირებისგან. ვ. ბეხტერევი წერდა: «თუ ექიმის გასინჯვის და საუბრის შემდეგ ავადმყოფმა შვება არ იგრძნო, ის ექიმი ექიმად არ ჩაითვლება». ექიმის სიტყვების მნიშვნელობაზე მიუთითებს ასეთი მაგალითი: რუსეთის უდიდეს ქირურგს ნ. პიროგოვს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გაუჩნდა წყლული. კონსილიუმის დასკვნით ადგილი ჰქონდა ავთვისებიან სიმსივნეს. ნ. პიროგოვი გაემგზავრა ვენაში ცნობილ ქირურგ-მეცნიერთან ბოლროტთან, რომლის დასკვნით საქმე ეხებოდა ინოპერალურ სიმსივნეს, მაგრამ თვით პიროგოვს უთხრა, რომ მას არავითარისიმსივნე არ ჰქონდა. მოხუცი პიროგოვი ამის შემდეგ გახალისდა, შრომისუნარიანობა მოემატა... ე.ი. ბოლტორმა მას შეუმსუბუქა სიცოცხლის უკანასკნელი წლები. ამ ორი შემთხვევის გაანალიზების შემდეგ, ალბათ, ჯობს ზოგჯერ კეთილი განზრახვით ტყუილის თქმა და ამით ადამიანისთვის ცხოვრების გახალისება. ექიმი ემსახურება ყველაზე ძვირფასს _ ადამიანის ჯანმრთე-ლობას, ამიტომ იგი უნდა იყოს თავისი მოვალეობის იდეალური შემსრულებელი და ერთგული მსახური. ექიმი არ არის ღმერთი, რომ გადაწყვიტოს ვინ უნდა იცოცხლოს და ვინ არა, მან უნდა გადაწყვიტოს თუ როგორ უმკურნალოს და არა ვის უმკურნალოს. თემის ამ ნაწილს კი დავასრულებთ სენეკას ცნობილი სიტყვებით: «სიცოცხლის გახანგრძლივების საუკეთესო საშუალებაა არ შეამოკლო იგი». მსოფლიოში ევთანაზიასთან მიმართებით არსებობს სამი სისტემა: პირველი სისტემა მოქმედებს ქვეყნებში, რომლებიც ევთანაზიას ჩვეულებრივ მკვლელობად აფასებენ (მაგალითად ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი); მეორე ჯგუფი ქვეყნებისა ევთანაზიისათვის მსუბუქ სასჯელს აწესებენ (მაგალითად: გერმანია, ავსტრია, შვეიცარია და საქართველო); მესამე ჯგუფის ქვეყნებმა მოახდინეს ევთანაზიის დეკრიმინალიზაცია (პერუ, ერუგვაი,). ევთანაზია უმეტეს ქვეყნებში დასჯადი ქმედებაა, თუმცა ბოლო პერიოდში შეინიშნება მისი დაკანონების ტენდენცია. 1998 წლიდან იგი დაკანონებულია ავსტრალიის ჩრდილოეთში, ორეგანოს და ვაშინგტონის შტატში, აშშ-ში; ბელგიაში ოფიციალურად იყიდება ევთანაზიის მედიკამენტები, რომელსაც ოჯახის ექიმი გამოწერს; 2002 წლიდან მისი ლეგალიზება მოხდა ნიდერლანდებში; 2003 წელს დაკანონდა კოლუმბიაშიც. 2006 წლის 12 მაისს ინგლისის ლორდთა პალატამ 148 ხმით 100-ის წინააღმდეგ უარყო კანონი

ევთანაზიის შესახებ. საიტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება ევთანაზიასთან დაკავშირებით. საქმე - Pრეტტყ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ იყო ყველაზე გახმაურებული დავა საერთაშორისო დონეზე. ქალბატონ პრიტის სჭირდა სამოძრაო ნეირონების დაავადება. ის იყო პარალიზებული, მაგრამ სრულად ინარჩუნებდა გონების სიცხადესა და გადაწყვეტილების მიღების უნარს. ვინაიდან ავადმყოფობის ბოლო ეტაპი დაკავშირებული იყო ტანჯვასთან, პაციენტი ითხოვდა სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტას, რაშიც მისი ქმარი დაეხმარებოდა და მისი თხოვნა იყო ის, რომ მეუღლისთვის არ დაეკისრებინათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. თუმცა, ამის უფლება დიდმა ბრიტანეთმა მას არ მისცა, რითაც განმცხადებლის აზრით დაირღვა მისი «სიცოხლის უფლება». ევროპულმა სასამართლომ დასვა საკითხი _ შეიძლებოდა თუ არა სიცოცხლის უფლების ისე განმარტება, რომ მასში ნაგულისხმევი ყოფილიყო სიცოცხლეზე უარის თქმის უფლებაც?! ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი არ შეეხებოდა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ადამიანს თავისი სიცოცხლის მიმართ შეიძლებოდა მიეღო. შეუძლებელია კონვენციის მე-2 მუხლის ინტერპრეტაცია, როგორც ადამიანისთვის სიკვდილის უფლების მინიჭება. ევროსასამართლოს განმარტებით, სიცოცხლის უფლებისაგან დიამეტრულად განსხვავებული სიკვდილის უფლება - შეუძლებელია ნაგულისხმევი ყოფილიყო ამ მუხლში, ამიტომ მის საფუძველზე იმ დასკვნის გაკეთება, რომ ადამიანს აქვს სიკვდილის უფლება, არასწორია. შესაბამისად, მომჩივანის არგუმენტი არ იყო სწორი და ევროსასამართლომ არ სცნო კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა და პრიტის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უეჭველია, რომ Pretty-ს საქმე ღირებულებათა მწვავე კონფლიქტის გამოვლინებაა. «სიცოცხლის უფლება» ბუნებითი უფლებაა, აქვს თუ არა სახლმწიფოს უფლება, დაადგინოს «სიცოცხლის უფლების» შინაარსობრივი ფარგლები და ამ გზით თავად განსაზღვროს, თუ რა არის ის, რომლის არც მინიჭება შეუძლია მას და არც ჩამორთმევა? არის თუ არა «სიცოცხლის უფლება» შემბოჭველი იმ ადამიანისათვისაც, ვისაც ეს სიცოცხლე ეკუთვნის? «თავისუფლების უფლებებისათვის» დამახასათებელია ნეგატიური ასპექტი, მაგალითად, ადამიანის უფლება არ გამოხატოს თავისი აზრი... შეიძლება თუ არა «სიცოცხლის უფლებაზე უარის თქმის უფლება» (ანუ «სიკვდილის უფლება») მივიჩნიოთ «სიცოცხლის უფლების» ნეგატიურ ასპექტად? არის თუ არა «არასრულფასოვანი სიცოცხლე» მაინც უზენაესი ღირებულება? თუ «სიცოცხლის უფლება» არ მოიცავს «სიკვდილის უფლებას», მაშინ, შეიძლება თუ არა იგი მოიცავდეს «სიცოცხლის მოვალეობას»? (”To be or not to be” Human rights dimensions (approaching the Euthanasia Dilema) Mindia Ugrekheliaze, Eva Gociridze). ევთანაზიის მომხრეებს განუკურნებელი სენით შეპყრობილისთვის «სიცოცხლის მოსპობა მიაჩნიათ ღირსეულ სიკვდილად». ონკოლოგი შვარცენბერგი აცხადებს: «ექიმები, რომლებიც უშვებენ ავადმყოფთა ტანჯვას ჯალათები არიან».. საინტერესოა, მაშ ექიმები, რომლებიც აღასრულებენ ევთანაზიის აქტს, განა ისინი ჯალათები არ არიან?! ევთანაზიის მომხრეთა ერთ-ერთი არგუმენტია ეკონომიკური გამართლება. პროფესორმა ლინდა პეერომ დაკითვის დროს განაცხადა, რომ 1987 წლის გაზაფხულზე ერთ ადამიანს სიკვდილში «დაეხმარა». «მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ყველასთვის ცნობილი გახდა, არავის წავუყვანივარ სასამართლოში. პირიქით - მე დამაჯილდოვეს ამისთვის. ამ ფაქტმა ჩემი პროფესიული რეპუტაცია გაზარდა, რადგან მე მოვიქეცი ისე, როგორი

ქცევაც მოსალოდნელი იყო «კარგი ექიმისგან», მე დავზოგე ნახევარი მილიონი დოლარი(!!!!)» სამედიცინო ეთიკის გათვალისწინებით, ლინდა პეეროს საქციელი «კარგი ექიმის» საქციელად ვერ შეფასდა. ექიმი, რომელიც არ საუბრობს სიბრალულის მოტივზე, იმაზე, თუ როგორ იტანჯებოდა ავადმყოფი და აქცენტს აკეთებს მხოლოდ მისი რეპუტაციის გაზრდაზე და ნახევარი მილიონი დოლარის დაზოგვაზე, შეუძლებელია «კარგ ექიმად» ჩაითვალოს. პროევთანაზისტები ამბობენ, რომ არ შეუძლიათ ავადმყოფებს მიაწოდონ ძვირადღირებული წამლები იმისთვის, რომ მხოლოდ რამდენიმე თვით გაუხანგრძლივონ მას სიცოცხლე, რადგან უკეთესია ფული უფრო სასარგებლო რამეებზე დახარჯონ. უფრო უარესი არგუმენტია ის, რომ უნდა განადგურდნენ «ზედმეტი» ადამიანები, რადგან დედამიწა ისედაც გადატვირთულია. აღსანიშნავია, რომ კოლორადოს შტატის გუბერნატორმა რიჩარდ ლამმა განაცხადა: «შეიძლება ითქვას, რომ მძიმე ავადმყოფებს აკისრიათ სიკვდილის მოვალეობა, რათა ხვებს დაუთმონ გზა». გამოდის რომ «სიკვდილის უფლება» «სიკვდილის მოვალეობად» იქცევა. პროევთანაზისტები როგორც წესი მას პირადი თავისუფლების გამოხატულებად მიიჩნევენ. როცა ადმიანი გადაწყვეტს სიკვდილს, ეს, რა თქმა უნდა, ცუდი გადაწყვეტილებაა, მაგრამ რა უფლება გვაქვს ჩვენ დავუშალოთ მას ამის გაკეთება? - «კითხულობენ ისინი». თუ ყველა ისე იფიქრებს როგორც კოლორადოს გუბერნატორი, მაშინ ზემოთ ხსენებული კითხვა შეიძლება ასე შემოვაბრუნოთ – მაშინ რა უფლება გვაქვს ჩვენ ვაგრძნობინოთ სხვებს თავი ზედმეტად და დავაკისროთ მათ «სიკვდილის ვალდებულება»?! თუ ვინმეს გადაწყვეტილი აქვს სიკვდილი მას ვერცერთი კანონი ვერ შეაჩერებს! პირადი თავისუფლება პირს შეუძლია თავის თავის მიმართ საკუთარი საქციელით განახორციელოს: არ მივიდეს ექიმთან, არ გაიაროს მკურნალობის კურსი ან მკურნალობისას თავად შეწყვიტოს იგი, აღარ მიიღოს წამლები, მაგრამ როცა იგი ითხოვს სხვა პირის მოქმედებით სიცოცხლის მოსპობას, ეს უკვე არ შეიძლება განვიხილოთ პირადი თავისუფლების გამოხატულებად. როგორი სტატუსით გამოვა მაშინ ექიმი, რომელიც აღასრულებს ევთანაზიის აქტს? ხომ არ მოხდება აქ ექიმთა უფლებების დარღვევა? მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვები ადასტურებენ ექიმთა დიდი ნაწილის დადებით პოზიციას ევთანაზიის მიმართ, მაინც არიან ისეთი ექიმებიც, რომელთათვისაც ჰიპოკრატესეული იდეოლოგია უწმინდესია და მათ უბრალოდ არ შეუძლიათ დაეხმარონ სხვას სიკდილში. იმ შემთხვევაში კი, თუ მოხდება ევთანაზიის ლეგალიზება, ყველა ექიმი გახდება მოვალე შეასრულოს პაციენტის მოთხოვნა.Aამ ვალდებულების დაკისრებით, ბუნებრივია, ილახება მათი უფლებები, სავსებით შესაძლებელია ყოველივე ამას მძიმე ფსიქიკური შედეგებიც მოჰყვეს. მაშ, რა უფლება გვაქვს ჩვენ დავაკისროთ ვინმეს ასეთი ვალდებულება?! ავადმყოფისთვის ამ უფლების მინიჭება გულისხმობს ექიმებზე მკვლელობის ვალდებულების დაკისრებას და მათი უფლებების შელახვას.. პირადი თავისუფლების გამოხატულება არ უნდა გავიგოთ როგორც სხვაზე რაიმე ვალდებულების დაკისრება, ვისაც როგორც უნდა თავის თავს ისე მოექცეს და ამით გამოხატოს პირადი თავისუფლება. პროევთანაზიური არგუმენტია ეკონომიკური გამართლება. ამ მხრივ საინტერესოა ჰოლანდიელი ექიმის შემთხვევა: მან ერთ ქალს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვა, პარასკევ საღამოს საავადმყოფოში მოათავსა და მკურნალობა დაუწყო. შაბათს პაციენტს უკვე გაუმჯობესება დაეტყო, კვირას ექიმი იმედით სავსე იყო, რომ პაციენტი გამოჯანმრთელდებოდა. ორშაბათს, როცა

საავადმყოფოში მივიდა, პაციენტის საწოლში სხვა ადამიანი დახვდა. კითხვაზე თუ სად წაიყვანეს იგი საავადმყოფოს პერსონალმა უპასუხა, რომ მას ღამით ინექცია გაუკეთეს, რადგან საწოლი სჭირდებოდათ. არ შეიძლება სიცოცხლე შეფასდეს იმით თუ რამდენი აპარატია მასზე მიერთებული. ეკონომიკა არ არის ყველაფერი, რისთვისაც ჩვენ ვცოცხლობთ _ ეკნომიკის მიზანი უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლის ხელშეწყობა და არა ადამიანის სიცოცხლის მიზანი ეკონომიკის ხელშეწყობა. ინვალიდი თუ ღრმად მოხუცებული ადამიანი არ არის ნაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე ჯანმრთელი და ახალგაზრდა ადამიანი. ის ფაქტი, რომ ისინი ეკონომიკას ნაკლებად მატებენ რამეს, არ ნიშნავს იმას, რომ მათ სიცოცხლეს ფასი არ აქვს. დღესდღეობით სამედიცინიო ტექნიკის განვითარება იძლევა იმის საშუალებას, დღეს შეუძლებელი ხვალ შესაძლებელი გახდეს. ჩვენ მედიცინა სამართლებრივადაც უნდა ვაიძულოთ, რომ მუდმივად ეძიოს გამოსავალი. ევთანაზიის ლეგალიზებით ხელი შეეშლება მედიცინის დაინტერესებას დაძლეული იქნას ესა თუ ის ავადმყოფობა, რაც უარყოფითად იმოქმედებს მის სამომავლო განვითარებაზე». ვერ დავეთანხმებით იმას, რომ ადამიანები უნდა მოვკლათ იმის გამო, რომ ისინი ეკონომიკას არაფერს მატებენ. კი მაგარმ ისინი არც არაფერს აკლებენ მას! თუ ასე ვიმსჯელებთ ადამიანები, რომლებიც არ მუშაობენ, არაფერს აკეთებენ და სხვის ხარჯზე ცხოვრობენ, ისინიც ხომ არაფერს მატებენ ეკონომიკას, ამიტომ რა, ისინიც დავხოცოთ? ქურდები, მკვლელები, დამნაშავეები არათუ არაფერს მატებენ, არამედ ზიანს აყენებენ ეკონომიკასაც და საზოგადოებასაც, ხელყოფენ სამართლებრივ სიკეთეებს, ამიტომ ისინიც დავხოცოთ? ამით ხომ მოვიშორებთ მათ ვინც ხელს გვიშლიან მშვიდ ცხოვრებაში. ნუთუ ამის გამართლებაც მისაღებია ევთანაზიის მომხრეთათვის ამ არგუმენტით? ვფიქრობთ, ნათლად ჩანს, თუ რამდენად არასწორია საკითხის ასე შეფასება და ნებისმიერი მკვლელობის ეკონომიკური გამართლება. რატომ ითვლება ევთანაზია მორალურად გასაკიცხად, თუ ამით «უმჯობესდება» ავადმყოფის მდგომარეობა? ამით არათუ უმჯობესდება პაციენტის მდგომარეობა, არამედ საერთოდ ისპობა ასეთის შესაძლებლობა! აგრეთვე ამ გზით გარდაცვლილი ადამიანის სული ორმაგადაა დამძიმებული, ჯერ ერთი, საკუთარი გადაწყვეტილებით და, მეორეც, ამ გადაწყვეტილებაში სხვისი ჩაბმით, ამიტომ გაუმჯობესდება თუ არა ევთანაზირებით მისი მდგომარეობა ამის გადაჭრით თქმა შუეძლებელია. თუმცა ფაქტია, რომ მისი გვამი გაუმჯობესებას ვერანაირად ვერ იგრძნობს, გამოდის ეს მისმა სულმა უნდა განიცადოს. ასეთი მძიმე ცოდვით დამძიმებული სული განა ჰპოვებს შვებას?! მაშ რა გამოდის, ეს სხვების უკეთ ყოფნისთვის და ზედმეტი ზრუნვის თავიდან აცილებისთვის ხომ არ კეთდება?! ევთანაზიის მომხრეები აპელირებენ შემდეგზე: როდესაც სახელმწიფო მომაკვდავ პაციენტს უარს ეუბნება აქტიურ ევთანაზიაზე, ხომ არ ხდება მომაკვდავი იძულებელი აიტანოს «დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა?» საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლში აშკარად ჩანს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება _ არ დაუშვას არავითარ შემთხვევაში წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა. მოპყობა ისე არ უნდა გავიგოთ, როგორც ეს ევთანაზიის მომხრეებს ესმით. მოპყრობა გულისხმობს აქტიურ მოქმედებას. თუკი სხვისი ქმედება უშუალოდ იქნება პაციენტის ტანჯვის, ტკივილების მიზეზი, მაშინ გვექნება ასეთი მოპყრობა სხვებზე. თუმცა ჩვენს შემთხვევაში ტკივილებს ექიმის ქმედება კი არ იწვევს (ის სასტიკ მოპყრობად რომ ჩათვლილიყო) არამედ ავადმყოფობა, ამიტომ ამ

არგუმენტის მოყვანა საერთოდ ურიგოდ მიგვაჩნია. კონვენციის მე-2 მუხლი გამონაკლის შემთხვევებს ითვალისწინებს, როდესაც შესაძლებელია სიცოცხლის ხელყოფა. მე-3 მუხლი კი ასეთ გამონაკლისს არ უშვებს, ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მისი ხელყოფა-ასეთია ევთანაზიისმომხრეთა პოზიცია. მართალია, კონვენციის მე-2 მუხლი ითვალისწინებს გამონაკლისს _ სიცოცხლის უფლების ხელ-ყოფის დასაშვებ შემთხვევებს, მაგრამ ვინაიდან ევთანაზია არ არის გათვალისწინებული როგორც გამონაკლისი შემთხვევა და ეს შემთხვევები ამომწურავადაა ჩამოთვლილი კონვენციაში, მაშასადამე იგი ეწინააღმდეგება ამ მუხლს. სიცოცხლის უფლება არის პირველსაწყისი, უფლებაწარმომშობი და დამცავი უფლება, ის წარმოშობს პატივის და ღირსების უფლებას და იცავთ მათ, ამიტომ შეუძლებელია უპირატესობა მივანიჭოთ დაქვემდებარებულს და არა პირველსაწყისს. თუ არ იქნება სიცოცხლე რომელ პატივზე და ღირსებაზეა საუბარი?! მის პრიორიტეტულობაზე მიუთითებს ისიც, რომ სიცოცხლის უფლება კონვენციის მე-2 და საქართველოს კონსიტუციის 15-ე მუხლებითაა დაცული, ხოლო პატივი და ღირსება მის შემდგომ, შესაბამისად _ კონვენციის მე-3 და კონსტიტუციის 17-ე მუხლებით. 1. ევთანაზირების მთავარ პირობას მომაკვდავის თანხმობა წარმოადგენს. როგორ დავადგინოთ ელოდა თუ არა იგი სიკვდილს როგორც ხსნას, იყო თუ არა მომაკვდავის სურვილი ნამდვილი, მისი ნება კი _ თავისუფალი? ცხოვრებაში ალბათ ყველას გვქონია ისეთი შემთხვევა, როცა ჩვენი ახლობელი ადამიანი ავადმყოფობით ძლიერ იტანჯებოდა და სიკვდილიც არაერთხელ უნატრია, ხოლო მეორე დღეს თავი ოდნავ უკეთ თუ უგრძვნია _ გვინახავს – როგორ ბავშვივით უხარია მას სიცოცხლე და როგორ ცდილობს დატკბეს ამ ბედნიერი წუთებით. ევთანაზიის ლეგალიზებით კი მათ წავართმევთ უკანასკნელ იმედს, თუნდაც იმ რამდენიმე წუთის სიხარულს, როცა ისინი კვლავ ახელენ თვალს და ხედავენ საყვარელ ადამიანებს; 2. შესაძლებელია, თუნდაც მრავალი ექიმის დიაგნოზი განუკურნებელ სენზე არასწორი აღმოჩნდეს. ავადმყოფობის დადგენაში შეცდომისაგან დაზღვეული არავინ არის; 3. ის, რაც ადრე განუკურნებელი იყო, დღეს განკურნებას ექვემდებარება. შესაძლებელია მიღწეული იქნას წინათ განუკურნებადი, მტანჯველი სენის რადიკალური მკურნალობა; 4. სავსებით შესაძლებელია ევთანაზიის ბოროტად გამოყენება. მის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, რომელსაც ჯეი ჯოჰანსენი ევთანაზიის შესახებ ერთ-ერთ სტატიაში აღწერს, რომელიც მას მეგობარმა უამბო: «იგი მოხუცებულთა თავშესაფარს ესტუმრა პაციენტის მოსანახულებლად. სახლის დირექტორმა მას უამბო, რომ ეხლახან ეწვია წყვილი, რომლებმაც მას განუცხადეს, რომ სურდათ დედის ევთანაზირება. მათ გულწფელად უთრეს მას, რომ ამას აკეთებდნენ მემკვიდრეობისთვის და აღარ შეეძლოთ იმის ლოდინი, თუ როდის გარდაიცვლებოდა დედა თავისი სიკვდილით. სახლის დირექტორმა ისინი უარით გაისტუმრა. წყვილმა დედა სხვა საავადმყოოში გადაიყვანა, ორი კვირის შემდეგ კი მოხუცი გარდაიცვალა»; 6. მნიშველოვან არგუმენტად მიგვაჩნია ის, რომ ევთანაზიის დაკანონებამ შესაძლოა შეაფერხოს მედიცინაში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი და ეფექტური საშუალებების ძიების პროცესი; 7. შესაძლებელია ევთანაზიად შენიღბული მკვლელობების მოტივი ადამიანის ორგანოთა ტრანსპლატაცია იყოს. აქ ციტირებას გავაკეთებთ დეკანოზ არჩილ მინდიაშვილის ინტერვიუდან: «...სულ უფრო პოპულარული ხდება რა მედიცინაში ადამიანის ორგანოთა ტრანსპალაცია, ევთანაზიის

მომხრე ექიმებმა ეგებ სკანდალურად ცნობილი ამერიკელის «დოქტორ სიკვდილად» წოდებული ჯეკ კევორკიანის ნაცისტურ პრაქტიკასაც მიბაძონ და ახლად ევთანაზირებული ადამიანის შინაგანი ორგანოებითაც ივაჭრონ (ეს ცდუნება უფრო დიდია ჩვენთან, ჩავწვდით რა ამერიკის სულს, სადაც ყოველგვარი ბიზნესი დასაშვებია, ნავთობბიზნესით დაწყებული და საკუთარი სხეულის ვაჭრობით დამთავრებული). თუ შეიძლება სხეულით ვაჭრობა, რატომ არ შეიძლება სხეულის ორგანოებით ვაჭრობა, მეტადრე სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად _ იტყვიან მაშინ ცბიერი დემაგოგები. იქნებ მაშინ სახელმწიფო პროგრამაშიც იქნას შეტანილი ევთანაზია და ტრანსპლატაციებით ვაჭრობა. წარმოიდგინეთ როგორ შეივსებოდა მარადცარიელი სახელმწიფო ხაზინა? ჩვენი სახელოვანი ზედა ფენა, ელიტა აღარ დასჯერდებოდა ძვირადღირებული, «ელიტარული ნაყინის» (ასე უწოდა ამ ნაყინს მთავრობის ერთმა წევრმა) ჭამას, რითაც გულს უკლავენ სიკვდილამდე გაღატაკებულ დაბალ ფენას და ღატაკთა და უპოვართა ორგანოებს გაუფასურებული ლარისფასად იყიდდა...» აქვე უნდა აღინიშნოს, რომ «სიკვდილის უფლებაზე» აპელირება ევთანაზიის მომხრეთა მხრიდან უსაფუძვლოა, ვინაიდან არცერთ სახელმწიფოს კანონმდებლობაში, არცერთ საერთაშორისო ხელშეკურულებაში თუ სამართლებრივ აქტში არ არის ნახსენები «სიკვდილის უფლება». ასეთი უფლება ბუნებაში არ არსებობს და ამიტომ იგი ვერ დაუპირისპირდება ყველაზე ძვირფასს, უზენაესს და პირველსაწყისს _ სიცოცხლის უფლებას! და მაინც, მთავარი ის არის, რომ ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს იმის მოსპობის უფლება, რასაც თავად არ ქმნის! რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, მან შუალედური პოზიცია დაიკავა. ის ევთანაზიას არ განიხილავს არც მაკვალიფიცირებელ და არც პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელ გარემოებას. ამ პოზიციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პროფესორ თ. წერეთელს. თ. წერეთლის პოზიცია გამართლებულად მიგვაჩნია და სრულიად ვიზიარებთ. ევთანაზია არის ზნეობრივი გამოცდა, აქ ბრძოლა მიდის არამარტო ადამიანის სიცოცხლისათვის, რომელიც შეიძლება შეწყდეს, არამედ ბრძოლა ადამიანურობისათვის, ქრისტიანობისათვის და ეს ძირითადი უნდა იყოს ყველასთვის. საქართველოსთვის, როგორც მართლმადიდებლური და ტრადიციული ქვეყნისათვის, ყოვლად დაუშვებელია ევთანაზიის ლეგალიზება, ამას ადასტურებს ისიც, რომ ქართველ ექიმთა 99% გადაჭრით ამბობს, რომ ვერანაირ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფს ვერ დაეხმარება სწრაფად სიკვდილში. ის, რომ ევთანაზია პრივილეგირებულ დანაშაულს წარმოადგენს და პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ითვალისწინებს, ვფიქრობთ, ჩვენი ქვეყნისათვის საუკეთესო გამოსავალია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. გოცირიძე. სიცოცხლის უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. თბ., 2007 წ.;

2. დ. გეგეშიძე. სიკვდილის აპოლოგია. თბ., 1999 წ.;

3. ნ. დოლიძე, დ. მშვენიერაძე. დეონტოლოგია ქირურგიაში. თბ., 1990 წ.;

4. ნ. ლომჯარია მ. კვარაცხელია. სიცოცხლის უფლება თუ სიკვდილის ვალდებულება? //ალმანახი. თბ., 2004 წ.;

5. რ. ტუკვაძე. ევთანაზიის ცნება, ფორმები, ისტორიული ასპექტი//ცხოვრება და კანონი. 2008, №1.;

6. ე. ქარდავა. ევთანაზიის პრობლემა სისხლის სამართალში//სამართალი, 2001, №7.;

7. თ. წერეთელი. ევთანაზია როგორც ზნეობრივი და სამარზთლებრივი პრობლემა//საბჭოთა სამართალი. 1976, ¹6.;

8. Хорват.Т. Еутаназия- проблема медицинскои этики и уголовного права//Правовые исследования. Тбилиси, 1977;

9.Капинус О.С. Эутаназия как социально-правовое явление: монография.-М,Бувкоед,2006;

10.Капинус О.С. Эутаназия всвете права на жизнь: монография.-М, ИД Камерон, 2006;

11. Таганцев Н.С. Русское уголовное право. Тула. 2001;

12. Курс русского уголовного право. Общая часть/Под. Ред. В.Н. Кудрявцева и В.Н. Наумова. М., 2002;

13. Курс уголовного право. Общая часть/Под. Ред. Н.Ф. Кузнецовой. М. 2000;

14. Бородин С.В. Преступления против личности. М. 2002;

15.Mindia Ugrekhelize, Eva Gociridze. “Tu be or not tu be”. Human rights dimensions. Approaching the Euthanasia Dilema. London, 2006.

თამარ მსხვილიძე

ხელმძღვანელი: პროფ. ე. ფუტკარაძე

პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის თანამედროვე სისხლის სამართალში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXIII თავით გათვალისწინებული დანაშაულებისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის სახეობითი ობიექტია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გარანტირებული ადამიანთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. სწორედ, ამ თავშია მოცემული სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის პროვოკაციისათვის. საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ამ სახეს არ ითვალისწინებდა, ამდენად ეს ახალი ნორმაა ჩვენს კანონმდებლობაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობდა დანაშაულის პროვოკაციის ერთ შემთხვევას- თანამდებობის პირის მიერ ქრთამის პროვოკაციას (125-ე მუხლი), რომელიც ისჯებოდა, როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა აღარ გაითვალისწინა ასეთი დანაშაულის შემადგენლობა, თუმცა სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, დანაშაულის პროვოკაცია საზოგადოდ წაქეზების სახედ ითვლებოდა და ასეთ შემთხვევაში პირი ისჯებოდა, როგორც თანამონაწილე-ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემის წამქეზებელი. საბჭოთა ქვეყნებიდან პირველად საკანონმდებლო დონეზე სპეციალური ნორმა ქრთამის პროვოკაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ დაწესდა რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსით. ქრთამის პროვოკაციაში იგულისხმებოდა თანამდებობის პირის მიერ წინასწარი შეცნობით მდგომარეობისა და პირობების შექმნა, რომელიც იწვევს ქრთამის შეთავაზებას ან აღებას ქრთამის მიმცემის ან ამღების შემდგომი მხილების მიზნით. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლების მიღების შემდეგ ანალოგიური შემადგენლობა მხოლოდ უკრაინის სსრ-ის 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით იყო შენარჩუნებული. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტით გათვალისწინებული იყო ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოკაცია, ე.ი. მოხელისათვის ან სამეწარმეო საზოგადოების ან სხვა ორგანიზაციაში მმართველობითი ფუნქციის შემსრულებელი პირისათვის მისი ნების გარეშე ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების შეძლევის, აგრეთვე ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევის მცდელობა დანაშაულის ჩადენის ხელოვნური მტკიცებულების შექმნის ან შანტაჟის მიზნით (369-ე მუხლი). თუმცა სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსის პოზიცია, რომელმაც გააფართოვა დანაშაულის შემადგენლობის ფარგლები და დასჯადად აღიარა არა მხოლოდ ქრთამის, არამედ საერთოდ დანაშაულის პროვოკაცია.

დანაშაულის პროვოკაციას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. საქართველოსთან მიმართებაში დანაშაულის პროვოცირების ისტორია ორ მთავარ ეტაპად იყოფა: დანაშაულის პროვოკაციის ისტორია საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს და დანაშაულის პროვოკაციის ისტორია საბჭოთა სახელმწიფოს პერიოდში. დანაშაულის პროვოცირების პრაქტიკას იყენებდნენ რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტსა და მისდამი დაქვემდებარებულ საგუბერნიო და საქალაქო ჟანდარმერიის სამმართველოებში. დანაშაულის პროვოცირების მიზანი იყო ღრმად კონსპირირებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებში აგენტის დანერგვა და ამ აგენტის მიერ ბანდის დანაშაულზე პროვოცირება. 1917 წლის ბოლოდან საბჭოთა ხელისუფლება დანაშაულის პროვოცირების პრაქტიკას ფართოდ იყენებდა პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ. უნდა ითქვას, რომ საზოგადოებამაც საკმაოდ ადვილად აუღო ალღო „ახალ ცხოვრებას». პროვოკაციებს აწყობდნენ არა მარტო ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეებიც. ზოგიერთი ამას პროვოცირებულზე შურისძიების მიზნით ჩადიოდა, ზოგიერთი _ მატერიალური გამორჩენის მიზნით, ზოგიც _ თავისი თავიდან ეჭვის მოშორებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ შეუბღალავი ერთგულების დასამტკიცებლად. ქვეყანაში არსებულმა უკიდურესმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ დანაშაულის პროვოკაციის დანერგვას კიდევ უფრო შეუწყო ხელი. გაჩნდა ხალხი, რომელთა ძირითად შემოსავალს დანაშაულის პროვოკაციის სანაცვლოდ მიღებული გასამრჯელო წარმოადგენდა. პროვოკატორები საკმაოდ „შემოქმედებითად» უდგებოდნენ თავიანთ საქმეს. აი, მათი მოქმედების ერთ-ერთი გავრცელებული სქემა: პროვოკატორი მიდიოდა მსხვერპლთან და განგებ უწყებდა მას საუბარს საბჭოთა ხელისუფლებაზე. შეგნებულად უსვამდა ისეთ კითხვებს, რომლებზეც მაღალი ალბათობით, ანტისაბჭოთა შინაარსის პასუხს მიიღებდა. ასეთი პასუხის მიღების შემდეგ პროვოკატორი, როგორც წესი, წერდა შეტყობინებას ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურის მუშაკის სახელზე და მას ანტისაბჭოთა აგიტაციის ფაქტის თაობაზე აცნობებდა. ამას ცხადია, პროვოცირებულის დაკავება და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა მოჰყვებოდა, თუმცა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა სასურველი პირის დანაშაულზე პროვოცირება. ეს იმიტომ რომ ადამიანი, რომელსაც მრავალი მსგავსი ისტორია ჰქონდა მოსმენილი და ხვდებოდა ასეთი საუბარი რითი შეიძლებოდა დამთავრებულიყო. ამ შემთხვევაში, პირი რომელიც პირველად მსხვერპლის დანაშაულზე დაყოლიებას ცდილობდა, წერდა შეტყობინებას ძალოვანი სტრუქტურის სახელზე და ატყობინებდა არა პროვოცირებული პირის მიერ ანტისაბჭოთა აგიტაციის თაობაზე, არამედ იმის თაობაზე, რომ პროვოცირებული ანტისაბჭოთა საუბარს ისმენდა. დანაშაულის პროვოცირების პრაქტიკა გამოიყენებოდა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. მაგალითად, საქართველოს მწერალთა კავშირში სპეცსამსახურების აგენტები ანტისაბჭოთა ხასიათის საუბრებში ითრევდნენ მწერლებს, ცდილობდნენ მათგან თანაგრძნობის მიღებას. შემდეგ ამ აგენტების მიერ ხდებოდა რომელიმე მწერლის დანაშაულში მხილება. ასე ანტისაბჭოთა საუბარში ჩაითრიეს და საბჭოთა წყობილებისა და ი.სტალინის კრიტიკა დააცდენინეს მ. ჯავახიშვილს, პ.იაშვილს, ნ. მიწიშვილსა და სხვებს. შემდეგში ყოველივე ეს მათთვის ბრალდების წაყენებისათვის გამოიყენეს.

დაადანაშაულეს ისეთი მწერლებიც კი, რომლებიც საუბარში არ ჩარეულან, მაგრამ საუბარს ესწრებოდნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტი მთელი სიმძლავრით აამოქმედა 1934-1938 წლების ცნობილი რეპრესიების დროს. დანაშაულის პროვოცირების შედეგად პასუხიგებაში მიცემულ პირთა რაოდენობამ რამდენიმე ათეული ათასი შეადგინა. პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ გაწეული დახმარებისათვის საბჭოთა ხელისუფლება „საკადრისი მადლიერებით» არ პასუხობდა ერთგულ პროვოკატორებს. მას შემდეგ, რაც პროვოკატორი მოახდენდა გარკვეული რაოდენობის დანაშაულის პროვოცირებას, ანუ მარტივად რომ ვთქვათ საკმარისად „გაისვრებოდა», ძალოვანი სტრუქტურები მას მის მიერვე პროვოცირებულთა გზას გაუყენებდნენ ხოლმე.

პროვოკაციაზე საუბრისას, ცხადია ვერ გავექცევით მის შედარებას დანაშაულის წამქეზებლობასთან. თანამონაწილეთა შორის წამქეზებელი ყველაზე უფრო რთული და მრავალმხრივი ფიგურაა. წაქეზება ყოველთვის სხვისი დაყოლიებაა დანაშაულის ჩასადენად. ამიტომ ფართო გაგებით, წამქეზებლობა შუალობით ამსრულებლობასაც მოიცავს. წაქეზებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ფსიქიკური საშუალება. ასეთია, მაგალითად: თხოვნა, დარწმუნება, მუქარა, ბრძანება, საჩუქარი, სამსახურებრივი მდგომარეობის ან ავტორიტეტის გამოყენება, დაპირება და სხვა. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება წაქეზება შეგონების სახით. არსებითად ეს იგივე თხოვნაა, მაგრამ მრავალგზის გამეორებული. იგი წარმოადგენს ამსრულებლის სისტემატურ ფსიქოლოგიურ დამუშავებას იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს აღეძრას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება და მან დაძლიოს დანაშაულის კონტრმოტივები. წაქეზება შეიძლება ზეპირად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით, ჟესტით, მიმიკით და ა.შ. წაქეზება, ისე როგორც თანამონაწილეობის ყველა სხვა სახე შეიძლება მხოლოდ განზრახ, ამიტომ როგოც მართებულად მიუთითებდა, რუსი კრიმინალისტი ნ. ტაგანცევი, „თუ ვინმე გაუზიარებს სხვებს რაიმე არტისტული თაღლითობის გეგმას, მაგრამ განზრახვა არ აქვს აღძრას სხვა პირში დანაშაულის ჩადენის სურვილი, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს წამქეზებლად, თუნდაც ვინმემ დამსწრეთაგან ისარგებლოს ამ გეგმით და განახორციელოს იგი». წაქეზება აუცილებლობით გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე. ამიტომ უმოქმედობით იგი შეუძლებელია. სუბიექტური მხრივ წაქეზება მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი.

რისთვის ისჯება თანამონაწილე? რომელ სიკეთეს, რომელ ობიექტს ხელყოფს ის, ვისაც დანაშაული უშუალოდ არ ჩაუდენია და მხოლოდ წაქეზებით შემოიფარგლა? ამ საკითხზე სისხლის სამართლის თეორიაში ორი ძირითადი მიმართულება არსებობს: 1.ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება, ანუ კორუფციის იდეა, რომელიც გავრცელებულია ძირითადად შვეიცარიაში და 2. მიზეზობრიობის თეორია, რომელიც გავრცელებულია გერმანულ, რუსულ, ქართულ და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისხლის სამართალში. დანაშაულის თანამონაწილის დასჯადობას შვეიცარიულ იურიდიულ ლიტერატურაში ე.წ. კორუფციის იდეაზე აფუძნებდნენ. შვეიცარიელი კრიმინალისტები უარყოფენ მიზეზობრივ კავშირს თანამონაწილეობის დროს და თვლიან, რომ თანამონაწილე, კერძოდ წამქეზებელი, ისჯება ამსრულებლის კორუფციისათვის. მათი აზრით, წამქეზებლის პასუხისმგებლობა ეფუძნება იმას, რომ

იგი ამსრულებელს შეაცდენს, ბრალეულად აქცევს და სასჯელს დაამსახურებინებს. ამსრულებელი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების (ან საფრთხის შექმნის) გამო, ხოლო თანამონაწილე ხელყოფს თვით ამსრულებლის პიროვნებას, ახდენს მის სულიერ დეგრადაციას. კორუფციის იდეის მიმდევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის საკითხი, თუ როგორ უნდა გავიგოთ წამქეზებლის შეცდენა, მისი „ბრალეულად ქცევა და სასჯელამდე მიყვანა». არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე ცდა:

1.ზოგიერთი შვეიცარიელი ავტორი პირდაპირ კავშირს ხედავს ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრებასა და შეცდენას, ანუ სულიერ სიკვდილს შორის თეოლოგიური მორალის თვალსაზრისით. მათ მოჰყავთ შესაბამისი ადგილები ბიბლიიდან, სადაც შეცდენა ნიშნავს სულიერ სიკვდილს;

2. ზოგჯერ წამქეზებლის დასჯადობის საფუძველს ხედავენ იმაში, რომ წაქეზების შედეგად ხდება ამსრულებლის, ე.ი. წაქეზებულის ხასიათის მოშლა, მისი გახრწნა. მაგრამ ამ შეხედულების წინააღმდეგ ის აზრია გამოთქმული, რომ ხშირად წაქეზებამდე აქვს ხასიათი მოშლილი, იგი მანამდე შეიძლება იყოს გახრწნილი და მაშასადამე, საქმე გვქონდეს, ე.წ. უვარგის ობიექტთან;

3. ხშირად აღნიშნავენ, რომ წაქეზების ობიექტია წაქეზებულის განწყობა, იყოს კანონის ერთგული, არ დაარღვიოს იგი. ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების თავგამოდებული დამცველი სტ. ტრექსელი აღნიშნავს, რომ სულ ადვილი შესაძლებელია წაქეზებულს წაქეზებამდე ჰქონდეს მოშლილი კანონის ერთგულების განწყობა. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამონაწილეთა დასჯადობის აუცილებელ წინაპირობად მიზეზობრივ კავშირს მიიჩნევს, რადგან დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა თავისთავად გულისხმობს მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის. თუკი უარვყოფთ მიზეზობრივი კავშირის არსებობას წამქეზებლის მოქმედებასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის და ვაღიარებთ ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრებას (რომლის მიხედვით, წამქეზებელი პასუხს აგებს ამსრულებლის პიროვნების ხელყოფისათვის), მაშინ წამქეზებლობის ყველა შემთხვევა ერთნაირ კლასიფიკაციაში უნდა მოვაქციოთ და წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ყოველთვის თანამონაწილეობად უნდა დაკვალიფიცირდეს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ წამქეზებლის მოქმედების არეალი მარტო თანამონაწილეობით არ შემოიფარგლება. წამქეზებლის მოქმედება, რომ ყველა შემთხვევაში იყოს მიმართული დანაშაულის ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ, როგორც ამას შვეიცარიული დოქტრინის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, მაშინ კანონმდებელს არ დასჭირდებოდა კოდექსის კერძო ნაწილში სპეციალური შემადგენლობის შემოტანა. სწორედ ის გარემოება, რომ ტიპიურად წამქეზებლის მოქმედება არ არის მიმართული წაქეზებულის, ე.ი. დანაშაულის ამსრულებლის წინააღმდეგ, აიძულებს კანონმდებელს, რათა ცალკე დანაშაულის სახით ჩამოაყალიბოს კოდექსის კერძო ნაწილში ისეთი შემთხვევა, როცა წამქეზებლის მოქმედება თვითონ წაქეზებულის პიროვნებასაც ხელყოფს. წამქეზებელი, რომ ყველა შემთხვევაში ხელყოფდეს წაქეზებულს, ე.ი. დანაშაულის ამსრულებლის პიროვნებას, მაშინ კოდექსის კერძო ნაწილში უნდა შემოგვეღო სპეციალური მუხლი, რომელიც საერთოდ გაითვალისწინებდა პასუხისმგებლობას წაქეზების ყველა

შემთხვევისათვის. მაგრამ ჩვენი კანონმდებელი სავსებით სამართლიანად ამბობს უარს ამ კონსტრუქციაზე იმის გამო, რომ წაქეზება ყოველთვის არ არის მიმართული ამსრულებლის პიროვნების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების ამოსავალი დებულება თანამედროვე სისხლის სამართლისათვის პრინციპულად მიუღებელია, არც იმის უარყოფა შეიძლება რომ ამ მოძღვრებაშიც არის რაციონალური მარცვალი. წამქეზებლის მოქმედება ზოგჯერ მართლაც შეიძლება მიმართული იყოს ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფდეს ამსრულებლის პიროვნებას,მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთ შემთხვევებში წამქეზებლობა სცილდება თანამონაწილეობის ფარგლებს და დამოუკიდებელ შინაარსს იძენს. იმ სიკეთეს, რომელსაც წამქეზებელი აზიანებს, სრულიად გამოკვეთილი სახე აქვს, წაქეზებულის პიროვნება დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ამიტომ წამქეზებლობა თანამონაწილეობის სახე კი აღარ არის, არამედ დანაშაულის გამოვლინების ისეთივე დამოუკიდებელი ფორმაა, როგორც ამსრულებლობაა.

დანაშაულის პროვოკაციის ცნების განმარტებისას უნდა გამოვიდეთ სიტყვა „პროვოკაციის» ეტიმოლოგიური მნიშვნელობიდან. პროვოკაცია წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „პროვოცატიო» და ნიშნავს გამოწვევას. როდესაც ლაპარაკია რაიმე მოვლენის პროვოკაციაზე, იგულისხმება ამ მოვლენის ხელოვნურად გამოწვევა. უცხო სიტყვათა ლექსიკონში პროვოკაცია განმარტებულია, როგორც „ცალკეული პირის, პირთა ჯგუფების, ორგანიზაციების, სახელმწიფოების წაქეზება ისეთ მოქმედებაზე, რასაც მოჰყვება მათთვის მძიმე, ზოგჯერ დამღუპველი შედეგი. იმავე ლექსიკონის მიხედვით, პროვოკატორი არის „პირი, რომელიც გაცემის, ღალატის მიზნით იწვევს აკრძალულ მოქმედებას».

დანაშაულის პროვოკაციის წამქეზებლობისაგან გამიჯვნის აუცილებლობა მხოლოდ წამქეზებლისა და პროვოკატორის განსხვავებულ მიზანში არ მდგომარეობს. საქმე ისაა, რომ ამსრულებლის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიება შეიცავს მომეტებულ სოციალურ საფრთხეს, ვიდრე უბრალო წამქეზებლობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დანაშაულის პროვოკაციის წამქეზებლობისაგან გამიჯვნა და მისი ცალკე დანაშაულად ჩამოყალიბება აბსოლუტურად სწორია, თუმცა, საკითხისადმი კანონმდებლის დღევანდელი მიდგომა შეიცავს ხარვეზს და აუცილებელია ამ ხარვეზის გამოსწორება. ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა მისი უფრო ღრმა განხილვა, გააზრება, ქმედების კრიმინალიზაციის ზოგადი საფუძვლების გათვალისწინება და პრობლემის ამგვარად გადაჭრა. მოკლედ შევეხოთ ქმედების კრიმინალიზაციის ზოგად საფუძვლებს. თავისთავად ცხადია, რომ ნებისმიერი ამკრძალავი ნორმა ზოგადად ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, ხშირად კი მის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებსაც კი აყენებს ზიანს. შეზღუდვა დასაშვებია თუ სახეზეა ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს პირის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის დაცვაში. ერთადერთი რაც ასეთი ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ, არის ასაკრძალავი ქმედების სოციალური საშიშროება. სოციალურად საშიშია ისეთი ქმედება, რომელიც პირველ რიგში ლახავს, ან საფრთხეს უქმნის პირის, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესს. შესაბამისად

სოციალური საფრთხის ხარისხის მიხედვით უნდა განისაზღვროს ქმედების დასჯადობის ხარისხი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე დანაშაულის პროვოკაციისა და წამქეზებლობის შედარებისას, უნდა შეფასდეს ამ ორი ქმედების სოციალური საფრთხე და გადაწყდეს რომელი ქმედება უნდა დაისაჯოს უფრო მკაცრად. დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულის წამქეზებელს პასუხისმგებლობა ეკისრება „მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით» (სსკ 25-ე მუხლი). ანუ, წამქეზებელი ისჯება იმის მიხედვით, თუ რა დანაშაულის ჩადენაზე წააქეზებს იგი ადამიანს.ხოლო დანაშაულის პროვოკატორი, მიუხედავად იმისა, თუ რა დანაშაულის ჩადენაზე დაიყოლიებს იგი პირს, ისჯება ერთნაირად, თავისუფლების შეზღუდვის ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე. შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაულის წამქეზებლობის შემთხვევაში კანონი სწორად არეგულირებს დასჯადობის საკითხს _ სჯის წამქეზებელს მისი ქმედების შედეგად გამოწვეული სოციალური საფრთხის შესაბამისი სასჯელით. დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში დარღვეულია ქმედების კრიმინალიზაციის ზემოხსენებული პრინციპი. მიუხედავად პროვოკატორის ქმედების შედეგად შელახული სამართლებრივი სიკეთისა, ანუ წარმოშობილი სოციალური საფრთხისა, პროვოკატორი ისჯება ერთი და იმავე სასჯელით. მაშასადამე, საჭიროა ისეთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემს პროვოკატორი პროვოცირებული დანაშაულის სოციალური საფრთხის შესაბამისად დაისაჯოს. პ.გურულს მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა ჩაიწეროს ახალი ნორმა, რომლის მიხედვითაც დანაშაულის პროვოკატორი დაისჯება არა მარტო „დანაშაულის პროვოკაციის» მუხლით გათვალისწინებული სასჯელით, არამედ იმ სასჯელითაც, რომელიც გათვალისწინებულია იმ დანაშაული-სათვის, რომლის პროვოკაციასაც ჰქონდა ადგილი. სასჯელები, ცხადია შეიკრიბება, ანუ დანაშაულის პროვოკაცია უფრო მკაცრად დაისჯება, ვიდრე წამქეზებლობა. თუმცა, შეიძლება ზემოხსენებულ პოზიციას გამოუჩნდნენ ოპონენტები. შესაძლებელია გაჩნდეს აზრი იმის შესახებ, რომ დანაშაულის პროვოკატორი უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს, ვიდრე დანაშაულის წამქეზებელი. ამ მოსაზრების მხარდამჭერნი სავარაუდოდ შემდეგი არგუმენტით გაამყარებენ თავიანთ თვალსაზრისს: დანაშაულის პროვოკატორი იყოლიებს პირს დანაშაულის ჩადენაზე და ამასთან ერთად ხელს უწყობს დამნაშავის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას. ანუ, დანაშაულის პროვოკატორი, მიუხედავად დანაშაულის ჩადენისა სჩადის სოციალურად სასარგებლო ქმედებასაც, რასაც დანაშაულის წამქეზებელს ვერანაირედ ვერ დავაბრალებთ. ზემოხსენებული მიდგომა არასწორია. ამგვარი, ცოტა არ იყოს, ზედაპირული დამოკიდებულებით შეიძლება მართლაც, მოგვეჩვენოს, რომ წამქეზებელთან შედარებით დანაშაულის პროვოკატორი ცოტათი სოციალურად სასარგებლოა და შესაბამისად უფრო მსუბუქად უნდა დაისაჯოს, მაგრამ თუ ღრმად გავაანალიზებთ ნათელი გახდება, რომ საქმის ვითარება პირიქითაა: დანაშაულის წამქეზებლობისას ხელყოფის ობიექტია ის სისხლისსამართლებრივი სიკეთე, რომელიც ილახება იმ დანაშაულის შედეგად, რომლის ჩადენაზეც წამქეზებელი იყოლიებს პირს.

დანაშაულის პროვოკაციისას კი ილახება არამარტო ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის ხელყოფა ხდება პროვოცირებული დანაშაულის შედეგად, არამედ პროვოცირებულის თავისუფლებაც. დანაშაულის პროვოკაციის კვალიფიკაციისას დგება ასეთი პრობლემა: როგორ დაკვალფიცირდეს პროვოკატორის ქმედება, როცა პროვოცირებულმა მხილებამდე მოასწრო დანაშაულის ბოლომდე მიყვანა (უკვე გაქურდა ბინა, მოკლა ადამიანი და ა,შ.). რამდენად სამართლიანია პროვოკატორის დასჯა ასეთ შემთხვევაში სსკ 145-ე მუხლით, რომლის მაქსიმალური სანქცია არის თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა დგას და იგი უნდა გადაწყდეს ისე, რომ არ დაირღვეს თანამონაწილეობის ინსტიტუტის ძირითადი პრინციპები. კერძოდ, რა მოხდება თუპროვოკატორის ქმედებას პროვოცირებულის მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანისას დავაკვალიფიცირებთ ერთობლიობის წესით: სსკ 145-ე მუხლით და იმ დანაშაულში თანამონაწილეობით (წაქეზებით), რომელიც ბოლომდე მიიყვანა პროვოცირებულმა? საკითხის ასე გადაწყვეტით ფაქტობრივად ვაღიარებთ, რომ წამქეზებელი ერთდროულად პროვოკატორიც არის და დანაშაულში თანამონაწილეც, ე. ი. მისი მიზანი არის ამ პირის მხილებაც და ამავე დროს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაც, რაც ურთიერთგამომრიცხველია. პროვოკატორია ის, ვისაც არ სურს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და არც უშვებს ამას. ე.ი. სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მიმართ არ მოქმედებს განზრახ. სწორედ ამიტომ, ამბობენ რომ პროვოკატორი და პროვოცირებული სხვადასხვა უმართლობას სჩადის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თანამონაწილეა და არა პროვოკატორი. ასეთ შემთხვევაში სსკ 145-ე მუხლის არსებობა აზრს კარგავს. ამდენად პროვოკატორის ქმედების კვალიფიკაცია ამ მუხლთან ერთად დანაშაულში თანამონაწილეობად გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე უნდა შეიცვალოს სსკ 145-ე მუხლის რედაქცია, კერძოდ, მას უნდა დაემატოს ორი დამამძიმებელი გარემოება:

1. რომელიც გაითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მძიმე დანაშაულის პროვოკაციისათვის და 2. რომელიც გაითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცი-ისათვის. თუმცა პროფ. თ. ებრალიძე განსხვავებულ კონსტრუქციას გვთავაზობს. მისი აზრით სსკ 145_ე მუხლს უნდა დაემატოს კვალიფიციური შემადგენლობა, რომლის შინაარსი იქნებოდა: იგივე ქმედება, რამაც განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

სსკ 145-ე მუხლის კონსტრუქცია აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი კანონმდებელი დანაშაულის პროვოკაციას წაქეზებასთან შედარებით გაცილებით ნაკლებ საშიშ ქმედებად მიიჩნევს. ალბათ, იმიტომ რომ პროვოკატორის ქმედება მიმართულია პირის მხილებისაკენ. თუმცა აქ მხედველობიდანაა გამორჩენილი ქმედების მორალური მხარე. კერძოდ, ძნელი სათქმელია ვისი ქმედებაა უფრო ამორალური, იმის, ვინც პირს დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად, თუ იმისი ვინც სხვას ჯერ დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად და შემდეგ ამხელს მას ამ დანაშაულის ჩადენაში. თუ მოვითხოვთ დანაშაულის პროვოკატორის უფრო მძიმედ დასჯას და ამის საფუძვლად ქმედების მორალურ გასაკიცხაობას დავასხელებთ, შედეგად მივიღებთ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სინდისის თავისუფლების უხეშ შეზღუდვას. არადა ამავე

მუხლის მე-3 ნაწილით პირდაპირაა დადგენილი ამ თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობა; «დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს». ანუ, სინდისის თავისუფლების შეზღუდვისათვის აუცილებელია სახეზე იყოს ამ თავისუფლების გამოვლენით სხვისი უფლებების შელახვა. მაშასადამე, პროვოკატორი უნდა არღვევდეს სხვის უფლებებს. ამ შემთხვევაში პროვოკატორს (წამქეზებელზე მეტად) სხვისი უფლებების დარღვევას ნამდვილად ვერ დავაბრალებთ, ანუ რაში მდგომარეობს პრობლემის არსი: ცხადია, ირღვევა იმ პირის უფლება, რომლის სამართლებრივი სიკეთეც ილახება იმ დანაშაულით, რომლის ჩადენაზეც პროვოკატორი პროვოცირებულს იყოლიებს. მაგრამ ამ ნაწილში აბსოლუტურად იგივეს აკეთებს წამქეზებელი. რაც შეეხება ქმედების იმ ნაწილს, როდესაც დანაშაულის პროვოკატორი, ხელს უწყობს პროვოცირებულის სისხლის სამარათლებრივ პასუხისგებაში მიცემას, აქ ნამდვილად არავის უფლება არ ირღვევა. დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა ვერანაირად ვერ ჩაითვლება მისი უფლებების დარღვევად, რადგან მას უფლება არა აქვს გაექცეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ის ვინც, დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად იმ განზრახვით, რომ შემდეგ ამხილოს და სამართალდამცავ ორგანოებს გადასცეს, სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაში ცნობილია აგენტი-პროვოკატორის სახელწოდებით. განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევსდანაშაულის პროვოცირებას. მისი დასაშვებობის ფარგლები და მართლზომიერების პირობები მკაფიოდ არის რეგლამენტირებული საქართველოს 1999 წლის 15 მაისის კანონში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ». დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის უფლება აქვთ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს და არა მოქალაქეებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი მოქმედებენ ამ ორგანოთა დავალებით, ან მათთან შეთანხმებით. დანაშაულის ხელოვნურად გამოწვევის შემთხვევაში მკაცრად უნდა იყოს დაცული ოპერატიული ექსპერიმენტის მართლზომიერების პირობები:

1. ექსპერიმენტი ტარდება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომ მზადდება, ხდება ან მოხდა დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

2. ოპერატიულმა მუშაკმა არ უნდა აღუძრას პირს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება. ის ამ უკანასკნელს დამოუკიდებლად უნდა ჰქონდეს მიღებული. კომპეტენტური ორგანოს მუშაკებს შეუძლიათ მოცემულ სიტუაციაში განახორციელონ „საკონტროლო შესყიდვა» ან „კონტროლირებადი მიწოდება». საკონტროლო შესყიდვა ნიშნავს ოპერატიული მუშაკის ან ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს მიერ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე საგნის ან ნივთიერების შეძენა ანდა შეძენის სიტუაციის შექმნა. კონტროლირებადი მიწოდება კი ნიშნავს დანაშაულის გახსნის, დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად საქართველოს ფარგლებში (ხოლო საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში-საქართველოს გარეთაც),საქართველოს ფარგლებს გარედან საქართველოში ან საქართველოს გავლით ნივთიერი მტკიცებულების ან ისეთი საგნის კონტროლირებადი გადაადგილება, რომლის თავისუფალი რეალიზაცია კანონით აკრძალული ან შეზღუდულია. დანაშაულის პროვოცირება მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დაშვებული, თუ

ეჭვმიტანილთა დანაშაულებრივი საქმიანობა რომელიმე ერთ-ერთ პირობას აკმაყოფილებს: 1. თუ ეჭვმიტნილთა დანაშაულებრივი საქმიანობა სისტემატურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ნარკოტიკების გამსაღებლის დასადგენად, ზოგჯერ აუცილებელია პოლიციის აგენტმა შეისყიდოს ნარკოტიკული ნივთიერება, რათა შემდეგ ეს ფაქტი მტკიცებულებად გამოიყენოს. 2. დანაშაულებრივი საქმიანობა განგრძობად ხასიათს ატარებს. მაგალითად, კომპიუტერების საწარმოს დირექტორის ინფორმაციის საფუძველზე პოლიციის აგენტი ამ საწარმოს მუშაკს, რომელიც ეჭვმიტანილია კომპიუტერული მოწყობილობების ქურდობაში და მისი მიზანია ამ ნაწილებით კომპიუტერის აწყობა და რეალიზაცია, შესთავაზებს კვლავ მიითვისოს კომპიუტერის ნაწილები. 3. ამა თუ იმ დანაშაულის მომზადების სტადიაზე მისი აღკვეთის და მისი ჩამდენის დაკავების მიზნით მოხდება პროვოცირება. მაგალითად, აგენტ-პროვოკატორი მკვლელობის მომზადებისას მკვლელს შესთავაზებს ერთობლივად განახორციელონ მკვლელობა. სისხლის სამართლის კანონმდებლობით დაცულია ისეთი სამართლებრივი სიკეთეები, რომელთა დაზიანებით ან დაზიანების საფრთხის შექმნით არ იქნება გამართლებული აგენტთა პროვოკაციული საქმიანობა, რამდენადაც თვით ამ სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულება ყოველთვის აღემატება სხვა კანონიერ ინტერესებს. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, აკრძალულია იმ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარება, რომელიც ა.საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთე-ლობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას; ბ.საფრთხეს უქმნის იურიდიული პირის უფლებებს; გ.დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან, დანაშაულის ან სხვა მარათლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან. კანონის შინაარსიდან გამომდინარე, თუკი პროვოკაციული საქმიანობით საფრთხე ექმნება ზემოთ ჩამოთვლილ სამართლებრივ სიკეთეებს, მაშინ კომპეტენტური ორგანოების აგენტთა მოქმედება მომზადების სტადიას არ უნდა გასცდეს, რამდენადაც ამ სამართლებრივ სიკეთეებს მცდელობის სტადიაზევე ექმნება საფრთხე. მაგალითად, როდესაც ექსპერიმენტი ტარდება მკვლელობის აღკვეთისა და დამნაშავის დაკავების მიზნით, პოლიციის აგენტის მოქმედება მომზადების სტადიას არ უნდა გასცილდეს. თუ ის ვარაუდობს, რომ გადამწყვეტ მომენტში დამნაშავეს თოფზე ხელს აუკრავს და სასიკვდილოშედეგი არ დადგება, ოპერატიული ექსპერიმენტი, მართლზომიერი ვერ იქნება.

პასუხისმგებლობა 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, უნდა დადგეს იმისაგან დამოუკიდებლად, ხელოვნურად შექმნილ სიტუაციაში პროვოკაციის ობიექტი ჩაიდენს თუ არა დანაშაულს. მაგალითად, თანამდებობის პირს პროვოკაციის მიზნით შეუგზავნეს დამუშავებული ფული. 1-ლი ვარიანტი: მან იგი აიღო. მე-2 ვარიანტი: ცდუნებას გაუძლო და ფული არ აიღო. ამ ორ შემთხვევას შორის განსხვავება მხოლოდ მოხელის ქმედების სამართლებრივ შეფასებაში მდგომარეობს.

გათვალისწინებული დანაშაულის არსებობა-არარსებობის თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება არ არის. ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა ამ მუხლით უნდა დადგეს. ცხადია, მეორე შემთხვევაში გვექნებოდა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა. ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, რომ როცა მოხელემ ქრთამი აიღო, ოპერატიულმა მუშაკმა არ უნდა აგოს პასუხი დანაშაულის პროვოკაციისათვის.

თუ ოპერატიულ მუშაკს დამნაშავედ ვაღიარებთ, მაშინ ქრთამის ამღები მოხელე უნდა გავათავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან, რადგან დანაშაულებრივი გზით მიღებული მტკიცებულებები დაუშვებელია. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის უნდა დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პროვოკატორმა შეუტანა მოხელეს დანომრილი ფული მხილების მიზნით, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი არ აიღო. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თუ მოხელე ფულს აიღებს, განსახილველი დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება. ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ ოპერატიული მუშაკის პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათვის არ გამორიცხავს მოხელის პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისათვის და არ ნიშნავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მტკიცებულებების დაშვებას. აქ საქმე გვაქვს არა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ მტკიცებულებებთან, არამედ დანაშაულის ჩადენის ფაქტთან. ოპერატიული მუშაკის პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული მოხელის ქმედებაზე. ზემოთ თქმული თვალსაზრისის მიხედვით გამოდის რომ, როცა პროვოკატორმა მიზანს მიაღწია, ე.ი. მოხელე პროვოკაციას წამოეგო, მან არ უნდა აგოს პასუხი სისხლის სამართლის წესით. იგი მხოლოდ მაშინ უნდა დაისაჯოს, როცა მისი ძალისხმევა უშედეგოდ ჩაივლის და მოხელეს პროვოკაციაზე ვერ წამოაგებს. საკითხისადმი ასეთი მიდგომა გაუმართლებლად ზღუდავს 145-ე მუხლის გამოყენების ფარგლებს. ეს მუხლი იცავს პროვოცირებულის პიროვნებას, ამიტომ როცა ადამიანს პროვოკაციას მოუწყობენ, ყოველთვის უნდა დადგეს პასუხისმგებლობა 145-ე მუხლით. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ როცა პროვოცირებულმა ქრთამი აიღო, ერთგვარ უხერხულ სიტუაციას ქმნის ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში იგი ბრალდებულიც არის (ქრთამის ამღები) და დაზარალებულიც (პროვოკაციის მსხვერპლი). ეს 145-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სპეციფიურობითაცაა განპირობებული. ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში სწორედ ზემოთ გაკრიტიკებული თვალსაზრისია ასახული. მაგალითად, რუსეთის სსკ-ის 304-ე მუხლის დისპოზიციაში ვკითხულობთ: „თანამდებობის პირისათვის ან კომერციულ თუ სხვა ორგანიზაციაში მმართველობითი ფუნქციიის განმხორციელებლისათვის მისი თანხმობის გარეშე ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების გადაცემის ან ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევის მცდელობა დანაშაულის ჩადენის მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნის ან შანტაჟის მიზნით». კანონის ტექსტში ლაპარაკია ფულის გადაცემის მცდელობაზე, ე. ი. პროვოკატორის ქმედება არ უნდა წავიდეს მცდელობის იქით, მოხელემ ფული არ უნდა აიღოს. თუ ადგილი ჰქონდა არა ფულის გადაცემის მცდელობას, არამედ მის გადაცემას, ე. ი. მოხელის მიერ ფულის აღებას, მაშინ რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა არ გვექნება. რუსი კრიმინალისტების აზრით, ასეთ შემთხვევაში ქრთამის შემძლევმა პასუხი უნდა აგოს რუსეთის სსკ-ის 290-ე მუხლით (ქრთამის აღება) გათვალისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, კერძოდ, წამქეზებლობისათვის.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში სსკ-ის 145-ე მუხლით მსჯავრდების შემთხვევები არ გვხვდება. რაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული დანაშაული საერთოდ არ ხდება. უაქციზო საქონლის შენახვის საქმეთა შესწავლამ გ. მამულაშვილი მიიყვანა

იმ დასკვნამდე, რომ ამ კატეგორიის საქმეებზე საკმაოდ ხშირია დანაშაულის პროვოცირების შემთხვევები. მოვიტან მაგალითს მის მიერ შესწავლილი საქმიდან. რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2002 წლის 26 ივნისის განაჩენით ც. დამნაშავედ სცნო აქციზური მარკის გარეშე 289 ლარის ღირებულების უაქციზო სიგარეტის შენახვაში. ირკვევა, რომ «2002 წლის 28 მარტს, 13 საათზე, გამოძიებით დაუდგენელმა პირმა ინდმეწარმე ჭილაშვილის მაღაზიაში შეიტანა რუსული აქციზური მარკის მქონე ფილტრიანი სიგარეტი და იქ გამყიდვლად მომუშავე ც-ს შესთავაზა მათი შეძენა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა, მაგრამ შესაძლო შეძენისათვის მაღაზიის მფლობელისათვის საჩვენებლად უცნობ მამაკაცს დათანხმდა სიგარეტის რამდენიმე ბლოკის დატოვებაზე, მაგრამ მან დაუტოვა ყველა სიგარეტი და მაღაზიიდან გავიდა. თან მიაძახა, რომ საღამოს დაბრუნდებოდა და თავად დაელაპარაკებოდა მაღაზიის მფლობელს სიგარეტის ყიდვის თაობაზე. მისი გასვლიდან 15 წუთის შემდეგ მაღაზიაში მივიდნენ პოლიციის მუშაკები და ამოიღეს უაქციზო სიგარეტი. სავსებით მართებულია პროფ. მამულაშვილის კომენტარი; „დიდი შორსმჭვრეტელობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ დანაშაულის პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. მართალია, ამ „უცნობი მამაკაცის» მიმართ საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო, მაგრამ ეს მხოლოდ პროვოკაციის კვალის დასაფარად არის გაკეთებული, რაც მანკიერ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. მართალია, უაქციზო საქონლის შენახვის ფაქტი სახეზეა, მაგრამ პროვოკაციის კვალიც კარგად არის გამოკვეთილი». მართლზომიერი ოპერატიული ექსპერიმენტი, მაშინ იქნებოდა გამყიდველს უაქციზო სიგარეტი საკუთარი ინიციატივით, სპეციალურად მიგზავნილ პირთა მხრიდან დაყოლიების გარეშე რომ შეენახა, ეს ფაქტი შეენიშნა პოლიციის თანამშრომელს და განეხორციელებინა მისგან ე. წ. საკონტროლო შესყიდვა, შემდეგ კი ემხილა დანაშაულის ჩადენაში. 2002 წელს საქართველოს საერთო სასამართლოებს 400-ზე მეტი უაქციზო საქონლის შეძენის საქმე აქვს განხილული, რომელიც ჩადენილია აღნიშნულ დანაშაულთან მებრძოლი სტრუქტურის ხელშეწყობით. შემდეგ პროვოცირებული სამხილით აკავებენ და კონტრაბანდასთან ბრძოლის ეფექტურ სტატისტიკას ქმნიან. უნდა ვივარაუდოთ, რომ უაქციზო საქონლის შენახვის საქმეები, გამონაკლისი არ არის და დანაშაულის პროვოკაციის გამოუვლენელი შემთხვევები სხვა საქმეებთან დაკავშირებითაც იქნება.

განსახილველი დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა დაყოლიებული პირი დაიწყებს დანაშაულის მომზადებას (თუკი დანაშაული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმეა) ან მცდელობას. უფრო ადრეულ სტადიაზე პროვოკატორის მიცემა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში არ იქნება გამართლებული, რადგან თუ პროვიცირებული მხოლოდ დათანხმდა მას დანაშაულის ჩადენაზე, მაგრამ პრაქტიკულად ამ დანაშაულის მომზადებაც კი არ განუხორციელებია, უნდა ჩავთვალოთ, რომ «დაყოლიებას» არ ჰქონია ადგილი, პროვოკატორმა ვერ მიაღწია მიზანს და ვერ ხელყო ამ პირის ინტერესები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო კონსტიტუცია; თბ; 2010;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; თბ; 2010;
3. საქართველოს კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ».
4. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.//გ. ტყეშელიაძის რედაქციით. წიგნი I, თბ; 2008;
5. თ. ებრალიძე. წამქეზებლის ფიგურა სისხლის სამართალში//ადამიანი და კონსტიტუცია. 2003. №5;
6. თ.ებრალიძე. წამქეზებელი წაქეზებულის წინააღმდეგ. თბ; 2006;
7. ი. დვალიძე. დანაშაულის პროვოცირების პრობლემა სისხლის სამართალში// ადამიანი და კონსტიტუცია. 2005. №1;
8. თ. წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში//სისხლის სამართლის პრობლემები. II ტომი. თბ; 2007;
9. ო. გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ; 2005;
10. ო. გამყერელიძე. სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. თბ., 1989;
11. პ. გურული. დანაშაულის პროვოკაცია. თბ; 2008;
12. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი// დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ.; 2008;
13. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი. ეკონომიკური დანაშაული. თბ; 2004;
14. Таганцев Н.С. Русское уголовное право. Тула. 2001;
15. Курс русского уголовного права. Общая часть/Под.ред. В.Н. Кудрявцева и В.Н. Наумова. М., 2002.

თამარ რუხაძე

ხელმძღვანელი: უფ. მასწ. მედეა ზურაბიშვილი

ანტიმონოპოლიური რეგულირება, საერთაშორისო გამოცდილება, საქართველოს რეალობა

დღეს საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტი მონოპოლიზირებულია მაღალ კონტროლირებადი ფასებით ერთი ან ერთმანეთთან მორიგებული რამოდენიმე კომპანიის მიერ. ფაქტობრივად არ არსებობს ან შეზრუდულია თავისუფალი საბაზრო კონკურენცია.

როგორც ცნობილია, 2005 წელს საქართველოს ხელიუფლებამ, გააუქმა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელიც ჯერ კიდევ 1996 წელს მიიღო პარლამენტმა და რომელიც მნიშვნელოვნად პასუხობდა საერთაშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკას. თუმცა მაშინდელი ანტიმონოპოლიური სამსახური დაზღვეული არ იყო ხარვეზებისაგან. მთავრობამ, ნაცვლად იმისა, რომ გამოესწორებინა ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებები, შეწყვიტა ერთის მხრივ, მონოპოლიზირებული სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზი და, მეორეს მხრივ, გააუქმა პროდუქციის ხარისხზე კონტროლის სამსახური.

ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების შედეგად, კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციები, რამაც ახლად შექმნილი კონკურენციის სააგენტო რეალური ფუნქციების გარეშე დატოვა. ახალი კანონი არ ეხებოდა კონკურენციის კანონმდებლობის ისეთ ტრადიციულ სფეროებს, როგორიცაა კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებები, შეთანხმებული საქმიანობა, ბაზარზე დომინანტი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კომპანიების შესყიდვა და შერწყმა, სახელმწიფო საწარმოები და ე.წ. ბუნებრივი მონოპოლიები. მეტიც, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელსაც კანონის განხორციელების ზედამხედველობა ევალებოდა, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგე-ნელი ნაწილი იყო და შესაბამისად მას არა ჰქონდა იმგვარი დამოუკიდებლობა, როგორითაც ამ ტიპის ორგანოები ჩვეულებრივ სარგებლობენ.

საბოლოო ჯამში წაგებულია საქართველოს მოსახლეობა, რომელსაც დღეს უფრო მეტი თანხის გადახდა უწევს ხელოვნურად გაძვირებულ პროდუქციაში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს ეკონომიკის ისეთ დარგებში არსებული მგდომარეობა, როგორიცაა, კომუნიკაციების სფერო (მობილური, ინტერნეტი), ფარმაცევტული ბაზარი და სხვა.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გაუქმების გამო, ევროკავშირი და ევროკომისია საკუთარ კრიტიკულ დასკვნებში საქართველოს ხელისუფლებას

მიუთითებდნენ, რომ ქვეყანაში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ვითარება ვერ უზრუნველყოფდა სამართლიან და თავისუფალ კონკურენტულ გარემოს, რაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის უგულებელყოფაა. ყოველივე ამის ფონზე, ხელისუფლებამ გადაწყვიტა ანტიმონოპოლიური სამსახური აღადგინოს.

ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა ევროკომისიის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა იყო. როგორ და რა ფორმით იმუშავებს ახალი სააგენტო, ბოლომდე ჯერ არც მთავრობაში გარკვეულან. ერთს დანამდვილებით აცხადებენ, რომ ახალ «ანტიმონოპოლიურს» საგამოძიებო და სადამსჯელო ფუნქციები არ აღუდგება, რომლითაც ძველი ანტიმონოპოლიური სარგებლობდა. მთავრობა ამბობს, რომ ეს ანალიტიკური სამსახური უფრო იქნება, ვიდრე სადამსჯელო. კონკურენციის წესების დამრღვევს კი განაჩენს სასამართლო გამოუტანს, ის განსაზღვრავს დასჯის ზომასა და სანქციებსაც. სამსახურის შექმნა 2010 წლის სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს, ახალი სამსახურის კონტროლის ქვეშ ის სფეროებიც მოექცევა, რომელთაც საკუთარი მარეგულირებელი კომისიები უკვე ჰყავთ.

თუკი გადავხედავთ **მონოპოლიური კანონის რეგულირების ისტორიას განვითარებული ქვეყნების მაგალითზე**, შესაძლებელი იქნება მათი გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ცვლილებების შეტანა საქართველოს ახლად გახსნილ ანტიმონოპოლიურ სამსახურში.

პირველად ანტიმონოპოლიური კანონი მიღებული იქნა კანადაში 1889 წელს და აშშ-ში 1890 წელს. დღეისათვის ამერიკული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილ კანონად ამ სფეროში. აშშ-ში ძირითად კანონად მონოპოლიური საქმიანობის რეგულირებისა და მონოპოლიზირებული ბაზრებისათვის ითვლება შერმანის და კლეტონის კანონები, კანონი «ფედერალური ვაჭრობის კომისიის» შესახებ.

შერმანის თანახმად კანონგარეშეა «ყველა კონტრაქტი და ყველა სახის გაერთიანება, აგრეთვე საიდუმლო შეთანხმება, რომელიც მიმართულია ვაჭრობის და კომერციული საქმიანობის შეზღუდვისაკენ». აშშ-ს კანონმდებლობით კომპანია შეიძლება მიჩნეული იქნეს მონოპოლისტად და მის წინააღმდეგ შეიძლება აღძრული იქნეს სასამართლო საქმე თუ იგი აკონტროლებს ბაზრის 6%-ზე მეტს და ამავე დროს, თუკი მრავალი ფაქტი მეტყველებს მის არაკეთილსინდისიერ კონკურენციაზე. აშშ-ს კანონი საკმაოდ მწვავედ რეაგირებს კომპანიების შეერთებაზე. მაგალითად ჰორიზონტალური გაერთანება ორი კონკურენტისა ითვლება არაკეთილსინდისიერად, თუკი კომპანიების გაერთიანებით მათი საერთო წილი ბაზარზე შეადგენს 15%-ზე მეტს.

ევროპულ ქვეყნებში ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მიღებული იქნა გაცილებით გვიან ვიდრე აშშ-ში. აშშ-ს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისაგან განსხვავებით, რომელიც მიზნად ისახავს კანონის ზედმიწევნით შესრულებას, ევროპული ქვეყნებისათვის ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაში გადამწყვეტი პრინციპია «საღი აზროვნება». ევროპის უმეტესი ქვეყნებისათვის ანტიმონოპოლიურ პოლიტიკაში მთავარ მიზანს წარმოადგენს პროდუქტის ხარისხი ჯანსაღი კონკურენციის გაფართოების ხარჯზე.

ინგლისში ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას ახორციელებენ ვაჭრობის წესების მართვის ორგანო და მონოპოლიისა და გაერთიენების მარეგულირებელი კომისია, მათი ფუნქციაა საერთოზედამხედველობის განხორციელება. ამ დაწესებულებების ზედამხედველობის ქვეშ შეიძლება მოხვდეს ისეთი კომპანიები, რომელთაც გააჩნიათ ბაზრის 25%-ზე მეტი. ვინაიდან ინგლისის ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს კონკურენციის სტიმულირება, პირდაპირი ადმინისტრაციული მეთოდები მიიღება შეზღუდული მასშტაბით.

გერმანიაში გატარებული აქტიური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ინტერესები დგას უფრო მაღლა ვიდრე ცალკეული მონოპოლისტების და მათ უკან მდგომი პოლიტიკური მოღვაწეების. ანტიმონოპოლიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის უფლება არ აქვს პრეზიდენტსაც კი.

ბოლო წლებში კონტროლი მონოპოლიურ საქმიანობაზე შემოღებული იქნა საერთო ევროპულ დონეზე, ევროკავშირის ფარგლებში შექმნილი იქნა კომისია გაერთიანებული კონტროლისათვის.

დღეისათვის საქართველოში უამრავი ფაქტი მეტყველობს არაჯანსაღ კონკურენციაზე. მაგალითად, ფარმაცევტულ ბაზარზე დომინირებს ორი ძირითადი კომპანია, რომელთაც ბაზრის 70 % უკავიათ, სწორედ ამიტომ, ამ კომპანიებს შეუძლიათ ბაზარს უკარნახონ ნებისმიერი პირობები და ბაზარს, სხვა საშუალება არ აქვს გარდა იმისა, რომ მიიღოს ეს პირობები. მეორე დიდი პრობლემა, რაც დაკავშირებულია ფარმაცევტულ ბაზართან და აგრეთვე მკურნალობის პროცესთან, არის ის რომ ფარმაცევტულ კომპანიებს აქვთ საცალო ვაჭრობის ერთეულები (აფთიაქები), ამავე დროს ისინი ფლობენ აგრეთვე საავადმყოფოებს, ამგვარი პრაქტიკა მსოფლიოში არ არსებობს. აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ წამლის შემსყიდველი/იმპორტიორი/მწარმოებელი აკონტროლებს მედიკამენტების მიწოდების მთელ ჯაჭვს, დაწყებული იმპორტიდან, დამთავრებული საბოლოო მომხმარებლამდე (საბოლოო მომხმარებელია როგორც აფთიაქის მყიდველი, ასევე ავადმყოფი, რომელიც მიდის საავადმყოფოში). გამოდის რომ, ფარმაცევტული დისტრიბუტორი არის აბსოლუტური მონოპოლისტი მკურნალობის პროცესისა.

რასაკვირველია, მონოპოლისტის პირველი სურვილია მაღალი სარგებელი, რაც, როგორც წესი, ხდება ფასების გაბერვის ხარჯზე. ქართულ სამედიცინო ბაზარზე ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე მკურნალობის ფასები საგრძნობლად გაიზარდა, რაც ძირითადად არა მკურნალობის პროცესის, ანუ ექიმის მიერ გაწეული სამსახურის, არამედ წამლის ფასის გამო ხდება. სამწუხაროდ, ექიმისათვის პრიორიტეტული ხდება გასამრჯელოს მიღება წამლის დისტრიბუტორისგან, ანუ პრეპარატის გასაღება, აღნიშნულ ფაქტზე მეტყველებს ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია «ადამიანის უფლებათა ცენტრის» მოკვლევის შედეგი, რომელიც ჩატარდა ერთ-ერთ რეგიონში, კვლევის შედეგებით ექიმები პაციენტებს ძვირადღირებულ «ავერსის» წარმოების ისეთ წამლებს უწერდნენ, რომლებიც არ სჭირდებოდათ.

აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად შეტანილი იქნა კანონში ცვლილებები, რომლის მიხედვითაც საქართველოში წამლის რეალიზების უფლება რემდენიმე დღეში ენიჭება იმ მედიკამენტებს, რომლებსაც ევროკავშირის წევრი ან რომელიმე სხვა განვითარებული ქვეყნის ნებართვა აქვს. მიგვაჩნია, რომ ფართოდ გავრცელებულ

ფარმაცევტულ მედიკამენტებზე ექსკლუზიური უფლება შემოტანასა და გავრცელებაზე საქართველოში არცერთ კომპანიას არ უნდა ჰქონდეს. რის შედეგადაც ეს მედიკამენტები «საქპატენტში» სასაქონლო ნიშნად აღარ დარეგისტრირდება, რათა აღიკვეთოს მონოპოლიზაციის მცდელობა გარკვეული ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან და მათზე ფასები ბაზარზე ჯანსაღი და კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობებში დარეგულირდეს.

შემდეგი მაგალითის სახით გვინდა წარმოგიდგინოთ **სატელეფონო ბაზარზე** შექმნილი ვითარება. ამ სექტორს, წესით და რიგით, კომუნიკაციების კომისია უნდა უწევდეს ზედამხედველობას, შესაბამისად, არ უნდა აძლევდეს იმის საშუალებას, რომ ქართველი ხალხის ხარჯზე გაბერილი ფასებით მილიონობით მოგება მიიღონ. მსოფლიოში ფიჭური და ფიქსირებული ტელეფონების საუბარზე ფასების შემცირების მიუხედავად, საქართველოში ეს ტენდენცია ერთი თეთრითაც კი არ წასულაწინ. უკვე 10-15 წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში ტელეფონით საუბრის ფასები ერთ დონეზეა გაყინული და ამ საკითხზე, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია თვალს ხუჭავს.

ერთ-ერთი კვლევის თანახმად, საქართველო მობილურზე მომსახურების სიძვირის მიხედვით, პოსტსაბჭოთა სივრცეში, პირველ, ხოლო მსოფლიოში, 186 ქვეყანას შორის, მესამე ადგილს იკავებს. ჩვენს უკან არიან ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, ამერიკა, საფრანგეთი, იაპონია, კანადა და ა.შ. აღნიშნული მაჩვენებელი აშკარად შეუსაბამოა ჩვენს ქვეყანაში არსებული სოციალური ფენისათვის.

ფიჭური კავშირგაბმულობის ქართულ ბაზარზე არსებული მონოპოლიის შესასუსტებელად კომუნიკაციების ეროვნული კომისია კონკურენციას ამძაფრებს. კომისიაში აღიარებენ, რომ «მაგთი» და «ჯეოსელი» ბაზრის მონოპოლისტები არიან, ამიტომ, მარეგულირებელი კომისია მიმდინარე 2010 წლის ბოლოდან პორტაბელურ ნომრებს შემოიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მოქალაქეს სურვილის შემთხვევაში შეეძლება ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლის გარეშე გამოცვალოს. თუკი, რომელიმე ოპერატორი კონკურენციაში არ ჩაერთვება, აბონენტებს დაკარგავს. კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, დაწესდა ორჯერ შემცირებული ურთიერთჩართვის ტარიფი, რათა ხელი შეეწყოთ მობილური ოპერატორებისათვის ფასების შემცირებაში, აღნიშნული ტარიფი ცვლილებამდე შეადგენდა 14.8 თეთრს, ხოლო ცვლილების შემდეგ იგი შეადგენს დაახლოებით 8 თეთრს. ტარიფს ბაზარი ადგენს. ეს ახალი ინფორმაცია არაა, რომ პროდუქციასა თუ მომსახურებაზე ფასებს, ბაზარი არეგულირებს, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ბაზარზე რეალური, ადეკვატური და სამართლიანი ფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ ბაზრის ამ სეგმენტში ჯანსაღი კონკურენციაა. საქართველოს ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე არსებული სიტუაცია რომ შორსაა ჯანსაღი კონკურენციისგან, ამას დიდი მტკიცება და კვლევის ჩატარება არ უნდა. «ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ» კანონის თანახმად, თუ 2 კომპანია ბაზრის 60%-ს და მეტს ფლობს, ისინი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორებად, ანუ მონოპოლისტებად მოიაზრებიან. დღეისათვის კი ბაზრის 90 %-ს ორი ოპერატორი ფლობს და არც მესამე 10% საბაზრო წილის მქონე «ბილაინი» მოქმედებს ჯანსაღი კონკურენციის შესაფერისად. ამით კი ისევ და ისევ ქართველი მომხმარებელი

ზარალდება, რომელიც უკეთესის პოვნის იმედად «ბილაინის» ქსელში ერთვება, რეალურად კი ისევ მაღალი ტარიფებით სარგებლობა უწევს.

ახალი სამსახური, რომელმაც კონკურენტული გარემოს შექმნაზე, ხელოვნური მონოპოლიების შეზღუდვაზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე უნდა იზრუნოს, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ნაცვლად უნდა შეიქმნას, იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება, პრემიერს დაექვემდებარება და წინამორბედზე მეტი უფლებებით იქნება აღჭურვილი.

ახალი სამსახურის მუშაობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა გუნდი შეიკვრება, როგორ დაკომპლექტდება. ჩვენი მოსაზრებით იგი არ უნდა აღდგეს, როგორც ანალიტიკური ბიურო, არამედ მას უნდა ჰქონდეს გარკვეული ღონისძიებების გატარების საშუალება. ბევრ ქვეყანაში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოებს სწორედ კონტროლის უფლება გააჩნიათ. მიგვაჩნია, რომ რეკლამის მონიტორინგის ფუნქცია (სარეკლამო დროის კონტროლი, სატელევიზიო რეკლამა არ გაგრძელდეს განსაზღვრულ დროზე მეტხანს და სხვ.), რაც ანტიმონოპოლიურის საქმიანობის ძირითად მიმართულებას და სოლიდური შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენდა, ზედმეტი იყო და ახალ სამსახურსაც არ სჭირდება. მით უფრო, ახლა ამ ფუნქციას კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია ასრულებს. ძველისაგან უნდა დარჩეს მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ასევე ფასების კონტროლიც.

საქართველოს ეკონომიკურ ბაზარზე შექმნილი პრობლემატური ვითარების გათვალისწინებით, ახალი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნისას, კანონმდებლობასთან და მის რეგულირებასთან დაკავშირებით, მისასალმებელი იქნება, თუკი განსაზღვრული იქნება რამოდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა და გაცემულ იქნება პასუხები. მაგალითად:

1. რამდენად მჭიდროდ არის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა დაკავშირებული სხვა არსებულ კანონმდებლობებთან;
2. რამდენად სწორად და მართებულად ახერხებს კანონი იმ ძირითადი ფასეულობების განსაზღვრას, რომელიც იძლევა საშუალებას მონოპოლისტის გამოვლენისა;
3. როგორია კანონის მიდგომის კრიტერიუმი მონოპოლისტისადმი – მისი მდგომარეობა თუ მისი ქმედება;
4. ანსხვავებს თუ არა კანონმდებლობა მონოპოლიას სფეროების მიხედვით;
5. განსაზღვრავს თუ არა კანონმდებლობა კანონის მოქმედების სიმკაცრეს ჰორიზონტალური და ვერტიკალური შერწყმის დროს;
6. როგორი დამოკიდებულება აქვს კანონმდებლობას კომპანიის მიერ დომინანტი მდგომარეობის მიღწევისას და ზღუდავს თუ არა მონოპოლიის ამ სახის ხანგრძლივობას ბაზარზე;
7. რამდენად კომპლექსური, სისტემური და ადეკვატურია ზომები, რომლებიც განისაზღვება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესაზღუდად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. «ეკონომიკის პრინციპები», გამოყენებული ლიტერატურა გრეგორი მენქიუ, ჰარვარდის უნიერსიტეტი, 2008 წ.;
2. www.commersant.ge რადიო კომერსანტი;
3. www.wikipedia.org ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია;
4. www.financial.ge;
5. vasilievaa.narod.ru.

მარიამ ხუტუაშვილი
თინათინ ვარდანიძე

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მანანა ჭიპაშვილი

შრომითი მიგრანტების გადარჩენილი ქვეყანა

გლობალურმა რეცესიამ მსოფლიოში მილიონობით სამუშაო ადგილი შეიწირა. უცხოელ უმუშევართა მრავალრიცხოვან არმიას საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაც უერთდება. თუმცა, ეკონომიკურმა კრიზისმა სამშობლოში დარჩენილებზე არანაკლებ მიგრანტები და დროებით ან არასრული სამსახურის ადამიანები დააზარალა. ღარიბი ქვეყნები, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირში შედიოდნენ, კრიზისს ძირითადად ექსპორტის მოცულობისა და ფულადი გზავნილების შემცირების გამო განიცდიან. ალბათ არავის გაუკვირდება თუ ვიტყვით, რომ ასეთი ქვეყნების ვრცელ სიაში საქართველო ლიდერობას არავის უთმობს.

არავისთვის არის ახალი, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ახლობლების მიერ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი თანხით არსებობს. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კი, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ფულადი გზავნილების შემცირება საქართველოშიც გამოიწვია.

ბოლო წლებში საქართველოში უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინება აღმავალი ტენდენციით ხასიათდება. თუ 2000-2005 წლებში ასეთი გზავნილების საშუალო წლიური მოცულობა, დაახლოებით 180 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა (თვეში საშუალოდ 15 მლნ აშშ დოლარი), 2006 წელს ამ მაჩვენებელმა-544,7 (თვეში საშუალოდ 45 მლნ აშშ დოლარი), 2007 წელს 866,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (თვეში საშუალოდ 72 მლნ აშშ დოლარი), რაც 60%-ით მეტია 2006 წელთან შედარებით. 2008 წელს ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების საერთო მოცულობამ 1 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. 2009 წელს კიფულადი ნაკადების მოცულობა უცხოეთში კრიზისის გაზრდის პროპორციულად შემცირდა და წინა წელთან შედარებით 300 მლნ დოლარით დაიკლო[1]. თუ გავითვალისწინებთ, რა მდგომარეობაა რუსეთში, აშშ-ში, საბერძნეთში, თურქეთსა და ესპანეთში, რომლებიც ქართველ მიგრანტთა მთავარ თავშესაფარს წარმოადგენენ, ფულადი გზავნილების ზრდას ახლო მომავალში ალბათ არ უნდა ველოდოთ.

უმუშევრობის ზრდამ შრომით მიგრანტებს ორმაგი დარტყმა მიაყენა. გარდა იმისა, რომ მათ დაკარგეს სამუშაო ადგილები, ქვეყნის მთავრობები სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ ქვეყნიდან მათ გაძევებას. რომ აღარაფერი ვთქვათ 2006 წლის სექტემბერში რუსეთიდან ქართველთა მასობრივ დეპორტაციაზე, მიგრანტთა წინააღმდეგ ევროპის ქვეყნებიც სხვადასხვა ხერხებით იბრძვიან. მიუხედავად ამისა, ჩვენი თანამემამულე მიგრანტთა უმრავლესობა სახლში დაბრუნებას მაინც არ ჩქარობს, რადგან აქ მათ გაცილებით უარესი სურათი ელით.

რეალობა სახარბიელო ნამდვილად არ არის, საქართველოში რომ სამსახურის შოვნა არც თუ ისე ადვილია, ამას ყველა შეეგუა, მაგრამ ქართველი მიგრანტებისთვის ახლა უკვე არც საზღვარგარეთის დასაქმების ბაზრებზე ჩანს დიდი პერსპექტივა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიგრანტების საშუალებით ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის მეოთხედი ფულის მასა შემოდიოდა, არ გაგვიჭირდება იმის წარმოდგენაც, რა დღეში ჩააგდებს ქართულ ეკონომიკას მიგრანტთა შემოსავლის შემცირება.

მიგრაციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და დადებითი და უარყოფითი მხარეების ნათლად საილუსტრაციოდ საჭიროა, უფრო ღრმად შევისწავლოთ მიგრაციის მასობრივი ტალღის გამომწვევი მიზეზები, განვითარება და სამომავლო პერსპექტივები.

საქართველოს შრომის ბაზრის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა არაეფექტიანი დასაქმება. დასაქმებულთა შრომის ნაყოფიერება უაღრესად დაბალია და რამდენადმე ჩამორჩება დასავლეთის ქვეყნებს.

სრულიად არასახარბიელო ვითარებაა შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით და მიგრაციული პროცესების რეგულირების მხრივ.

---

[1] სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი «საქართველოს ეკონომიკა», 2009, №11, «ფულადი გზავნილების ტენდენციები საქართველოში»- მაკა ღანიაშვილი. http://www.geoeconomics.ge/

ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების საწყის ეტაპზე, სხვა უარყოფით მოვლენებთან ერთად, ქვეყნისთვის ნიშანდობლივი იყო მოსახლეობის მასობრივი გარე მიგრაცია. მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზი რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობები იყო. მოთხოვნა-მიწოდების უკიდურესმა დისბალანსმა და სამუშაო ძალის გაიაფებამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა გამოსავალი საზღვარგარეთ მუდმივ ემიგრაციაში ან დროებით დასაქმებაში ეძებნა. 1989-2002 წლების აღწერათშორის პერიოდში საქართველოდან სხვა ქვეყნებში გადასახლდა 1 მლნ, ხოლო შრომით ემიგრაციაში წავიდა 0,3-0,5 მლნ კაცი.

საერთაშორისო ბაზარზე სამუშაო ძალის გასვლა მნიშვნელოვნად ცვლის საქართველოს შრომის ბაზარს. ერთი მხრივ, თითქოს მცირდება შიდა ბაზარზე დაუსაქმებელი მოსახლეობის ხვედრითი წილი, მეორე მხრივ, უარესდება შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ხარისხი.

შრომითი ემიგრაციის გავლენით საქართველოს შრომის ბაზარს აკლდება მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა. ამავე დროს, შრომითი ემიგრაცია უმთავრესად არალეგალური ხასიათისაა და დაკავშირებულია ჩვენი თანამემამულეების უკიდურეს დისკრიმინაციულ დასაქმებასა და ყოფასთან.

ქართველ სპეციალისტთა შეფასებით, 1990-1996 წლებში გარე მიგრაციის სალდო ერთ მილიონს აღემატებოდა.

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაცია
1990-2006 წლებში (ათასი კაცი)[2] [3]

წლები	ოფიციალური მონაცემები [2]			შეფასებითი მონაცემები [3]		
	ჩამოვიდა	წავიდა	სალდო	ჩამოვიდა	წავიდა	სალდო
1990	20,0	59,0	-39,0	27,2	42,9	-15,7
1991	16,6	60,6	-44,0	20,9	49,5	-28,6
1992	8,6	49,6	-41,6	50,0	305,0	-255
1993	12,6	42,9	-31,5	74,0	264,0	-190
1994	12,7	44,2	-31,5	79,0	277,0	-198,8
1995	5,7	25,9	-20,2	70,0	246,0	-176,0
1996	1,2	12,9	-11,7	57,0	200,0	-143,0
1990-1996	76,8	295,1	-218,3	378,1	1384,4	-1006,3
1997-2006	52,3	317,8	-265,5	–	–	–

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1960 წლიდან ახასიათებს. განსაკუთრებით დიდი ინტენსივობის გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო 1990-იანი წლებისათვის იყო დამახასიათებელი. უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტიც, რომ

[2] საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, სტატისტიკის დეპარტამენტი, http://geostat.ge/

[3] Б.Н. Кутелия, Г.Г. Меладзе, Г.Е. Цуладзе. Эмиграция из грузии в постсоветский период. Массовые опросы, эксперименты, монографические исследования, Стр. 3-7. http://www. nir.ru. 2001г.

ზემოთმოყვანილი ცხრილის მასალები გაცილებით უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე თავად რეალობა. ეს რიცხვები უდავოდ მცირეა და ვერ ასახავს ზუსტ ვითარებას (თუნდაც იმის გამო, რომ მრავალი ადამიანი სხვა ქვეყნებში არალეგალურად გადადის და ასეთ მიგრანტთა შესახებ ინფორმაცია ოფიციალურად არ არსებობს). რეალურად, გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო გაცილებით მეტი უნდა იყოს. და მაინც, სიმცირის მიუხედავად, უარყოფითია და არადადებითი...

ამჟამად საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ იმყოფება 350-450 ათასი საქართველოს მოქალაქე, შრომისუნარიანი მოსახლეობის 11%-15%, ძირითადად არალეგალები. ისინი თავისი პროფესიის შეუსაბამო საქმიანობისა და დისკრიმინაციული შრომის ანაზღაურების პირობებში მაინც ახერხებენ თავიანთ ოჯახებს საქართველოში გამოუგზავნონ შემოსავლის ნაწილი და თავი დააღწიონ სრულ გაღატაკებას.

გამოკვლევებით დადგინდა[4], რომ საქართველოდან საზღვარგარეთ გასულია განათლების მაღალი დონის მქონე კონტინგენტი. მამაკაცთა 73,7%-ს და ქალთა 66,7%-ს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება.

საზღვარგარეთ მუდმივად ან დროებით წასულთა განაწილება (%) წასვლის მიზეზების მიხედვით

		მუდმივად		დროებით	
		კაცები	ქალები	კაცები	ქალები
1	მატერიალური მდგომარეობა	35,29	31,58	26,13	8,24
2	საბინაო პირობები	5,88	10,53	0,9	1,1
4	სწავლა	29,41	21,05	29,73	41,76
5	წასვლა ოჯახის წევრთან	0	0	0,9	3,3
6	უცხო ქვეყნის სანახავად	23,53	10,53	3,6	4,4
7	სხვა	5,88	10,53	3,6	4,4

თანდათანობით სატაბილურად ფორმირდება შრომით ემიგრანტთა ძირითადი ნაკადები. შრომითი ემიგრაციის მთავარი მიმართულების _ რუსეთის წილი მცირდება ამ ქვეყანაში მიგრანტოფობიის და ეთნოფობიის განვითარების გამო და თანდათან იზრდება დასავლეთის ქვეყნებისკენ მიმართული ნაკადი[5].

[4] გამოკვლევები ჩატარებულია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ეკონომიკური განათლების ასოციაციის მიერ, მ.ტუხაშვილი, ნ. ჭელიძე; 2008წ.

[5] Тухашвили М. Изменения в трудовой эмиграции населения Грузии. В сб.: Миграция и развитие. Москва, МГУ, 2007. стр.295

შრომით ემიგრანტთა განაწილება ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით (პროცენტობით ჯამთან)



სრული შეუსაბამობაა პროფესიასა და მიმღებ ქვეყანაში დასაქმებას შორის. კვალიფიციური კონტიგენტი სხვა ქვეყანაში, უმთავრესად, დაბალკვალიფიციურ, საკმაოდ მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე დასაქმებას ახერხებს. წასულთა შორის მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იმაღლებს კვალიფიკაციას, ხოლო ძირითადი მასა დეკვალიფიკაციას განიცდის. ისინი მუშაობენ მომვლელებად და ძიძებად (19,8%), მომსახურეობის სფეროში (19,3%) (ძირითადად გამყიდველებად და ოფიციანტებად), წარმოებაში-მუშებად (11,9%), მშენებლობაში (8,4%), დამხმარე მუშებად და სეზონურ მუშებად (11,4%). სამედიცინო სფეროში დასაქმებულია 3% (ძირითადად რუსეთში). მათი უმრავლესობა მუშაობს ექთნად; საკუთარ ბიზნესს ეწევა ემიგრანტთა 5,9%, რომლებიც ასევე რუსეთში მყოფი ემიგრანტები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტები პროფესიის შეუსაბამო საქმიანობას ეწევიან, მაინც მაღალ ანაზღაურებას იღებენ საქართველოში არსებულ ხელფასთან შედარებით. ყველაზე დაბალი ანაზღაურება აქვთ დსთ-ს ქვეყნებში მომუშავე ემიგრანტებს, ხოლო ყველაზე მაღალი _ აშშ და კანადაში წასულ ემიგრანტებს.

საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრები მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევენ ოჯახის წევრებს. შრომითი ემიგრაციის მეოხებით საქართველოში მრავალი ათასი ოჯახი იღებს საარსებო საშუალებას. ქვეყანა კი სამუშაო ძალის ექსპორტით იღებს მნიშვნელოვან ვალუტას.

რაც შეეხება მიგრაციის ეფექტიანობას, გამოკვლევებით დადგინდა, რომ შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების უმეტესი ნაწილი ხმარდება საქართველოში დარჩენილი ოჯახების პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მაგალითად, გამოკითხულთა 31,2%-მა საზღვარგარეთ მყოფი ახლობლების დახმარებით გადაჭრა კვებისა და ჩაცმის პრობლემა; 24,6%-მა _ საბინაო პირობების; 13,1%-მა _ჯანმრთელობის პრობლემები; 4,9%-მა დაიწყო ბიზნესი; 8,2%-მა შეიძინა ავტომობილი ან სხვა ნივთები. არავითარი პრობლემა არ გადაუჭრია 18,0%-ს. ცხადია, მატერიალურ-საბინაო

პირობების გაუარესების პარალელურად იზრდება წასვლის მსურველთა წილი და პირიქით.

ფულადი გზავნილები აქ დარჩენილი ოჯახების საარსებო ბიუჯეტს მინიმუმამდე ავსებს და აჭარბებს კიდეც. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შრომითი ემიგრანტები თვითონაც იკმაყოფილებენ ადგილზე მისთვის აუცილებელ მოთხოვნილებებს.

შრომითი ემიგრანტების პასუხების განაწილება კითხვაზე «ფულადი გზავნილები სამშობლოში დარჩენილი ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროა?» პასუხების მიხედვით

(პროცენტობით ჯამთან) [6]



იმის გამო, რომ ემიგრანტების სამშობლოში ჩამოსვლებს შორის დიდი ინტერვალია, ფულად დახმარებას გზავნიან ძირითადად ბანკის მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ბანკის მეშვეობით ფულის გადმოგზავნა მათთვის საკმაოდ ძვირი ჯდება, ალტერნატიული გზების არარსებობის გამო მაინც მას მიმართავენ. მსოფლიო ბანკის შეფასებით, ფულადი გზავნილების არაოფიციალური გადმოგზავნა ჯდება თანხის 10-15%. ასეთი დიდი ტარიფი მიგრანტთა დანაზოგს და სამშობლოში დარჩენილი ღარიბი ოჯახისთვის განკუთვნილ შემოსავალს საგრძნობლად ამცირებს. ამისთვის საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურებმა და დასაქმების საშუამავლო სააგენტოებმა სამოქმედო პროგრამაში შეიტანონ შრომითი ემიგრანტების გზავნილების ორგანიზების გაუმჯობესება, რათა ამ თანხის დიდი ნაწილი არ დარჩეს უცხოეთის ბანკების სარგებელში.

შრომითი მიგრანტების ტრანსფერის მოცულობა დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში ემიგრირებულთა რიცხოვნობაზე; იმიგრაციისა და შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობაზე, საქმიანობის სახეზე, საცხოვრებელ ადგილზე, გზავნილის თვიურ ოდენობაზე და სხვა. თავის მხრივ, ამ პარამეტრების ცვლილებაც ერთმანეთზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ფულადი გზავნილების მოცულობის გასაანგარიშებლად შრომითი მიგრანტების რაოდენობა უნდა გავამრავლოთ გზავნილების საშუალო თვიურ სიდიდეზე და გავამრავლოთ თვეების რაოდენობაზე, ანუ 12-ზე. ერთი ემიგრანტის თვიური შემოსავალი მიმღებ ქვეყანაში საშუალოდ 744 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო გზავნილები თვეში _ 178,5 დოლარს.

---

[6] 2000-2006 წლებში მიგრაციის კვლევის ცენტრის მონაწილეობით შრომითი ემიგრაციის შესწავლის მიზნით განხორციელდა რამდენიმე კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა

ამრიგად, ემიგრაცია საქართველოდან ძირითადად იძულებითი ხასიათისაა და ეს იძულება დაკავშირებულია ქვეყანაში არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებთან, დასაქმების პრობლემებთან და ცხოვრების დონის გაუარესებასთან. ასეთი ვითარების ხანგრძლივად შენარჩუნების პირობებში სულ უფრო გაიზრდება საქართველოდან სამუდამოდ წასვლის მსურველთა რიცხვი.

განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება სტუდენტთა მიგრაცია. სტუდენტების დემოგრაფიულ ორიენტაციაზე დიდ გავლენას ახდენს სტუდენტთა პოტენციური გარე მიგრაცია, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული ქვეყნის, როგორც დემოგრაფიულ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მომავალთან.

სტუდენტების მიგრაციული ორიენტაციის დასადგენად ჩვენი მონაწილეობით ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა თბილისის ეკონომიურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენ-ტებს შორის. სულ გამოვკითხეთ 17-25 წლის 350 სტუდენტი. სხვა ავტორების მიერ ჩატარებული გამოკვლევების მსგავსად, ჩვენი კვლევაც გვიჩვენებს, რომ საკმაოდ ძლიერია ახალგაზრდების ემიგრაციული განწყობა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (68%) ფსიქოლოგიურად მზადაა საზღვარგარეთ წასასვლელად და შესაბამისი პირობების დადგომისთანავე მოახდენს განზრახვის რეალიზებას. ემიგრაციის საორიენტაციო ქვეყნებია: დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო (28,1%), აშშ (17,3%), გერმანია (13,4%), იტალია (11,4%), საფრანგეთი (6,4%), რუსეთი (4,2%).



* გრაფიკი შედგენილია ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით.

ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს უცხო ქვეყანაში წასვლა სურს განთლების მიღებისა (31,8%) და უცხო ენაში ცოდნის გაღრმავების მიზნით (პასუხების 15,4%). ემიგრაციის მიზეზად სამშობლოში უპერსპექტივობასა და თვითრეალიზაციის შეუძ-ლებლობას ასახელებს 8,8%, მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი საზღვარგარეთ ცხოვრება და მუშაობა ამოძრავებს რესპოდენტთა 41%-ს. გამოკითხულთა 14,1%-მა აღნიშნა ადრე წასული ოჯახის წევრებთან ჩასვლისა და

მათთან ერთად მუშაობის სურვილი. როგორც ცნობილია, ოჯახის ემიგრირებული წევრების უცხოეთში ცხოვრება და ადაპტაციის ხარისხი საკმაოდ აძლიერებს აქ დარჩენილთა ემიგრაციულ გაწყობას. სტუდენტები ემიგრაციის განხორციელებისთვის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ სასწავლებლის დამთავრებისა და დიპლომის აღების აუცილებლობას (44,1%), გამგზავრებისთვის საჭირო თანხის ხელმიუწვდომობას (40,9%). ოჯახიდან გარკვეული დაბრკოლება ხვდებათ გამოკითხულთა 11,4%-ს. ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 9,5% უკვე ნამყოფია საზღვარგარეთ. უახლოეს მომავალში გამგზავრება დაგეგმილი აქვს 9,2%-ს. სტუდენტთა 58,8% თანახმაა კარგი ანაზღაურების შემთხვევაში არალეგალურ სამსახურსაც დათანხმდეს.

გამოკითხულ ახალგაზრდათა უმრავლესობის აზრით (84,0%), საზღვარგარეთ შესაძლო გამგზავრების შემდეგ, ადრე თუ გვიან, ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან სამშობლოში. 8,2% კი იქ ისწავლის და შემდგომ მიიღებს გადაწყვეტილებას დაბრუნების შესახებ; მხოლოდ 2,8%-მა დაგეგმა, რომ წასვლის შემთხვევაში აღარასოდეს დაბრუნდება ქვეყანაში.

ამ გამოკვლევების შედეგების დეტალური ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება დიდ სტიმულს აძლევს მასშტაბურ გარე მიგრაციულ პროცესებს. ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ, საერთოდ, პოტენციურ მიგრანტთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ახალგაზრდობაა, ვინც ყველაზე აქტიურ შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში იმყოფება. მეორე მხრივ, ახალგაზრდობის შრომითი ემიგრაცია დადებით მოვლენად შეიძლება განვიხილოთ, თუ იგი მოკლევადიანი და დაბრუნებადი ხასიათის იქნება, განხორციელდება ლეგალური გზით და წასვლის მიზანი სრულ შესაბამისობაში მოვა მიმღებ ქვეყანაში არსებულ რეალურ ვითარებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, შრომითი მიგრაციის უმართაობამ შეიძლება მას კიდევ მეტი უარყოფითი მხარე შესძინოს. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ახალგაზრდების ემიგრაციით ქვეყანა განიცდის პირდაპირ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ დანაკარგს, რომელიც აისახება ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის შემცირებაში[7]. საფრთხე კი ნამდვილად დიდია. ქვემოთ ნაჩვენებია გარე მიგრაციისა და ბუნებრივი მატების როლი საქართველოს მასახლეობის რაოდენობის ფორმირებაში 1960_2009 წლებში და პერსპექტივები 2035 წლამდე.

[7] მ.ტუხაშვილი. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაციის ძირითადი ტენდენციები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ჟურნ. «დემოგრაფია» გვ.36-43.

1960_2035 წლების გარე მიგრაციისა და ბუნებრივი მატების ტემპები [8]



როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 1960 წლიდან საქართველოსთვის გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო იყო დამახასიათებელი. 1960-1991 წლებში ბუნებრივი მატება სჭარბობდა გარე მიგრაციის უარყოფით სალდოს და ამდენად საქართველოს მოსახლეობა იზრდებოდა, ხოლო ბუნებრივი მატება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს. 1991 წლამდე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ მთლიანობაში შეადგინა 482,3 ათასი. 1991 წლის ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შედეგად, უკვე 1992 წელს ეს რიცხვი 6-ჯერ გაიზარდა. 1997 წლიდან დაიწყო კლება, თუმცა იგი მაინც უარყოფითი რჩება დღემდე და უცვლელი გარემოს პირობებში უარყოფითი დარჩება სულ ცოტა 2035 წლამდეც. ვითარებას უფრო ამძიმებს ბუნებრივი მატების კლებაც. დღესდღეობით, ეს უკანასკნელიც უარყოფითია და კლებადობის ტენდენციით ხასიათდება. ამრიგად, უკვე გარე მიგრაცია გვევლინება მოსახლეობის ფორმირების ძირითად კომპონენტად.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება, განვითარების დაჩქარება და სწორი სოციალური პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაცია გადაუდებელი ამოცანებია. ამის პარალელურად საჭიროა, განისაზღვროს საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც უნდა ემყარებოდეს ქვეყნის განვითარებისა და მისი მოსახლეობის შრომითი პოტენციალის უკეთ გამოყენების მოთხოვნებს. უნდა მოხდეს იმ სააგენტოების მაქსიმალურად სტიმულირება და სრული ლეგალიზაცია, რომლებიც ახორციელებენ კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამებით საზღვარგარეთ ახალგაზრდების მოკლევადიან დასაქმებას;. სახელმწიფომ ასევე უნდა შეიმუშაოს ახალგაზრდების რეემიგრაციის სტიმულირების პროგრამები.

---

[8] საქართველოს მოსახლეობა, სტატისტიკური კრებული. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი 2003, გვ.67; G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yarbook of Georgia 2006. UNFPA. Tbilisi, 2007, pp.40-41, 205. გარე მიგრაცია, ბუნებრივი მატება- 1960-1989 წწ. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 1990-2006 წწ. შეფასებითი მონაცემებით, 2007-2035 წწ. პროგნოზის საშუალო ვარიანტი.

თუმცა, ეს ყველაფერი მოკლევადიან პერსპექტივაში არ განიხილება. დღევანდელი ეკონომიკის პირობებში შრომითი მიგრანტები რომ დაბრუნდნენ საქართველოში, ეს მხოლოდ უარყოფით გავლენას იქონიებს ქართულ ეკონომიკაზე.

შრომით ემიგრაციას, მიუხედავად თანმხლები მწვავე სოციალური პრობლემებისა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისთვის. შრომის ეროვნულ ბაზარზე ზეწოლა სუსტდება, საქართველოში დამატებითი უცხოური ვალუტა შემოდის, ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი მცირდება, მოსახლეობის დანაზოგები იზრდება. ფულადი გზავნილები გამოიყენება სესხების დამატებით უზრუნველსაყოფად, ხელს უწყობს შინამეურნეობების ცხოვრების დონის ზრდას სახელმწიფოს ხარჯების გაღების გარეშე; ვითარდება საბანკო სისტემა, სატელეფონო ბიზნესიდან შემოდის მნიშვნელოვანი თანხა; ძლიერდება სადაზღვევო მომსახურება; სადაზღვევო კომპანიები გვთავაზობენ გადაგზავნის პროცედურების დაზღვევას. ფულადი გზავნილები მრავალი ქვეყნისთვის (მათ შორის საქართველოსთვისაც) უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოფიციალური დახმარება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ამრიგად, თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ დღევანდელი საქართველოს გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში საზღვარგარეთიდან შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების მნიშვნელობა შეუფასებელია. სწორედ ისინი ეხმარებიან ჩვენ ქვეყანას სიღარიბიდან თავის დაღწევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, http://geostat.ge/;
2. გ. წულაძე. მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ, რეალობა თუ ნონსენსი. თბ., 2007;
3. ეკონომიკური ანალიზის ბლოგები:
   http://www.economy-georgia.com/;
   http://www.geoeconomics.ge/;
4. მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში= Migration processes in modern globalized world [კრებული] / მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბ., 2005;
5. მიგრაცია /ნაწილი I / მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბ., 2007;
6. მიგრაცია /ნაწილი II / თსუ, შრომის ეკონომიკის კათედრა, თბ., 2008.

ხატია ჯავახიშვილი
თინათინ რევაზიშვილი

ხელმძღვანელი: პროფ. რომან შენგელია

საქორწინო ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა

საქორწინო ხელშეკრულებას არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ის არ არის ინდუსტრიული საზოგადოების სიახლე. ის ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტია.

საქორწინო ხელშეკრულების ყველაზე ძველ მაგალითად კეთუბეხსი არის მიჩნეული, რომელიც არსებობის ორი ათას წელზე მეტს ითვლის. ეს ჩვენამდე მოღწეული პირველი ხელშეკრულებაა, რომელიც შეიცავს დებულებებს მეუღლეების განქორწინების შემთხვევაში მათი ქონების გაყოფის პირობების შესახებ. ძველი ებრაელების იუდეურ-რაბინული სასამართლოს თანახმად, წერილობით შესრულებული საქორწინო ხელშეკრულება დაქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. კეთუბეხსი ავალდებულებდა ქმარს ერჩინა და წესისამებრ გამოეკვება თავისი ცოლი, შეენახა მისი მზითვები და ა.შ. მეუღლეებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში სწორედ ამ დოკუმენტს ემყარება ცოლის სარჩელი ქმრისგან ალიმენტისა და საცხოვრებელი ადგილის მიღების შესახებ. ასეთი აქტები არსებობდა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში და რომშიც, ქორწინებამდე მომავალი მეუღლეები ხელშეკრულებაში დაწვრილებით აღწერდნენ თავიაანთ ქონებრივ ურთიერთობებს.

დიდ ინტერესს იწვევს მეცნიერთა მიერ აღმოჩენილი ძველ ეგვიპტელთა საქორწინო ხელშეკრულებები. ხელნაწერი პაპირუსები დაწვრილებით მოგვითხრობენ ძველ ეგვიპტელთა დაქორწინების წესებსა და სხვა ინფორმაციას, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს თანამედროვე საქორწინო ხელშეკრულების ტიპს. მაგალითად, ხელშეკრულებაში მოცემულია მომავალი მეუღლეებისფინანსური მდგომარეობა დაქორწინებამდე, ინფორმაცია მზითვების ოდენობის შესახებ, ამასთანავე ინფორმაცია საცხოვრებელი ადგილის შესახებ, სადაც ახადაქორწინებულები უნდა განთავსებულიყვნენ. ხელშეკრულებაში, აგრეთვე, აღნიშნულია განქორწინების შემთხვევაში ქონების გაყოფის საკითხი და მოვალეობები ცოლისა და შვილების წინაშე.

რომში, cum manu ტიპის ქორწინებისას, ცოლის მთელი ქონება გადადიოდა ქმრის საკუთრებაში, ამასთან განქორწინებისას ცოლს ეს ქონება უკან არ უბრუნდებოდა. რაც შეეხება sine manu -ს ტიპის ქორწინებისას, ამ დროს არსებობდა მეუღლეთა განცალკევებული ქონება, თუმცა ქონების თაობაზე დავის წარმოშობის შემთხვევაში არსებობდა პრეზუმფცია, რომ ყველა ნივთი წარმოადგენს ქმრის საკუთრებას, მანამ სანამ ცოლი საწინააღმდეგოს არ დაამტკიცებდა.

საქორწინო ხელშეკრულება არსებობდა ბიზანტიაში, ცნობილია ლეო III-ისა და მისი მეუღლის საქორწინო ხელშეკრულება გაფორმებული 726 წელს; აღმოჩენილია

საქორწინო ხელშეკრულების შესახებ ჩანაწერები 1731 წლის სანოტარო აქტებში. ცნობილია, რომ საქორწინო ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული ზიგმუნდ ფროიდის მშობლებს: იაკობ ფროიდსა და ამალია ფროიდს 1855 წლის 29 ივლისს. საქორწინო ხელშეკრულებები გაფორმებული ქონდათ ასევე თვით ნაპოლეონ ბონაპარ-ტის და ვოლფანგ ამადეუს მოცარტს. ისტორიაში შემონახულია ელისაბედ ბიჩერის მიერ დადებული საქორწინო ხელშეკრულება, რომელშიც აღნიშნულია: «თუკი ქორწინებიდან ორი წლის განმავლობაში თქვენგან არ მეყოლება შვილი, ჩვენი ქორწინება ჩაითვლება შეწყვეტილად».

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში საქორწინო ხელშეკრულება სიახლე არ ყოფილა. ჯერ კიდევ, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში მეუღლეებს შორის ქონებრივ გარიგებათა დადება ნებადართული იყო. რუსეთში პეტრე პირველის დროს მზითვი განიხილებოდა, როგორც ცოლის განცალკევებული საკუთრება, რომლით სარგებლობის უფლება არ გააჩნდა მის ქმარს. 1715 წლის ბრძანებით ცოლს შეეძლო თავისუფლად განეკარგა ან დაეგირავებინა სამემკვიდრეო მამული ქმრის თანხმობის გარაშე. სამოქალაქო კანონების 112-ე მუხლის თანახმად, მეუღლეებს შეეძლოთ ერთმანეთთან ნებისმიერი გარიგების დადება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის ცხოვრება. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონების დიდი ნაწილი გაიყიდა ვალების დასაფარავად, ხოლო მისმა მეუღლემ ნატალიამ, ხელშეკრულების თანახმად, უკან მიიღო თავისი მზითვი _ ტილოს ქარხნები.

1882 წლამდე, ინგლისში «საერთო სამართლის» მიხედვით მეუღლეთა ქონება ეკუთვნოდა ქმარს. ცოლი პრაქტიკულად მოკლებული გახლდათ ქონებრივ დამოუკიდებლობას, შეუძლებელი იყო მას ჰქონოდა საკუთრება და მითუმეტეს თავისი შეხედულებით განეკარგა. ქორწინების შემდგომ ცოლის საკუთრებაში არსებული ქორწინებამდელი ქონება გადადიოდა ქმრის საკუთრებაში _ მეუღლეთა თანასაკუთრეობა არ არსებობდა. კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე ინგლისში მე-17 საუკუნეში «საერთო სამართლის» ნორმები წინააღმდეგობაში მოვიდა ქონების მესაკუთრეთა კლასის ინტერესებთან. სამოქალაქო ბრუნვის მდგრადობისათვის, ცოლის სისხლით ნათესავთა ქონებრივი უფებებისა და გვარის ქონების დაცვისათვის წარმოიშვა ცოლის განცალკევებული საკუთრების არსებობის საჭიროება. ამ მიზნით, სასამართლო პრაქტიკით, ის საქორწინო ხელშეკრულებები, რომლებითაც ცოლის ქორწინებამდელი ქონება აღარ გადადიოდა ქმრის საკუთრებაში, ითვლებოდა კანონ შესაბამის და ნამდვილ გარიგებებად, თუმცა ეს წესი არ შეეხებოდა ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ინგლისში მე-17-მე-19 საუკუნეებში არსებობდა მეუღლეთა ქონების ზემოაღნიშნული ორი რეჟიმი, აქედან «საერთო სამართლით» დადგენილი რეჟიმი არსებობდა ინგლისის მოსახლეობის უმრავლესობისათვის, ხოლო განცალკევებული ქონების რეჟიმი _ საზოგადოების ე.წ. მქონეთა კლასისათვის. ინგლისის პარლამენტის მიერ 1882 წელს მიღებულ იქნა კანონი «დაქორწინებულ ქალთა საკუთრების შესახებ», რომლითაც საკანონმდებლო წესით დადგინდა მეუღლეთა განცალკევებული რეჟიმი და ამრეჟიმის განსაზღვრის შესაძლებლობა საქორწინო ხელშეკრულებით.

საქორწინო ხელშეკრულებების თანამედროვე ტიპი სათავეს იღებს XVII საუკუნის ინგლისში, უფრო მოგვიანებით კი საფრანგეთში, გერმანიასა და ავსტრიაში.

საქართველოს საოჯახო სამართალში საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტი გათვალისწინებულ იქნა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ.

მოქმედ კანონმდებლობაში საქორწინო ხელშეკრულების გათვალისწინებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა იურიდიულ ლიტერატურაში მისი სამართლებრივი ბუნების შესწავლას და შეიქმნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტი _ საქორწინო ხელშეკრულება.

სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები იმპერატიული ნორმებით რეგულირდებოდა. რაიმე სახის შეთანხმებას ერთობლივი ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებით იურიდიული ძალა არ ქონდა. დროის მოთხოვნათა შესაბამისად, თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების იმპერატიულ მეთოდთან ერთად მათ დისპოზიტიურ რეგულირებასაც ითვალისწინებს, რაც საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების გზით მიიღწევა.

საქართველოში მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა საშუალებას აძლევს მეუღლეებს, დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ასევე განქორწინებისას.

საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება ნოტარიუსის მიერ სანოტარო წესით. საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები იგივეა, რაც ნებისმიერი სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებისა.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით. მეუღლეები უფლებამოსილი არიან გაითვალისწინონ, რომ, მაგალითად, სამი წლის განმავლობაში მათი ქონება იქნება განცალკევებული, ხოლო ამ ვადის ამოწურვისთანავე ის გახდება საერთო. საქორწინო ხელშეკრულება მოიცავს მეუღლეთა შორის სამი საკუთრების სახეს – თანაზიარს, ინდივიდუალურსა და წილობ-რივს. მეუღლეთა შორის საქორწინო კონტრაქტით ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს მსოფიოში ცნობილი ტენორის _ ლუჩანო პავაროტისა და მისი ყოფილი მეუღლის საქორწინო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თითოეულ მათგანს ინდივიდუალური საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა თითოეულის მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონება.

იურიდიულ მეცნიერებაში საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება პირობით გარიგებას წარმოადგენს, რაც, ჩვენი აზრით, კანონზომიერად არის მიჩნეული პირობითი გარიგების ნაირსახეობად, რადგან დაქორწინების თაობაზე წინასწარი შეთანხმება ყოველთვის მისი რეგისტრაციით არ მთავრდება. თუმცა ზოგიერთ ავტორს ასეთი პოზიცია არასწორად მიაჩნია, რადგან მექორწინეებმა თუ გადაწყვიტეს მომავალში დაქორწინება, ისინი აუცილებლად დაქორწინდებიან და ეს რაიმე გარემოებაზე არ იქნება დამოკიდებული.

სსკ-ის 1175-ე მუხლის მიხედვით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო ხელშეკრულება მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. რადგან სრული ქმედუნარიანობა იწყება 18 წლის ასაკიდან, ხოლო დაქორწინება შესაძლებელია 16 წლიდან მშობელთა თანხმობით

ან სასამართლოს ნებართვით. ასეთ შემთხვევაში საქორწინო ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია არასრულწლოვანი პირის მზრუნველის თანხმობა. რადგან საქორწინო ხელშეკრულება ძალაში უნდა შევიდეს დაქორწინების მომენტიდან, მანამდე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ასეთ ხელშეკრულებას, ამასთან რეგისტრაციის მომენტიდან არასრულწლოვანი მეუღლე სრულწლოვანი ხდება და მისი ნება ხელშეკრულების დადებაზე არავის დადასტურებას არ საჭიროებს. ამიტომ. ვფიქრობთ, რომ საქორწინო ხელშეკრულება არ უნდა იდებოდეს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ.

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება შეიცვალოს მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და _ დავის შემთხვევაში _ სასამართლოში მიმართვის უფლება (1179-ე მუხლი).

საქორწინო ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით; ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია; საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას (1180-ე მუხლი). შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულების გაბათილებაც. ამის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით საქორწინო ხელშეკრულებისათვის დადგენილი აკრძალვების გაუთვალისწინებლობა. გარდა ამისა, საქორწინო ხელშეკრულება უნდა გაბათილდეს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი დაიდო შემდგომში ბათილად ცნობილი ქორწინების რეგისტრაციამდე. გერმანიაში საქორწინო ხელშეკრულება, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუკი იგი სცილდება ზნეობის ფარგლებს. რუსეთის საოჯახო კოდექსის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება იქნას ბათილად, თუკი ქორწინება (რეგისტრირებული ქორწინება) იქნება ბათილად ცნობილი. გამონაკლის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც საქორწინო ხელშეკრულების პირობები იცავენ კეთილსინდისიერი მეუღლის ინტერესებს.

დასაქორწინებელი პირები ზოგჯერ ცდილობენ შეთანხმებები გაავრცელონ პირადი ურთიერთობების სფეროზეც. მაგალითად, მხარეები თანხმდებიან წინასწარ იმაზე, როგორ უნდა ააგონ პირადი ურთიერთობები მომავალში, უყვარდეთ ერთმანეთი, იყვნენ მეუღლის ერთგული, რამდენი შვილი უნდა იყოლიონ. საქორწინო ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ს.ე. კაირჯანოვა კანონმდებელს სთავაზობს პირადი არაქონებრივი ურთიერთობების რეგულირების საკითხის შეტანას. მისი აზრით საქორწინო ხელშეკრულებაში აუცილებელია მეუღლეთა პირადი არაქონებრივი ურთიერთობების გათვალისწინება ისეთი წვრილმანების ჩათვლით, როგორიცაა ქმრის მოვალეობა _ ცოლს თვეში ერთხელ აჩუქოს წითელი ვარდების თაიგული ან ცოლის მოვალეობა _ თვეში ერთხელ მოამზადოს ეროვნული კერძი, მოიწვიოს ქმრისთვის სასურველი სტუმრები და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი დახვდეს მათ. ს.ე. კაირჟანოვას აზრით, არაქონებრივ ურთიერთობათა ლეგალიზება საქორწინო ხელშეკრულების შინაარსში დახვეწს საქორწინო-საოჯახო კანონმდებლობას, მას უფრო დემოკრატიულსა და თავისუფალს გახდის.

საქართველოს საოჯახო კანონმდებლობით დაუშვებელია მეუღლეთა შორის პირადი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობათა მოწესრიგება. გავრცელებული შეხედულებით, პირადი არაქონებრივი ურთიერთობები ვერ იქნება საქორწინო

ხელშეკრულების საგანი, რადგან ეს სანქციას მოკლებული უფლებებია, როდესაც საქმე სულიერებასთან გვაქვს, იგი სამართლის ფარგლებს ცდება. შეიძლება მოვიყვანოთ სანოტარო პრაქტიკიდან მაგალითი: ქეთევანმა და ტარიელმა დადეს საქორწინო ხელშეკრულება, რითაც გაითვალისწინეს შემდგომი პირადი და ქონებრივი უფლებების მოწესრიგება. კერძოდ, განსაზღვრეს თუ რომელი მათგანი წარმართავდა საოჯახო მეურნეობას, ქეთევანი აუცილებლად მიიღებდა ტარიელის გვარს, შეიცვლიდა პროფესიას, რომელსაც მისი მომავალი მეუღლე აურჩევდა, ასევე განსაზღვრეს თავიანთი ინდივიდუალური საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი, კერძოდ, დაადგინეს, რომ იგი იქნებოდა მეუღლეთა თანასაკუთრება. ნოტარიუსმა უარი განაცხადა ასეთი ხელშეკრულების დამოწმებაზე, რადგან საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს საქორწინო ხელშეკრულებით პირადი არაქონებრივი უფლებების რეგულირებას. მართლაც, საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება არ იქნეს გათვალისწინებული ქმრის მოვალეობა _ ცოლს თვეში ერთხელ აჩუქოს წითელი ვარდების თაიგული ან ცოლის მოვალეობა _ თვეში ერთხელ მოამზადოს ეროვნული კერძი, მოიწვიოს ქმრისთვის სასურველი სტუმრები და ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი დახვდეს მათ. მაგრამ ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი იქნებოდა საქორწინო ხელშეკრულებაში ისეთი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობათა მოწესრიგება, როგორიცაა, მაგალითად მეუღლეებმა არ უღალატონ ერთმანეთს, მით უფრო რომ ოჯახი ყოველთვის იყო და იქნება ქალისა და მამაკაცის ურთიერთსიყვარულზე დამყარებული კავშირი, სადაც საჭიროა ქალსა და მამაკაცს შორის არსებობდეს ურთიერთდაფასება, პატივისცემა და ერთგულება. ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქორწინო ხელშეკრულებაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს არა მარტო ქონებრივი, არამედ პირადი არაქონებრივი საკითხებიც. მსგავსი არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობის მოწესრიგებას ითვალისწინებს მაიკლ დუგლასის და კეტრინ ზეტა ჯონსის საქორწინო ხელშეკრულება, სადაც ასეთ დებულებას ვხვდებით: «განქორწინების შემთხვევაში კ. ჯონსი მიიღებს 1 მლნ აშშ დოლარს ერთად ცხოვრების თითოეული წლისათვის, ხოლო მ. დუგლასის მიერ ღალატის შემთხვევაში 5 მლნ აშშ დოლარს».

თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკითხი ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობაში მყოფ პირთა მიერ საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობებში მოიაზრება მყარი ოჯახური თანაცხოვრება ქორწინების დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე. ლ.რ. ნასიროვას აზრით, მეუღლეებს, რომელნიც ხანგრძლივად იმყოფებიან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობებში, შეიძლება მიეკუთვნოთ ალიმენტის ან კანონიერი მემკვიდრეობის მიღების უფლება, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ფაქტობრივი მეუღლეებისათვის საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების უფლების მინიჭება, მათ შორის საერთო ქონებაზე მეუღლეთა საკუთრების რეჟიმის გავრცელების პირობები. აღნიშნულ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რამდენადაც რეგისტრირებულ ქორწინებასა და არარეგისტრირებულ ქორწინებას შორის ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციაა და ფაქტიურად გაუგებარია რატომ იკავებენ თავს ქორწინების რეგისტრაციისგან, მით უფრო, რომ სურთ ერთად ცხოვრება, ბავშვების აღზრდა, საოჯახო მეურნეობის წარმართვა. აღნიშნული შეიძლება საოჯახო-სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფად მივიჩნიოთ. ამასთან საქართველოს

საოჯახო სამართლის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც მომავალში შეუძლიათ გახდნენ მეუღლეები, სხვა შემთხვევაში მათ მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადება აზრს კარგავს, რადგან ის არასდროს შევა ძალაში.

შეხედულებები საქორწინო ხელშეკრულების შესახებ მკვეთრად გაიყო. საქორწინო გარიგებათა მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას საფუძვლად დაედო ის, რომ «არ ღირს საქორწინო კავშრისთვის ჩრდილის მიყენება ერთმანეთის მიმართ უნდობლობის გამოვლენით», ასევე ის, რომ, «საკითხი განქორწინებისა და ქონების გაყოფის შესახებ არასოდეს წამოიჭრება მოყვარულ მეუღლეთა შორის» და «თუკი განქორწინების საკითხი გარდაუვალია, მეუღლეები ურთიერთშეთანხმებულად მოაგვარებენ ყველაფერს» და ა.შ. მაგრამ როდესაც საქმე განქორწინებამდე მიდის, იქ სიყვარული და ურთიერთშეთანხმება მეორე ხარისხოვანი ხდება ხშირ შემთხვევაში და ამ დროს საქორწინო ხელშეკრულება გამოსავალია, რამდენადაც განქორწინების შემთხვევაში ხელშეკრულების ასეთი ფორმა საშუალებას აძლევს მეუღლეებს კონფლიქტური სიტუაციის დადგომამდე, იქამდე, სანამ შეუძლებელი გახდება შექმნილი მდგომარეობის სუბიექტური შეფასება მეუღლეების მხრიდან, ზედმეტი ნერვიული დაძაბულობის გარეშე სასამართლო წესით დააკმაყოფილონ ყველა ქონებრივი პრეტენ-ზიები. თუმცა, ამერიკელი ადვოკატის, ლინ რეავსის აზრით, «საქორწინო ხელშეკრულება არის უფლებათა წერილობითი გაცხადება და წინასწარ შეთანხმებული განქორწინების პირობები».

საქორწინო ხელშეკრულების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სხვადასხვა ხალხისა და ეროვნების წარმომადგენელ მეუღლეებს. ამგვარ ქორწინებაში დამატებით სირთულედ შეიძლება იქცეს ეროვნული ტრადიციების თავისებურებებიც, ოჯახში ყოველდღიური ქცევის რეგულირება გაამართლებს საკუთარ თავს. საქორწინო ხელშეკრულება მიზანშეწონილია იმ მეუღლეთათვის რომელთაგან ერთ-ერთი შეძლებული, მნიშვნელოვანი შემოსავლების მქონეა და ამასთან ქორწინდება მასზე ასაკით უმცროსზე. ეს მისთვის ერთგვარი სიყვარულის დადასტურება იქნებოდა, რომ მას ფულის სიყვარულით არ მიყვებიან. ამასთან დაცული იქნებოდა მისი ქონება და შვილების ინტერესები.

საქორწინო ხელშეკრულება ხელსაყრელი და საკმარისი პირობაა მეუღლეთა შორის წარმოშობილი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. ეს განსაკუთრებით ამსუბუქებს მათ დამოკიდებულებას განქორწინებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი და მომაბეზრებელი სასამართლო პროცესების მიმართ. მსჯელობა უფრო ნათელი გახდება თუ მოვიყვანთ მაგალითს ხელშეკრულების მნიშვნელობისა და პრაქტიკულობის თვალსაჩინოებისთვის სასამართლო პრაქტიკიდან. სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა დავით კოხრეიძემ, მოპასუხედ მზია ჩიგოგიძე დაასახელა და თანაცხოვრების დროს შეძენილი, მეუღლეთა საერთო ქონების რეალური გაყოფა მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით 2004 წლის 27 თებერვალს, მოქალაქე ანზორ თედუმაძისაგან შეიძინა საცხოვრებელი სახლი, საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, მდებარე ქ. სამტრედიაში 9 აპრილის ქ. [1]64-ში. 2004 წლის 17 სექტემბერს დაქორწინდა მოპასუხე მზია ჩიგოგიძესთან, მეუღლეები საცხოვრებლად მოსარჩელის მიერ შეძენილ ბინაში გადავიდნენ. ამავე წლის 9 ნოემბერს, აღნიშნულ საცხოვრებელ სახლზე, ცოლ-

ქმარს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელემ 2000 ლარად მიჰყიდა სახლი მოპასუხეს, 2007 წლის 24 იანვარს მხარეები განქორწინდნენ. განსახილველი სარჩელით მასარჩელე მოითხოვდა აღნიშნული ბინის, როგორც მეუღლეთა საერთო ქონების თანაბარწილად გაყოფას და 1/2 ნაწილის მესაკუთრედ ცნობას. მოპასუხე მხარემ სარჩელი არ ცნო, მის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა და განმარტა, რომ მხარეთა მიერ ქორწინების განმავლობაში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს საქორწინო ხელშეკრულებად, რომლითაც მეუღლეებმა გადაწყვიტეს სადაო ქონების ბედი და ამ ქონების მესაკუთრე გახდა მხოლოდ მზია ჩიგოგიძე. აღნიშნულ შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულება საქორწინო ხელშეკრულებად არ ჩაითვლება, მაგრამ მათ ნამდვილად საქორწინო ხელშეკრულების არსებობა, აღნიშნულ სასამართლო დავას და კონფლიქტურ სიტუაციას აარიდებდა.

გამოთქმულია მოსაზრება რომ საქორწინო ხელშეკრულების არსებობის ფაქტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, შეიქმნას საქორწინო ხელშეკრულებათა ერთიანი რეესტრი, რომელშიც ასახული იქნება საქორწინო ხელშეკრულებათა არსებობის ფაქტი, ან საქორწინო ხელშეკრულების პირობების მხოლოდ ნაწილი ან მთლიანად საქორწინო ხელშეკრულების პირობები. მართლაც, აღნიშნული მესამე პირებს მისცემდა შესაძლებლობას, განესაზღვრათ ქონება ერთი მეუღლის საკუთრებაა თუ თანასაკუთრება და შესაბამისად მიიღონ მისთვის ოპტიმალური გადაწყვეტილება.

კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, ქორწინების მოწმობაში გამოყოფილია სპეციალური გრაფა, რომელიც ივსება იმ შემთხვევაში თუკი გაფორმებულია ან ფორმდება საქორწინო ხელშეკრულება. იტალიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, გარდა სანოტარო ფორმისა სავალდებულოა საქორწინო ხელშეკრულების რეგისტრაცია ადგილობრივი მმართველობის ორგანოში, ხოლო თუკი იგი უძრავ ქონებას შეეხება, გარდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოსი _ საქორწინო ხელშეკრულება უნდა დარეგისტრირდეს უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოშიც. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი, თუ ერთ-ერთი მეუღლე მეწარმეა ან აპირებს სამეწარმეო საქმიანობას ქორწინების შემდგომ, სავალდებულოდ დადგენილია საქორწინო ხელშეკრულების გამოქვეყნება. აშშ_სა და დიდ ბრიტანეთში არ არის დადგენილი საქორწინო ხელშეკრულების სანოტარო ფორმა ან რეგისტრაცია. ამ ქვეყნებში საკმარისია საქორწინო ხელშეკრულება შედგეს წერილობითი ფორმით და მას ხელი მოაწერონ მოწმეთა თანდასწრებით. გასათვალისწინებელია ის, რომ ამ სახელმწიფოებში, საქორწინო ხელშეკრულებასიურიდიულ ძალას ანიჭებს სასამართლო, ანუ შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში თუ დიდ ბრიტანეთში საქორწინო ხელშეკრულება კლასიკური გაგებით არ წარმოადგენს მავალდებულებელ გარიგებას, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ დავაზე რომლის გადასაწყვეტადაც მხარეები მიმართავენ სასამართლოს. გერმანიაში, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე ასევე მისი რეგისტრაციის შემდგომ, მაგრამ საქორწინო ხელშეკრულება ძალაში შედის არა ქორწინების რეგისტრაციის თარიღიდან, არამედ კონტრაქტის სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

ასევე საქორწინო ხელშეკრულებაზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ხელშეკრულების დადება საჭიროა: ა) ასაკოვანი პირებისათვის, რომელთაც ხანგრძლივი პერიოდის განამვლობაში შეძლეს საკმაო ოდენობით ქონების შეძენა; ბ) მხოლოდ დროის შეზღუდული პერიოდისათვის, იმისთვის რომ დროის ე.წ. გამოსაცდელი პერიოდის განმავლობაში ერთი მეუღლის მნიშვნელოვანი აქტივები დაცული იყოს მეორე მეუღლის მოთხოვნებისა და სარჩელებისაგან; გ) საერთაშორისო წყვილებისათვის რადგან განისაზღვროს იმ ქვეყნის სამართლის სისტემა, რომელიც უფრო მისაღები იქნება წყვილთა შორის საქორწინო ხელშეკრულების აღსრულებისათვის; დ) იმისათვის რომ თავი დავიცვათ განქორწინებისას ხანგრძლივი, დამღლელი და ხარჯიანი სასამართლო პროცესებისაგან.

საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც დღესდღეობით სიახლეს წარმოადგენს, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ფართო გამოყენებას პოვებს და მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს მეუღლეებს მათი ქონებრივი ურთიერთობების დარეგულირების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. თბ., 2009;

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. თბ., 2000;

3 რ. შენგელია. ე. შენგელია. საოჯახო სამართალი. თბ., 2009;

4 შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი. თბ., 2004;

5 ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში. თბ., 1997;

6 თ. ზარანდია, ლ. ლაზარაშვილი, შ. ჯანხოთელი, ტიპიური ხელშეკრულების ნიმუშები, თბ., 2006;

7 მ. კარტოზია, საქორწინო ხელშეკრულება. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 2002;

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება. საიტი WWW.SUPREMECOURT.GE.

ნინო გოზალიშვილი
ლაშა დალაქიშვილი

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ: ნინო ფარესაშვილი

ონლაინ-მარკეტინგი საქართველოსა
და მსოფლიოში

თანამედროვე ტექნოლოგიების როლი პოტენციურ მომხმარებელზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით ყოველთვის აქტუალური იყო. განსაკუთრებული გარღვევა ამ თვალსაზრისით მოახდინა ბეჭდური მედიის შექმნამ, რადიოსა და ტელევიზიის გამოგონებამ. კაცობრიობის მიერ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია გლობაური ციფრული ქსელის - ინტერნეტის შექმნა, რომელმაც ინფორმაციის გაცვლის ხარისხი და სისწრაფე არნახულად დააჩქარა, რამაც უამრავი დადებითი ძვრა გამოიწვია მსოფლიოს განვითარებაში. ჩვენ განვიხილავთ ინტერნეტის შესაძლებლობას - ზეგავლენა მოახდინოს მის მომხმარებლებზე. უდავოა, რომ საზღვრები ძველი გაგებით უარყოფილია ინტერნეტის მიერ, რამაც მწარმოებლებს საშუალება მისცა გასულიყვნენ ახალ ბაზრებზე ზემოქმედების ახალი საშუალებებით.

თანამედროვე ქართული ბიზნესის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მომხმარებლებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, რაც უზრუნველყოფს ბიზნესის მიზნების მიღწევას, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ზოგადად საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლებას. მსოფლიოს უახლესი ტექნოლოგიების ათვისება ამ კუთხით აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონკურენტული გამძლეობა საერთაშორისო ბაზარზე.

ჩვენ შევეცდებით, წარმოვაჩინოთ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის ახალი საშუალება, რასაც online მარკეტინგი ჰქვია; ეს ყველაფერი შევაფასოთ ქართული რეალობიდან გამომდინარე და დავინახოთ განვითარების შესაძლო ტენდენციები.

სამწუხაროდ, საქართველოში ბიზნეს-კომუნიკაციის ყველაზე თანამედროვე საშუალება – ონლაინ-მარკეტინგი სუსტადაა განვითარებული, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ჩვენს ისედაც დიდ ჩამორჩენილობას მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან. ქართულ ბიზნეს სივრცეში ცუდადაა დანახული ის დიდი პოტენციალი, რაც ინტერნეტ რესურსების გამოყენებას გააჩნია. ჩამოვთვლით რიგ ფაქტორებს, რის გამოც საქართველო ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს:

1.ინტერნეტის მოხმარების დანიშნულება. ქართველი მომხმარებელი ინტერნეტს ძირითადად გართობისთვის იყენებს.

2.ინტერნეტის რეგიონული ხაზები სუსტადაა განვითარებული.

3.საავტორო უფლებები და მომხმარებელთა უფლებები არ არის სათანადოდ დაცული.

დღევანდელი მონაცემებით მსოფლიოში ინტერნეტს 1,73 მილიარდი ადამიანი მოიხმარს. 2000 წლიდან დღემდე მსოფლიოში მომხმარებელთა რიცხვი დაახლოებით

სამჯერ გაიზარდა. რაც შეეხება საქართველოს 2000-2009, წლებში ინტერნეტის მომხმარე-ბელთა რიცხვი 50-ჯერ - 20 000-დან 1 024 000-მდე გაიზარდა. ზრდის ასეთი ტემპები გამოწვეულია ინტერნეტზე ფსიქოლოგიური დამოკიდებულების ფაქტორითაც, რომელსაც მეტად სერიოზული ხასიათი აქვს. წარმოიშვა მომხმმარებელთა ახალი ტიპი, რომელთაც ინტერნეტის გამოყენება და მისი საშუალებით შესყიდვების განხორციელება აუცილებელ მოთხოვნილებად ექცა. იმ თაობაში რომელსაც უშუალოდ შეეხო ციფრული ტექნოლოგიების განვითარება აღინიშნება ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ინტერნეტი აგრესიულად ანაცვლებს სხვა საშუალებებს.

უახლესი სტატისტიკით საქართველოში ურბანული მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი არის ინტერნეტის მომხმარებელი. ჩვენში ინტერნეტს ძირითადად ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მოქალაქეები მოიხმარენ, რაც იმის საწინდარია, რომ ზრდის ტენდენცია მომავალშიც მაღალი ტემპებით გაგრძელდება. ეს ნიშნავს სხვა მედია საშუალებების როლის შემცირებას ინტერნეტთან მიმართებაში. ამ პირობებში ნებისმიერი კომპანია, რომელსაც მომავალი აქვს, ქმნის წარმატებულ ინტერნეტ პროდუქტებს, რომლებსაც აქვთ ახლებური ზეგავლენის იარაღები.

ინტერნეტში პროდუქტის განთავსების ამოუწურავი რესურსები არსებობს, რომელიც მეტად მიმზიდველია როგორც მწარმოებლისთვის, ასევე მომხმარებლისთვის. პირველ რიგში უნდა განვიხილოთ დროის რაციონალური ხარჯვის ეფექტი, რომელსაც ქმნის ინტერნეტიდან მიღებული ინფორმაცია. როგორც ცნობილია, საზოგადოების კეთილდღეობის დონის ერთ-ერთი დეტერმინანტია თავისუფალი დრო. ინტერნეტის მომხმარებლებს შეუძლიათ დაზოგონ საკუთარი ცხოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი, რაც იწვევს გლობალური მასშტაბით კეთილდღეობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეს ეფექტი თვალსაჩინოა ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებსა და იაპონიაში, გლობალურ ქსელს მოიხმარს მოსახლოების თითქმის 80 პროცენტი.

დროის ეკონომიის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის განთავსებისა და მიღების სიიაფეს, რომელიც საგრძნობია სხვა მედია საშუალებებთან შედარებით. მაგალითად, დაბალი დონის ტელევიზიის შესაქმნელად, რომელიც გაატარებს კონკრე-ტული ორგანიზაციის პოლიტიკას, საჭიროა რამდენმე მილიონიანი ინვესტიცია, ხოლო ხარისხიანი ვებ-გვერდის შესაქმნელად საკმარისია ამ ინვესტიციის დაახლოებით მეოცედი. მწარმოებელს საშუალება ეძლევა წარმოადგინოს პროდუქციის მახასიათებლები გაცილებით უფრო სრულყოფილად. ტექსტურ, ხმოვან და ვიდეო შესაძლებლობებს ემატება პრეზენტაციის ისეთი საშუალებები, როგორიცაა სამგაზომილებიანი მოდელები, პროდუქტის შექმნაში მყიდველის უშუალო მონაწილეობა. ეს ყველაფერი საშუალებას იძლევა დამყარდეს გაცილებით უფრო ხარისხიანი კომუნიკაცია მომხმარებელთან ზეგავლენის მოხდენის თანამედროვე მეთოდებით.

საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენისა და სხვადასხვა პროდუქტისა თუ იდეის პოპულარიზაციის საკმაოდ ეფექტური საშუალებაა სოციალური ქსელები, რომლებშიც საქართველოს მაგალითზე ინტერნეტის მომხმარებლების 68% გაწევრიანებული. ასეთ ქსელებში წარმოუდგენელი სისწრაფით ვრცელდება ხმები და დიდ გავლენას ახდენს

მომხმარებელთა ქცევაზე, ამიტომ თანამედროვე ორგანიზაციები საკმაოდ წარმატებულად ახორციელებენ სოციალურ ურთიერთობებს ამ ქსელების მეშვეობით (Facebook, Myspace). მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანიის დროს, კანდიდატ ბარაკ ობამას შტაბმა შეძლო ერთ დღეში შემოწირულობებით შეეგროვებინა 51 მილიონი აშშ დოლარი.

სტანდარტული მედია საშუალებები (ტელევიზია, რადიო, პრესა) შეზღუდულია გეოგრაფიული ნიშნით, ხოლო ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია გლობალური ხასიათისაა, ანუ ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

თანამედროვე მწარმოებლისთვის ხარისხიანი ვებ-გვერდის ქონა პრესტიჟის საკითხიც არის, რაც ხაზს უსვამს ფირმის ადაპტაციის უნარს და სიახლეების წარმატებულად დანერგვას.

ინტერნეტის მომხმარებელი თავისუფლია თავის არჩევანში და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ყველა შესაძლებლობა მისთვის არნახულად ახლოსაა. მისი მთავარი მახასიათებელია ფაქტობრივად ყველა სახის ინფორმაციის მოძიების შესაძლებლობა მინიმალური დანახარჯებით, როგორც ფინანსურად, ასევე დროის მხრივაც. შესაბამისასდ მოთხოვნა ინტერნეტზე, როგორც მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნიკალურ საშუალებაზე, წარმოუდგენელი ტემპებით იზრდება.

შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება მარკეტინგის ეს ფორმა, ესენია: იმეილ მარკეტინგი, რეკლამა ბანერებით და რეკლამა საძიებო სისტემის დახმარებით.

იმეილ მარკეტინგი გულისხმობს ელექტრონული ფოსტების ბაზის გამოყენებით აუდიტორიამდე ინფორმაციის მიტანას. ამ მეთოდს აქტიურად იყენებენ უცხოური კომპანიები, რომლებსაც პარტნიორული ურთიერთობები აქვთ მსხვილ პროვაიდერებთან. (yahoo.com, google.com, mail.ru და სხვა).

საბანერო რეკლამისთვის დამახასიათებელია ცნობილ ინტერნეტ გვერდებზე კონკრეტული რეკლამის გაკეთება, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ანიმაციის სახე და მასზე დაწკაპუნებით დაინტერესებულ მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება დაათვალიეროს ბიზნესმენის საიტი. საბანერო რეკლამაზე საქართველოს ბაზარზე მზარდი მოთხოვნაა, რაც ფასებშიც გამოიკვეთა. მაგალითად Myvideo.ge - ზე ერთთვიანი ბანერი დაახლოებით 1500-დან 10 000 ლარამდე ჯდება.

რეკლამა საძიებო სისტემების დახმარებით გულისხმობს საკუთარი ინტერნეტ გვერდის ოპტიმიზებას და მოძიების სიხშირის გაზრდას ისეთ საძიებო სისტემებში, როგორებიცაა google.com yahoo.com და სხვა. მარკეტინგის ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გლობალური მასშტაბით მოძიებულ იქნას სასურველი მიზნობრივი აუდიტორია, რომელთაც საძიებო სისტემები დააკავშირებენ ყველაზე მეტად ოპტიმიზებულ ვებ გვერდებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ მესამე მეთოდი ყველაზე უფრო თანამედროვეა და მეტ შესაძლებლობას იძლევა. ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ხარისხიანი web პროდუქტების ქონა, რადგან ამ მეთოდის გამოყენებით ყველაზე მეტი შანსია, რომ ჩვენს web გვერდს მოინახულებენ.

საქართველოში ონლაინ-მარკეტინგი «ახალი ხილია» და საგრძნობლად სუსტადაა განვითარებული, მაგრამ შეინიშნება სუსტი ძვრები ამ სფეროში. ბიზნესში ინტერნეტ

ტექნოლოგიების დანერგვა ყველაზე მეტად საბანკო სექტორში შეიმჩნევა, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია მომხმარებელთა შედარებით მაღალშემოსავლიანი ჯგუფით, რომელიც ამ სერვისით სარგებლობს. ბოლო პერიოდში საკმაოდ წარმატებულია ავტომობილების ინტერნეტ აუქციონები და შედარებით ძვირადღირებული პროდუქ-ტების ინტერნეტით გაყიდვა. თუმცა ინტერნეტის განვითარების ბოლო დროინდელმა მიმართულებებმა შესაძლებლობა მისცა კომპანია ITDC-ს შეექმნა პირველი ქართული ინტერნეტ სუპერმარკეტი, რომელიც კვების პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ინტერნეტის მოხმარება შედარებით სუსტადაა განვითარებული, რისი ერთ-ერთი მიზეზია მოსახლეობის დაბალი შემოსავლები და ინტერნეტის არცთუ დაბალი ტარიფები. მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში ინტერნეტის მიწოდების უწყვეტობას ბიზნესი უფრო მეტად აიღებს საკუთარ თავზე ანუ გაიზრდება ბიზნესის მიერ ინტერნეტის პროვაიდერებისთვის გადახდილი თანხები, რაც შეამცირებს მოსახლეობის მიერ გადასახდელ ტარიფებს. ბიზნესმენების მხრიდან გაიზრდება იმის გაცნობიერებულობა, რომ ინტერნეტ სივრცეში გაშვებული ინფორმაცია მეტად მომგებიანია და ამის გამო თავადვე უნდა იზრუნონ ამ ინფორმაციის მომხმარებლამდე მიწოდებისთვის.

არსებული ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე, ქართული ბაზარი სულ მალე თავადვე უკარნახებს მწარმოებლებს, რომ აქცენტები გადაიტანონ ინტერნეტ შესაძლებლობების ეფექტიან ათვისებაზე.

უარყოფით ფაქტორებთან ერთად შეინიშნება დადებითი ტენდენციები, რომელთა საშუალებით შეიძლება მომავალი განვითარების დანახვა:

1.შეიქმნა უკაბელო ინტერნეტის რამდენიმე სერვისი (მაგთი, ჯეოსელი, ჰაი-ლაინი) და უნიკალური Ge-link სისტემა, რომლის მესვეურები გეგმავენ მთელი საქართველოს ხარისხიანი ინტერნეტით მომარაგებას.

2. იზრდება მომხმარებელთა და მწარმოებელთა მოღვაწეობის კულტურა. სულ უფრო მეტად აცნობიერებენ საკუთარი უფლებების დაცვის აუცილებლობას.

3. ინტერნეტის მომხმარებელი თაობა იზრდება, რაც უახლოეს მომავალში გაზრდის მათ მსყიდველობით უნარს.

4. სულ უფრო იზრდება კომერციული ვებ-გვერდების რიცხვი.

არსებული მონაცემებდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული განვითარების ტემპები საშუალებას მისცემს მწარმოებლებს და მომხმარებლებს უზრუნველყონ ურთიერთობის უფრო ეფექტური საშუალების - ინტერნეტის გამოყენებით კეთილდღეობის ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. www.searchengineoptimising.com;
2. www.internetworldstat.com;
3. http://en.wikipedia.org/wiki/;
4. Search_engine_optimizationwww.internetworldstat.com;
5. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი;
6. Marketing Management - Philip Kotler;
7. http://top.ge/faq.php.

მედეა ქორქაშვილი

ხელმძღვანელი: პროფ. აკაკი გაბელაია

აქციათა ბაზრის დინამიკა საქართველოში

აქცია ეს არის სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. აქცია ეს არის პაის მოწმობა, რომელიც შეტანილია მისი უკანმოთხოვნის უფლების გარეშე.

როგორც ცნობილია, არსებობს აქციის ორი სახე: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. საქართველოში ძირითადად მიმოიქცევა ჩვეულებრივი აქციები. როდესაც საუბარია აქციებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ განვიხილავთ აქციათა ბაზარს ანუ საფონდო ბაზარს. ჩემი შემდგომი მიმოხილვაც სწორედ მას ეხება.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება პირობითად შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ.

პირველი, 1991-98 წლები სტიქიური განვითარების ეტაპი. ეს იყო საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების ეტაპი, რომელიც უპირატესად მოვლენების სტიქიური განვითარებით ხასიათდებოდა. ამ დროს საქართველოში 200 მდე ბირჟა შეიქმნა, თუმცა ისინი მოკლე ხანში ისევ გაუქმდა. სახელმწიფო ცდილობდა ამ ეტაპზე რეგულირების ელემენტების შემოტანას, თუმცა უშედეგოდ.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2010 წლისათვის საქართველოში 1949 სააქციო საზოგადოებაა, თუმცა მათი ასეთი სიმრავლე სულაც არ ნიშნავს საფონდო ბაზრის დიდ მოცულობას. საქმე ისაა, რომ მათგან მხოლოდ ნახევარი თუ ახდენს თავისი აქციების საფონდო ბირჟაზე მიმოქცევას, დანარჩენი კი მხოლოდ საჯარო რეესტრშია დაფიქსირებული.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მეორე ეტაპი 1999 წლიდან დაიწყო. ამ დროისათვის უკვე შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა, და ჩამოყალიბდა ფასიანი ქაღალდებისეროვნული კომისია. 1999 წლის იანვარში დაარსდა «საქართველოს საფონდო ბირჟა» (სსბ). აშშ-ს საერთაშორისო განვითრების სააგენტოს (USAID) მიერ გამოცხადებულ საჯრო ტენდერში გამარჯვების შემდეგ მან მიიღო USAID –ს ტექნიკური დახმარება. «საქართველოში ფასიანი ქაღალდების განვითარების პროექტის» ფარგლებში.

2000 წლის მარტიდან საქართველოს საფონდო ბირჟაზე უკვე რეგულარულად დაიწყო საბირჟო ვაჭრობები. ამავე წლის სექტემბრიდან «სსბ» ევრაზიის საფონდო ბირჟის ფედერაციის (FEAS) ნამდვილი წევრია. 2002 წლის დეკემბრიდან ტარდება სპეციალიზებული საბირჟო საპრივატიზაციო აუქციონი, ხოლო 2004 წლის

თებერვლიდან სსბ-ზე დაშვებულია ვაჭრობა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებით.

საფონდო ბაზარზე ვაჭრობის მაჩვენებელთა დინამიკა 2001-2009 წლის მონაცემებით მოყვანილია პირველ ცხრილში.

ვაჭრობის დინამიკა საქართველოს საფონდო ბაზარზე 2001-2009 წლებში

ცხრილი 1.

	სსბ-ზე ვაჭრობის მოც. (მლნ აქცია)	სსბ-ზე ვაჭრობის ღირ-ბა (მლნ ლარი)
2001	10,86	13,1
2002	11,45	8,5
2003	7,90	1,7
2004	30,51	46,7
2005	32,4	62,4
2006	68,4	167,4
2007	90	99,4
2008	83,1	256,5
2009	2966,7	98,9

როგორც ვხედავთ, მსოფლიო ფინანსური კრიზისი საქართველოს საფონდო ბირჟაზეც მეტ-ნაკლებად აისახა. 2008 წლის მონაცემებით მთელი თვის განმავლობაში სულ განხორციელდა 3180 გარიგება, რაც წინა წელთან შედარებით თითქმის განახევ-რებულია; სულ გაიყიდა 83150154 აქცია. 256,5 მლნ ლარის ღირ-ბით. 2007 წელთან შედარებით აქციების რაოდენობა საგრძნობლად არ არის შემცირებული, თუმცა მათი ღირ-ბა 2,5 ჯერ არის გაზრდილი, ეს განპირობებულია აქციების ფიქსინგის გზით რეალიზაციით, რაც ნიშნავს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ბირჟის გარეთაც საბროკერო კომპანიების მონაწილეობით ან მის გარეშე.

ფიქსინგით ვაჭრობა ბირჟის ფინანსურ შედეგებზე უარყოფიდან აისახება. რადგანაც ბოლო წლებში ინვესტორები ყურადღებას აქცევდნენ ისეთ აქციებს, რომელთა ემიტენტებსაც საკუთრებაში მიწის ნაკვეთი ან უძრავი ქონება გააჩნდათ. ასეთი აქციების ყიდვა-გაყიდვა, კი ხდება არაკონკურენტულ გარემოში, საბროკერო კომპანიების მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს, რაც თავის კვალს ტოვებს ბირჟის მდგომარეობაზე.

გასულ 2009 წელს, მიუხედავად იმისა, რომ გაყიდული იქნა ფასიანი ქაღალდების რეკორდული რაოდენობა (თითქმის სამი მილიარდი, რაც 35.7-ჯერ მეტია წინა წლის მაჩვენებელზე!), გარიგებათა ღირებულებითი მაჩვენებელი 2.6-ჯერ შემცირდა კიდეც და მხოლოდ 98.9 მლნ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2010 წლის მონაცემებს: იანვრის თვის განმავლობაში სულ დაიდო 33 გარიგება. აქედან უმეტესობა საქ.-ს ბანკის აქციების მონაწილეობით განხორციელდა. სულ გაიყიდა 54615 ფასიანი ქარალდი, რომელთა ჯამურმა ღირ-ბამ შეადგინა 7685,99 ლარი.

უკანასკნელი მონაცემებით სულ დაიდო 4 გარიგება, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4903 ლ. ერთი აქციის საშუალო შეწონილი ფასი 17,638 ლარი იყო 2010 წლის განმავლობაში. ერთი აქციის საშუალო შეწონილი ფასის ყველაზე მაღალი ნიშნული იყო 17,800 ლარი, ხოლო ყველაზე დაბალი 13,600 ლარი.

როგორც ცნობილია, საქართველოს საფონდო ბირჟაზე იანგარიშება საფონდო ინდექსი, “G& T blue chip index” (GTBCI) ანუ შემოკლებით GTI. იგი შემოღებულია 2001 წლიდან და მასში შედის საქართველოს საფონდო ბირჟის ათი კომპანიის აქციები, მათ შორისაა: «საქართველოს ბანკი», «გალტ-ენდ თაგარ კაპიტალი», «თელიანი ველი», «ყაზბეგი», «ვითიბი ბანკი ჯორჯია», «გაერთიანებული ტელეკომი», სს «თელასი».

უნდა შევნიშნოთ, რომ «საქართველოს ბანკი» იყო მეორე, საფონდო ბირჟის ისტორიაში, ვინც გაიტანა საკუთარი აქციები გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების სახით ლონდონის საფონდო ბირჟაზე. იგი საქართველოში ბაზრის 33,64 ა-ს ფლობს და საქ-ოს საფონდო ბირჟაზე 2001 წლიდან მონაწილეობს.

მეორე კომპანია, რომელიც შედარებით უფრო აქტიურად მონაწილეობს საფონდო ბაზარზე. ეს არის სს «თელასი» იგი 2000 წლიდან უშვებს აქციებს.

შედარებისთვის მოვიყვანოთ 2008-2009 წლების მონაცემები. ზოგი ერთი კომპანიების აქციების მიხედვით.

2008-2009 წლებში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მაჩვენებლები ზოგიერთი ემიტენტისთვის

ცხრილი 2

	2008 წ.			2009 წ.		
	გარიგებების რიცხვი	ფასიანი ქაღალდ-ების რაო-დენობა	ფასიანი ქაღალდების ღირ-ება (ლარში)	გარიგ-ებების რიცხვი	ფასიანი ქაღალ-დების რაოდენობა	ფასიანი ქაღალ-დების ღირ-ება (ლარში)
თელასი	18	20050	17,750	6	1250	975
სს. ყაზბეგი	24	498254	1910649	-	-	-
უნივერმაღი თბილისი	12	8260	11946	-	-	-
გაერთიანებუ-ლი ტელეკომი	312	673979	346697	25	19289	5033
თელიანი ფული	53	3429780	1759888.	10	230548	31000278
საქ-ოს ბანკი	1005	14427595	167286622	319	673031	5094296

როგორც მონაცემებიდან ჩანს 2008 წელთან შედარებით ზოგიერთი კომპანიების აქციების მოცულობის რიცხვი გაიზარდა.

რაც შეეხება G&T ინდექსს, მისი ვარდნა ჯერ კიდევ 2008 წლის თებერვალში დაიწყო, მაშინ ის 0,2 % -ით 916,8 პუნქტამდე შემცირდა. ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. 2009 წლის მონაცემებით საქართველოს საფონდო ინდექსი 17,76 %-ითაა დაწეული, რაც სამწუხაროდ რეკორდული მაჩვენებელია.

2007 წელს საქართველოს საფონდო ბირჟის შესყიდვებით მსოფლიო ბირჟების უდიდესი გაერთიანება OMX დაინტერესდა. ეს გარიგება, სამწუხაროდ, მთავრობის ინიციატივით ჩაიშალა, რის გამოც საბროკერო კომპანიებმა 3 მლნ ევროთი იზარალეს. ახლახან OMX ისევ დაინტერესდა სსბ.-ს შესყიდვით. თუმცა ამ ინტერესის შემაფერხებელი ფაქტორი საკანონდებლო ბაზაა. საქართველოს საფონდო ბირჟით დაინტერესება ჩვენი ქვეყნისთვის მისაღებია, რადგანაც უცხოური ინვესტიციების შემოსვლა ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟის ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას.

რაც შეეხება საზოგადოდ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას, მასზე უარყოფითი ზეგავლენა იქონიეს შემდეგმა ფაქტორებმა:

- საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას ბირჟების ქაოსურად ფორმირება;
- საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებებმა;
- გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა;
- ქვეყნის დაძაბულმა პოლიტიკურმა ვითარებამ;
- 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა.

გარდა ამ ფაქტორებისა გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც:

საქართველოში არსებული მენტალიტეტი ჯერ ვერ გადავიდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. საქართველოში ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებენ საფონდო ბაზარს. მომხმარებელი ცდილობს თავი შეიკავოს ბირჟაზე თამაშისგან.

ყოველივე აქედან გამომდინარე საფონდო ბირჟის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიმაჩნია გარიგების მოცულობათა სულ უფრო მეტი სტანდარტიზირება დაშესაბამისად ხელშეკრულებათა ტიპიზირება. თავის მხრივ, ამისთვის აუცილებელია:

1. ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზირება;
2. საქართველოს მთავრობის მიერ გარკვეული პრიორიტეტების დასახვა გლობალური ფინანსური კრიზისის დასაძლევად;
3. ქვეყნის ეკონომიკის რეალური სექტორის გამოცოცხლება შიდა რეზერვების ამოქმედებით და უცხოური ინვესტიციების მოზიდვით;
4. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ინსტრუმენტების გამრავალფეროვნება;
5. მიმოქცევაში ვადიანი კონტრაქტების დამკვიდრება;
6. ე.წ ფიქსინგების გაუქმება;
7. საქართველოს საგადასახადო კოდექსში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს საფონდო ბაზრის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები. 2006-2009 წწ.;
2. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო ბიულეტენები, 2006-2010 წწ.;
3. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის ანგარიშები. 2008-2009 წწ.;
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები. 2008-2010 წწ.;
5. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფულის მასის აგრეგატები და მონეტარული კოეფიციენტები. 2008-2010 წწ.;
6. www.nbg.gov.ge;
7. www.geostat.ge.

ნათია ვაშაკიძე
ნათია ქოჩიაშვილი

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. მანანა ჭიპაშვილი

ნავთობი და ეკონომიკა

ჩვენი თემა ეხება ნავთობსა და ეკონომიკას. დასაწყისშივე გაგაცნობთ ამ თემის სტრუქტურას. ჩვენ განვიხილეთ ნავთობის წარმოშობის მოკლე ისტორია, მისი მოპოვება მსოფლიო მასშტაბით, ნავთობმოპოვების თანმხლები უარყოფითი მოვლენები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. თქვენ ყურადღებას ასევე გავამახვილებთ ანალიტიკოსთა პროგნოზებზე, იმაზე თუ რა გავლენას მოახდენს ნავთობის უკმარისობა მსოფლიო ეკონომიკაზე. მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ასევე განგვეხილა, გრონინგენის ეფექტი, იგივე «ჰოლანდიური დაავადება», რაც უშუალო კავშირშია ნებისმიერი ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, ნავთობის მოპოვებასთან.

ნავთობი ადამიანებისათვის უძველესი დროიდან არის ცნობილი. მდინარე ევფრატის ნაპირებზე არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6000-4000 წლის წინ აქ ხდებოდა ნავთობის მოპოვება. ამ პერიოდში ის გამოიყენებოდა როგორც გასათბობი საშუალება, ხოლო ბითუმი გამოიყენებოდა გზების მშენებლობისათვის. ნავთობს მიაქციეს დიდი ყურადღება მას შემდეგ, რაც რუსეთში ქარხნული წესით ძმებმა დუბინინებმა 1823 წელს და ამერიკაში ქიმიკოსმა სილიმანმა 1855 წელს დაამტკიცეს მისგან ნავთის, „გამანათებელი ზეთის», მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ XIX საკუნის შუა პერიოდში ნავთობის მოპოვების მეთოდი ჭების თხრიდან შეიცვალა ჭაბურღილებით. პირველი ჭაბურღილი გაბურღულ იქნა 1846 წელს, ბაქოსთან ახლოს, «ბიბი-აიბათის» საბადოზე.

ნავთობის უდიდესი რეზერვები შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოიპოვება. აქ მოპოვებული ნავთობის რაოდენობა მსოფლიოს ცნობილი რეზერვების 62%-ს შეადგენს.

ცხრილი 1

ნავთობის უდიდესი მარაგის მქონე ქვეყნები
(BP Statistical Review 2008 მონაცემებით)

ქვეყანა	მარაგი, მლრდ ბარელი	% მსოფლიო მარაგებიდან
საუდის არაბეთი	264,2	21,3
ირანი	138,4	11,2
ერაყი	115,0	9,3
ქუვეითი	101,5	8,2
გაერთიანებული არაბეთის ემირატები	97,8	7,9
ვენესუელა	87,0	7,0
რუსეთი	79,4	6,4
ლიბია	41,5	3,3
ყაზახეთი	39,8	3,2
ნიგერია	36,2	2,9
აშშ	29,4	2,4
კანადა	27,7	2,2
კატარი	27,4	2,2
ნიგერია	15,5	1,3
ბრაზილია	12,6	1,0
ოპეკი	934,7	75,5
მსოფლიო	1237,9	100%

თუ 1990-იანი წლების ადრეულ ეტაპზე საბჭოთა კავშირი (სანამ საბოლოოდ დაიშლებოდა) მსოფლიოში ნავთობის წამყვანი მწარმოებელი იყო, თუნდაც, 2008 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ქვეყნები, რომლებიც საბჭოთა კავშირში შედიოდნენ, კვლავ რჩებიან ნავთობის მნიშვნელოვან მწარმოებლებად, მაგრამ, იგივე 2008 წლის მონაცემებით, უდიდესი მარაგის მქონე ქვეყნებში არ შესულან. ხუთეულში მოხვდა, შესაბამისად: საუდის არაბეთი (264,2 მლრდ. ბარელი), ირანი (138,4 მლრდ. ბარელი), ერაყი (115,0 მლრდ. ბარელი), ქუვეითი (101,5 მლრდ. ბარელი), და გაერთიანებული არაბეთის ემირატები (97,8 მლრდ. ბარელი). მათი წილი მსოფლიო მარაგებიდან, შესაბამისად – 21,3, 11,2, 9,3, 8,2, 7,9%-ს შეადგენდა. როგორც ვიცით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყანა ოპეკის წევრთა არასრული ჩამონათვალია. მთლიანად ოპეკის წილი კი მსოფლიო მარაგის 75,5%-ს წარმოადგენს. უდიდესი მარაგის მქონე ქვეყნებიდან ასევე აღსანიშნავია: რუსეთი, აშშ, კანადა, ბრაზილია და ა.შ.

მართალია, საქართველო ამ სიაში ვერ მოხვდა, მაგრამ ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ, მოგვეძია ინფორმაცია ჩვენს ქვეყანში ნავთობმოპოვებასთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ ნავთობის დაზვერილი მარაგი საქართველოში ძალიან მცირეა, მაგრამ რაც არის - მაღალი ხარისხით გამოირჩევა (მასში გოგირდის შემცველობა მცირეა). ჩვენში ნავთობის მნიშვნელოვანი საბადოა სამგორ-პატარძეულის. მასზე

მოდიოდა საქართველოს ნავთობის მოპოვების 99%. ნავთობის ძებნა-ძიების სამუშაოები ამჟამად ტარდება გურია-აჭარის რეგიონში. ნავთობის მცირედებატიან საბადოთაგან აღსანიშნავია მირზაანის, პატარა შირაქის, ნორიოს, რუსთავის, სუფსის, ჭალადიდის და საცხენისის საბადოები. ნავთობის წარმოება საქართველოში ძალზე მცირეა და მოთხოვ-ნილებას ვერ აკმაყოფილებს. გამომდინარე აქედან, ნავთობმოპოვებასთან დაკავშირებული ნებისმიერი უმნიშვნელო ინფორმაციაც კი მაშინვე ექცევა ხოლმე ყურადღების ცენტრში. ერთ-ერთი ასეთი სკანდალური ინფორმაცია გააჟღერა რადიო «კომერსანტმა» 2 წლის წინ. კომერსანტი ისრაელის ინტერნეტგამოცემა «ვალაზე» დაყრდნობით გვატყობინებდა, რომ ცნობილმა ისრაელმა ბიზნესმენმა შმუელ ფლატო-შარონმა თბილისთან ახლოს მის კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ბურღვითი სამუშაოების შედეგად ნავთობის საბადო აღმოაჩინა. ბიზნესმენი აცხადებდა: «1000 ჰა მიწის ფართობი თბილისიდან 100 კმ-ს დაშორებით მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვებაზე უფლება ამერიკულმა კომპანიამ შეიძინა და მასთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს მოგების გაყოფასთან დაკავშირებით. ჩვენ, როგორც ამ მიწის ფართობის მფლობელებს, წილზე უფლება გაგვაჩნია». ის ასევე ამბობდა, რომ აღმოჩენილ საბადოზე 5 მლრდ დოლარის ღირებულების 80 მლნ ბარელი ნავთობია. ამის საპასუხოდ ენერგეტიკის მინისტრმა, ალექსანდრე ხეთაგურმა განაცხადა: «ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, საქართველო ნავთობის რესურსებს არ ფლობს». პირადად ჩვენთვის, როგორც საზოგადოების წევრებისთვის, ეს ფაქტი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან არცერთ მხარეს არ დაუდია დამადასტურებელი ან უარმყოფი მონაცემები, და რატომღაც, მას შემდეგ ამ საკითხზე მსჯელობა აღარ გაგრძელებულა.

ეს რაც ეხებოდა ნავთობმოპოვებას მსოფლიო მასშტაბით. ალბათ დაგვეთანხმებით, რომ თემა სრულყოფილი არ იქნება, თუ მხოლოდ ნავთობის ისტორიითა და მოპოვებით შემოვიფარგლებით, რადგან არანაკლებ მნიშვნელოვანი და აქტუალურია ნავთობის მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული ზიანის მომტანი შედეგები, როგორც ეკოლოგიური, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური კუთხით.

მსოფლიო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ნავთობის წარმოება საერთაშორისო ურთიერთობებზეც მოქმედებს. ამის მაგალითია, თუნდაც 1973-1974 წლებში განვითარებული მოვლენები. როცა არაბულმა ქვეყნებმა წააგეს ომი ისრაელთან, გადაწყვიტეს შეემცირებინათ ნავთობის მოპოვება 5 მლნ ბარელით დღეში და ამით «დაესაჯათ» დასავლეთი. ამას მოჰყვა ის, რომ სხვა ქვეყნებმა მოახერხეს გაეზარდათ ნავთობის მოპოვება 1 მლნ ბარელით დღეში. ნავთობის საერთო მოპოვება შემცირდა 7%-ით, ხოლო ფასი გაიზარდა 4-ჯერ. შემდგომში ფასების ზრდას ბიძგი მისცა ირანის ისლამურმა რევოლუციამ და ირან-ერაყის ომმა. ამ პერიოდისათვის, ფასებმა თავის პიკს 1980-იან წლებში მიაღწია. უნდა აღინიშნოს, რომ ოპეკის ქვეყნებმა შეძლეს მიეღწიათ შეთანხმებისთვის, შეემცირებინათ ნავთობის მოპოვება, რის შედეგადაც ბარელი ნავთობის ფასი 30 დოლარი გახდა. 2003 წლის ბოლოდან დაიწყო ნავთობის ფასის მკვეთრი ზრდა და პიკს 2008 წლის მაისში მიაღწია (135 დოლარი). 2010 წლის 14 მაისისთვის კი ის შეადგენდა 73.09 დოლარს ბარელზე.

ცხრილი 2

ნავთობზე ფასების ცვალებადობის დინამიკა[9]

თარიღი	კურსი	ცვლილება
10.04	85,73	1,08%
09.04	84,81	–0,26%
08.04	85,03	–0,30%
07.04	85,29	–1,00%
06.04	86,15	0,15%
05.04	86,02	1,90%
02.04	84,42	0,21%
01.04	84,24	2,36%
31.03	82,30	1,17%
30.03	81,35	–0,16%

ნახ.1. 30 დღის განმავლობაში ნავთობზე ფასების ცვალებადობის გრაფიკი[10]



[9] http://www.oilcapital.ru/stat/stat_1/stat_1.shtml
[10] http://top-rider.ru/index.php?id=2030

ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორმა იაპონელმა ნობუო ტანაკამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მსოფლიოს 2013 წელს შეიძლება კვლავ დაემუქროს ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რაც გამოწვეული იქნება ნავთობის უკმარისობით. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ნავთობზე მოთხოვნა კვლავ გაიზრდება.

მისი მოსაზრებით, 2013 წლის მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისი იქნება უფრო მძიმე და მასშტაბური ვიდრე ახლანდელი. მოსალოდნელი კრიზისის მთავარი მიზეზი კი იქნება ის, რომ მსხვილმა ნავთობის კონცერნებმა ამჟამად შეაჩერეს ინვესტიციები ახალი ნავთობის საბადოების მწყობრში მოყვანაზე.

ოპეკის გენერალური მდივნის – აბდულა ალ-ბადრის მონაცემებით, ნავთობზე ფასების დაცემის შემდეგ ნავთობკომპანიებმა 130 ნავთობსაძიებო პროექტიდან გააჩერეს 35. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტების აზრით, ამ შემთხვევაში ნავთობზე მსოფლიო ფასებმა შეიძლება გადააჭარბონ 2008 წლის მაჩვენებელს და მიაღწიონ 200$ ერთ ბარელზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნავთობის მოპოვება-გამოყენება იწვევს ასევე ეკოლოგიურ კატასტროფებს. ამის მაგალითი მსოფლიოს მასშტაბით არც თუ ისე ცოტაა. ნავთობით ბინძურდება ზღვა, ჰაერი. ის ასევე გლობალურ დათბობაზეც მოქმედებს.

ზღვის დაბინძურება. ნავთობით ზღვის დაბინძურება ნავთობის ტანკერების გასუფთავებისას ხდება ან შესაძლოა ზღვის ფსკერიდან ნავთობის ამოღებისას შემთხვევით მოხდეს. ბოლოდროინდელი კატასტროფა დაკავშირებულია მექსიკის ყურესთან. 2010 წლის 20 აპრილს აქ წყალქვეშა ჭაბურღილი აფეთქდა. ავარიის შედეგად, ყოველდღიურად გაჟონილი 800.000 ლიტრი ნავთობი მექსიკის ყურეში იღვრება. ამ რაოდენობის ნავთობის ოკეანეში ჩაღვრა ოკეანის ცოცხალი ორგანიზმების დაღუპვის საშიშროებას, კომერციული თევზჭერის ინდუსტრიისათვის უდიდესი ზარალის მიყენებისა და ასობით კილომეტრი სიგრძის სანაპირო ზოლის დაბინძურების საშიშროებას იწვევს. ნავთობის ტანკერის ავარიის ან დაზიანებული ნავთობსადენისაგან განსხვავებით, ჭაბურღილის დაზიანება ნავთობის უწყვეტ ჟონვას იწვევს. მექსიკის ყურის კრიზისის გადასაჭრელად და ეკონომიკურ-ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება ხდება. ამ ეტაპზე კი ერთადერთი სწრაფი გამოსავალი 12 მეტრიანი რკინაბეტონის ე.წ. გუმბათოვანი კოშკია, რომელსაც დაზიანებულ ჭაბურღილს ზემოდან დაადგამენ და ამით ნავთობის ოკეანეში ჩაღვრას შეუშლიან ხელს. ამასთან, ოკეანის ზედაპირიდან ტანკერები სისტემატურად ამოქაჩავენ 80 ტონიან გუმბათში დაგროვებულ ნავთობს.

იმისათვის, რომ ასეთ პრობლემათა სიხშირე შემცირდეს, აუცილებელია ახალ წესებში შედიოდეს არა მხოლოდ ისეთი ტექნიკური შესაძლებლობების დახვეწა, როგორიცაა დისტანციური მართვის ჩამკეტი მეზანიზმები და სხვა, არამედ ნავთობის გაჟონვის შემდეგ განსახორციელებელი სტრატეგიის შემუშავება და საბადოების ათვისების ოპერაციების სანაპირო ზოლიდან უფრო დიდი მანძილით მოშორება.

ჰაერის დაბინძურება: უამრავ ქალაქში ბენზინის გამოყენება ჰაერს ძალიან აბინძურებს. მანქანების ჭარბი გამონაბოლქვი და სხვა საწვავზე მომუშავე მანქანები მომწამვლავ აირებს შეიცავენ, მაგალითად, ნახშირის მონოქსიდს, უწვავ ნახშირწყალბადებს, აზოტის ოქსიდებს და ტყვიას. ზოგიერთი ეს ნივთიერება რეაქციაში შედის მზის სინათლესთან და არასასიამოვნო ფოტოქიმიურ ნისლს წარმოქმნის, რაც

დიდი ქალაქების თავზე ღრუბლის სახით იჭიმება და სმოგის სახით იფანტება. ბევრ ქვეყანაში საჭირო ზომები გაატარეს იმისათვის, რომ მანქანების გამონაბოლქვის საზიანო ეფექტი მინიმუმამდე დაეყვანათ. დღესდღეისობით გამოიყენება ტყვიისაგან განთავისუფლებული ბენზინი, ზოგიერთი მანქანა კი სპეციალური მოწყობილობითაა აღჭურვული, რაც მავნე აირების უსაფრთხო აირებად გარდაქმნას უზრუნველყოფს. ტექნიკის ასეთი ტიპის გაუმჯობესება ნაკლებად ეფექტურია, რადგანაც მომხმარებელი ნავთობის რაოდენობას ზრდის.

გლობალური დათბობა: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ XX საუკუნეში დედამიწის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა 0.6 გრადუსით გაიზარდა. მათი აზრით, ასეთი გათბობა გამოწვეულია ატმოსფეროში აირების დიდი რაოდენობით დაგროვებით, რაც წიაღისეული სათბობის, განსაკუთრებით ბუნებრივი აირისა და ნავთობის, სულ უფრო და უფრო მზარდი წვის შედეგია.

ეკონომიკური ზრდის ტემპი – «ჰოლანდიური დაავადება»

(გრონინგენის ეფექტი – გრონინგენი ერქვა გაზის საბადოს ჩრდილოეთ ზღვაში)

ემპირიული მონაცემები მეტყველებენ, რომ ნავთით, გაზითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ტემპები, როგორც წესი, უფრო ნაკლებია ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი რესურსები ან ცოტაა ან საერთოდ არ არის. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 1965-98 წლებში მშპ-ს საშუალო წლიური დაცემა ირანსა და ვენესუელაში შეესაბამებოდა 1%, ლიბიაში 2%, ერაყსა და ქუვეიტში 3%, ხოლო კატარში 1970-95 წლებში - 6%. საერთოდ ოპეკის ქვეყნებში მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ბოლო 30 წლის განმავლობაში კი არ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა, საშუალოდ, 1,3%-ით წლიურად. უნდა აღვნიშნოთ, რომ ოპეკის ქვეყნები ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ წარმოადგენენ. ასე მაგალითად, ბოლო 20 წლის განმავლობაში ბუნებრივი რესურსებით მდიდარ 65 ქვეყნიდან, მხოლოდ ოთხმა შეძლო ინვესტიციების მოცულობის ზრდა მშპ-ს 25%-მდე და უზრუნველეყო ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა წლიურად არანაკლებ 4%-მდე. ეს ქვეყნებია: ბოცვანა, ინდონეზია, მალაიზია და ტაილანდი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ოთხი ქვეყნიდან მარტო ინდონეზიას აქვს ნავთობის მარაგი. ამასთან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დანარჩენმა ქვეყნებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი მარაგი (ჰონკონგი, სინგაპური, სამხრეთ კორეა და ტაივანი) აჩვენეს ეკონომიკის ზრდის უფრო მაღალი ტემპები. ეკონომიკური მეცნიერება გვთავაზობს ბუნებრივი რესურსების მარაგსა და ეკნომნიკურ ზრდას შორის უარყოფითი დამოკიდებულებების რამოდენიმე ახსნასა ან მექანიზმს.

ყველაზე ცნობილმა და ნათელმა (მარტივი) მექანიზმმა მიიღო «ჰოლანდიური დაავადების» სახელი. ამ ტერმინის წარმოქმნა დაკავშირებულია გასული საუკუნის 50-70-იან წლებში ჰოლანდიის კუთვნილ ჩრდილოეთ ზღვის ფარგლებში ბუნებრივი აირის საბადოს აღმოჩენასთან. ამას მოყვა ბუნებრივი აირის ექსპორტის გაზრდა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ნაციონალური ვალუტის საგრძნობი გაძვირება და ნეგატიურად იმოქმედა სხვა ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებებზე. ამიტომ, როცა ლაპარაკი

მიდის «ჰოლანდიურ დაავადებაზე», პირველ რიგში, იგულისხმება ვალუტის გაცვლის კურსის რეალური ზრდა, რომელიც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს წარმოების სხვა მიმართულებებსა და მთლიანად ეკონომიკაზე. «ჰოლანდიური დაავადება» ამ ურთიერთკავშირით არ შემოიფარგლება. არსებობს ნეგატიური ზემოქმედების სხვა მექანიზმებიც. იმის გამო, რომრესურსების ფასი განიცდის საგრძნობ მერყეობას მსოფლიო ბაზრის კონიუქტურის მიხედვით, ვალუტის გაცვლის კურსიც მერყეობს ექსპორტირებადი რესურსების ფასებთან ერთად და მით უფრო, რაც მეტ ნაწილს იკავებენ ეს რესურსები ექსპორტში. ნაციონალური ვალუტის მაღალი გაცვლითი კურსი ნეგატიურად მოქმედებს იმ წარმოებებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საგარეო ვაჭრობასთან (როგორც ექსპორტიორებზე, ასევე იმპორტიორებზე) და ქვეყნის ეკონომიკაში უცხო ინვესტიციების მოცულობაზე. მაშინ, როცა ნაციონალური წარმოება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია იმპორტზე (მაგალითად, ეკონომიკა სპეციალიზირდება იმპორტირებული ნახევარფაბრიკატების გადამუშავებაზე), გაცვლითი კურსის არასტაბილურობა მოახდენს მთელ ეკონომიკაზე ნეგატიურ ეფექტს.

იმ განსაკუთრებულ შემთხვევებშიც კი, როდესაც ქვეყანას არ აქვს ნაციონალური ვალუტა, «ჰოლანდიური დაავადება» თავს იჩენს ექსპორტზე ორიენტირებულ წარმოებებში ფასების ზრდის ფაქტორებზე.

1967-75 წლებში ნავთობი ხდება ნიგერიის მთავარი შემოსავლის წყარო. ამავე პერიოდს ემთხვევა ნავთობზე ფასის მორიგი ზრდა. როგორც იმდროინდელი დიქტატორი – იაკუბ გოვონა აღნიშნავდა: «ნიგერიისათვის მთავარ პრობლემას წარმოადგენს არა ფული, არამედ ის, თუ როგორ დავხარჯოთ იგი». ამავე პერიოდში მოხდა ეკონომიკის სხვა სექტორების კრახი. 1974-75 წლებში ნავთობზე ფასის მკვეთრმა დაცემამ გამოიწვია ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრი დაცემა. ამ პერიოდისათვის, ნავთობის ექსპორტმა მოასწრო ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განადგურება და დღემდე, ნიგერია წარმოადგენს «ჰოლანდიური დაავადების კლასიკურ მაგალითს».

«ჰოლანდიურ დაავადებას» ვერც დიდი ბრიტანეთი გადაურჩა. 1970-იანი წლების შუა ხანებამდე ის ახდენდა ნავთობის იმპორტს, მაგრამ 1980-იან წლებში ჩრდილოეთ ზღვაში, მსხვილი საბადოს აღმოჩენის შემდეგ ის გახდა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანა. ამის გამო ნავთობმა ნელ-ნელა დაიწყო საერთო სავაჭრო ბალანსიდან სხვა გადამამუშავებელი წარმოებების პროდუქციის გამოდევნა. ამ პროცესმა გამოიწვია დიდი ბრიტანეთის ვალუტის გამყარება, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია სხვა ქვეყნებში ბრიტანულ საქონელზე ფასების გაზრდა. ყოველივე ამას მოჰყვა ის, რომ უცხოურმა კომპანიებმა შეამცირეს ბრიტანული საქონლის შესყიდვა, ხოლო ბრიტანეთის მოქალაქეებმა პირიქით დაიწყეს უფრო იაფი, უცხოური საქონლის შეძენა.

1990-იან წლებში კონგოს რესპუბლიკამ სასარგებლო წიაღისეულის გაყიდვის შედეგად მიღებული დიდი თანხები, ძირითადში, დახარჯა ჯარის გადაიარაღებასა და საპრეზიდენტო გვარდიის შექმნაზე. ხოლო 1970-იან წლებში მექსიკაში ნავთობის ბუმმა დიდი ხნით გამოიწვია ერთპარტიული მმართველობა.

2004 წლიდან მოყოლებული, 2008 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით, საქართველო, ფაქტობრივად, დაავადებული იყო «ჰოლანდიური დაავადებით», რაც ქვეყანაში დიდი

ოდენობით უცხოური ვალუტის შემოდინებაში გამოიხატებოდა. სწორედ ეს გახდა ჩვენი ეროვნული ვალუტის გამყარების მიზეზი.

არსებობს მხოლოდ ერთი ქვეყანა, რომელშიც ნავთობმოპოვება უზრუნველყოფს მშპ-ს 30%-ს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, «ჰოლანდიური დაავადებით» დასნეულებული არაა. ეს ქვეყანაა – ნორვეგია.

ჰოლანდიაში მომხდარი ეს ფაქტი არ იყო პირველი მის ისტორიაში. პირველი ანალოგიური ფაქტი ისტორიაში შევიდა, «ტიტომანიის» სახელით.

დასასრულს, ისევ ნავთობის რეზერვებს დავუბრუნდებით. არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ დღეს არსებული ნავთობის რეზერვები დედამიწის სიღრმეში დამალული ნავთობის მხოლოდ ერთი მესამედია და ახალი ტექნოლოგიებით მათი პოვნა შესაძლებელია. ეს კი საბოლოო ჯამში, ბუნებრივია, გაზრდის ნავთობის მარაგს, რაც დადებითად იმოქმედებს მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Илларионов А. Презентация “Голландская и венесуэльская болезни в России и их лечение”. illarionov_may05.ppt, 1171.50K;

2. “Провал в недра. Единый возбудитель множества болезней”. Анатолий Вассерман , опубликовано в журнале “Бизнес-журнал” №22 от 14 Ноября 2006 года;

3. http://ru.wikipedia.org/wiki/Нефть;

4. http://lemill.net/content/webpages/navtobi/view;

5. http://www.finansy.ru/publ/pmacro/004.htm;

6. http://ru.wikipedia.org/wiki/Голландская_болезнь;

7. http://planeta.ge/index.php?showtopic=24537;

8.http://212.58.116.65/~commersant/index.php?pg=nt&id=10661&ct=2;

9. http://top-rider.ru/index.php?id=2030;

10. http://fx-commodities.ru/category/oil/;

11. http://www.bp.com/liveassets/bp_internet/globalbp/globalbp_uk_english/reports_and_publications/statistical_energy_review_2008/STAGING/local_assets/downloads/pdf/statistical_review_of_world_energy_full_review_2008.pdf;

12. http://www.oilcapital.ru/stat/stat_1/stat_1.shtml.

ნინო ტომარაძე
მარიამ კვარაცხელია

ხელმძღვანელი: პროფ. დავით იაკობიძე

ბანკების საკრედიტო საქმიანობის სისტემური შეფასების საკითხები საქართველოში

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სისტემას, რომლის წარმატებით ფუნქციონირებას განსაზღვრავს მისი საკრედიტო საქმიანობის სწორად წარმართვა. ბანკების საკრედიტო საქმიანობის სისტემური შეფასების საკითხები საქართველოში არ არის განხილული სათანადო დონეზე, თითქმის არ არსებობს ლიტერატურა ამ თემასთან დაკავშირებით, სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი დაინტერესება აღნიშნული საკითხით. ზოგადად, ბანკებსა და მის ფუნქციებს იკვლევენ როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მეცნიერები. უცხოელი მკვლევარებიდან აღსანიშნავია: ნ. ანტონოვი; მ. პესელი; უ. ჟუკოვა; ვ. პლატონოვი; ი. ლავრუშინა; რ. კოტერი; ე. რიდი; რ. სმითი; მ. უსოსკინი.

ხოლო რაც შეეხება, ქართულ ლიტერატურას, იგი ძირითადად ეფუძნება უცხოელი მკვლევარების ნაშრომებს. ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული ქართული ლიტერატურიდან აღსანიშნავია ლ. ღუდუშაურის, მ. გოგოხიას და გ. ცაავას წიგნები, ასევე www.nbg.ge - «საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ» და «საქართველოს ორგანული კანონი კომერციული ბანკების შესახებ»;

ბანკების საქმიანობის შეფასების სისტემების “CAMEL”-ისა და “CAEL”-ის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვეთ ვ. მოსიაშვილის, ფ. ლომიძისა და ფ. ქოქოსაძის წიგნიდან «საბანკო საქმე» და www.nbg.ge - «კომერციული ბანკების» ფინანსურიანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის “CAEL”-ის სისტემით ანალიზისა და შეფასების მეთოდური სახელმძღვანელოდან”.

ბანკების ფუნქციები

საქართველოს საბანკო სისტემა თავის თავში მოიცავს: საქართველოს ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს, კომერციულ ბანკებს, სხვადასხვა სახის საკრედიტო ორგანიზაციებსა და უცხოური ბანკების ფილიალებს და წარმომადგენლობებს. ბანკების საქმიანობას აკონტროლებს «საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ» და «საქართველოს ორგანული კანონი კომერციული ბანკების შესახებ».

მოცემულ კანონებში საქართველოს ეროვნული ბანკი განმარტებულია შემდეგნაირად: ეროვნული ბანკი არის საქართველოს ცენტრალური ბანკი, ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი. ხოლო კომერციული ბანკი ეს არის საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბანკები საკვანძო რგოლს წარმოადგენენ, რომლებიც სახალხო მეურნეობას დამატებითი ფულადი სახსრებით ამარაგებენ. ისინი იმ სფეროებიდან, რომლებიც ხასიათდება ფულადი რესურსების სიჭარბით, ფულად სახსრებს გადაანაწილებენ ამ მხრივ დეფიციტურ სფეროებში. თავისი დანიშნულებით ბანკები ბიზნესისადმი, მის მოთხოვნებთან, ცვალებად კონიუქტურასთან ყველაზე ახლოს იმყოფებიან. აქედან გამომდინარე ბანკი ობიექტურად მიიჩნევა ეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ საკვანძო ელემენტად.

კომერციული ბანკი ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლია სხვისი აქტივები აქციოს საკუთარ პასივებად, აქედან გამომდინარე იგი ასრულებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

1 საკრედიტო ფუნქცია;
2 სატრასტო ფუნქცია;
3 ნაღდი ფულის ნაკადების მართვის ფუნქცია;
4 საბანკო ინვესტორის ფუნქცია;
5 სადაზღვევო ფუნქცია;
6 საბროკერო ფუნქცია;
7 საინვესტიციო დაგეგმვის ფუნქცია;
8 გადახდების და ანგარიშსწორების ფუნქცია და ა.შ.

ეს ფუნქციები შეიძლება გავაერთიანოთ 4 ძირითად ჯგუფში, ესენია: შუამავლობა კრედიტებში; დაგროვების სტიმულირება მეურნეობაში; შუამავლობა დამოუკიდებელ სექტორებს შორის გადახდებში და ფასიან ქაღალდებთან ოპერაციებში. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

სატრასტო ფუნქცია (დანაზოგების აკუმულაცია) გულისხმობს თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციასა და მათ კაპიტალად გადაქცევას, ამისათვის ბანკები ახორციელებენ ფულადი სახსრებისა და დანაზოგების დაგროვებას ანაბრების სახით. ბანკში მოთავსებულ ანაბარზე, რომელიც სრულ უსაფრთხოებასა და მაღალ ლიკვიდობაში იმყოფება, მეანაბრე იღებს გასამრჯელოს სარგებლის (პროცენტის) სახით.

უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს საწარმოთა, სახელმწიფოსა და მოსახლეობის **დაკრედიტების ფუნქციას.** კრედიტი «საქართველოს ორგანულ კანონში კომერციული ბანკების შესახებ» განმარტებულია, როგორც დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება. ბანკები გასცემენ კომერციულ და სამომხმარებლო კრედიტებს იმ რესურსების ხარჯზე, რასაც ისინი დეპოზიტების (ანაბრების) სახით იღებენ. სწორედ კრედიტზე პროცენტიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ბანკის ძირითად შემოსავალს.

კომერციული ბანკების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა, ასევე, **საანგარიშსწორებო-საგადასახდელო** მექანიზმის უზრუნველყოფა. საწარმოთა შორის ანგარიშსწორების უმეტესი ნაწილი ხორციელდება უნაღდო გზით: ბანკები, როგორც გადახდებშიშუამავლები, თავიანთი კლიენტებისათვის, ასრულებენ ანგარიშსწორებისა და გადახდების გატარებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს.

კომერციული ბანკების **საბროკერო ფუნქცია** დაკავშირებულია ვალუტის გადახურდავებასთან.

ნაღდი ფულის ნაკადების მართვის ფუნქცია გულისხმობს ფულადი გზავნილების მოძრაობას. დღეისათვის, ეს ფუნქცია მეტად აქტუალურია საქართველოში, რადგან საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავების მიერ გამოგზავნილი ფულადი სახსრები.

უკანასკნელ პერიოდში საბანკო პრაქტიკაში გაჩნდა **დაზღვევასთან** დაკავშირებული ოპერაციები: კლიენტთათვის დავალიანების დაფარვის გარანტიის მიცემა, ავადმყოფობისა და უბედური შემთხვევის დროს ანაბრის თანხის გადიდება, ფულადი სახსრების მობილიზება მოსახლეობისათვის სადაზღვევო პოლისების მიყიდვის გზით. ბანკები იძენენ უკვე შექმნილ სადაზღვევო კომპანიებს, რაც მომგებიანია, როგორც ბანკებისათვის, ასევე სადაზღვევო კომპანიებისთვისაც, რომელთაც ეძლევათ საკუთარი ქვეყნისა და საზღვარგარეთის საბანკო ფილიალების და განყოფილებების ფართო ქსელის გამოყენების შესაძლებლობა. ამის ნათელი მაგალითია: სადაზღვევო კომპანია «ალდაგი ბისიაი», რომლის აქციების 100%-ის მფლობელია საქართველოს ბანკი და «ჯიპიაი ჰოლდინგი» რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია «თიბისი ბანკი».

ამრიგად, თანამედროვე პირობებში გრძელდება კომერციული ბანკების ფუნქციათა გაფართოვების ტენდენცია. კომერციული ბანკები საბანკო ლიკვიდურობის, შემოსავლების მიღების და ბაზარზე პოზიციების დაკავებისათვის ავითარებენ ბანკებისათვის წინათ არადამახასიათებელ ოპერაციებსა და მომსახურებებს, როგორიცაა, ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ პენსიებისა და ხელფასების გაცემისა და მოსახლეობის მიერ კომუნალური გადასახადების გადახდის ოპერაციები.

საკრედიტო ფუნქციის მნიშვნელობა

კომერციული ბანკების საკრედიტო ფუნქციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც თვითონ ბანკების, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის. საკრედიტო ფუნქცია ბანკების მოგების ძირითადი განმსაზღვრელია, რადგან, როგორც ვიცით, მოგება იანგარიშება კრედიტებიდან მიღებულ და დეპოზიტებზე გაცემულ პროცენტებს შორის სხვაობით.

კრედიტის გაცემით ბანკებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაშიც, რადგან კრედიტის მეშვეობით ფართოვდება წარმოება, იზრდება კაპიტალი, მიიღწევა ცხოვრების მაღალი დონე. საბანკო სესხების მნიშვნელობაზე მიგვითითებს, ისიც, რომ ისინი ახორციელებენ აგრარული სფეროს, ვაჭრობის, მრეწველობისა და სხვა დარგების დაფინანსებას. კომერციული ბანკები გასცემენ კრედიტს მომხმარებლებზე ხანგრძლივი მოხმარების საქონლის შესაძენად, რითაც ხელს

უწყობენ ცხოვრების დონის ზრდას. ამასთანავე, ბანკები ახორციელებენ მსხვილი სამთავრობო პროგრამების დაფინანსებას. უკანასკნელ წლებში გაიზარდა მოთხოვნა კრედიტზე. საწარმოებს ესაჭიროებათ დამატებითი ფულადი სახსრები კაპიტალის განახლებისა და საწარმოო სიმძლავრეების გაფართოებისათვის.

2010 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოში ფუნქციონირებს 19 კომერციული ბანკი. ესენია: **"TBC ბანკი"; «საქართველოს ბანკი»; «ტაოპრივატბანკი»; «ლიბერთი ბანკი» (სახალხო ბანკი); ბანკი «რესპუბლიკა»; «ბაზისბანკი»; «ბანკი ქართუ»; «ინვესტბანკი»; "VTB ბანკი ჯორჯია»; «პროკრედიტ ბანკი»; «პროგრეს ბანკი»; "BTA ბანკი»; «კორ სტანდარტ ბანკი»; «ბანკი კონსტანტა»; "HSBC ბანკი საქართველო»; «ხალიკ ბანკი საქართველო»; «აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი - საქართველო»; «ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი» და ღია საზოგადოების «კავკასიის განვითარების ბანკის» თბილისის ფილიალი.** ჩამოთვლილთაგან ბოლო 2 უცხოური ბანკის ფილიალს წარმოადგენს, 15 ბანკის საწესდებო კაპიტალის ფორმირებაში კი უცხოური კაპიტალი მონაწილეობს.

თუ განვიხილავთ, 2010 წლის 1 მარტის მონაცემებს, მაშინ დავინახავთ, რომ საქართველოში მოქმედი ბანკების მიმართ მთლიანმა საკრედიტო დავალიანებამ შეადგინა 5 020 671 ლარი. აქედან 60,9% კრედიტებისა გაცემულია სამეწარმეო სფეროზე, ხოლო 40,1% შინამეურნეობებზე. აღნიშნული პერიოდისთვის კრედიტების ყველაზე დიდი წილი მოდის ვაჭრობაზე - 27,9%, მას მოჰყვება იპოთეკური სესხები, რომელიც მთლიანი კრედიტების 19%-ია. მრეწველობაზე გაცემული სესხები 13,2%-ს შეადგენს. სესხებში ყველაზე მცირე პროცენტი უჭირავს განათლებას - 0,2%, ფინანსურ შუამავლობებს - 0,3%. ხოლო სახელმწიფო მართვასა და თავდაცვაზე ამ პერიოდში საერთოდ კრედიტები არ გაცემულა.

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ საქართველოს ბანკებმა დროებით შეწყვიტეს სესხების გაცემა, ამას თან დაერთო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც, რამაც გამოიწვია 2009 წლისთვის 2008 წელთან შედარებით რამდენიმე სფეროში კრედიტების რაოდენობის შემცირება, როგორიცაა:

- **სამომხმარებლო სესხები – (-18,5)%**
- **სოფლის მეურნეობა - (-11,9)%**
- **ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – (-1,5)%**
- **ფინანსური შუამავლობები – (-28,6)%**

დანარჩენ სფეროებში კი მაინც აღინიშნა მატება. ესენია:

- **ვაჭრობა _ 3,9%**
- **მშენებლობა – 4,4%**
- **მრეწველობა - 18,6%**
- **სასტუმროები და რესტორნები – 42.4%**
- **ოპერაციები უძრავი ქონებით, კომერციული საქმიანობა – 65,9%**
- **სახელმწიფო მართვა და თავდაცვა – 0%**
- **განათლება – 24,6%**
- **ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება – 42,6%**

- **იპოთეკური სესხები – 143,3%**

ეს მატება ძირითადად გამოწვეული იყო 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე აღნიშნულ დარგებში მაღალი ზრდის ტემპების არსებობით.

ომის შედეგები ძირითადად აისახა 2009 წელს და შესაბამისად 2010 წელს უფრო მეტ სფეროში დაფიქსირდა კლება. ესენია:

- **ვაჭრობა _ (-5,8)%;**
- **სამომხმარებლო სესხები - (-7,1) %;**
- **მშენებლობა - (-10,9)%;**
- **სოფლის მეურნეობა - (-5,2)%;**
- **სასტუმროები და რესტორნები – (-16,9) %;**
- **ფინანსური შუამავლობები – (-3,5)%;**
- **ოპერაციები უძრავი ქონებით, კომერციული საქმიანობა – (-29,8)%.**

თუმცა, ზოგიერთ დარგში კვლავ შენარჩუნდა მატების ტემპი, როგორიცაა:

- **მრეწველობა - 5,3%;**
- **ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 13,3%;**
- **სახელმწიფო მართვა და თავდაცვა – 0%;**
- **განათლება – 10,5%;**
- **ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება – 35,3%;**
- **იპოთეკური სესხები – 11%.**

ეკონომიკის ეს დარგები ყველაზე აქტუალურია საქართველოში და, ამიტომაც მათზე სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე ნაკლებად იმოქმედა კრიზისმა.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომერციული ბანკები საკრედიტო ფუნქციის მეშვეობით ხელს უწყობენ ქვეყანაში მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას. ბიზნესზე გაცემული სესხების შედეგად ადგილი აქვს წარმოების მოცულობის ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას, ასევე სტუდენტური სესხების მეშვეობით ბანკები ახდენენ ფულადი სახსრების ინვესტირებას მომავალი თაობის განათლებაში, განათლებული საზოგადოება კი ქვეყნის განვითარების საწინდარია.

CAMEL-ის და CAEL-ის შეფასების სისტემები

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს კომერციული ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების საბანკო საქმიანობის ზედამხედველობას, რომლის მიზანია ამ ბანკების საქმიანობის რეგულირების მეშვეობით საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საბანკო სისტემაში სისტემური კრიზისის წარმოქმნის ალბათობის მინიმიზება და ამ გზით ბანკების დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების, საბანკო სისტემაში კონკურენტუნარიანობის პრინციპებისა და ეროვნული ბანკის ინსტიტუციური ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. ამდენად, საბანკო ზედამხედველობის ძირითად არგუმენტს მეანაბრეთა

დანაკარგის რისკის შემცირება და ამ გზით ბანკების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს.

1995 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის პოლიტიკა ეფუძნება მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და «საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის» მიერ დადგენილი ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებს, ხოლო საბანკო ზედამხედველობის მეთოდად გამოიყენება რეგულირებისა და მონიტორინგის ყველაზე აღიარებული სარეიტინგო სისტემა "CAMEL"-ი, რითაც ხდება ბანკების ადგილზე შემოწმება ცალკეული კომპონენტების შეფასებით:

C- კაპიტალის საკმარისობა;

A- აქტივების ხარისხი;

M- ბანკის მენეჯმენტი;

E- მოგება-შემოსავლიანობა;

L- ლიკვიდობა.

თითოეული ამ კომპონენტის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ბანკის მთლიანი ფინანსური მდგომარეობა და შესაძლებელი ხდება მისი საიმედოობისა და მდგრადობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

C - კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას მოწმდება ყველა ფაქტორი, რომელიც ახდენს გავლენას ბანკის კაპიტალის მდგომარეობაზე: კერძოდ, ბანკის მიმდინარე და წინა წლების საბანკო საქმიანობის ტენდენციები; კაპიტალისა და აქტივების ზრდის ტემპები, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან ურთიერთკავშირში; ასევე არსებული და მომავალი შემოსავლების გავლენა კაპიტალის მოცულობაზე; პრობლემური სესხების გავლენა კაპიტალზე; სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების ადეკვატურობა; დივიდენდების პოლიტიკის გავლენა; ბანკის მენეჯმენტის უნარი გამოძებნოს კაპიტალის დამატებითი წყაროები და სხვა.

A - აქტივების ხარისხის ანალიზი ემსახურება ბანკის აქტივების მდგომარეობის შემოწმებას, რაც პირველ რიგში გულიხსმობს ბანკის საკრედიტო პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობის დადგენას, სესხების ადმინისტრირების ხარისხის განსაზღვრას, ასევე მნიშვნელოვანია სესხების გაცემის სფეროში ბანკის ისტორიული გამოცდილების და გარეშე ეკონომიკური პირობების შეფასება, როგორც მიმდინარე პერიოდში, ისე ახლო მომავალში. აქტივების დახარისხების პროცედურის გასამარტი-ვებლად მეთოდოლოგიის ფარგლებში შემუშავებულია კოეფიციენტების სისტემა, სადაც სიდიდეები იცვლება 1-დან 5-მდე, საუკეთესოდან- კრიტიკულამდე.

M - ბანკის მენეჯმენტის შეფასება წარმოადგენს ყველაზე ძნელ და ამავე დროს ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას. იგი შედგება შემდეგი კომპონენტების შეფასებისგან: სამეთვალყურეო საბჭოს ადეკვატურობა; მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის მდგომარეობა; მენეჯმენტის ადეკვატურობა და რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობა. უფრო კონკრეტულად კი წარმოებს სამეთვალყურეო საბჭოს და მმართველი აპარატის, იგივე მენეჯმენტის წარმომადგენლების პროფესიონალური უნარისა და კეთილსინდისიერების გადამოწმება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

საბანკო საქმიანობაში; ასევე მათ მიერ განხორციელებული საკადრო პოლიტიკის ადეკვატურობის დადგენა, საბანკო რისკების მონიტორინგის უნარის შეფასება და სხვა.

E - მოგება-შემოსავლიანობის ანალიზის დროს ყურადღება უნდა დაეთმოს შემოსავლების წყაროს სტაბილურობას და განისაზღვროს ბანკის მოგებაზე მოქმედი ფაქტორები, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ტენდენციები. მოგების, როგორც ბანკის ფინანსური საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებლის შეფასებისას მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების დამუშავება, როგორიცაა: საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები, მათი სტრუქტურული შემადგენლობა, წარმოშობის ძირითადი წყაროები და ზრდა-შემცირების ტემპების თანმიმდევრულობა და სხვა.

L - ლიკვიდობის შეფასებისას მოწმდება ბანკის მოთხოვნილება ლიკვიდურ სახსრებზე, აქტივ-პასივების მართვის ეფექტურობა, გარესაბალანსო ანგარიშების მოცულობა და შემადგენლობა. ამასთან, შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია აქტივებისა და პასივების მოცულობა და ვადები, დეპოზიტების შემადგენლობა და სტაბილურობა, სახსრების არამყარი წყაროების გამოყენების პრაქტიკა, ბანკის არსებული და მომავალი მოთხოვნილება სახსრებზე და სახსრების ალტერნატიული წყაროების არსებობა.

ზემოთგანხილული კომპონენტების შეფასების საფუძველზე მზადდება საბოლოო დასკვნა, სადაც აისახება ბანკის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა: კაპიტალის შემოსავლიანობის, აქტივების მდგომარეობის და ლიკვიდობის გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე მისი თითოეული ცალკე აღებული ნაწილის მდგომარეობა.

"**CAMEL**"-ის მეთოდიკის ბაზაზე შეიქმნა კიდევ ერთი გავრცელებული მეთოდიკა, რომელიც გარესაბანკო ზედამხედველობის **"CAEL"** სისტემის სახელწოდებით არის ცნობილი და კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზნით მოიცავს ბანკის კაპიტალის, აქტივების მომგებიანობისა და აქტივ-პასივების მართვა-ლიკვიდურობის შეფასებას. **"CAMEL"**-ისგან განსხვავებით **"CAEL"** სისტემა არ ითვალისწინებს M კომპონენტის- მენეჯმენტის ადეკვატურობის ცალკე, განყენებულ შეფასებას. **"CAEL"** სისტემით შეფასების საბოლოო დასკვნაში ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ გათვალისწინებული უნდა იქნეს ბანკის ადგილზე შემოწმების მასალები, გასული პერიოდის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და ბანკის შესახებ ცენტრალურ ბანკში არსებული სხვა ინფორმაციები. მნიშვნელოვანია, რომ **"CAEL"** სისტემით გარესაბანკო ზედამხედველობის დასკვნა თავისი შინაარსით იყოს არგუმენტირებული დოკუმენტი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ფინანსური მონაცემების ტენდენციების ანალიზს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასებისას იყენებს სწორედ **"CAEL"**-ის მეთოდს, საქართველოში არ ხდება მენეჯმენტის შეფასება, რადგანაც მიჩნეულია, რომ საქართველოში მენეჯმენტი არ არის განვითარებული ისეთ დონეზე, რომ მოხდეს მისი ცალკე შეფასება.

"CAEL"-ის სისტემით ბანკის შემოწმების მიზანია მოქმედი კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და დასკვნის მომზადება, რომელიც მოიცავს ბანკის კაპიტალის, აქტივების, მომგებიანობისა და აქტივ-პასივების მართვა/ლიკვიდურობის შეფასებას 1-დან 5-მდე გრადაციით. ეს სისტემა ბანკებს ჰყოფს თანაბარი აქტივების

მოცულობის მქონე ჯგუფებად და გამოითვლება პროცენტულ კატეგორიებში ფინანსური კოეფიციენტების ოთხი რიგისთვის. კომპოზიტიური **"CAEL"**-ის რეიტინგი გამოითვლება, როგორც მისი შემადგენელი ოთხი კომპონენტის რეიტინგის საშუალო იმის გათვალისწინებით, რომ საბოლოო კომპოზიტიურმა რეიტინგმა უნდა ასახოს ბანკის საერთო მდგომარეობა. იგი ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება საშუალო რეიტინგზე მეტი ან ნაკლები იყოს. მაგალითად, თუ **"CAEL"**-ის რეიტინგი არის 3/3/2/1, საშუალო რეიტინგი იქნება 2, მაგრამ თუ კაპიტალისა და აქტივების ხარისხი სერიოზულად სუსტ მდგომარეობაშია, შეიძლება უფრო მართებული იყოს მე-3 კომპოზიტიური რეიტინგის მინიჭება. ამგვარად, საერთო კომპოზიტიურმა რეიტინგმა, კომპოზიტიური რეიტინგის განმარტებიდან გამომდინარე, უნდა ასახოს ბანკის საერთო მდგომარეობა. შემაჯამელ რეიტინგში:

1 ქულა ნიშნავს, რომ ბანკი სრულიად «ჯანსაღი» ორგანიზაციაა და ფინანსური საქმიანობის სრულყოფის მიმართულებით საზედამხედველო ორგანოების ჩარევის აუცილებლობას არ საჭიროებს.

2 ქულა მცირედი დარღვევების შესახებ მეტყველებს, თუმცა საბოლოო ჯამში ბანკი მაინც სტაბილურ ორგანიზაციად ითვლება, რომელიც ადვილად გაუმკლავდება ქვეყანაში მოსალოდნელ ეკონომიკურ და ფინანსურ ცვლილებებს.

3 ქულით ფასდება ბანკები, რომლებშიც აღინიშნება როგორც ფინანსურ-ოპერაციული, ისე ტექნიკური პრობლემები და გარკვეულწილად არსებობს გარეშე ფაქტორების გავლენით გაკოტრების საშიშროებაც. ამდენად, აუცილებელია საზედამხედველო კონტროლის ორგანიზება.

4 ქულით შეფასებული ბანკები შეიძლება ითქვას, რომ აშკარა გაკოტრების საფრთხის წინაშე დგანან და მათი სიცოცხლისუნარიანობა დიდად არის დამოკიდებული ფინანსური მდგომარეობის მაკორექტირებელ ღონისძიებათა გატარებაზე. ამ შემთხვევაში ზემდგომი ორგანოების მხრიდან ზედამხედველობა და კონტროლი გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს.

5 ქულა რეიტინგში ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. ასეთი შეფასება მიუთითებს თითქმის გამოუსწორებელ, უიმედო მდგომარეობაზე და საზედამხედველო ორგანოების მითითებით შესაძლებელია ამ ბანკის გაყიდვა, სხვა ბანკთან მიერთება ან უკიდურეს შემთხვევაში ლიკვიდაცია.

"CAEL"-ის სისტემით ანალიზი (დასკვნა) და შესაბამისი რეიტინგი დგინდება ყველა კომერციული ბანკისთვის და არის ბანკის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა მოხმარებისთვის. რეიტინგი უნდა ასახავდეს არსებულ ფინანსურ მდგომარეობას მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით, ბანკის მიერ დადგენილი კანონებისა და წესების დაცვას. დაბალი რეიტინგის (3,4,5) მქონე ბანკების ზედამხედველობის დასკვნა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბანკში არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების შესახებ, მათ დონესა და სერიოზულობას. დასკვნაში აგრეთვე უნდა მიეთითოს არსებული პრობლემების წარმოშობის მიზეზები, მათი აღმოფხვრისთვის გასატარებელი ღონისძიებები და რეკომენდაციები. მთლიანობაში დასკვნამ უნდა მოიცვას ბანკის არსებული ფინანსური მდგომარეობის ანალიზი, ბანკის საქმიანობისა და რისკის პროფილის შეფასება.

ანალიზი უნდა იყოს რაც შეიძლება გასაგები და მოკლე. რიცხვითი მონაცემები და კოეფიციენტები უნდა იყოს სწორი. მოყვანილი ფინანსური მონაცემები და ანალიზი უნდა ასაბუთებდეს მინიჭებულ რეიტინგს. იგი უნდა მოიცავდეს საბალანსო უწყისის, სტრუქტურის ზოგად მიმოხილვას, აგრეთვე აქტივების, მოგების, ლიკვიდობის და კაპიტალის სტრუქტურების დეტალურ ანალიზს, ასევე ინფორმაციას ბანკის შვილობილი საწარმოების და ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ, პასუხგასაცემ შეკითხვებსა და მსჯელობას, რომელიც კონცენტრირებული იქნებოდა კონკრეტული და ზოგადი საკითხების ანალიზზე. რაც ყველაზე მთავარია, უნდა დადგინდეს ბანკის წინაშე მდგარი რისკები. ბანკი დღეს შეიძლება სტაბილური და უსაფრთხო იყოს, მაგრამ მაღალი რისკის ფაქტორებმა, მათი არასწორი და არაკომპეტენტური მართვის შემთხვევაში, შეიძლება მისი ფინანსური მდგომარეობის სწრაფი გაუარესება გამოიწვიოს.

"CAEL"-ის სისტემით ზედამხედველობის დასკვნაში ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და მისი კომპონენტების შეფასებისას აუცილებლად გამოყენებული და გათვალისწინებული უნდა იქნეს ბანკის საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლების მსგავსი ბანკების ჯგუფის საშუალო მაჩვენებლებთან შედარება, ბანკის ადგილზე შემოწმების მასალები, სარეკლამაციო წერილით ბანკისთვის დაწესებული მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობა და ხარისხი, გასულ პერიოდში ბანკის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და რეიტინგი, ასევე ბანკის და მისი შვილობილი ორგანიზაციების შესახებ ეროვნულ ბანკში არსებული სხვა ინფორმაციები. ანალიტიკოსი ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მიღებიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში მოამზადოს ზემოთ აღნიშნული საკითხების ანალიზის შედეგებით დასკვნა, რომელიც უნდა ასახავდეს:

- იმ ფაქტორებს, რომელთა საფუძველზეც ასეთი დასკვნა იქნა შედგენილი;
- საბალანსო უწყისის სტრუქტურის განხილვას;
- აქტივების ხარისხის შეფასებას;
- ლიკვიდობის შეფასებას;
- კაპიტალის შეფასებას;
- ზედამხედველის რეკომენდაციებს (რეაგირებას) - მიმართულს ბანკის ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური გაჯანსაღებისკენ და საზედამხედველო სტრატეგიას;
- კითხვებს, რომლებიც მენეჯმენტის წინაშე უნდა დაისვას, ბანკის უკეთ გაგების მიზნით.

თითოეული ღონისძიება და რეკომენდაცია მაქსიმალურად უნდა იყოს დასაბუთებული, ეყრდნობოდეს ზედამხედველობის დასკვნაში მოცემულ ანალიზსა და შეფასებებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ თითოეული რეკომენდაცია და ღონისძიება წარმოდგენილი უნდა იქნეს CAEL-ის ოთხივე კომპონენტის კონტექსტში, რაც ხელს შეუწყობს ბანკის მიმართ გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების ეფექტიანობას.

შემოწმების დასასრულს ანალიტიკოსმა ბანკს უნდა მიანიჭოს **"CAEL"**-ის სისტემის კომპოზიტური რეიტინგი. ამასთან, კომპოზიტური რეიტინგი უმთავრესად უნდა იყოს ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასების გამომხატველი და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება არ ეყრდნობოდეს **"CAEL"**-ის შემადგენელი კომპონენტების

რეიტინგების საშუალო არითმეტიკულს. დასკვნა მისი დასრულებისთანავე უნდა გადაეცეს განსახილველად დოკუმენტალური ზედამხედველობის განყოფილების უფროსს, როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით. შესაძლებელია განხილვის ფუნქციის შესრულება პერიოდულად დაეკისროს დეპარტამენტის რომელიმე წარმომადგენელს.

შეფასების შედეგები ქართულ ბანკებში

რაც შეეხება შეფასების შედეგებს ქართულ ბანკებში, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური ყოველწლირად ახდენს კომერციული ბანკების საქმიანობის შეფასებას **"CAEL"**-ის სისტემით და ადგენს შესაბამის რეიტინგს, თუმცა როგორც განგვიმარტეს, უკვე 2 წელია აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურს და იგი განკუთვნილია მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის.

სწორედ ამიტომ, ჩვენ შევეცადეთ ჩვენ თვითონ განგვეხილა ქართული ბანკების საკრედიტო საქმიანობა 2 ბანკის მაგალითზე და მათი ურთიერთშედარების საფუძველზე გამოგვეტანა საერთო დასკვნები. ზოგადად, ბანკის საკრედიტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მის ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემული მონაცემები ბანკის მიერ გაცემული სესხებისა და სესხებიდან საპროცენტო შემოსავლების შესახებ.

პირველ რიგში განვიხილეთ სს «საქართველოს ბანკის» საკრედიტო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

თუ დავაკვირდებით სს «საქართველოს ბანკის» საბალასო უწყისს 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით, დავინახავთ, რომ მისი მთლიანი სესხების ოდენობა არის 390 464 920 ლარი, უცხოურ ვალუტაში 1 354 479 168 და სულ 1 744 944 088 ლარი. თუ შევადარებთ ამ მონაცემებს წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს, ვნახავთ, რომ საქართველოს ბანკს 2009 წლის 31 მარტს ლარებში სესხად გაცემული ჰქონდა 460 789 695 ლარი, უცხოურ ვალუტაში - 1 362 890 538 და სულ - 1 823 680 233 ლარი.

როგორც ვხედავთ, «საქართველოს ბანკის» მთლიანი სესხები წინა წელთან შედარებით შემცირებულა 4,32%-ით (78 736 145 ლარით) და ორივე წელს ბანკის საკრედიტო საქმიანობა უფრო აქტიური იყო უცხოურ ვალუტაში ვიდრე ეროვნულში.

ბანკის საკრედიტო საქმიანობა შეგვიძლია შევაფასოთ შემდეგი კოეფიციენტებით: უმოქმედო სესხები/მთლიან სესხებთან და უცხოური ვალუტით არსებული სესხები/მთლიან სესხებთან. სს «საქართველოს ბანკისთვის» უმოქმედო სესხები/მთლიან სესხებთან უდრის 18,06%-ს, წინა წელს ეს კოეფიციენტი უდრიდა 12,40%-ს, ანუ უმოქმედო სესხების რაოდენობა გაზრდილია 5,66%-ით. უცხოური ვალუტით არსებული სესხები/მთლიან სესხებთან 2010 წლის მარტის ბოლოს უდრის 77,62%-ს, წინა წელს - 74,73%, ანუ კოეფიციენტის მნიშვნელობა გაზრდილია 2,89%-ით და შესაბამისად უცხოურ ვალუტაში კიდევ უფრო გააქტიურებულა საკრედიტო საქმიანობა წინა წელთან შედარებით.

სს «საქართველოს ბანკის» მთლიანი სესხების წლიური მატების ტემპი წინა წელთან შედარებით დადებითი 5,70%-ია, წინა წელს კი ეს მაჩვენებელი -7,41% იყო, ანუ ზრდის მაგივრად კლება აღინიშნებოდა და 2010 წელს ეს სიტუაცია გამოსწორებულია.

საპროცენტო შემოსავლებმა სესხებიდან, რომელიც ბანკის მოგება-ზარალის უწყისშია მოცემული, საანგარიშო პერიოდისთვის შეადგინა ლარებით 21 460 699, უცხოურ ვალუტაში - 58 562 925, სულ - 80 023 624 ლარი. წინა წელს იგივე მონაცემი ლარებში იყო 27 590 557, უცხოურ ვალუტაში - 55 388 561, სულ - 82 979 118, ანუ წინა წელთან შედარებით სს «საქართველოს ბანკის» საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან სულ შემცირებულია 3,7%-ით (2 955 494 ლარით).

საბოლოო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სს «საქართველოს ბანკი» აქტიურია საკრედიტო საქმიანობის მიხედვით, თუმცა მის მიერ გაცემული მთლიანი სესხები და შესაბამისად სესხებიდან მიღებული შემოსავლები წინა წელთან შედარებით შემცირებულია ძირითადად მათი ლარებში შემცირების ხარჯზე, რადგან უცხოურ ვალუტაში მოცემული თითოელი ზემოთ აღნიშნული მონაცემი წინა წელთან შედარებით გაზრდილია.

რაც შეეხება სს «ბითიეი ბანკს», მისი მთლიანი სესხები 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით უდრიდა ლარებში - 8 141 039, უცხოურ ვლუტაში - 55 366 396 და სულ 63 507 435 ლარს. თუ შევადარებთ ამ მონაცემებს წინა წლის შესაბამის პერიოდს, დავინახავთ, რომ «ბითიეი ბანკს» ლარებში გასესხებული ჰქონდა 16 552 517, უცხოურ ვალუტაში - 94 517 900 და სულ 111 070 417 ლარი. ანუ «ბითიეი ბანკის» მიერ გაცემული სესხები წინა წელთან შედარებით შემცირებულია როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში, ეროვნულ ვალუტაში 50,8%-ით, უცხოურ ვალუტაში - 41%-ით და სულ 42.82%-ით.

«ბითიეი ბანკის» უმოქმედო სესხების/მთლიან სესხებთან წელს უდრის 68,59%-ს, ხოლო შარშან - 21,51%-ს ანუ გაიზარდა 47,08%-ით, რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია და მიგვანიშნებს იმაზე, რომ ბანკი არასაიმედო მდგომარეობაშია, მის მიერ გაცემული სესხების დაბრუნება საეჭვოა, რამაც ბანკი შეიძლება სავალალო შედეგამდე მიიყვანოს. უცხოური ვალუტით არებული სესხების წილი მთლიან სესხებში უდრის 87,18%-ს და ეს მონაცემი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 2,08%-ით ანუ კიდევ უფრო გაზრდილია უცხოური ვალუტით გაცემული სესხების წილი მთლიან სესხებში.

მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი წინა წლის -3,17%-თან შედარებით კიდევ უფრო გაუარესებულია და -30,15%-ს უდრის, ანუ როგორც ვხედავთ, «ბითიეი ბანკს» სერიოზული პრობლემები აქვს საკრედიტო საქმიანობის კუთხით.

შესაბამისად საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან შემცირებულია როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში. ეროვნულ ვალუტაში 538 030 ლარია და შემცირებულია - 0,04%-ით, უცხოურ ვალუტაში - 3 429 406 ლარია და გაზრდილია 0,05%-ით, სულ 3 967 436 ლარია და შემცირებულია 6.43%-ით.

როგორც ვნახეთ, «ბითიეი ბანკის» შემოსავლები სესხების პროცენტებიდან საერთო ჯამში შემცირებულია, თუმცა გაზრდილია უცხოურ ვალუტაში.

სს «ბითიეი ბანკის» საკრედიტო საქმიანობა სს «საქართველოს ბანკისგან» განსხვავებით არ არის აქტიური, თუმცა აღსანიშნავია, რომ ორივე ბანკის საკრედიტო საქმიანობა უფრო აქტიურია უცხოურ ვალუტაში, ვიდრე ეროვნულში. ეს ყოველივე ალბათ გამოწვეულია იმით, რომ ბანკები უპირატესობას ანიჭებენ ოპერაციების უცხოური ვალუტით (დოლარი, ევრო) წარმოებას, რადგან იგი ლართან შედარებით უფრო მყარი ვალუტაა და ნაკლებ რისკიანად ითვლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. გოგოხია - «საბანკო საქმე», თბ., 2007.
2. გ. ცაავა - «საბანკო საქმე», თბ., 2005.
3. ლ. ქოქიაური - «საბანკო საქმიანობის საფუძვლები», თბ., 2004.
4. www.nbg.gov.ge - «საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ» თბ., 2009.
5. www.nbg.gov.ge - «საქართველოს ორგანული კანონი კომერციული ბანკების შესახებ», თბ., 1996.
6. ვ. მოსიაშვილი, ფ. ლომიძე, ფ. ქოქოსაძე - «საბანკო საქმე», თბ., 2009.
7. www.nbg.gov.ge - «კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფინანსური მდგომარეობის "CAEL"-ის სისტემით ანალიზისა და შეფასების მეთოდური სახელმძღვანელო", თბ., 2007.
8. რ. კოტერი, ე. რიდი, რ. სმითი - «კომერციული ბანკები და საბანკო საქმე», თბ., 2000.
9. www.geostat.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. თამთა ვარშანიძე
«მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში»;
2. დალი ცინცქილაძე
«სამშენებლო კრიზისი საქართველოში»;
3. თათია კალატოზიშვილი / თათია ჯინჭარაძე
«საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული
პორტრეტი მიმდინარე საუკუნის დასაწყისისთვის»;
4. ნატო ჩადუნელი / ნინო მჭედლიძე
«კაპიტალის საკმარისობის ზეგავლენა
სამეურნეო აქტივობაზე ქართულ ბანკებში»;
5. ილია გუგენიშვილი
«საგადასახადო ტვირთის განაწილების ოპტიმიზაცია
საქართველოში»;
6. თეონა გოლეთიანი
«მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების როლი
ეკონომიკის განვითარებაში»;
7. დავით ფაღავა / ქეთევან ამირანაშვილი
«ბარამბო – ახალი მოთამაშე შოკოლადის
ქართულ ბაზარზე»;
8. გიორგი თადუმაძე / ლევან გობეჯიშვილი
,,ექსტრემალური ტურიზმის მარკეტინგი
საქართველოში»;
9. ქეთევან გელაშვილი / ნინო ლორია
«ლატარიის კომპანია სათამაშო ბიზნესში»;
10. მადონა მანჯგალაძე / ალექსანდრე სტეფნაძე
«ტურისტული ფირმების web გვერდების ანალიზი»;
11. ნიკა მითაიშვილი / ალექსანდრე ქათამაძე
«ტურისტთა განთავსების საშუალებანი და მასთან
დაკავშირებული პრობლემები»;
12. სოფო ჯავახაძე
«ტურისტული ფორმალობები»;
13. თამარ ტატანაშვილი
«ჩასახულის სამართლებრივი მდგომარეობა»;
14. სოფიო ბერიანიძე

«ევთანაზია: სიცოცხლისა და სიკვდილის
უფლება?»;

15. თამარ მსხვილიძე

«პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაცი-
ისათვის თანამედროვე სისხლის
სამართალში»;

16. თამარ რუხაძე

«ანტიმონოპოლიური რეგულირება, საერთაშორისო
გამოცდილება, საქართველოს რეალობა»;

17. თინათინ ვარდანიძე / მარიამ ხუტუაშვილი

«შრომითი მიგრანტების გადარჩენილი ქვეყანა»;

18. თინათინ რევაზიშვილი / ხატია ჯავახიშვილი

«მეუღლეთა საქორწინო კონტრაქტი»;

19. ლაშა დალაქიშვილი / ნინო გოზალიშვილი

«ონლაინ-მარკეტინგი საქართველოსა და
მსოფლიოში»;

20. მედეა ქორქაშვილი

«აქციების ბაზრის დინამიკა საქართველოში»;

21. ნათია ვაშაკიძე / ნათია ქოჩიაშვილი

«ნავთობი და ეკონომიკა»;

22. ნინო ტომარაძე / მარიამ კვარაცხელია

«ბანკების საკრედიტო საქმიანობის სისტემური
შეფასების საკითხები საქართველოში».